



სოციალურ მაცნეორებათა სერია

# ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები

სალექციო კურსი  
სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის

თამარ საჩაღაშვილი

თბილისი  
2006

## სოციალურ მეცნიერებათა სერია

მთავარი რედაქტორი: **მარინე ჩიტაშვილი**

ენობრივი რედაქტორი: **ლია კაჭარავა**

დაკაბადონება, ყდის დიზაინი: **გიორგი ბაგრატიონი**

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006

© Center for Social Sciences, 2006

ქ. თბილისი, 0108, თ. ჭოველიძის ქ. 10

ელ. ფოსტა: [contact@ucss.ge](mailto:contact@ucss.ge)

ინტერნეტ გვერდი: [www.ucss.ge](http://www.ucss.ge)



წიგნი მომზადებულია და გამოცემულია `სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის- (Center for Social Sciences) მთავარი ფონდის OSI – Zug, ბუღაპეშტის ლია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) ფინანსური ხელშეწყობით



The book has been published by the Center for Social Sciences, sponsored by the OSI-Zug Foundation and the Higher Education Support Program (HESP) of the Open Society Institute-Budapest.

**ISBN: 99940 - 871 - 0 - X**

## შინაარსი

<b>პ30რა 1.</b> .....	<b>4</b>
1. კურსის „ქალთა ადამიანის უფლებები: სამართლის გენდერულ-ისტორიული ასპექტები“ შესავალი, მიზანი, შინაარსი, მოთხოვნები და სტრუქტურა. ....	4
2. ძირითადი ტერმინების ლექსიკონი .....	5
3. ვისთვის და ვის მიერ იქმნებოდა კანონები? სამართლის სუბიექტის საკითხი, გვიანი შუა საუკუნეების დებატები. ....	16
<b>პ30რა 2</b> .....	<b>18</b>
1. ვისთვის და ვის მიერ იქმნებოდა კანონები? სამართლის სუბიექტის საკითხი, ქალები და საფრანგეთის რევოლუცია.....	18
2. უფლება აირჩიო და იყო არჩეული – პირველი ტალღის ფემინისტების ყველაზე ხანგრძლივი ბრძოლა.....	22
<b>პ30რა 3</b> .....	<b>23</b>
1. უფლება აირჩიო და იყო არჩეული – პირველი ტალღის ფემინისტების ყველაზე ხანგრძლივი ბრძოლა (გაგრძელება).....	23
2. პროლეტარიატი და გენდერული დისკრიმინაცია ადრეული ბოლშევიკური სახელმწიფოს დროს – საბჭოთა კავშირი 1918-1936 წლებში. ....	29
<b>პ30რა 4</b> .....	<b>30</b>
1. პროლეტარიატი და გენდერული დისკრიმინაცია ადრეული ბოლშევიკური სახელმწიფოს დროს – საბჭოთა კავშირი 1918-1936 წლებში (გაგრძელება). ....	30
2. ქალთა უფლებები და საერთაშორისო ორგანიზაციები .....	36
<b>პ30რა 5</b> .....	<b>37</b>
1. ქალთა უფლებები და საერთაშორისო ორგანიზაციები (გაგრძელება) .....	37
2. ქალთა უფლებები და საერთაშორისო ორგანიზაციები .....	37
<b>პ30რა 6</b> .....	<b>56</b>
1. როგორ სრულდება საერთაშორისო ვალდებულებები: საქართველოს გამოცდილება ქალთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით 1991-2004 წლებში.....	56
2. ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში: იძულებით გადაადგილებული ქალები.....	69
<b>პ30რა 7</b> .....	<b>74</b>
1. სქესობრივი დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე – დებატები ამერიკის შეერთებულ შტატებში .....	74
2. როგორ დავარეგულიროთ ოჯახური ძლადობა, გასათვალისწინებელი გამოცდილება.....	77
<b>პ30რა 8</b> .....	<b>87</b>
1. საარჩევნო კანონმდებლობა – საკანონმდებლო ორგანოში ქალთა ნარმომადგენლობის ზრდასთან დაკავშირებული საკითხები .....	87
2. კურსის ძირითადი თემებისა და საკითხების შეჯამება. კონსულტაციები საბოლოო ესსეს დასაწერად.....	97
<b>პირდღიობრაფია</b> .....	<b>98</b>
<b>WOMEN'S HUMAN RIGHTS: GENDER ASPECTS OF HISTORY OF LAW</b> .....	<b>102</b>

## **პრირა 1.**

### **1. კურსის „ქალთა ადამიანის უფლებები:**

**სამართლის განცენულ-ისტორიული ასპექტები“ შესავალი,  
მიზანი, შინაარსი, მოთხოვები და სტრუქტურა.**

### **ლიტერატურა:**

Nicholson, Linda (ed.) “Introduction”, “Early Statements” in *The Second Wave: A reader in Feminist Theory*, New Yourk, Routledge, 1997, 1-10.

Moscow Center for Gender Studies, Glossary, available on-line at:

<<http://www.gender.ru/russian/glossary/index.shtml>>, last viewed on 6 February 2005.

### **კურსის აღწერა:**

სამართლის გენდერული ასპექტების წარმოსაჩენად კურსი სტუდენტებს სთავაზობს ისტორიულ ექსკურსს ქალთა უფლებების დამცავი სამართლებრივი აზროვნების განვითარების შესახებ, დასავლეთსა (დასავლეთ ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები) და საბჭოთა კავშირში. კურსის დასაწყისში მიმოვიზილავთ იმ ისტორიულ გარემოებებს, რომლებმაც ხელი შეუწყო ქალთა უფლებრივ დისკრიმინაციას, დასვამთ კანონშემოქმედის ობიექტურობის, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და დამოკიდებულების საკითხებს. ქალთა სამართლებრივი მდგომარეობის მიმოხილვას დავიწყებთ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციიდან და დავასრულებთ XX საუკუნის მიწურულის მონაცემებით. ქალთა პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლას (ფემინისტთა პირველი ტალღა), XIX საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XX საუკუნის 20-იან წლებამდე დავუთმობთ განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების ისტორიულ საფუძველს.

კურსის ფარგლებში დაწვრილებით შევჩერდებით იმ ძალისხმევაზე, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები (ერთა ლიგა და გაერო) მიმართავდნენ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ასევე იმ პროცესებზე, რომლებიც თან ახლდა ქალთა უფლებების დამცავი საერთაშორისო დოკუმენტების ადგილობრივ კანონმდებლობაში ასახვასა და დანერგვას. კურსის ამ ნაწილში ჩავულრმავდებით ქალთა კონვენციის მუშაობის პრაქტიკას საქართველოში (1994 წელს ჩვენი ქვეყანა შეუერთდა კონვენციას ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ). დასვამთ კითხვებს იმ მიზეზებისა და შედეგების შესახებ, რაც ახლავს ტრანზიციული სახელმწიფოების მთავრობების მიერ საერთაშორისო ადამიანის უფლებების დამცავ სამართლის დოკუმენტებთან მიერთებას. გავამახვილებთ ყურადღებას იმ არახელსაყრელ შეფარდებაზე, რომელიც არსებობს ქალთა დე ფაქტო და დე იურე მდგომარეობას შორის საზოგადოებაში ფესვგადგმული დისკრიმინაციული ტრადიციების გამო და, რომელიც ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ კანონმდებლობა არ არის ყოვლისშემძლე და უნივერსალური სხვადასხვა ვითარებაში მყოფი ადამიანების დასაცავად.

კურსი სტუდენტების ყურადღებას მიაპყრობს სამარლებრივი რეგულირების ისეთ ასპექტებზე, სადაც კანონმდებლებისა და კანონმდებლობის გენდერული მგრძნობელობა გადამწყვეტია ქალთა უფლებების დასაცავად. ასეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სფეროებია აბორტისა და ოჯახური ძალადობის რეგულირება. გავეცნობით ამ კუთხით ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნების მდგომარეობას.

კურსის ბოლოს შევჩერდებით იმ ურთიერთდამოკიდებულებაზე, რაც არსებობს საარჩევნო კანონმდებლობას, საარჩევნო სისტემასა და ქალთა პოლიტიკურ წარმომადგენლობას შორის

საკანონმდებლო ორგანოში ანუ იმაზე, თუ რეალურად რა შანსები აქვთ ქალებს საკანონ-მდებლო ორგანოში განევრიანებისათვის და რას შეიძლება ნიშნავდეს ეს განევრიანება ქალთა პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. კურსის ბოლოს ასევე შევაჯამებთ კურსის მიმდინარეობისას გამოკვეთილ ძირითად საკითხებს.

### კურსის მიზანი:

კურსის მიზანია წარმოაჩინოს თუ რა გავლენას ახდენდა, ერთი შეხედვით „ნეიტრალური“ და „ობიექტური“ კანონმდებლობა ქალებისა და მამაკაცების უფლებრივ მდგომარეობაზე ისტორიულად, ამაღლდეს სტუდენტების ცნობიერება სამართლის ისტორიული და გენდერული ასპექტების შესახებ.

### სტუდენტთა შეფასების მეთოდები:

კურსი სტუდენტებისაგან მოითხოვს ლექციებსა და სემინარებზე დასწრებასა და აქტიურ მონაწილეობას. პირველი საათი დაეთმობა ლექციასა და მსჯელობას. მეორე საათი, სემინარი, დაეთმობა სტუდენტების მიერ მომზადებულ ძირითადი და დამხმარე საკითხთავი ლიტერატურის ზეპირ პრეზენტაციებს. ამას გარდა. სტუდენტებს დაევალებათ პრეზენტაციების შემდგომი დისკუსიისათვის კითხვების შემოთავაზება. კურსის ბოლოს სტუდენტებს მოეთხოვებათ 10-11 - გვერდიანი საბოლოო ესსე. შეფასებისას თითოეული ზემოხსენებული კომპონენტი ასე განაწილდება:

- ლექცია-სემინარებზე დასწრება და აქტიური მონაწილეობა - 25%
- ზეპირი პრეზენტაციები და დისკუსიისათვის შემოთავაზებული კითხვების ხარისხი – 35%
- საბოლოო ესსე – 40%

## 2. ძირითადი ტერმინების ლექსიკონი

ძირითადი ტერმინების ლექსიკონში კონტექსტუალურად განვმარტავთ იმ ტერმინებს, რომლებმაც დიდი გავლენა იქნია ფემინიზმის თეორიების ჩამოყალიბებაზე და ამ თეორიების შემადგენელ ნაწილებად იქცა. სევე, ძირითადი ტერმინების ლექსიკონის მიზანია სტუდენტებს კურსის დასაწყისშივე შეუქმნას ნათელი წარმოდგენა იმ მნიშვნელოვანი ცნებებისა და ტერმინების შესახებ, რომლებიც უხვადაა გამოყენებული კურსის ამა თუ იმ თემაში. თუმცადა, კონტექსტიდან გამომდინარე, თემების მიხედვითაც მოხდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტერმინების განმეორებითი განმარტება და დამატებითი ტერმინებისა და ცნებების შემოტანა.

### ფემინიზმი

თავდაპირველად დავიწყოთ თვით ფემინიზმით, ფემინიზმი პოლიტიკური მოძრაობა და დოქტრინაა, რომელიც ჩაისახა დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ის მიზნად ისახავს ქალთა და მამაკაცთა თანაბარულებიანობას და ემსახურება ქალთა უფლებების დაცვას.

გამომდინარე იქიდან, ქალთა უფლებების დაცვასთან ერთად, სამყაროს კიდევ როგორ

ხედვასა და იდეებს იზიარებენ ფემინიზმის ამა თუ იმ ფრთის წარმომადგენლები. არსებობს მრავალი სახის ფემინიზმი: რადიკალური, ლიბერალური, ეკოფემინიზმი, მარქსისტულ-სოციალისტური და სხვა. მათი საერთო მახასიათებელი და გამაერთიანებელი ღერძი კი ქალთა და მამაკაცთა თანაბარუფლებიანობის მოთხოვნა და ზოგადად საზოგადოებისთვის, მათ შორის თვით ქალებისთვისაც, ცნობიერების ამაღლებაა სქესთა შორის არსებული უთანასწორობასა და ამ დისკრიმინაციის გამომწვევი ისტორიული, სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ფაქტორების ირგვლივ. ფემინიზმის ისტორიაში, მკვეთრად გამოხატულია პირველი და მეორე ტალღა (მესამე ტალღის რაობისა და არსებობის შესახებ ფემინისტთა წრეებში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ამიტომ ჩვენ ძირითადად კურსის ფარგლებში პირველი და მეორე ტალღის ფემინისტთა საქმიანობასა და იდეებს შევეხებით).

პირველი ტალღის ფემინისტები, რომლებმაც თვალსაჩინო აქტივობა XIX საუკუნეში დაიწყეს (თუმცა XVIII საუკუნეშიც არსებობდა ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის მომენტები) თავიანთ ამოცანად ქალებისათვის პოლიტიკური უფლებების ანუ არჩევნებში (აქტიური და პასიური) მონაწილეობის უფლების მოპოვებას ისახავდნენ.<sup>1</sup> ვინაიდან მიაჩინდათ, რომ ქალების ჩართვა აუცილებელი იყო კანონშემოქმედებით პროცესებში – მათ ეს ქალთა ემანსიპაციის უმთავრეს ამოცანად მიაჩინდათ. მართალია ისტორიამ დაგვანახა, რომ პოლიტიკური უფლებების მოპოვება არ აღმოჩნდა საკმარისი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, მაინც, პირველი ტალღის ფემინისტთა საქმიანობა ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის ქვაკუთხედია.

ფემინისტთა პირველ ტალღას, რომელიც XX საუკუნის ოციან წლებში დასრულდა, მოჰყვა მეორე, რომლის დასაწყისად ზოგიერთი მკვლევარი 1949 წელს მიიჩნევს, ანუ წელს როდესაც ცნობილმა ფრანგმა მოაზროვნე ქალმა სიმონ დე ბოვუარმა გამოაქვეყნა თავისი წიგნი „მეორე სქესი“. მკველვართა სხვა ნაწილი არ ეთანხმება ამ თარიღს იმ მოსაზრებით, რომ თავად სიმონ დე ბოვუარი არ მიიჩნევდა თავისი ნაშრომს ფემინისტთა მეორე ტალღის აგორების სათავედ და ამ არგუმენტს ამყარებენ იმით, რომ მეორე ტალღის ფემინისტთა აქტივობა სამოციანი წლების დასაწყისიდან გახდა თვალსაზრისით, საინტერესოა წიგნის დაწერიდან 27 წლის შემდეგ სიმონ დე ბოვუარის უურნალისტ ჯონ გერასისთვის მიცემული ინტერვიუ, რომელიც 1976 წელს უურნალ „სოსიათის“ (შოციეტი) იანვარ-თებერვლის ნომერში დაიბეჭდა.

**„გერასი:** უკვე თითქმის ოცდახუთი წელი გავიდა „მეორე სქესის“ გამოქვეყნების შემდეგ. ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით ამერიკაში, მიიჩნევს ამ წიგნს თანამედროვე ქალთა მოძრაობის დასაბამად. თქვენ...

**ბოვუარი:** მე ასე არ ვფიქრობ. თანამედროვ ფემინისტური მოძრაობისათვის [70-იანი წლების], რომელიც მძლავრად სულ რაღაც ხუთი ექვსი წლის ნინ დაიწყო, თავდაპირველად ნაკლებად ცნობილი იყო ეს წიგნი. უკვე შემდეგ, მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად, მოძრაობის ზოგიერთმა ლიდერმა გამოიყენა წიგნი თავიანთი თეორიების საფუძვლად. „მეორე სქესს“, არავითარ შემთხვევაში მიუცია ბიძგი და ქალთა მოძრაობის საწყისი არ ყოფილა. ამჟამად ქალთა მოძრაობაში ჩართული ქალების უმეტესობა 1949-50 წლებში ანუ, როცა წიგნი გამოვიდა ძალიან ახალგაზრდები იყვნენ, ასე რომ იგი მათზე გავლენას ვერ იქონიებდა. მე მსიამოვნებს ის, რომ მათ იგი მოგვიანებით აღმოაჩინეს. რა თქმა უნდა, ზოგიერთ უფროს ქალს – მაგალითად ბეტი ფრიდანს, რომელმაც თავისი წიგნი „ქალურობის მისტიკა“ (*The Feminine Mystique*) მე მომიძღვნა წაკითხული ჰქონდათ წიგნი და მან შესაძლოა გარკვეული გავლენაც კი იქონია მათ შემოქმედებაზე, მაგრამ სხვებზე ამას ვერ ვიტყვით. აგალითად, ქეით მიღეთი ერთხელაც არ ახდენს ჩემს ციტირებას თავის წიგნში. ეს ქალები შესაძლოა გახდნენ ფემინისტები იმ მიზეზების გამო, რომლებსაც მე აღვნერ ჩემს „მეორე სქესში“,

<sup>1</sup> მეტი ინფორმაცია პირველი ტალღის ფემინისტთა ქალთა პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლის შესახებ იხილეთ მეორე და მესამე კვირის მასალებში.

მაგრამ მათ ეს მიზეზები საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებაში აღმოჩინეს და არა ჩემს წიგნში.<sup>2</sup>

ფემინისტთა მეორე ტალღა, განსაკუთრებით სამოცდაათიან წლებში გამოიჩინა რადიკალიზმით. ფემინისტები ცდილობდნენ რევოლუციური იდეების აგიტაციითა და ზოგადად რევოლუციის გზით დაემხოთ პატრიარქალური საზოგადოება, რომელიც, მათი აზრით, მხოლოდ მამაკაცებს აძლევდა ხელს და ქალებს იმონებდა. ქალთა დისკრიმინაცია უნივერსალურია! - ამბობდნენ მეორე ტალღის დასაწყისის ფემინისტები.

მეორე ტალღის ფემინიზმი არ უნდა განვიხილოთ როგორც ერთიანი უნიფიცირებული მოძრაობა, რომელიც სხვადასხვა დროსა და სივრცეში ერთგვარად მიმდინარეობდა. პირიქით, მეორე ტალღისთვის დამახასიატებელია აზრთა რადიკულური სხვაობა თვითონ ფემინისტებს შორის, განსაკუთრებით ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებში. მოსაზრებები განსხვავდებოდა ასევე დასავლურ და აღმოსავლურ, ჩრდილოურ და სამხრეთულ ქალთა ჯგუფებს შორის. როგორც ზემოთ ავლინიშნეთ, ფემინისტები ერთიანდებიან ქალთა უფლებებისა და ზოგადად საზოგადოებაში მათი მგდომარეობის გაანალიზებისა და გაუმჯობესების ირგვლივ. თუმცადა, მეორე ტალღის პოსტმოდერნისტმა ფემინისტებმა წამოჭრეს ქალებისა და ქალთა პრობლემების უნიფიცირების, გაერთიანების პრობლემურობის საკითხი. ვინაიდან ქალები როგორც ინტერესთა ჯგუფი დივერსიფიცირებულია ეთნიკური, რელიგიური, კლასობრივი ე.ი. სოციალურ-კულტურული მახასიათებლების მიხევდით. მგვარად, მნიშვნელოვანია ქალთა შორის განსხვავებების დანახვა და ასე ბრძოლა ფემინიზმის პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

## გენდერი

გენდერი ეწოდება სოციალური სქესს. გენდერი როგორც ტერმინი ქალთა კვლევებში გამოჩნდა სამოციანი წლების მიწურულს. იგი შემოვიდა ლათინურ ენებში გრამატიკული სქესის აღმნიშვნელი სიტყვა **gender**-ისგან და შეიძინა სოციალური სქესის მნიშვნელობა. გენდერის როგორც ტერმინის შემოტანა საჭირო გახდა იმიტომ, რომ ანალიზისას მკვლევრებს ერთმანეთისგან გაემიჯნათ ბიოლოგიური სქესი, რომლის მიხედვითაც ადამიანები მამრობითი ან მდედრობითი სქესის არსებებად იბადებიან (შეისაძლოა ადამიანი ორსქესიანიც დაიბადოს, რაც პლასტიკური ჩარევით რეგულირდება), სოციალური სქესისგან (გენდერისგან) ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და ფასეულობების სისტემისგან, რომელიც მათ ქალებად და მამაკაცებად აყალიბებს.

გენდერისა და გენდერული კვლევების პოპულარიზაციას იმანაც შეუწყო ხელი, რომ იგი არ ფოკუსირდება მარტო ქალებზე, არამედ კაცებზეც, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მდგომარეობის ქალების მგომარეობისთვის შედარების ხარჯზე მოხდეს ქალების დისკრიმინაციის დემონსტრირება, არამედ თვით მამაკაცურობის როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენის შესასწავლადაც. გენდერი არის სოციალური კატეგორია, რომელიც ისტორიულად არსებობს და ეპოქებისა და კონტექსტის გათვალისწინებით მუდმივ ცვლილებას განიცდის.

## ქალთა ადამიანის უფლებები

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების დაცვა საერთაშორისო აღიარებულ პრიორიტეტად იქცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განსაკუთრებით კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის შედეგად და ადამიანის უფლებების დასაცავად შეიქმნა მრავალი საერთაშორისო დოკუმენტი, ქალების ადამიანურობა არ აღმოჩნდა საკმარისი მიზეზი

<sup>2</sup> თარგმანი: თამარ საბედაშვილი

იმისათვის, რომ მათაც ეფექტურად ესარგებლათ ამ საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცავი ინსტრუმენტებით. ამგვარად, გაეროს სისტემაშივე საჭირო გახდა სპეციალური საერთაშორისო მექანიზმების შექმნა, რომლებიც უშუალოდ ქალების ადამიანური უფლებების დაცვას მოემსახურებოდა, კურსის მსვლელობისას ჩვენ მიმოვიხილავთ ამ მექანიზმებს.

სიტყვა „ადამიანი“ ისტორიულად იმდენად იყო კაცური შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელი. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თანამედროვეობაში ეს სიტყვა ორივე სქესის აღსანიშნავად გამოიყენება, ქალებთან მიმართებაში მისი გათავისება არ ამოწურულა. გაეროს „ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციის“ მიღებისას ქალებს ძალიან „გაუმართლდათ“, რომ ისინიც მოიაზრეს დეკლარაციის კონტექსტში წინა საუკუნეების მნიშვნელოვან დოკუმენტებთან შედარებით.<sup>3</sup> თუმცადა, ჩართვამ ვერ უზრუნველყო ქალები ადამიანის უფლებებითა და მათი დაცვით. ქალების ჩართვა ამ შემთხვევაში მიგვანიშნებს გაეროს მიერ ქალების ადამიანებად აღიარებაზე, მაგრამ ეს აღიარება ვერ იძენს პრაქტიკულ მნიშვნელობას, ვინაიდან დე ფაქტო ქალები დღესაც განიცდიან უფლებრივ შევიწროვებას კაცებთან შედარებით.

ამგვარად, ტერმინი „ქალთა ადამიანის უფლებები“ აქცენტს სვამს ერთის მხრივ, იმ ისტორიულ დისკრიმინაციაზე, რომლის შედეგადაც ქალთა მოაზრება წარმატებულად ვერ მოხერხდა ადამიანის უფლებათა კონცეფციაში, ხოლო, მეორეს მხრივ ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა დამცავი მექანიზმების ქალებზე გავრცელებაზე და პრაქტიკულად არეგულირებს ქალთა სხვადასხვა ჯგუფის (გათხოვილი ქალები, ეთნიკური უმცირესობის ქალები, გოგონები და სხვა.) უფლებებს.

ფემინისტი მკვლევრები ვერ თანხმდებიან ქალთა ადამიანის უფლებების არტიკულაციისა და დანერგვის სტრატეგიებზე, ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, სელინა რომანი ფიქრობს, რომ ქალთა უფლებები უფრო ძლიერი და მრავლისმომცველი იქნება, თუ მათ გამოთქვამენ ქალების და არა ადამიანის უფლებების არსებულ დისკურსში, რომელიც მამაკაცური დომინირების გამო არ არის საკმარისად მგრძნობიარე ქალების პრობლემებისადმი. სხვები, მაგალითად, ჰილარი ჩარლსვორსი მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებების დისკურსი იმ ფორმით რა ფორმითაც არსებობს უკვე მოიცავს ბერკეტებს ქალთა უფლებების დასაცავად, განსაკუთრებით ისეთ საზოგადოებებში სადაც, ქალების უფლებების მძიმე დარღვევები ხდება.

<sup>3</sup> არც ერთი შემდეგი დოკუმენტი არ მოიხსნიებს და შესაბამისად არ ეხება ქალებს: „კაცისა და მამაკაცი მოქალაქის უფლებების დეკლარაცია“ (მიღებული საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის მიერ 1789 წლის 26 აგვისტოს); „ვირჯინის უფლებების დეკლარაცია“ (შექმნილი ჯორჯ მეისონის მიერ და ერთხმად მიღებული ვირჯინის დელეგატთა კონვენციის მიერ 1776 წლის 12 ივნისს); „ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ (1776, 12 ივლისი); „ამერიკის შეერთებული შტატების ბილი უფლებების შესახებ“ (რატიფიცირებული 1791 წლის 15 დეკემბერს).

## გენდერი და გლობალიზაცია<sup>4</sup>

გლობალიზაციის გენდერულ ასპექტებზე საუბრისას შეხების რამდენიმე ძირითადი საკითხია აღსანიშნავი: (1) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ზემოქმედებით მთავრობების მიერ განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების გენდერულად დისაგრეგირებული გავლენა მოსახლეობაზე, (2) წარმოებების ინტერნაციონალიზაციითა და გაფართოებით გამოწვეული ქალთა შრომითი პირობებისა და უფლებების საკითხი და (3) ჩვენი დროის მონობა – ტრეფიკინგი, რომელიც ქართულად „ადამიანებით ვაჭრობის“ სახელითაა ცნობილი.

კარგადაა შესწავლილი სტრუქტურული ცვლილებების შედეგები ქალების მდგომარეობაზე. ბევრ ქვეყნებში სოციალური მომსახურებების შემცირების ხარჯზე გაზრდილმა საექსპორტოდ მომგებიანმა წარმოებამ გამოიწვია ის, რომ გაიზარდა ქალების შრომა დაბალანაზღაურებად დარგებში, განსაკუთრებით კი, სოფლის მეურნეობაში, მაშინ, როცა შესაბამისად შემცირდა ქალებისთვის სარგებელი და ხელმისაწვდომობა სოციალურ მომსახურებებზე. ამის მიზეზი ისიცაა, რომ პროპორციულად მსოფლიოს მასშტაბით მამაკაცები აკონტროლებენ, წარმოების მომგებიან სფეროებს, ქალები კი ძირითადად დაბალანაზღაურებად სამუშაოს ასრულებენ.<sup>5</sup>

გლობალიზაციის სერიოზული გენდერული ასპექტი უკავშირდება დასაქმების სფეროს. ეს საკითხი მრავალი ფემინისტი მკვლევრის მიერაა შესწავლილი და ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ განვითარებად ქვეყნებში გლობალიზაციის შედეგად წარმოქმნილი მხოლოდ ის მრავალრიცხოვანი სამუშაო ადგილებია ქალებისთვის განკუთვნილი, რომლებიც ყველაზე დაბალანაზღაურებადია. დიდი საერთაშორისო საწარმოები, იაფ მუშა ხელზე და საწარმოო რესურსებზე დახარბებულები შვილობილ კომპანიებს ხსნიან განვითარებად ქვეყნებში და ძალიან ხშირად ასაქმებენ ქალებს, რომელთა შრომითი უფლებებიც, განსაკუთრებით კი უსაფრთხო სამუშაო პირობების უფლება ირღვევა და მინიმალური ანაზრაურების გამო ისინი ვნებენ თავიანთ ჯანმრთელობას.

<sup>4</sup> გლობალიზაციის როგორც ტერმინის განსაზღვრებები შეიძლება ორგვარად დავაჯგუფოთ ერთი, ტექნიკური და მეორე - პოლიტიკური სახის განმარტებები. ტექნიკური განმარტებები გარკვეული საერთაშორისო ეკონომიკური პროცესების აღწერით ასახავენ თანამედროვეობის ისეთ პროცესებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ადამიანებს გაადვილებული გზებით დაუკავშირდნენ ერთმანეთს და აწარმოონ ბიზნესი საერთაშორისო დონეზე, წამებში გაავრცელონ და მოიპოვონ ინფორმაცია. არიან ისეთი მკვლევრებიც, რომლებიც საერთოდ არ აღიარებენ გლობალიზაციას როგორც თანამედროვეობისათვის სიმპტომურ, განსაკუთრებულ მოვლენას. მათი მტკიცებით საერთაშორისო დონეზე ინფორმაციის გაცვლა და სხვადასხვა სახის ურთიერთობები განსაკუთრებით კი, ვაჭრობა ოდითგანვე არსებობდა, შესაბამისად, თანამედროვე ეპიცემი გლობალიზაციაზე კი არა, ტექნოლოგიის დახვეწაზე უნდა ვისაუბროთ მხოლოდ, რომელმაც ამგვარი პროცესები ბევრისთვის ხელმისაწვდომი და მასშტაბური გახადა. თუმცადა, ამგვარი მოსაზრების შექმნე შეცნიერების რიცხვი დღითიდღე მცირდება და სულ უფრო შეტი ადამიანი აღიარებს გლობალიზაციის, როგორც ახალი, თანამედროვე ფენიმენის არსებობას.

გლობალიზაციის განმარტებულ მეორე ტიპის განმარტებებს მათი იდეოლოგიური დატვირთვის გამო, შეიძლება უფრო პოლიტიკური განმარტებები ვუწოდოთ. პოლიტიკური განმარტებების მიხედვით, საკმარისი არაა გლობალიზაციის მხოლოდ, როგორც ეკონომიკური, ტექნოლოგიური პროგრესსა და თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი პროცესების ამსახველი ნეიტრალური (ცნების აღწერა, რადგან გლობალიზაცია წარმოადგენს დიდი პოლიტიკური მუხტის მატარებელ პროცესსაც, რომელიც საერთაშორისო არენაზე მყოფ ზოგიერთ ქვეყანასა და მის მოქალაქეებს უფრო ხელსაყრელ ვითარებაში აყენებს, ვიდრე სხვებს. გლობალიზაციის პოლიტიკურ განმარტებას ჩვეულებრივ ანტიგლობალისტები იძლევან. ერთ-ერთი ასეთი განმარტების მიხედვით, გლობალიზაცია არის „ეკონომიკური სუსტი ქვეყნების ექსპლუატირება მსოფლიოს ეკონომიკური სისტემების დაკავშირების გზით, და მათი იძულება დაემორჩილონ და დამოკიდებულიც კი გააძნენ დასავლურ კაპიტალისტურ წესყობილებაზე.“ ანტიგლობალიზმი კი, შესაბამისად წარმოადგენს „ხალხის მოძრაობას, მიმართულს იმისაკენ, რომ დაითრგუნოს გლობალიზაციური პროცესები, რომლებიც უდავოდ პოლიტიკური ნიშნის მატარებელია და უთანასწორობა მოაქვს“. (ანტიგლობალიზაციის შესავალი, განსაზღვრება და რესურსები, Introduction to Anti-Globalization – Definition and Resources, იხილეთ ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: <<http://www.anti-marketing.com/anti-globalization.html>>)

არსებობს ადამიანთა მთელი რიგი ვინც ანტიგლობალისტობისგან ან გლობალისტობისგან გადაიხარა ალტერნატიული იგვე ალტერნატიულისტობისეკენ. ამ ჯგუფში ერთიანდებიან ის მკვლევრები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ შეუძლებელია გლობალიზაციის შეჩერება ან შეწყვეტა, შესაძლებელია მხოლოდ მისი შეცვლა, ისე, რომ იგი სოციალურად ორიენტირებული და მაქსიმალურად ჰუმანური ანუ ადამიანებისთვის სარგებლის მომტანი იყოს.

<sup>5</sup> კერი, ჯოანა და კაროლინ სვიტმანი (რედ.), ქალები ხელახლა იგონებენ

გლობალიზაციას, გვ. 4. Joanna Kerr and Caroline Sweetman, Women Reinventing Globalisation, Oxfam GB 2003, 4.

ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა მექსიკური ექსპორტის გადამამუშავებელი ზონების ე.წ. მაკილადორების გამოცდილება, რომლებიც ერთგვარი „თავისუფალი“ სავაჭრო ზონებია მექსიკის ტერიტორიაზე, მექსიკა-ამერიკის საზღვრის გაყოლებით, სადაც მრავალი მექსიკელია დასაქმებული, განსაკუთრებით კი, ქალები. ამჟამად მექსიკა ამერიკის საზღვარზე 4 000-მდე მაკილადორის ქარხანა-ფაბრიკაა განლაგებული, რომლებშიც დაახლოებით ერთი მილიონი ადამიანი მუშაობს.<sup>6</sup> მსხვილი ამერიკული კომპანიები, განსაკუთრებით, „ზენიტი“, „ჯონსონ კონტროლსი“, „კარლისლ პლასტიკსი“ და სხვები აიძულებენ ქალებს ორსულობის ტესტი ჩატარობისას და შარდის ანალიზთან ერთად) სამსახურში მისაღებად, ფეხმძიმობა, კი განიხილება როგორც დასაქმებაზე უარის თქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივი. შეინიშნება ფეხმძიმობის გამო ქალების გათავისუფლების ან დაქვეითებისა და ხელფასის დაკლების შემთხვევები.<sup>7</sup>

ფაბრიკა-საწარმოებში ქალების მუშაობასთან დაკავშირებით წამოჭრილ დებატებში ხშირად გაისმოდა მოწოდება ქალების ამ სფეროდან დათხოვის შესახებ, განსაკუთრებით, დასავლეთში, სადაც მუშების შრომითი უფლებების დაცვის საკითხები საუკუნეების განმავლობაში ეტაპობრივად, ძირითადად მაინც მამაკაცზე მორგებულად ჩამოყალიბდა, ვინაიდან სწორედ მამაკაცი მოიაზრებოდა და ბევრ ქვეყანაში დღემდე მოიაზრება იდეალურ მუშა-მოსამსახურედ, რომელსაც შესაბამისად არ მოუხდება დეკრეტში გასვლა, არ შეაწერებს ოჯახური საზრუნავი შვილებზე, იქნება ფიზიკურად უფრო ძლიერი და გონიერივად უფრო კონცენტრირებული. თუმცადა, ქალებმა დაამტკიცეს, რომ როგორც განათლების ასევე დასაქმების სფეროში მათ შეუძლიათ სერიოზული წარმატებების მიღწევა, და ის ფაქტი, რომ სამუშაო პირობები შესაძლოა მათვის ნაკლებად ხელსაყრელი იყოს, ვიდრე მამაკაცებისთვის დამქრავებლისა და შრომითი კანონმდებლობის დაუხვეწაბლის ბრალია. ანუ ეს უკანასკნელნი არასაკმარისად მგრძნობიარენი არიან ქალების მდგომარეობის მიმართ და ამის გამო მათ დისკრიმინირებას ახდენენ მამაკაცებთან შედარებით, ვისზე მორგებულადაც მოხდა მათი ჩამოყალიბება.

გლობალიზაციის უარყოფით შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ XX საუკუნის მონობის, **ტრეფიკინგის** პრობლემაც. კომუნიკაციის გაადვილებული სისტემა ხელს უწყობს კრიმინალური ქსელების შექმნასა და ადამიანების გაბმას ამგვარ ქსელებში. ტრეფიკინგი ეხება როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებსაც. ხშირია შემთხვევები, როდესაც ემიგრანტ მამაკაცებს აბამენ მონურ შრომაში, არღვევენ მათ შრომით უფლებებს და ურყევენ ჯანმრთელობას. მაგრამ უფრო ხშირია ქალების ტრეფიკინგის შემთხვევები, ხოლო შედეგად მიყენებული ზარალი არა მარტო ჯანმრთელობის, არამედ სიცოცხლის ფასიც კი შეიძლება დაჯდეს.

მზარდი ეკონომიკური უთანასწორობა, რომელსაც განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა აქვს გოგონებსა და ქალებზე, იწვევს უკიდურესად ღატაკი ქალებისა და გოგონების მოტივაციას გააკეთონ ყველაფერი გადარჩენისათვის. საერთაშორისო დონეზე ქალები და ბავშვები იყიდებიან, რათა დააკმაყოფილონ მოთხოვნილება სექსუალური მომსახურების და მონური, უაიაფესი შრომის ბაზარზე. გაეროს მონაცემებით ადამიანებით ვაჭრობის გლობალური ინდუსტრია ყოველწლიურად 5-7მილიარდ ამერიკული დოლარის ოდენობის მოგებას იძლევა, ყოველწლიურად სულ მცირე 700 000 ადამიანის დამონების ხარჯზე.<sup>8</sup>

ადგილობრივი სექსუალური ინდუსტრია გლობალურ დონეზე გავიდა და დასავლეთის ქვეყნები აავსო ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან, აზიდან თუ აფრიკიდან წამოსული გოგონებით.

<sup>6</sup> Maria Patricia Fernandez-Kelly, მარია პატრიცია ფერნანდეს-კელი, *The Silence of Free Trade: Mexican Maquiladoras and Globalization*. დუმილი თავისუფალი ვაჭრობის ორგანიზ: მექსიკური მაკილადორები და გლობალიზაცია. Rutgers University Press, 2001.

<sup>7</sup> LaShawn R. Jefferson, ლაშონ რ. ჯეფერსონი, *Urge U.S. Companies to Stop Sex Discrimination in Mexican Maquiladoras*, მოვიწოდოთ ამერიკულ კომპანიებს სექსობრივი დისკრიმინაციის შეწყვეტისკენ, Human Rights Watch Women's Rights Project, 1997.

<sup>8</sup> გაერთიანებული ერების მონაცემი მოყვანილი პ. არლაჩის ნაშრომში „მსოფლიო დანაშაულის წინააღმდეგ“, 2000. P. Arlacchi, „Against all the godfathers: the revolt of the decent people“ in *The World Against Crime*, Special Issue of *Giornale di Sicilia*, 7.

მათ პროსტიტუციაში ჩასაბმელად ფართოდ გამოიყენება ინტერნეტი, ხშირად გოგონებს სთავაზობენ ხელსაყრელ სამუშაოს ბარებსა და რესტორნებში, კაზინოებში, ან კერძო მომსხურების სფეროში, ბავშვების მომვლელად და სხვა, ხოლო სინამდვილეში ანკესს წამოგებულ მსვერპლს ართმევენ პასსპორტს და პირადობის დამადასტურებელ სხვა საბუთებს, ხშირად ატუსალებენ და აჩვევენ ნარკოტიკებს და რაც კიდევ უფრო დამანგრეველია მათი ფსიქიკური და სულიერი მდგომარეობისთვის – აიძულებენ პროსტიტუციას და სექსუალური მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის მხოლოდ 5%-ს თუ უბრუნებენ.

არიან ისეთი მანდილოსნებიც, ვინც ნებაყოფილობით თანხმდება მიგრაციაზე პროსტიტუციაში ჩართვის მიზნით, თუმცალა მათმა უმრავლესობამ არ იცის იმ რთული ვითარების შესახებ, რა ვითარებაშიც მათ მოუწევთ ცხოვრება და მუშაობა. არც ის იციან, რომ პროსტიტუციით მიღებული შემოსავლის უდიდესი ნაწილი მათი არ იქნება. უმეტეს ქვეყნებს, თვით განვითარებულ ქვეყნებსაც, მსხვერპლთა დაცვის სუსტი მექანიზმები აქვთ, ხშირად ტრეფიკინგის მსხვერპლს რომც მიეცეს საშუალება ძალოვან სტრუქტურებთან დაკავშირების, ის თავს შეიკავებს, ვინაიდან ზუსტად არ იცის რა უფლებები აქვს და რამდენად შეუძლია კანონს მისი დაცვა, თუ კიდევ უფრო მეტი ზიანის მიყენება (არის გამოცდილება გოგონების დაპატიმრების, დეპორტაციის, როდესაც ისინი კრიმინალების დევნისა და შანტაჟის მსხვერპლნი ხდებიან).

თუმცალა, გლობალიზაცია არა მარტო ნეგატიურ გავლენას ახდენს ქალების მგომა-რეობაზე, თვითონ ის ფაქტი, რომ ჩვენ დღეს ვსაუბრობთ გენდერის და გლობალიზაციის კვეთის ასპექტებზე და შედეგად წამოჭრილ სირთულეებზე, ასევე გლობალიზაციის შედეგია. გლობალიზაციის შედეგია, ასევე ის გაზრდილი ყურადღება, რასაც ადამიანის უფლებათა დამცველები უთმობენ იგივე გლობალიზაციით გამოწვეულ უფლებადარღვევებს. ტელეკომუნიკაციისა და ინტერნეტის სწრაფმა განვითარებამ, მსოფლიო ბაზრების და ბიზნესების დაკავშირებამ და ურთიერთდამოკიდებულებამ შესაძლებელი გახადა მეტი და მეტი ინფორმაციის გავრცელება და ცნობიერების ამაღლება იმ საზოგადოებებში, ვისი ინტერესებიც ილახება და ექსპლუატირებაც ხდება.

გლობალიზაციის „წყალობით“ ასევე შესაძლებელი გახდა ანტი-გლობალიზაციური ქსელებისა და ადამიანის უფლებათა და გარემოს დაცუითი ორგანიზაციების გაერთიანება,<sup>9</sup> რომლებიც მიზნად ისახავენ საერთაშორისო დონეზე დააყენონ გლობალიზაციის შედეგად წამოჭრილი პრობლემები და საკითხები. თუმცალა, ერთია საკითხების დაყენება, ხოლო მეორეა ამ საკითხების მიტანა გადაწყვეტილების მიმღებ დონეებამდე და ლობირება სასურველი შედეგის დადგომისათვის, რაც ძნელი მისაღწევია, როდესაც ხშირად პროცესში ჩართული მხარეების მამოძრავებელ ძალას, მათ შორის კრიმინალური ელემენტების მამოძრავებელ ძალასაც, ეკონომიკური დაინტერესება და სარგებელის მიღების სურვილი წარმოადგენს და ძალიან მცირია იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც აქვს სურვილიც და შესაძლებლობაც გლობალური პროცესები შემოაბრუნოს ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სხვა ჰუმანური მიზნების მიღწევისაკენ.

## სხეული

დასავლური<sup>10</sup> აზროვნება ისტორიულად განასხვავებდა სხეულს გონებისაგან. გონებას სახავდა პრივილეგირებულად (“ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ”) და რაციონალურ არსებასთან მამაკაცთან აიგივებდა, მაშინ როდესაც სხეული, ირაციონალური და ემოციური,

<sup>9</sup> გლობალიზაციის განმარტება, “Definition of Globalisation” იხილეთ ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: <<http://www.investorwords.com/2182/globalization.html>>

<sup>10</sup> “დასავლეთი”, “დასავლური” წაშრომში გამოიყენება ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში არსებული მსოფლმხედველობებისა და ტრადიციების აღსანიშნავად

ქალის სიმბოლოს წარმოადგენდა. ვინაიდან ამ ლოგიკით ქალები მატერიასთან უფრო დაახლოებულ არსებებს წარმოადგენდნენ, მათი განივთება უფრო ადვილი წარმოსადგენი და განსახორციელები გახდა, ვიდრე მამაკაცებისა. ვინაიდან თავისი სხეულით ქალი ბუნებასთან იგივდება იუდეო-ქრისტიანულ აზროვნებაში მამაკაცებს მათზე მფლობელობის უფლება აქვთ. პენისის არქონის გამო ფრონიდის ფსიქოლოგია მათ მოაზრებს მამაკაცებზე უფრო დაბალი მორალური და მენტალური განვითარების არსებებად. მათი რეპროდუქციული ფუნქციის გამო, მათ ორსულ სხეულებს და მენსტრუალურ ციკლს მრავალი კულტურა სახავს როგორც მისტიკურს, ტანუირებულს ან საშიშს.

მგვარად, წარსულში და ზოგან დღესაც საზოგადოებები ქალებს მიაკუთვნებენ „კერძო“ - ოჯახურ და არა „საზოგადოებრივ“ - ოჯახს გარეთ არსებულ სფეროს და უარს ეუბნებიან მათ განათლებაზე, დასაქმებაზე, და სამოქალაქო ცხოვრებაზე ზოგადად. მგვარად, ანატომიური, სხეულებრივი ანუ სქესობრივი განსხვავებები ქალებსა და კაცებს შორის იქცა მნიშვნელოვან მახასიათებლებად, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა სქესთა საზოგადოებრივი მდგომარეობის (პრივილეგირებული - მამრობით სქესის, ნაკლებად პრივილეგირებული და ზოგ კონტექსტში აშკარად დისკრიმინირებული მდედრობით სქესის შემთხვევაში) ჩამოყალიბებისას.

## ეპისტემოლოგიები

ცოდნა არის ინფორმაცია, ფაქტების, თეორიების, გამოცდილების შესახებ, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება ან კულტურა განსაზღვრავს რა არის მნიშვნელოვანი და სწორი, რა წარმოადგენს მის წარსულს და როგორ ესმის ბუნებისა და საზოგადოების სირთულეები. იმ ფაქტმა, რომ ქალები და სხვა გარიყული, მარგინალიზებული ჯგუფები არ მონაწილეობდნენ ცოდნის შექმნისა და დაგროვების პროცესში გამოიწვია ის, რომ ისინი ცხოვრობენ „რეალობაში“, რომელიც მათ არ ეკუთვნით. ფემინისტური ეპისტემოლოგია მიზნად ისახავს ქალების ცოდნითა და ინფორმაციით შეავსოს მსოფლიოში საუკუნეების მანძილზე პრივილეგირებული მამაკაცების მიერ დაგროვილი ცოდნა. ეს საჭიროა, რათა სამყარო არ იქნეს დანახული და აღქმული მხოლოდ ერთი კუთხიდან, ცალმხრივი, მამაკაცური პერსპექტივიდან.

## ესენშალიზმი/ სოციალური აგება / განსხვავებულობა

ფემინიზმის თეორიის განსაზღვრაში დიდი როლი შეასრულა აზრთა ჭიდილმა ორ მოსაზრებას შორის; პირველი - არსებობს ისტორიულად მდგრადი და მარადი მამაკაცური და ქალური არსი, ბუნება და მეორე, საპირისპირო მოსაზრება, რომ არანაირი მამაკაცური და ქალური საწყისი და არსი არ არსებობს. „მამაკაცურობა“ და „ქალურობა“ სოციალურად აგებული ანუ კონსტრუირებული პროცესებია. „ქალურობისა“ და „მამაკაცურობის“ სოციალური აგება გულისხმობს კულტურული, სოციალური, ფიზიკური და ისტორიული განსხვავებების რთულ სისტემას, რაც საბოლოოდ აყალიბებს ადამიანების გენდერულ შემეცნებასა და სოციალურ როლებს. მათთვის, ვისაც ქალური და მამაკაცური არსისა და ბუნებრივი საწყისის სწამს სქესობრივი განსხვავება შინაგანი, ბუნებრივი და მდგრადია, ხოლო მათ ვისაც გენდერული როლების სოციალური აგებადობის სწამს, მიაჩნიათ, რომ ადამიანი კი არ იპადება ქალად ან კაცად, არამედ იგი ასეთად ყალიბდება სოციალური და კულტურული პროცესების წყალობით. ისინი აქვე განასხვავებენ ბიოლოგიურ სქესსა (მდედრობითი და მამრობითი) და სოციალურ სქესს ანუ გენდერს (ქალი და მამაკაცი). აქვე არ უნდა დავივიწყოთ ისეთი ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან როგორც ბიოლოგიური, ასევე სოციალური სქესის ზღვარზე, ისეთები როგორებიც არიან ორ-სქესიანი, ტრანსსექსუალი და ტრანსვევსტიტი ადამიანები.

1990-იან წლებში ფემინიზმის თეორეტიკოსებმა, მათ შორის, რუთ ჰუბარდმა და ტერეზა დე ლაურეტისმა პროტესტი გამოთქვეს არსებული დილემის შესახებ. ჰუბარდი მიიჩნევს, რომ ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორები ადამიანის ფორმირებისას არათუ ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ან ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობს, არამედ გამუდმებულ ურთიერთქმედებაში იმყოფება და ავსებს ერთმანეთს. ეტიც, ბიოლოგიური სქესი გადაჯაჭვულია სოციალურ სქესზე. ტერეზა დე ლაურეტისმა, ჰუბარდისგან განსხვავებით, წამოაყენა მოსაზრება, რომ ფემინიზმის საგანი არის არა „ქალი“, არამედ „ქალური სხეულის მქონე სოციალური არსება“ და ის თავის ქალურობას მთელი ცხოვრების მანძილზე იმეცნებს.

## გენდერის, რასისა და კლასის გადაკვეთა

ყურადღების გამახვილება რასაზე, კლასობრივ კუთვნილებაზე, ეროვნებაზე, რელიგიასა და ტრადიციებზე გვაძლევს საშუალებას გავაანალიზოთ, თუ რა გავლენას ახდენს ეს კატეგორიები ადამიანის ცხოვრებაზე სქესისა და გენდერის პარალელურად. ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის გაანალიზებისას, მათი დაჯგუფება არ შეიძლება მხოლოდ სქესობრივი ნიშნით. რასისა და კლასის ინტეგრირების საკითხი ფემინისტ მკვლევრებს აქტიურად დაუდგათ მას შემდეგ, რაც აფრიკული წარმოშობისა და/ან მუშათა კლასის წარმომადგენელმა ქალებმა ისინი არასოლიდარულობაში და მეტიც, მათი პრობლემებისადმი სიბრმავეში დაადანაშაულეს, იმ არგუმენტით, რომ მეორე ტალღის ადრეული ნაშრომები ძირითადად აუღერებდა, მხოლოდ საშუალო კლასის ქალების პრობლემებს.

## ენა

სიტყვები, რომლებსაც ჩვენ ყოველდღიურად ვიყენებთ ასახავს ჩვენს კულტურასა და შემეცნებას და ამავდროულად გადაეცემა მომავალ თაობას. ენა ინახავს და წარმოაჩენს ჩვენს წარმოდგენებს გენდერზე, მაგალითისთვის: „კაცის ტვინი აქვს“ – ნიშნავს ჭკვიანია, „კაცურად არ მოვკალათდი /გამოვიძინე ა.შ.“ ნიშნავს გემრიელად, ხარისხიანად ანუ გაბატონებული არსებისთვის დამახასიათებლად. „ბატი“, „ჭუკი“, „შტერუკა“, „ქალია რა უნდა მოთხოვო?“ – მიუთითებს ნაკლები ავტორიტეტისა და განვითარების ინდივიდზე. ქართული ენა, სხვა ენების მსგავსად, ბევრს საუბრობს საზოგადოებაში არსებულ გენდერულ სტერეოტიპებზე. ნებისმიერი ტექსტი, იქნება ეს პოეტური ნაწარმოები თუ სამართლებრივი აქტი, შეიძლება ატარებდეს გენდერული თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას იმ სოციუმის შესახებ, საიდანაც იგი გამომდინარეობს, ამიტომაც ლინგვისტებს ტექსტების გენდერულ ჭრილში გაანალიზების შემდეგ საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპების თაობაზე დიდი ინფორმაციის მოწოდება შეუძლიათ.

ენის ანუ უფრო ფართო გაგებით სათქმელის გამოხატვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ისტორიულად ქალებს არ ეძლეოდათ თავიანთი პიროვნებისა და სათქმელის პირდაპირი, სიტყვიერი თუ წერილობითი გზით გადმოცემის საშუალება (განათლების, საზოგადოებაში სიტყვით გამოსვლის აკრძალვის გამო). ამიტომ ისინი ცდილობდნენ თავიანთი სათქმელის გახმაურებას არა სიტყვიერი ფორმებით, არამედ სხვა, ხშირად უფრო შემოქმედებითი ფორმებით: ხალიჩების ქსოვა, კერვა, ქარგვა, სახლის მორთვა, კულინარია. ზოგჯერ მათი გარემოცვისთვის ძალიან უჩვეულო ფორმებითაც, ჯადოქრობა, მკითხაობა, ხილვების ქონა და ა.შ. რის გამოც ინკვიზიცია მათ სასტიკად უსწორდებოდა.

## **ძალაუფლება**

ძალაუფლებისა და შრომის განაწილება არის სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების გენდერული ნიშნით გადაწყვეტილი ორი უმთავრესი ფაქტორი. ქალთა მდგომარეობის ნების-მიერი ანალიზი ძალაუფლების ასიმეტრიული გადანაწილების (მამაკაცების სასარგებლოდ) ანალიზია. ძალაუფლება რჩება ფემინიზმის თეორიის უდიდესი ინტერესის საგნად. თანამედროვე მსოფლმხედველობა გმობს ძალაუფლების გამოყენებას ბატონობისა და ექსპლუატაციის განევის მიზნით, მაშინ როდესაც ძალაუფლების გამოყენება იმისათვის, რომ გქონდეს თანაბარი პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური უფლებები ქალთა მოძრაობისთვის მისაღებია.

ფემინისტები ხშირად აკრიტიკებენ „საჯარო“ ანუ საზოგადოებრივ სფეროში ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, რომელიც გამოიხატება მილიტარიზმში, ეკონომიკურ ექსპლუატაციაში, კოლონიალიზმში. ასევე აკრიტიკებენ „კერძო“ სფეროში ძალაუფლების ბოროტად გა-მოყენებას, გამოხატულს გაუპატიურებაში, ოჯახურ ძალადობაში (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სქესობრივი, ეკონომიკური) და ინცესტში. ფემინისტი მკვლევრები, ასევე სვამენ კითხვას იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა ძალაუფლების ცნების ხელახალი გააზრება, ისე, რომ ქალებმაც მიიღონ ამ პროცესში მონაწილეობა. მათ ჯერჯერობით წარმატებით მოახერხეს ის, რომ (ძალა)უფლება ვიღაცაზე ბატონობისა შეეცვალათ ამა თუ იმ უფლებით საკუთარი ღირსების დასაცავად. ისეთი უფლებებით როგორებიცაა ქმედების, სიტყვის, არჩევანის, ცვლილების მოთხოვნის უფლება.

## **შრომის სქესობრივი გადანაწილება**

შრომის სქესობრივი გადანაწილება ანუ შრომის გადანაწილება გენდერულად განსაზღვრულ „კერძო“ (საოჯახო) და „საზოგადოებრივ“ (საჯარო ანუ ოჯახს გარეთ) სფეროებში ანუ პროდუქციისა და რეპროდუქციის სფეროებში თეორიულად დამუშავდა განსაკუთრებით მარქსისტი, მატერიალისტი და სოციალისტი ფემინისტების მიერ XIX და XX საუკუნეებში. მათი ანალიზი ეფუძნება ფრიდრიხ ენგელსის შრომას „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშიბა“ (1884), რომელმაც შემოიტანა რეპროდუქცია და ქალის შრომა მარქსის ზოგადად გენდერულად ბრმა შრომის გადანაწილების ანალიზში. თანამედროვე ფემინისტების მრავალმა კვლევამ დაადასტურა, რომ მსოფლიო მასშტაბით ქალის შრომა (მიუხედავად მისი ხასიათისა) ნაკლებად ფასობს, ვიდრე მამაკაცის. ენგელსის მიხედვით, ზედმეტი ქონების დაგროვებამ, რამაც კერძო საკუთრების გაჩენა განაპირობა, გამოიწვია ასევე ქალის სექსუალობის კონტროლი, რადგან მემკვიდრეობა არ გადასულიყო სხვის ხელში. ამან ქალი მიაჯაჭვა ოჯახს. შრომის ამდაგვარი გადანაწილება კარგად ემსახურება ინდუსტრიულ კაპიტალიზმს, რადგან კერძო ანუ ოჯახის სფეროში ქალის აუნაზღაურებელი შრომის ხარჯზე ხდება კაპიტალის დაზოგვა, მუშახელის შენახვა და გამრავლება.

## **კერძო და საზოგადო სფეროები**

ისტორიულად ადამიანური ცხოვრების ორ „საზოგადო“ (public) და „კერძო“ (private) სფეროებად გაყოფა უდიდესი მნიშვნელობის აღმოჩნდა გენდერული კვლევებისთვის სქესთა შორის არსებული დისკრიმინაციის გასაანალიზებლად. ქართულად უფრო კარგად რომ გავითავისოთ, თუ რას გულისხმობს „საზოგადო“ და „კერძო“ სფეროები გენდერული ანალიზისათვის საჭიროა მათი უკეთ ახსნა. „კერძო“ სფერო შეეხება ოჯახურ ცხოვრებასა და ურთიერთობებს, რომლის მონაწილე და რომელში, გამომწყვდეული აღმოჩნდა ქალი საუკუნეების მანძილზე. „საზოგადო“

სფერო კი შეეხება ადამიანური ცხოვრების იმ ნაწილს რომელიც ოჯახს გარეთ მიმდინარეობს აქ მოიაზრება პოლიტიკური, ეკონომიკური და, ზოგადად, საზოგადოებრივი აქტივობა, რომელიც ტრადიციულად მამაკაცების საქმიანობას წარმოადგენდა და ასევე უფრო მეტი ფასეულობის (მათ შორის, ფინანსური ანაზღაურების თვალსაზრისით) მატარებელი იყო, ვიდრე ოჯახური საქმეები, რომელსაც „კერძო“ სფეროში გამოკეტილი ქალები ასრულებდნენ (ოჯახის წევრების მოვლა, საოჯახო საქმეების გაძლობა).

ასევე ტრადიციულად სამართლით რეგულირდებოდა ის „საზოგადო“ სფერო, რომელიც ხასიათდებოდა მეტი მონაწილე პირებითა და მათ შორის არსებული ურთიერთობების მრავალფეროვნებით. ოჯახური ანუ „კერძო“ სფერო კი, ტრადიციულად კანონებით უფრო მნირად რეგულდებოდა და ძირითადად ისეთ მომენტებში, რომლებიც საჭირბოროტო და მნიშვნელოვანი იყო „საზოგადო“ სფეროს მთავარი მოქმედი პირისათვის – მამაკაცისთვის. მაგალითად, საუკუნეების მანძილზე გათხოვებისთანავე ქალი და მისი საკუთრება, როგორც იურიდიული პირი ქრებოდა, ისევე როგორც თავად ქალი, რომელიც ქმრის მფლობელობაში გადადიოდა.

ეს გაყოფა „კერძო“ და „საზოგადო“ სფეროებს შორის უფრო სიმბოლური გახლავთ, ვიდრე რეალური. ვინაიდან რაც არ უნდა სახლში გამოკეტილად წარმოვიდგინოთ ქალი იგი, მაინც ახერხებდა საუკუნეების მანძილზე პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზებით საზოგადოებრივ აქტივობას. იღებდა ასევე მონაწილეობას პროდუქციის წარმოებაში შიდა მოხმარებისთვის, თუ ოჯახურ ბიზნესში გარე მოხმარებისთვის. ამაკაცი, ასევე არ იყო სრულიად მოწყვეტილი ოჯახურ სფეროს, ჩართული გახლდათ ოჯახურ საქმეებში და წარმოადგენდა გადაწყვეტილების მიმღებს. (თუმცადა, ქალები ასევე მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღებაში პირდაპირი, თუ ირიბი გზით).

მგვარად, არ არსებობს კონკრეტული და მკვეთრი დემარკაციის ხაზი „კერძო“ და „საზოგადო“ სფეროებს შორის. არ არსებობს ასევე ამ სფეროების ისეთი განსაზღვრება, რომელიც უნივერსალური იქნებოდა დროისა და საზოგადოებების მიხედვით, ეს ორი სიმბოლური სფერო, რომელსაც ძირითადად სახელმწიფო განსაზღვრავს და ადამიანური ურთიერთობები ავსებს ცვალებადია დროისა და კონტექსტის მიხედვით და ინარჩუნებს, მხოლოდ ზოგად მახასიათებლებს. ამ მახასიათებლების მიხედვით „საზოგადო“ სფეროში ყოფნა და მოღვაწეობა უფრო ფასეული და მნიშვნელოვანია და აქ მთავარ მოთამაშეებს მამაკაცები წარმოადგენენ, ხოლო „კერძო“ სფეროში განეული შრომა ნაკლებად დაფასებული და ანაზღაურებულია და ამ სფეროში გამწევ ძალად ქალები რჩებიან. ფემინისტი მკვლევარები პრობლემურად სახავენ ამ ორი სფეროს არსებობასა და ურთიერთქმედებას, შესაბამისად, მეორე ტალღის ფემინისტთა ლოზუნგმა: „ერსონალ ის პოლიტიცალ!“ „პირადი მნიშვნელობის საკითხები პოლიტიკური მნიშვნელობისაა!“ უდიდესი დატვირთვა შეიძინა, ვინაიდან ამ გზით გადაწყდა „საზოგადო“ სფეროს დღის წესრიგში „კერძო“ სფეროში წამოჭრილი პრობლემების დაყენება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ზემო თქმულიდან გამომდინარე, კურსში ჩვენ არ განვიხილავთ ქალებს როგორც ერთიან არადივერსაიფიცირებულ კატეგორიას. მაგალითად, შეუა საუკუნეებში მაღალი წრისა და მდიდარი ოჯახის წევრი ქალი გაცილებით მეტი პრივილეგითა და უფლებით სარგებლობდა, ვიდრე ღატაკი და დაბალი ფენის წარმომადგენელი მამაკაცი. ასევე, თუ შემოვიტანთ ეგრეთ წოდებულ რასობრივ მახასიათებელს დავრწმუდნებით, რომ ამერიკის ფერადკანიანი მოსახლეობა როგორც მამაკაცები, ისევე ქალები ისტორიულად გაცილებით მეტი დისკრიმინაციისა და უფლებობის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე დაბალი ფენის თეთრკანიანი ქალები, რომლებსაც თავის მხრივ, თავისივე ფენის თეთრკანიანი მამაკაცები ჯაპნიდნენ. შესაბამისად, კლასებს შორის ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდებოდა, მაგრამ კლასებს შიგნით ქალები ტრადიციულად უფრო შეზღუდულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე მამაკაცები.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ მსჯელობისას არ ვგულისხმობთ კონკრეტულ ქალებს, არამედ ამა თუ იმ ეპოქისა და საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ქალურობასა და მამაკაცურობას. მოვიაზრებთ გენდერულ როლებს ისტორიულ-

სამართლებრივ რაკურსში. ვაფასებთ მიღებული და საზოგადოებრივად გამართლებული გენდერული როლების ხელსაყრელობასა და უფლებრივ მდგომარეობას ქალებისა და მამაკაცებისათვის.

### 3. ვისთვის და ვის მიერ იქმნებოდა კანონები?

სამართლის სუბიექტის საკითხი, გვიანი შუა საუკუნეების დებატი.

#### ლიტერატურა:

Gisela Bock, «Querelle des femmes: A European Gender Dispute» in *Women in European History*, Blackwell Publishers: Oxford, UK. 1-31.

ზოგადი შესავლის (კურსის აღწერისა და ძირითად ტერმინთა ლექსიკონზე საუბრის) შემდეგ გადავიდეთ კურსის კონკრეტულ საკითხებზე. პირველი ასეთი თემა დაგვეხმარება ჩვენი გენდერულ-ისტორიული ექსკურსის დაწყებაში. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში სქესთა შესახებ არსებული დებატების მიმოხილვა საშუალებას მოგვცემს წარმოვიდგინოთ ის გარემო და ღირებულებები, რომლის მემკვიდროვე თანამედროვე ევროპული საზოგადოება და აზროვნება. შუა საუკუნეებიდან დაწყებული ისტორიული ექსკურსი დაგვეხმარება იმ გზისა და პროგრესის გააზრებაში, რაც ქალებმა როგორც სოციუმის წევრებმა გამოიარეს.

ქალთა უფლებრივი შეზღუდვის მიზეზს როგორც შუა საუკუნეებში, ასევე მას შემდეგ დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ როგორც კანონმდებელი ანუ სამართლის სუბიექტი ისე კანონდებული ანუ სამართლის ობიექტი გახლდათ მამაკაცი. ძოგადად, სამართალი იქმნებოდა მამაკაცების მიერ მამაკაცებისათვის და ის ძალიან მკაფიოდ ირეკლავდა თანამედროვე საზოგადოების გენდერულ წარმოდგენებსა და პრივილეგიებს. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის გახსენება, ნიშანდობლივი და მრავლისმთქმელია ამ არგუმენტის გასაძლიერებლად. ამ მიზნით, შუა საუკუნეების დებატების მიმოხილვის შემდეგ ყურადღებას გავამახვილებთ ქალების როლზე საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში.

გვიანი შუა საუკუნეებიდან ევროპულ საზოგადოებას და მოაზროვნებს გაცხარებული კამათი ჰქონდათ სქესთა რაობაზე, ქალისა და მამაკაცის ადგილსა და როლზე საზოგადოებაში. ჯოვანი პიკომ თავისი ეპოქის უმნიშნელოვანეს ნაშრომში „მამაკაცის ღირსების შესახებ“ 1486 წელს აღნიშნა, რომ ღმერთი ესაუბრებოდა მხოლოდ ადამს, ამიტომ მამაკაცებს უფლება ეძლეოდათ თავისუფლად განესაზღვრათ თავიანთი ბუნება და ეცხოვრათ საკუთარი სურვილების შესაბამისად. მამაკაცის ღირსების პოსტულატი დაუპირისპირდა ძველ პაპ ინოკენტ III-ის დროინდელ „ადამიანური ცხოვრების საცოდაობის პოსტულატს“, რომელიც ქალებს სახავდა, როგორც ევას შთამომავლებს, რომლებსაც წვლილი მიუძღვით მამაკაცთა დაცემაში, აიგივებდა მათ სექსუალობასა და ცოდვასთან. ტერტულიანისთვის ქალები ეშმაკის კარიბჭეს წარმოადგენდნენ (janua diaboli), ხოლო აუგუსტინე ცოლ-ქმარს შორის სქესობრივ ცხოვრებასაც კი, ცოდვად მიიჩნევდა. სულის გადარჩენისათვის მებრძოლ მამაკაცებს უნდა დაეცვათ თავი ქალებისაგან, ხოლო სულის გადარჩენისათვის მებრძოლ ქალებს საკუთარი თავისაგან.

თუ არისტოტელე ქალებს ბუნების შეცდომას უწოდებს, ტომა აქვინელი მათ დაუს-რულებელ, მოუმთავრებელ მამრებად იხსენიებს. ამგვარი მოაზროვნეები სქესთა საკითხზე წერისას აღიარებდნენ, რომ ქალებს დიდი როლი აქვთ საოჯახო საქმეებში, თუმცალა ოჯახის თავი და მეურვე მამაკაცია და ქალებს საერთოდ არაფერი ესაქმებათ საზოგადოებრივ

ცხოვრებაში. შუა საუკუნეების მწერლების უმეტესობა მამაკაცები იყვნენ და ისინი ქალებს ადარებნენ მამაკაცებს, პრივილეგირებულ და აღმატებულ არსებებს. იყო მცირე რიცხვი ისეთი მოაზროვნებისა (რამდენიმე მამაკაცი, უმეტესად კი ქალები), რომლებიც იცავდნენ ქალთა ინტერესებს; მართალია გალეაცო ფლავიო კაპრამ 1525 წელს დაწერა ნაშრომი „ქალთა აღმატებულობისა და ლირსების შესახებ“,<sup>11</sup> მაგრამ მიუხედავად ამისა, გვიანი რენესანსის ნაშრომთა უმეტესობა მაინც ქალთმოძულე, მიზოგენური ტექსტებია.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 1595 წელს ანონიმმა პირველად გერმანიაში ლათინურად გამოაქვეყნა „ახალი მსჯელობა ქალების წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებს, რომ ისინი ადამიანები არ არიან“.<sup>12</sup> ამ ნაშრომმა ფრიად დააინტერესა მაშინდელი საზოგადოება. იგი ითარგმნა და გამოიცა სხვა ევროპულ ქვეყნებში.<sup>13</sup> უკვე ნაშრომის სათაური გვაძლევს საშუალებას გავიაზროთ ავტორის თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულება სქესთა თანასწორობისა და თანაბარუფლებინანობის მიმართ ანუ ეპოქისათვის დამახასიათებელი მსჯელობის თემატიკა მიგვანიშნებს, რომ ქალებს როგორც კატეგორიასა და ჯგუფს იუდეო-ქრისტიანული კულტურა უკეთეს შემთხვევაში მოიხსენიებდა განსხვავებულად, ხოლო უმეტეს შემთხვევაში დაბალი დონისა და განვითარების ადამიანებად. ხშირად კი, მათი ადამიანურობაც კითხვის ნიშნის ქვეშ ექცეოდა.

ზემოხსენებული შუა საუკუნებრივი დებატები კარგი წანაშდრვრებია იმის გასააზრებლად, თუ ვის ხელში იქნებოდა კანონმდებლის ძალაუფლება, ანუ ვის ექნებოდა ძალაუფლება დაეწესებინა სამართალი და მოწესრიგებინა ურთიერთობები ადრეულ ეპოქაში. მონარქიული წყობისას სამართლის წყაროები ემსახურებოდა არსებული წყობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, მაგრამ ასევე არეგულირებდა საზოგადოებრივ ურთიერთობებს, სადაც ხშირად ქალი მამაკაცის საკუთრებად ცხადდებოდა, რომელსაც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ეძლეოდა ქმართან გაყრის უფლება, ეკრძალებოდა განათლების მიღება და აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იმის გამოსავლენად თუ როგორ ეგუებოდნენ ქალები ამდაგვარ უუფლებო მდგომარეობას ადრეული შუასაუკუნეებიდან გადმოვინაცვლოთ XVIII საუკუნის ევროპაში და განვიხილოთ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიდი. რევოლუციაში მონაწილეობით ქალებმა მკვეთრი განაცხადი გააკეთეს საკუთარი უფლებების გაფართოების მოთხოვნის თვალსაზრისით.

<sup>11</sup> Galeazzo Flavio Capra, *Della eccellenza e dignita delle donne*. წყარო: Gisela Bock, *Women in European History*, Blackwell Publishers: Oxford, UK. 3.

<sup>12</sup> *Disputatio nova contra mulieres qua probatur eas hominess non esse.*

<sup>13</sup> წყაროს მსჯელობისა შუასაუკუნეების ტექსტების შესახებ წარმოადგენს Gisela Bock, *Women in European History*, Blackwell Publishers: Oxford, UK. 1-31.

## პრირა 2

### 1. ვისთვის და ვის მიერ იქმნებოდა კანონები?

სამართლის სუბიექტის საკითხი, ქალები და საზრაოების რევოლუცია.

#### ლიტერატურა:

Gisela Bock, «The French Revolution: the Dispute is Resumed» in *Women in European History*, Blackwell Publishers: Oxford, UK. 32-81.

Declaration of the Rights of Man and of the Citizen, 1789.

Olympe de Gouges, Declaration of the Rights of the Woman and the Female Citizen, 1791.

საფრანგეთში ქალთა სტატუსმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა 1789-1804 წლებში. 1792-93 წელს მათ იმასაც კი მიაღწიეს, რომ ქორნინება მშობლის ნებართვის გარეშე შეეძლოთ, შეეძლოთ ასევე გაყრის პროცესის ნამოწყება, ქორნინების გარეთ გაჩენილი ბავშვის მამის სახელის დასახელება, შეცდების ასანაზღაურებლად ფულადი კომპენსაციის მოთხოვნა და საკუთრების ქონა. ძალიან საინტერესოა როგორ მოახერხეს ქალებმა ამ ყველაფრის მოპოვება და უფრო მნიშვნელოვანი, ისევ დაკარგვა?

პარიზელი ქალები ტრადიციულად მონაწილეობდნენ ქუჩის პოლიტიკაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სარჩოს მოპოვებას შეეხებოდა. ეს აქტიური პარიზელი ქალები გამოთქვამდნენ თავიანთ აზრებსა და მოთხოვნებს, პეტიციების, დემონსტრაციების და თვით „სახალხო დაბეგვრის“ (taxation populaire) გზითაც (როდესაც ქალების დიდი ჯგუფი თავს ესხმოდა მოვაჭრეს, იტაცებდა მის საქონელს ან/და სამართლიან ფასად ყიდულობდა და შემდგომ ურიგებდა გაჭირებულ პარიზელებს). რევოლუციამ ერთიათად გააცხარა პარიზელ ქალთა პოლიტიკური აქტივობა, ისინი მედგრად ამოუდგნენ მხარში მეუღლებს და თავიანთი სოციალური კლასის შესაბამისი პრობლემური საკითხების მოგვარებისათვის დაიწყეს ბრძოლა. ბაზარში მომუშავე ქალები ითხოვდნენ თავიანთი უფლებების დაცვას, შუა საკუნეებში არსებული სავაჭრო გილდიების აღდგენის გზით, ჩიოდნენ თავიანთი სამუშაო პირობების გაუსაძლისობის გამო, ბინძური საავადმყოფოების გამო და იმის გამო, რომ მათ გამუდმებით, შესვენების გარეშე უხდებოდათ შრომა, მაშინ როცა სხვები გადასახადებისა და ქონებიდან მიღებული პროცენტების ხარჯზე უდარდელ და ფუქსავატ ცხოვრებას ეწეოდნენ. მუშათა კლასის წარმომადგენელი ქალებისაგან განსხვავებით, არისტოკრატიული კლასის წარმომადგენელი ქალები მოითხოვდნენ სამოქალაქო უფლებების გაზრდას: ხმის უფლებას, წარმომადგენლობას ხელისუფლებაში, თანასწორობას ქორნინებისას და გაყრის პროცესის წამოწყებას.

სადაც, ინტერესთა ორი სფერო გადაიკვეთა ამ ორი სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე ქალთა მოთხოვნები იყო განათლებისა და პროსტიტუციის სფეროები. ქალები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ განათლების მიღების საშუალებას მოკლებული ქალები იძულებულები იყვნენ თავი პროსტიტუციით ერჩინათ. პროსტიტუციას კი უაღრესად დამაკინებელ პროფესიად მიიჩნევდნენ, რომელიც იმავდროულად ოჯახის სიწმინდეს და სტაბილურობას უქმნიდა საფრთხეს და ამის გამოც იყო მიუღებელი ქალებისათვის. ასე რომ ქალებმა თავიანთი მოთხოვნები განათლებაზე რევოლუციის შედეგად მოსულ ხელისუფლებას შემდეგნაირად წარუდგინეს: ჩვენ განათლება და დასაქმება იმიტომ კი არ გვინდა, რომ უმაღლეს სქეს (მამაკაცებს) შევეჯიბროთ, ან იმ ქალებისთვის კი არ ვზურნავთ, ვინც უზრუნველყოფილია, ვისაც ჰყავს ოჯახი და ბავშვები ვისაც მისი ენერგია და გულისყური ჭირდება, არამედ, იმ დაცუმული ქალებისათვის, ვინც გაუნათლებლობისა და გაჭირების გამო ირჩევს პროსტიტუციას და ამით საფრთხეს უქმნის ოჯახის სიწმინდესა და სტაბილურობას. მიუხედავად იმისა, რომ ქალები იმსახურებდნენ და შეეძლოთ უფრო არგუმენტირებულადაც წამოეყნებინათ განათლების ხელმისაწვდომობის მოთხოვნა, ამ ეპოქის ქალთა უმეტესობას

სჯეროდა, რომ მათი ადგილი სახლშია და ნებისმიერი ცოდნა, რომელსაც ისინი შეიძენენ უნდა გამოიყენონ იმისთვის, რომ ნაკლები ქალი ჩაებას პროსტიტუციაში. მათ უნდა ასიამოვნონ ქმრებს, აღზარდონ შვილები გონივრულად. ასეთ მიდგომაში უკვე ნათლად ჩანს სირთულე იმ დროის და ქალთა ვითარებისა, როდესაც ისინი ელემენტარული უფლებების მოსაპოვებლად (როგორიცაა განათლების მიღების უფლება) მანევრირებენ და ცდილობენ ისეთი მიზეზი მოენახათ თავისი მოთხოვნის დასაცავად, რაც ხელსაყრელი და პირდაპირ ძნელად შესანინააღმდეგები იქნება კაცებისათვის. ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამგვარმა გააზრებამ ქალების მდგომარეობისა თავად ქალების მიერ ხელი შეუშალა რევოლუციური საფრანგეთის ქალთა მოძრაობის წარმატებას.

საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის აღწერისას ძირითადი აქცენტი მამაკაცების ქმედებაზეა დასმული, თუმცალა ქალებმა ასევე შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი. ამ პერიოდის საფრანგეთში განსაკუთრებით კი, პარიზში შეინიშნებოდა არა ერთიანი, ავტონომიური ქალთა მოძრაობა, არამედ ქალთა მოძრაობები. რევოლუციის დღეებში ქალები აქტიურად მოქმედებდნენ, 1789 წლის 5-6 ოქტომბერს ექვსმა ათასმა პარიზელმა ქალმა ეროვნული დაცვის თანხლებით ფეხით გაიარა ვერსალამდე, რომ მოეთხოვა პური ლუი XVI-ისა და დედოფალ მარი ანტუანეტისათვის. ეს მსვლელობა სხვადასხვა სოციალური წარმომავლობის ქალების ერთიანი ძალისხმევით შედგა. ექვსი ათასიდან ქალთა უდიდეს პროცენტს ბაზარში მომუშავე ქალები წარმოადგენდნენ, ასევე მათ შორის იყვნენ მსახიობები და დიასახლისები. მათ შეუტიეს მონარქის სამყოფელს და რამდენიმე მისი შვედი დამცველის დაღუპვის შემდეგ ბაზარში მომუშავე ქალთა მცირე დელეგაციამ მიაღწია აუდიენციას მეფესა და ეროვნულ ასამბლეასთან. მათი საჩივარი შემდეგი იყო: მდიდრები აგროვებენ ხორბალს, როცა ხალხს პური ენატრება და თუ იყიდება სადმე პური, უზომოდ ძეირ ფასად. მეფე ლუი XVI შეჰპირდა ქალებს პურს და უფლებაც მისცა მათ გამოჰყოლოდნენ მას, მის ოჯახსა და სამეფო კარს ვერსალიდან პარიზში.

რევოლუციის უკვე ამ ადრეულ სტადიაზე იყო მცდელობა რევოლუციაში ქალთა როლისა და მონანილეობის დაკნინების. ოქტომბრის დღეების სამთავრობო კვლევამ დაიწყო ერთგვარი კონსპირაციის თეორიის პროპაგანდა. ვითომდა ვერსალის სვლაში მონანილე ქალები მამაკაცებმა მოისყიდეს და კაცები ხელმძღვანელობდნენ ამ მარშს და უფრო მეტიც, რომ ექვსი ათას ქალს შორის ბევრი იყო ქალად გადაცმული მამაკაცი. რევოლუციის ადრეული დღეებიდანვე იწყება მასში ქალთა როლის გაუფასურება, თუმცალა ეს არც უნდა იყოს გასაკვირი იმ მენტალიტეტისა და ვითარების ფონზე, რომელიც ამ დროის საფრანგეთში სუფევდა, როცა ქალებს განათლებაზე ხელმისაწვდომობის უფლების მოთხოვნის გამართლება იმ არგუმენტებით უხდებოდათ, რომ ამ გზით უფრო მეტად გამოადგებოდნენ თავიანთ ოჯახებს და თან არანაირ კონკურენციას არ გაუწევდნენ მამკაცებს.

1789 წლის 5-6 ოქტომბრის პარიზელ ქალთა მსვლელობა ვერსალში როგორც მათი თანამედროვე, ასევე დღევანდელი ისტორიოგრაფებისთვის რევოლუციის ადრეულ ფაზაში ქალთა გამოკვეთილ აქტივობად რჩება. მაშინ, როცა 14 ივლისის ბასტილიის აღება ძირითადად მამაკაცების მიერ განხორციელებული ქმედებაა და რევოლუციაში მათი წვლილის უკვდამყოფელად გვევლინება 5-6 ოქტომბრის მარში რევოლუციაში ქალების მიერ განეული წვლილის სიმბოლოდ იქცა.

საფრანგეთის რევოლუციის ქალთა მოძრაობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ ოლიმპია დე გუში, პარიზელი სცენარისტი ქალი, რომელმაც დაწერა „ქალთა უფლებების დეკლარაცია“ 1971 წელს. ეს დოკუმენტი წარმოადგენდა საფრანგეთის რევოლუციის მთავარი დოკუმენტის „მამაკაცისა და მამაკაცი მოქალაქის უფლებების დეკლარაციის“ პასუხს, რომელმაც მოსახლეობა აქტიურ და პასიურ მოქალაქეებად დაყო, სიმდიდრის, სოციალური წარმოშობის, კლასისა და სქესის მიხედვით. ამ დოკუმენტის მიხედვით, მამაკაცთა გარკვეული ფენების უფლებები შეიზღუდა და რა გასაკვირია, რომ ქალები პასიურ მოქალაქეთა რიგებში აღმოჩდნენ. დე გუში მონარქისტი გახლდათ, იგი არ იყო ტრადიციული ფრანგული მონარქიის დამხობის მომხრე. ამიტომ იგი იბრძოდა ქალების უფლებების დასაცავად და არა რევოლუციის ინტერესებისათვის ზოგადად.

ოლიმპია დე გუშმა სახელი 1789 წელს გაითქვა, როდესაც მან ეროვნულ ასამბლეას წარუდგინა რადიკალური რეფორმის პროგრამა. დე გუში აღნიშნავდა, რომ აუცილებელია კანონით იქნეს უზრუნველყოფილი სქესთა სრული თანაბარუფლებიანობა, დასაქმების ფართო შესაძლებლობები ქალებისთვის, სასკოლო განათლების ხელმისაწვდომობა გოგონებისთვის და ისეთი თეატრის შექმნა, სადაც მხოლოდ ქალებისთვის და ქალების მონაწილეობით დაიდგმებოდა სპექტაკლები. ოლიმპია დე გუშის რწმენა ქალთა „ბუნებრივი და თანდაყოლილი“ უფლებების შესახებ გამომდინარეობდა მისი ზოგადად ადამიანების, რასისა და სქესის განურჩევლად, თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის ღრმა რწმენისგან. იგი ემხრობოდა საფრანგეთის კოლონიებში ადგილობრივი მოსახლეობის გათავისუფლებასა და იბრძოდა მათი უფლებების დასაცავად. დე გუში თავისი ქვეყნის პატრიოტი გახლდათ, მაგრამ ადამიანის უფლებების დაცვას უფრო წინ აყენებდა, ვიდრე ქვეყნის ინტერესებს, თუნდაც ამ ფასად დაშლილიყო საფრანგეთის იმპერია.

ოლიმპია დე გუშის ამ მოსაზრებების უმეტესობა აისახა მის მიერ შექმნილ დეკლარაციაში, რომელიც რევოლუციის მთავარი დოკუმენტის „მამაკაცისა და მამაკაცი მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“<sup>14</sup> ნიმუშით არის შექმნილი, იმ განსხვავებით, რომ იგი ანიჭებს ქალებს იგივე უფლებებს, რასაც ეს უკანასკნელი ანიჭებს პრივილეგირებულ მამაკაცებს. დე გუში ითხოვდა ქალთა გენერალური ასამბლეის დაარსებას, რომელიც წამოჭრიდა ქალთა საკითხებსა და პრობლემებს და იმუშავებდა მამაკაცების გენრალურ ასამბლეასთან ამ პრობლემების გადასაჭრელად. დე გუში ასევე ითხოვდა სრულ სიტყვის თავისუფლებას ქალებისთვის, ასამბლეაში გამოსვლისას მან განაცხადა: ‘Women has the right to mount the scaffold; she must equally have the right to mount the rostrum’ – “ქალს ხარაჩობზე (ბარიკადებზე) ასვლის უფლება თუ აქვს, მას ასევე ტრიბუნაზე ამაღლების უფლებაც უნდა ჰქონდეს”

ოლიმპ დე გუშის მრნამსის საფუძველს, ისევე როგორც მისი სხვა მოწინავე თანამედროვე ქალბატონების მრნამსის საფუძველს, წარმოადგენდა ადამიანის უფლებების უნივერსალურობის რწმენა. რწმენა იმისა, რომ ადამიანის უფლებები უნდა ეხებოდეს და ვრცელდებოდეს თანაბრად ყველაზე გამონაკლისის გარეშე. დე გუშის თანამოაზრები მიიჩნევდნენ, რომ ქალებს ბუნებისგან მინიჭებული აქვთ იგივე გონებრივი შესაძლებლობები, რაც მამაკაცებს და ამიტომ მათ უნდა ჰქონდეთ თანდაყოლილი უფლება მიიღონ განათლება და განაგონ საკუთარი ბედ-ილბალი. ქალები თავიანთი ინტელექტით არ ჩამოუვარდებიან მამაკაცებს და მიუღებელია მათი უფლებების შეზღუდვა სქესის საფუძველზე. მიუხედავად, ერთი შეხედვით, პროგრესული მიდგომის ქალთა უფლებრივი მდგომარეობის მიმართ, სამწუხაოდ ამ დროსიათვის ასევე ბუნებრივად აღიქმებოდა ქალთა მოვალეობა ყოფილიყვნენ მთავარი პასუხისმგებელი პირები შვილების აღზრდასა და საშინაო საქმებზე. შესაბამისად, ქალთა უფლებრივი წინსვლის, მათი ემანსიპაციის მოთხოვნა მყარდებოდა ქალების ოჯახისათვის უკეთ გამოდგომის არგუმენტით და არა მათი როგორც დამოუკიდებელი პიროვნებების საზოგადოებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების არგუმენტით. კითხვის არ დასმამ ქალების ბუნებრივად „კერძო“ ანუ ოჯახური სფეროსთვის მიკუთვნებაზე და იმის თაობაზე თუ რა მდგომარეობაში აყენებდა ქალებს ამგვარი „ბუნებრივი“ მოვალეობები, მიიყვანა საფრანგეთის რევოლუციის ქალთა მოძრაობა კრახამდე.

საფრანგეთის რევოლუციის უმნიშვნელოვანესი მონაწილე დანიელი ემიგრანტი ეტა პალმ დ'აელდერსი საზოგადოებრივ ასპარეზზე 1790-იან წლებში გამოჩნდა. იგი ქალთა პოლიტკურ კლუბში მოღვაწეობდა. 1790 წელს შეიქმნა სიმართლის მეგობართა კონფედერაცია “Le Confederation des Amis la vérité”. ამ პოლიკურ გაერთიანებას, გარდა ზოგადი მიმართულებისა, რომელიც ქალთა უფლებების დაცვას ითვალისწინებდა (ქალთა განათლება, ქალების მხრიდან გაყრის ინიცირების უფლება), ჰქონდა სპეციალური განცოფილება/სექცია, რომელსაც პალმი მეთაურობდა. პალმის განცხადებით, ქალთა სექცია მიზნად ისახავდა ქალების უფლებების დაცვას და სასურველ

<sup>14</sup> ისტორიულ ტექსტებში ამ დოკუმენტს „ადამიანისა და მოქალაქის დეკლარაციის“ სახელით ვიცნობთ, მაგრამ „მამაკაცისა და მამაკაცი მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე უფრო დაზუსტებულ თარგმანს წარმოადგენს.

რეფორმათა შორის იყო მშობლების გარდაცვალების შემდეგ მათი საკუთრების უფროსი ვაჟებისათვის გადაცემის გაუქმება, ცოლების დაცვა ქმრების მხრიდან ფიზიკური ძალადობისაგან, ქალებისათვის ხელსაყრელი გაყრის კანონი და სქესთა შორის პოლიტიკური თანასწორობა.

პალმმა გადაწყვიტა, რომ უბრალოდ ქალების სექცია არ იყო საკმარისი მისი ამოცანების შესასრულებლად და 1971 წელს, მას შემდეგ რაც ნარმოთქვა სიტყვა ყველა ქალის შესაძლებლობაზე რევოლუციის შედეგების გაღრმავებისა საკუთარ ოჯახებში, მან დაარსა ქალთა კლუბი „ლეზ ამი დე ვერიტე“ (სიმართლის მეგობრები “Les Amies de la vérité”). კლუბში წევრობისათვის გადასახადი ხელმისაწვდომი მხოლოდ მაღალი ფენის ქალბატონებისთვის იყო. კლუბს ჰქონდა როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური მანდატე, ქალები დიდ დროსა და სახსრებს ხარჯავდნენ ღარიბთა დახმარებისთვის.

„ლეზ ამი დე ვერიტემ“, როგორც პირველმა ქალების კლუბმა საფუძველი მოუმზადა ფრანგული რევოლუციის პერიოდის უფრო რადიკალურ ქალთა კლუბს “Les Citoyennes républicaines revolutionaries” (“რესპუბლიკურ რევოლუციონერ ქალთა საზოგადოება”). ეს საზოგადოება დააფუძნეს 1793 წლის თებერვალში გაუთხოვარმა შოკოლადის დამამზადებელმა პაულინ ლეონმა და პროვინციელმა მსახიობმა ქალმა, კლერ ლაკომბმა. ეს იყო ქალთა კარგად ორგანიზებული აქტიური ლიგა, რომელიც მხარს უჭრდა იაკობინელთა აჯანყებას და მოითხოვდა მოქალაქეთა დაცვას. საზოგადოების წევრები „თავისუფლების წითელ ქუდებში“ გამოწყობილები ენეოდნენ პატრულირებას ქუჩებსა და ბაზრებში, და მიუხედავად კანონისა, რომელიც ქალებს უკრძალავდა იარაღის ტარებას, არათუ შეიარაღებულნი იყვნენ, არამედ აქტიურადაც იყენებდნენ იარაღს და არ ერიდებოდნენ კონტრრევოლუციურ საქმიანობაში ეჭვმიტანილ პირთა დაკავებასა და სასამართლოსთვის გადაცემას. ამ საზოგადოების წევრ ქალებს ნაკლებად ანუხებდათ ქალთა უფლებების დაცვა, მათი საქმიანობის მთავარ მოტივსა და ამოცანას რევოლუციის იდეების ზეიმი და მისი მონაპოვარის დაცვა წარმოადგენდა.

1793 წელს საზოგადოების წევრი ქალები შეეცადენ თავიანთი რევოლუციური იდეოლოგია თავს მოეხვიათ სხვა ქალებისათვისაც და ეროვნულ ასამბლეას მოსთხოვეს ქუდებზე საფრანგეთის რესპუბლიკის დროშის სამფერიანი სიმბოლოს, ბროშის, ტარება სავალდებულო გაეხადათ ყველა ქალისათვის. როდესაც ეროვნულმა ასამბლეამ არ დააკმაყოფილა საზოგადოების არც ეს მოთხოვნა და არც მოთხოვნა პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების რეაბილიტაციის შესახებ, „რესპუბლიკურ რევოლუციონერ ქალთა საზოგადოებაში“ გაწყვიტა თავისი მეგობრული კავშირები იაკობინელთა პარტიისათან. იაკობინელებთან დაპირისპირებამ მათ დაუკარგა საზოგადოებრივი მხარდაჭერა, რაც საზოგადოების საბოლოო განადგურების გამომწვევი მიზეზი გახდა.

1793 წლის ოქტომბერში საზოგადოების წევრმა ქალებმა შეუტიეს ბაზრის ქალებს იმ მიზეზით, რომ ეს უკანასკნელები ქუდებზე არ ატარებდნენ სამფერიან ბროშს. ბაზრის ქალებმა, თავის მხრივ, უპასუხეს საზოგადოების შეხვედრის დარბევითა და რამდენიმე წევრის გალახვით, ხოლო შემდეგ ეროვნულ ასამბლეაში საჩივარიც შეიტანეს საზოგადოების მხრიდან შევინროვების შესახებ. ეროვნულმა ასამბლეამ, სადაც უმრავლესობას „რესპუბლიკურ რევოლუციონერ ქალთა საზოგადოების“ მიმართ უკვე მტრულად განწყობილი იაკობინელები წარმოადგენდნენ, გამოსცა განკარგულება ყველა ქალთა პოლიტიკური ორგანიზაციის დაშლის შესახებ. როდესაც საზოგადოების წევრები გამოცხადნენ გალერეაში ამ განკარგულების გამო პროტესტის გამოსათქმელად მათ სიტყვა არ მისცეს, უფრო მეტიც, კენჭი უყარეს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ აღარასოდეს მიეცათ გამოსვლის უფლება ქალთა დელეგაციისათვის. ქალებს უსაყვედურეს თავიანთი ოჯახების მიტოვება და შეახსენეს, რომ მათი ადგილი სახლშია და არა ქუჩაში. ასევე შეახსენეს ოლიმპ დე გუუსის ბედი, რომელსაც კონტრრევოლუციური ქმედების ბრალდებით გილიოტინაზე მოკვეთეს თავი რამდენიმე თვით ადრე. ამ დამარცხების შემდეგ ქალებს აღარაფრის გაკეთება შეეძლოთ, გარდა პეტიციების გავრცელებისა და ეროვნული ასამბლეის საქმიანობისათვის გალერეებიდან მდუმარედ თვალის მიღევნებისა. მათ ინფორმაციის მისაღებად და თავიანთი ამოცანების მისაღწევად მოქმედების მხოლოდ ირიბი გზები რჩებოდათ და თავიანთი მამების, ძმებისა, მეუღლეებისა თუ

საყვარლების დახმარების იმედზე უნდა ყოფილიყვნენ.

ორი წლის შემდეგ ქალები კიდევ ერთხელ შეეცადნენ პოლიტიკური ქმედებისათვის ძალთა მოპილიზებას, ამის მიზეზი გახდა ღარიბთა დასაქმების სამსახურის გაუქმება და მათვის განკუთვნილი პურის რაციონის დღეში 2 უნციამდე შემცირება. ამას პარიზელმა ქალებმა ტრადიციული გაფიცვებითა და არეულობით უპასუხეს. შედეგად მაისში ასამბლეამ გამოსცა კანონი, რომელიც ქალების სახლში ყოფნას მოითხოვდა და პოლიციას უფლებას აძლევდა დაერბია და დაეპატიმრებინა ხუთზე მეტი ერთად შეკრებილი ქალი. ქალებს აეკრძალათ ასევე ასამბლეის სხდომების მოსმენა გალერეებში. მგვარად, დასრულდა ქალთა პოლიტიკური აქტივობა საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში.

იმ პერიოდში ქალების როლის შესახებ უამრავი მოსაზრება არსებობდა; ფემინისტურად მოაზროვნე ფოლოსოფოსებიც (მაგ. მარკიზ დე კონდორსე), ისევე როგორც, ანტიფემინისტურად განწყობილი (მაგ. უან უაკ რუსო) თანხმდებოდნენ იმაზე, რომ ქალის ადგილი ოჯახშია და მან უნდა იზრუნოს ოჯახის კეთილდღეობისათვის, უთანხმოება იწყებოდა იმ საკითხის ირგვლივ, თუ როგორ უნდა მომზადნენ ქალები ამ როლისათვის. რუსო მიიჩნევდა, რომ ქალი თავისი ბუნებით მერძნობიარე და ნაზი არსებაა, რომელსაც ბედნიერებისთვის ოჯახში ფუსფუსი და შვილებზე ზრუნვა ყოფნის. ქალი მორალური ღირსებებით ჯაბნის მამაკაცს, სწორედ ამიტომაც მას ამაღლებული და პოეტური შარავანდედი მოსავს, მაშინ როცა მამაკაცი იღწვის საზოგადოებრივ ასპარეზზე, იღებს განათლებას, ინფორმაციას და მორალურად ირყვნება. ამგვარი საქმიანობებით გადაღლილ კაცს მეუღლებ უნდა ერთგვარი სამოთხე შეუქმნას ოჯახში, რომელიც მისი საქმიანობის სფეროა. ამ მსჯელობის შესაბამისად, თუ ქალს არ უხდება საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მისვის არ არის საჭირო პოლიტიკური უფლებების ქონა და არც ამის პრეტენზია უნდა ჰქონდეს. განათლებას ახალგაზრდა გოგონები დედებისაგან ოჯახში და არა სკოლაში უნდა იღებდნენ. ქალის უზენაეს დანიშნულებად რუსოს მამაკაცის გაბეჭნიერება და დედობა მიაჩნდა, სხვა დანარჩენი კი პარმონიის დამრღვევად და საზოგადოებისათვის სირთულეების მომტანად ესახებოდა.

რუსოსგან განსხვავებით კონდორსეს მიაჩნდა, რომ ქალებს და მამაკაცებს იდენტური პოლიტიკური უფლებები უნდა ჰქონდეთ. რუსოს მსგავსად კონდორსეს<sup>15</sup> მიაჩნდა, რომ ქალის ადგილი ოჯახშია, თუმცალა პოლიტიკური უფლებების ქონა მათ არათუ ჩამოაცილებს ოჯახს, არამედ, პირიქით, აქცევს უკეთეს მოქალაქეებად და თავიანთი მეუღლების უკეთეს კომპანიონებად. იმ დროისათვის ყველაზე რადიკალურად მოაზროვნე ქალბატონებიც კი ეთანხმებოდნენ კონდორსეს მოსაზრებებს, ამგვარად რევოლუციის დროინდელი საფრანგეთის იდეალური ქალი იყო განათლებული მეუღლე და დედა, რომელსაც შეეძლებოდა თანაბარ დონეზე საუბარი მეუღლესთან და აღზრდიდა შვილებს რესპუბლიკის და რევოლუციის პატრიოტებად. სამწუხაროდ ქალის როლის მოაზრება არ გაცდა დიასახლისის როლსა და ოჯახის ჩარჩოებს, მაგრამ სამწუხაროდ ამ ფარგლებშიც კი ვერ მოხერხდა ქალთა უფლებების გაფართოება.

## 2. უფლება აირჩიო და იყო არჩეული – პირველი ტალღის ფეხისცების ყველაზე ხანგრძლივი პრაქტიკა

### ლიტერატურა:

Rendall, Jane, «The Citizenship of Women and the Reform Act of 1867», in Catherine Hall, Keith McClelland & Jane Rendall, *Defining the Victorian Nation: Class, Race, Gender and the Reform Act of 1867*, Cambridge 2000, 119-78.

<sup>15</sup> მარკიზ დე კონდორსე (Marquis de Condorcet 1743-1794) ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, სოციალური მეცნიერი, ეკონომისტი და პოლიტიკოსი. ამ და სხვა პროგრესული მოსაზრებების გამო იგი იაკობინელებმა შეიძყრეს 1794 წელს. ოფიციალური ვერსიით მან საკანში თავი მოიკლა, თუმცა მრავალი მკვლევარი განზრას მკვლელობის ვერიას იზიარებს.

## პრირა 3

### 1. უფლება აირჩიო და იყო არჩეული – პირველი ტალღის ფეხის უკელაზე ხანგრძლივი პრძოლა (გაგრძელება)

ლიტერატურა:

Gisela Bock, "From Social to the Political" in *Women in European History*, Blackwell Publishers: Oxford, UK, 127-173.

მხდალ სიცოცხლესა და უუნარობას თანმხლები მამაკაცის გარეშე გაიარო ქუჩაში, გაცილებით სჯობია ხშირი შეურაცხოფის ატანა ან გარიყულად სიკვდილი. ქალის ყველაზე კარგი მცველი და ის ვინც მას ყოველთვის მოემსახურება მისი გამბედაობაა, რომელიც მან გამოცდილებიდან უნდა შეიძინოს, ხოლო გამოცდილებას საზოგადოებრივი ცხოვრება იძლევა.<sup>16</sup>

ელიზაბეტ ქეიდი სტენტონი, 1851

**დამარცხება შეუძლებელია!**<sup>17</sup>  
სიუზან ბ. ენთონი, 1906

XIX საუკუნეში ევროპაში თვალსაჩინო გახდა ქალთა მოძრაობა, რომელიც „ბერძენი ექიმი მარია კალოპოკათესის განმარტებით წარმოადგენდა ქალთა უფლებების გააზრებულ მოთხოვნას და სისტემატიურ ძალისხმევას ამ უფლებების მისაღებად.“<sup>18</sup> ქალთა მოძრაობას მკვლევრები აფასებენ როგორც მძლავრ სოციალურ მოძრაობას, რომელმაც თავი იჩინა XVIII საუკუნეში, მაგრამ ძალა მოიკრიბა XIX საუკუნეში და ფორმისა და ამოცანების ცვალებადობით გრძელდება ვიდრე დღემდე.

XIX საუკუნეში მოაზროვნეთა დებატებში დასმული „ქალთა საკითხი“ ("woman question") წარმოადგენდა ადრეული კითხვების „არიან თუ არა ქალები ადამიანები?“ „რანი არიან ქალები?“ თანამედროვე ვარიანტის. მგვარად, ახლებურად შეფუთული და წარმოდგენილი მსჯელობა „ქალთა საკითხის“ ორგვლივ არ წარმოადგენდა მსჯელობას ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებულ განსხვავებებზე სქესთა თანაბარუფლებიანბის კონტექსტში, არამედ ეს იყო მსჯელობა სქესებს შორის არსებული იერარქიული, დაკვემდებარებული ურთიერთობების შესახებ, რომელიც მოიცავდა განსხვავებებსაც. შესაბამისად, როდესაც ჯონ სტიუარტ მილმა<sup>19</sup> 1867 წლის 20 მაისს დიდი ბრიტანეთის თემთა პალატაში ქალებისთვის ხმის უფლების დაკანონება მოითხოვა დიდი განცვიფრება და წინააღმდეგობა შეხვდა. თემთა პალატის წარმომადგენლებს გაუკვირდათ, როგორ ითხოვა ამგვარმა საპატიო ჯენტლმენმა ხმის უფლება იმათთვის, ვინც წესით ოჯახის თავს, მამაკაცს უნდა ემორჩილებოდეს, ვინაიდან ის მასზე

<sup>16</sup> Elizabeth Cady Stanton, speech at the Woman's Convention (25th May, 1851). თარგმანი ავტორის.

<sup>17</sup> თავისი უკანასკნელი საჯარო გამოსვლისას ხანძიშესულმა სიუზან ბ. ენთონიმ განაცხადა: „დამარცხება შეუძლებელია“ ("Failure is impossible"). Anthony Center for Women's Leadership, იხილეთ ინტერნეტში, მისამართზე: <<http://www.rochester.edu/SBA/sbaecs.html>>, ბოლო ვიზიტი 1 ნოემბერი 2004.

<sup>18</sup> Gisela Bock, *Women in European History*, Blackwell Publishers: Oxford, 2002, 82.

<sup>19</sup> ჯონ სტიუარტ მილი (John Stuart Mill 1806-1873) მეცხრამეტე საუკუნის ინგლისელი ეკონომისტი, ფილოსოფოსი და მოაზროვნე იყო, რომლმაც თანამოაზრებთან ერთად განავითარა უტილიტარიანული ფილოსოფია, რომლის მიხედვითაც ადამიანმა ყველაფერი უნდა შეაფასოს ინდივიდუალური ბედნიერების მოტანის შესაძლებლობის კუთხით ოდონდ ისე, რომ არ დააზიარალოს სხვანი. ადამიანები უნდა ილტვოდნენ ბედნიერებისეკენ და აირიდონ, ან შეიმსუბუქონ უბედურება. ვინაიდან ადამიანებს შესწევთ აზროვნების უნარი, ისინი მხოლოდ ხორცეული სიამოგზებით ვერ კმაყოფილდებიან და გონებრივი პროცესებიდან მიღებული სიამოვნებისკენაც ილტვიან.

დაბლა მგდომი განვითარებისა და შესაძლებლობების ადამიანს წარმოადგენს.

1869 წელს სტიუარტ მილმა გამოაქვეყნა შრომა „ქალთა დაქვემდებარება“ (“The Subjection of Women”), რომელშიც მან აღნიშნა, რომ ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობის ისტორიულად დიდი ხნის მანძილზე არსებობა, თავისთავად არ წარმოადგენს არგუმენტს, რომელიც გაამართლებდა ამ მდგომარეობის შენარჩუნებას მომავალშიც. მილი საუბრობს ქორწინებაში მყოფ ქალთა უუფლებობაზე, ასევე ქალთა შესაძლებლობაზე და უნარზე ხარისხიანად შეასრულოს ის მრავალი სამუშაო, რომლის შესრულებაც მათ ტრადიციულად და ხშირად კანონითაც ეკრძალებოდათ. მეცხრამეტე საუკუნის ქალთა მოძრაობისათვის ეს ნაშრომი და ჯონ სტიუარტ მილის მხარდაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავდა არა მარტო თვით ქალებისათვის, არამედ ზოგადად საზოგადოებრივი აზრის ტრანსფორმირების დასაწყებად და ქალთა ემანსიპაციის არგუმენტების გასამყარებლად. ნაშრომი გადაითარგმნა თითქმის ყველა ევროპულ ენაზე და მის ირგვლივ არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ითვლებოდა აუცილებელ საკითხავად ყველა განათლებული ადამიანისათვის როგორც ქალების ასევე მამაკაცებისათვის, რუსული ინტელიგენციის ჩათვლით. დებატები მის ირგვლივ გამოქვეყნებისთანავე დაიწყო.<sup>20</sup>

დედოფალ ვიქტორიას მმართველობის ხანა, ე.ნ. ვიქტორიანული ეპოქა (1837-1901 წლები) მიჩნეულია დასაბამად გენდერულ როლებს შორის მკვეთრი ხაზის გავლებისა და მათი არაორაზროვანი გადანაწილებისა ანუ საზოგადოებრივი და მსოფლიო საქმეები მამაკაცებს, ხოლო ოჯახური საქმეები ქალებს: „ეკუებს სახელმწიფო, ქალებს ოჯახი“<sup>21</sup> ამგვარმა ლოზუნგმა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს გერმანულ სტატიაში გაიქცერა. თუმცადა როგორც მეცხრამეტე ისე მეოცე საუკუნეების ქრონიკა ცხადყოფს, რომ ეს ზღვარი დიდი სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი იყო, ხოლო რეალურ ცხოვრებაში საზღვარი საზოგადოებრივ და კერძო სფეროებს შორის არც ისეთი მკვეთრი გახლდათ და ძნელი განსასაზღვრიც აღმოჩნდა.

მართალია მამაკაცის უმთავრეს მოვალეობას შრომა, ოჯახის რჩენა და საზოგადოებრივი საქმეები წარმოადგენდა, ის მაინც რჩებოდა ოჯახის მეთაურად და გადაწყვეტილების მიმღებად მნიშვნელოვან საშინაო საქმეებში. იყო ისეთი შემთხვევებიც, სადაც ეს დომინირება სიმბოლური, საზოგადოებრივი მიზნებისათვის ხდებოდა, ხოლო რეალურად ქალი მართავდა, არა მხოლოდ ოჯახურ საქმეებს, არამედ მეუღლის და სხვა მამაკაცი იჯახის წევრების მეშვეობითა და საშუალებით ერეოდა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილებებში. დაბალი ფეხების ქალები ასრულებდნენ მძიმე ფიზიკურ სამუშაოს ოჯახს გარეთ მაღაროებსა და საამქროებში და ქმრებთან ერთად არჩენდნენ ოჯახებს. ვიქტორიანული ხანის სიმბოლური ზღვარი სქესების გავლენის სფეროებსა და გენდერულ როლებს შორის რეალურ ცხოვრებაში უდიდესი დატვირთვის მატარებელი იყო, პირველ რიგში უფლებრივი თვალსაზრისით.

საზოგადოებრივი და კერძო ანუ ოჯახური ცხოვრება და სფეროები ურთიერთქმედებდნენ და გადაჯაჭვული იყვნენ ერთმანეთზე, მაგრამ აღიარებულ, აშკარა და უფლებებით აღჭურვილ მოქმედ პირად მხოლოდ მამაკაცები გვევლინებიან. ლავირების ის ფარული მოდელები, რომლებსაც ქალები მიმართავდნენ გამოწვეული იყო იმით, რომ არსებული ვიქტორიანული სტერეოტიპი გენდერული როლების შესახებ ამართლებდა მათ უუფლებობას და არ აძლევდა მათ აშკარა ქმედების საშუალებას.

დედოფალი ვიქტორია, რომელსაც ხშირად იმის მაგალითადაც მოიშველიებდნენ, რომ ქალებს მართვა შეეძლოთ არ იტკივებდა თავს ქალთა უფლებებზე ზრუნვით, პირიქით თავისი საზოგადოებრივი ქმედებით, და მკაცრი შავი სამოსით, რომელსაც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ატარებდა, იგი ვიქტორიანიზმის სიმბოლოდაც კი იქცა. მაგრამ ცხოვრებაში დედოფალი ვიქტორია სულაც არ იყო ტკივილთმთმენი, მოკრძალებული და მორჩილი ქალი ანუ განსახიერება ქალის იმ სტერეოტიპისა, რომელიც მისი მეფობისას გაბატონდა, არამედ

<sup>20</sup> Gisela Bock, *Women in European History*, Blackwell Publishers: Oxford, 2002, 91.

<sup>21</sup> Article: ‘Frauenfrage’, in *Meyers Konversations-Lexikon*, vol.6 (Mahnheim, 1894), 822. ციტირებულია: Gisela Bock, *Women in European History*, Blackwell Publishers: Oxford, 2002, 84.

პირიქით. ისტორიისთვის ცნობილია, რომ იგი მშობიარობისას ტკივილების გაყუჩების მიზნით იყენებდა ქლოროფორმს. არსებობს ვერსია, რომ მშობიარობისას ანესთეზია სწორედ მისი მაგალითებიდან დამკვიდრდა.

დედოფალი თავისი ცხოვრების წესით არც იმ მოსაზრებას ამტკიცებდა, რომ დედობა ქალის უმაღლესი დანიშნულებაა, ერთ-ერთ პირად წერილში იგი წერს თავის ორსულ ქალიშვილს,<sup>22</sup> რომ „ორსულობისა და მშობიარობის დროს მგონია ძროხებს ან ძალებს ვემსგავსებით; როცა ჩვენი უბადრუკი არსება ცხოველის მსგავსი და არაესთეტური ხდება [...] ჩვენი სქესის ყველაზე ნაკლებად უნდა შურდეს კაცს.“ ხოლო, როცა ცხრა მშობიარობის შემდეგ დედოფალს აუკრძალეს შემდგომი ორსულობები, მან თავის ექიმს შესჩივლა: „ეჰ, ექიმო, ნუთუ ჩემთვის სარეცელის ყველა სიამოვნება დამთავრდა?“<sup>23</sup> რაოდენ ირონიულიც არ უნდა იყოს ასე მსჯელობდა მონარქი, რომლის პიროვნებამაც წარუშლელი კვალი დატოვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის მონანილეობისა და როლის შესახებ გაბატონებულ მოსაზრებებზე. მას თავად ნაკლებად ავიწროვებდა ის გენდერული სტერეოტიპები, რომელსაც მისი მეფობის ხანაში ჩაეყარა მყარი საფუძველი, ვინაიდან დედოფალი ვიქტორია უბრალოდ პრივილეგირებული იყო თავისი კლასობრივი მდგომარეობის გამო. მის მსგავსად მაღალი ფენების სხვა ქალებსაც შეეძლოთ მეტ-ნაკლები წარმატებით გადმოსულიყვნენ მათვის განკუთვნილი მწირი საზოგადოებრივი კალაპოტიდან, მაგრამ საბოლოო ჯამში ყველა ქალი მეტი უფლებებით ტკბობას საკუთარი წარმომავლობის ან დიდი ნიჭის წყალობით ახერხებდა და არა იმიტომ, რომ მათი თანამედროვე სამართალი, შესაბამისად სამართალშემოქმედი და ზოგადად პოლიტიკა აძლევდა მათ ემანსიპაციის საშუალებას.

ქალის რაობაზე და მისი როლის დადგენაზე დიდი დებატები იმართებოდა ასევე საფრანგეთში, ქალთა ისტორიის მკვლევარი გიზელა ბოკი აღნიშნავს, რომ 1843 წელს გამოცემული *Encyclopedie Nouvelle* წერდა: „ეს ვითარება არ წარმოადგენდა დებატებს მეცნიერებს შორის, არამედ შეეხებოდა თანამედროვე ქალების ბეჭ-ილბალს“.<sup>24</sup> ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი ფრანგი ქალბატონი ეუგენი ნიბოი (Eugenie Niboyet) ითხოვდა ქალებისათვის ხმის უფლების მიცემას 1848 წელს, „ჩვენ არ გვინდა გავხდეთ კარგი მამაკაცი მოქალაქეები, ჩვენ უბრალოდ გვსურს გავხდეთ კარგი მოქალაქეები, და თუ ჩვენ ვითხოვთ უფლებებს როგორც ქალები, ჩვენ ვითხოვთ ქალების უფლებებს და არა მამაკაცების უფლებებს.“

ნიბოის უურნალი *La Voix des femmes* (ქალთა ხმა) კიდევ უფრო გათამამდა 1848 წლის აპრილში, რადგან წერდა: „ქალმა კი არ უნდა განიცადოს ემანსიპაცია და დაემსგავსოს მამაკაცს, არამედ მამაკაცი უნდა ემანსიპირდეს და გახდეს ქალი.“<sup>25</sup> ათი წლის შემდეგ ჯენი დ'ჟერიკო (Jenny d'Hericourt) ბებიაქალი (1870 წლამდე საფრანგეთში ქალებს ეკრძალებოდათ მედიცინებს შესნავლა) ქალთა ხმაში წერდა: „ქალებმა უნდა მოითხოვონ თავიანთი უფლებები, არა როგორც ქალებმა, არამედ როგორც ადამიანებმა და სოციუმის წევრებმა.“<sup>26</sup> სწორედ ამ მიზეზით, მას მიაჩნდა, რომ ქალების მხრიდან ხმის უფლების მოთხოვნა ნაადრევი იყო, ვინაიდან არსებულ სიტუაციაში ქალები იმასვე დაუჭერდნენ მხარს, რასაც მამაკაცები. ხმის უფლების მოთხოვნის აუცილებელ წინაპირობად მას ქორწინებაში ქალთა თანაბარუფლებიანობა, გაყრისა და განათლების მიღების უფლების ქონა მიაჩნდა. 1863 წელს ამ აზრების ავტორი ემიგრაციაში წავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც უკვე ინგლისურ ენაზე აგრძელებდა წერას, სახლის საქმე ისეთივე შრომა და საქმეა როგორც სხვა ნებისმიერი, მამაკაცებმა ააგეს და გამოიგონეს ქალის ბუნება, რომელსაც სინამდვილეში ჩვენ ვერასდროს შევიცნობთ თუ არ მოვაშორებთ არსებულ შეზღუდვებს. მხოლოდ თავისუფლებისა და

<sup>22</sup> 1858 წელს, როდესაც ეს წერილი დაწერა, დედოფალი ვიქტორიას უფროსი ქალიშვილი ვიქტორია გათხოვილი იყო პრუსიაში და ფეხმძიმედ იყო ვილჰელმ II-ზე.

<sup>23</sup> Gisela Bock, *Women in European History*, Blackwell Publishers: Oxford, 2002, 93.

<sup>24</sup> Riot-Sarcey, 48; Pierre Leroux and J. Reynaud (eds.), *Encyclopedie Nouvelle*, vol. 5, col.212 (Paris, 1848; reprint Geneva, 1991)

<sup>25</sup> La Voix des femmes 20, (11 April 1848), pp1f.; Riot-Sarcey, 81, 194;

<sup>26</sup> Jenny d'Hericourt, *La Femme affranchie*, 2 vols (Brussels, 1860), vol.2, 209; Moses and Rabine, 13.

თანაბარუფლებიანობის, თანაბარი აღზრდისა და განათლების პირობებში გახდება შესაძლებელი მამაკაცისა და ქალის ნამდვილი სახისა და ბუნების დანახვა – ასე სწამდა ქალთა მოძარობის ამ ადრეულ მოაზროვნეს.

XIX საუკუნის ამერიკაში და ევროპაში მცხოვრებ ქალებს ეკრძალებოდათ განათლების მიღება, როცა მათი ძმების განათლებაზე ოჯახები დაუცხრომლად ზრუნავდნენ. მათ ეკრძალებოდათ ხმის ამოღება საჯარო შექრებებზე და თუ ასეთი ინცინდენტი მოხდებოდა ეკლესია და საზოგადოება მათ კიცხავდა ულირსი აქტივობისათვის. მათი მემკვიდრეობით მიღებული ქონება გათხოვებისას ავტომატურად ქმრის საკუთრება ხდებოდა და ქალიც მამის გავლენიდან ქმრის გავლენაში, საკუთრებაში გადადიოდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქალებს უწევდათ იმ კანონებისადმი მორჩილება, რომლის ავტორებიც თვითონ არ იყვნენ და ვერც იქნებოდნენ, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ, როგორც თავად მიაჩნდათ, უმთავრესი, პოლიტიკური უფლებები, უფლება საკანონმდებლო ორგანოში მოსვლისა, რომ შეეცვალათ კანონები და შეექმნათ ისეთი კანონები, რომლებიც მათ ინტერესებსაც დაიცავდა. არსებული უუფლებო მდგომარეობის გათვალისწინებით გასაკვირი არ არის, რატომ განიხილავდნენ პირველი ტალღის ფემინისტები ანუ ქალთა მოძრაობის ადრეულ ლიდერები არჩევნებში მონაწილეობას ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების პანაცეად.

თუმცადა XIX საუკუნეში დაწყებული პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლა თავდაპირველად მამაკაცთა ხმის უფლებისათვის ბრძოლას წარმოადგენდა. ჩვეულებრივ ევროპაში ხმის უფლება ეძლეოდათ ქონებრივი ცენზით, ზოგ შემთხვევაში (მაგალითად, ბრიტანეთში) კომლური პრინციპით, იშვიათ შემთხვევებში (იტალია, პორტუგალია) დაწყებითი ან უმაღლესი განათლების ქონის მიხედვით. მეცხრამეტე საუკუნე ხასიათდება არჩევნებში მონაწილეობის უფლებისათვის სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების ბრძოლით, რომელსაც ევროპაში გარკვეული დოზით ლიბერალები, ძირითადად კი, შრომითი მოძრაობა ახორციელებდა. ბრიტანეთში ეს მოძრაობა 1832 წლის დიდი რეფორმის აქტით დაიწყო (the Great Reform Act of 1832); საფრანგეთში ბურუჟაზიული რევოლუციით და განახლდა 1830 წლის ივლისის რევოლუციით; ბელგიაში 1831 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებით; ნორვეგიაში 1814 წლის კონსტიტუციით; შვეიცარიაში 1815 წლის კონსტიტუციით; გერმანიაში ფედერალური მიწების ადრეული კონსტიტუციონალიზმით (პირველი ბადენის 1818 წლის კონსტიტუცია იყო) და ა. შ.

საფრაჯიზმი (Suffragism), წარმოსგება ინგლისური სიტყვისგან შუფფრაგე – რაც ხმის მიცემას, არჩევნებში მონაწილეობას ნიშნავს. შესაბამისად ქალებს, რომლებიც პოლიტიკური უფლებებისათვის დაწყებულ მოძრაობაში მონაწილეობდნენ საფრაჯისტები (suffragists) ენოდებოდათ. იყო ასევე ქალთა პოლიტიკური უფლებებისათვის მებრძოლი რადიკალური დაჯგუფება ე.წ. საფრაჯეტები (suffragettes), რომლებიც ძირითადად საფრანგეთში მოღვაწეობდნენ და თავიანთი აგრესიულობით გამოირჩეოდნენ. მათ აგრესიული ტაქტიკა (შეხვედრების დარბევა, ფანჯრების ლენვა) განვითარება აირჩიეს, რომ მიეპყროთ საზოგადოების ყურადღება. ისინი იმდენად გავლენიანები აღმოჩნდნენ თავიანთ ქმედებაში, რომ პოპულარულ ისტორიულ მეხსიერებაში ხმის უფლებისათვის მებრძოლი ქალები სწორედ აგრესიულ ქალებთან ასოცირდებიან, მაშინ როდესაც საფრაჯისტების უმეტესობა არ იზიარებდა საფრაჯეტების მეთოდებს და სურდა მათგან გამიჯვნა.

ის გზა, რომელიც ქალებმა განვლეს იმისათვის, რომ არჩევნებში მონაწილეობის უნივერსალური (აქტიურიცა და პასიურიც) უფლება მოეპოვებინათ განსხვავდებოდა სირთულისა და ხანგრძლივობის მიხედვით. 21 ევროპულ ქვეყანაში ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება XX საუკუნის დასაწყისში მიეცათ, ძირითადად პირველი მსოფლიო ომის შემდეგ: პირველი მათ შორის იყო ფინეთი (1906), შემდეგ ნორვეგია (1907), ჩვიდმეტ ქვეყანაში 1915-1922 წლებში მიიღეს ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება (1920 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში), ესპანეთსა და პორტუგალიაში 1931 წელს. საფრანგეთში 1944, იტალიაში 1945, საბერძნეთში 1952, ხოლო შვეიცარიაში 1971 წელს. ამ ხანგრძლივი გზის მიუხედავად, ქალთა ისტორიის მკვლევარი გიზელა ბოკი მიიჩნევს, რომ „საფრაჯიზმი“ სხვადასხვა ქვეყანაში

მსგავსად მიმდინარეობდა, არა მარტო იმიტომ, რომ საბოლოოდ ამ მოძრაობამ თავის მიზანს მიაღწია, არამედ სხვა მსგავსი მიზეზების გამოც.

მაგალითისთვის, ქალები ყველგან ხმის უფლებას ისეთ მომენტში ითხოვდნენ, როდესაც ხედავდნენ წარმატების მიღწევის რეალურ შანსს. დიდ ბრიტანეთში პირველი მიმართვა ქალებისათვის ხმის მიცემის მოთხოვნით იყო „ადამიანთა ერთი მოდგმის, ქალების მიმართვა ადამიანთა მეორე მოდგმის, მამაკაცების პრეტენზიების წინააღმდეგ“ 1825 წელს ანა ვილერისა და ვილიამ ტომფსონის ავტორობით. ადრეული მოთხოვნა ქალებისათვის ხმის უფლების მინიჭებისა ეკუთვნოდა მერი სმიტს, რომლის შესახებაც ამ ფაქტის გარდა თითქმის არაფერია ცნობილი, იგი ქალებისათვის ხმის მიცემას ქონებრივი ცენზის საფუძველზე ითხოვდა. ვინაიდან გათხოვილ ქალებს ერთმეოდათ საკუთრების უფლება, ეს მოთხოვნა რომ გაეთვალისწინებინა თემთა პალატას ამ უფლებით მხოლოდ გაუთხოვარი ქალები ისარგებლებდნენ. მისი პეტიცია წინ უძლოდა 1832 წლის რეფორმის აქტს და ერთადერთი რასაც მიაღწია იყო ის, რომ ქალები გარკვევით და მყარად გამოთიშეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების პროცესიდან, ვინაიდან 1832 წლის დიდი რეფორმის აქტი უშუალოდ „მამაკაც-მოქალაქეებს“ შეეხებოდა. ვიდრე ბრიტანეთში 1867 წლის მეორე რეფორმის აქტს მიიღებდნენ, ახლადშექმნილმა ქალთა ხმის უფლებისათვის მებრძოლმა კომიტეტმა 1865 წელს მოამზადა პეტიცია ლორდთა პალატისათვის, რომელსაც ორ კვირაში 1 500-მა ქალმა მოაწერა ხელი. თემთა პალატას პეტიცია ჯონ სტიუარტ მილმა წარუდგინა, მილი ითხოვდა გაუთხოვარი ქალებისთვის მიეცათ აქტიური ხმის უფლება იგივე პირობებით, რა პირობებითაც მამაკაცებს ჰქონდათ ეს უფლება. მილი უბრალოდ ითხოვდა აქტში სიტყვა „კაცი“ შეეცვალათ „პიროვნებით“, მაგრამ როგორც ზემოთ ავლნიშნეთ მილის ეს შეთავაზება არ იქნა გაზიარებული.

ქალთა პოლიტიკური როგორც აქტიური (არჩევნებში ხმის მიცემა), ისე პასიური (კენჭის ყრა) უუფლებობის განცდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაამწვავა მონობის წინააღმდეგ დაწყებულმა კამპანიამ. 1840 წელს ელიზაბეტ ქეიდი სტენტონი<sup>27</sup> და ლუკრეცია მოტი<sup>28</sup>, ამერიკული მონობის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოების წევრები გაემგზავრენ ლონდონში დელეგატებად მონობის წინააღმდეგ გამართულ მსოფლიო შეხვედრაზე. ორივე ქალბატონი აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ შეხვედრაზე მათ ბრიტანელი ქალების მსგავსად აეკრძალათ საჯაროდ სიტყვით გამოსვლა. შტატებში დაბრუნებისთანავე მათ განიზრახეს წამოეწყოთ ძლიერი მოძრაობა ქალთა უფლებებისათვის.

ამ გადაწყვეტილების შედეგად, რვა წლის შემდეგ 1848 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სენეკა ფოლსში, ნიუ იორკის შტატი, ჩატარდა ქალთა უფლებების პირველი კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები ლუკრეცია მოტი და ელიზაბეტ ქეიდი სტენტონი გახლდნენ. „სენტიმენტების დეკლარაცია“, დოკუმენტი, რომელიც სენეკა ფოლსში გამართული დისკუსიების შედეგია ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ყაიდაზეა დაწერილი და ქალებისა და მამაკაცების უფლებრივი თანასწორობისაკენ მოუწოდებს, მას ხელს კონფერენციის წევრი 68 ქალი და 32 მამაკაცი აწერს.

„ჩვენ მიგვაჩინია აშკარა ჭეშმარიტებად ის, რომ მამაკაცი და ქალი თანაბარუფლებიანებად შეიქმნენ და მათ შემოქმედმა მიანიჭა ძირითადი და თანდაყოლილი უფლებები; რომელთა შორისაც არის სიცოცხლე, თავისუფლება, და ბედნიერებისაკენ სწრაფვა,“<sup>29</sup> წათქვამია დეკლარაციის შესავალში.

შესავალს მოჰყვება ნუსხა დისკრიმინაციის იმ სხვადასხვა ფორმებისა, რასაც ქალთა სქესი განიცდის. კერძოდ, არჩევნებში მონაწილეობის უფლების არ ქონა, იმ კანონების მორჩილება,

<sup>27</sup> ელიზაბეტ ქეიდი სტენტონი იურისტისა და პოლიტიკოსის დანიელ ქეიდის ოჯახში დაიბადა 1815 წლის 12 ნოემბერს. მამის წიგნებით ელიზაბეტმა შეისწავლა სამართალი, მაგრამ იურიდიულზე ჩაბარება ვერ მოახერხა, ვინაიდან ქალებს უმაღლესში იმ დროს არ იღებდნენ. მან თავისი ცხოვრების 50 წელი მიუძღვნა ქალთა უფლებებისათვის ბრძოლას და ისე გარდაიცვალა 1902 წლის 26 ოქტომბერს, რომ ვერ მოესწრო 1920 წელს, როგორც ამერიკის კონსტიტუციაში 19-ე დამატების შეტანის გზით ქალებმა მოიპოვეს საწუკვარი ხმის უფლება.

<sup>28</sup> ლუკრეცია კოფინ მოტი (1793-1880) კვაკერთა რელიგიური დაჯგუფების წევრი იყო, ელიზაბეტ ქეიდი სტენტონთან ერთად ლუკრეცია მოტიც იბრძოდა მონობის გასაუქმებლად და ქალთა თანაბარუფლებიანობისათვის.

<sup>29</sup> The Declaration of Sentiments, Seneca Falls Conference, 1848.

რომლის შექმნაშიც ქალებს არ მიუღიათ მონაწილეობა. გათხოვების შემთხვევაში ყველანაირი უფლების დაკარგვა, ქმრის მორჩილებაში გადასვლა, რომელსაც უფლება ეძლევა განკარგოს ცოლის საკუთრება და შემოსავალი, ასევე აღზარდოს და თუ საჭიროა დასაჯოს იგი. ქალებს არ აქვთ განათლების მიღების უფლება, არ აქვთ უფლება აქტიური ეკლესიური ცხოვრებისა, მათ მამაკაცებმა მორალის სხვანაირი უფრო მკაცრი კოდი დაუწესეს და გააკეთეს ყველაფერი, რომ ქალებს დაეკარგათ საკუთარი ძალების რწმენა, საკუთარი თავის პატივისცემა და გასჩენოდათ სურვილი ეცხოვრად დამოკიდებულებს თავიანთ „კეთილისმყოფელ“ მამაკაცებზე. ამ მთავარი არგუმენტების საფუძველზე დეკლარაცია ითხოვს ქალთა უფლებო მდგომარეობის აღმოფხვრას და მათვის ყველა იმ უფლებისა და პრივილეგიის აღდენას რაც ამერიკის მამაკაც მოაქალაქებს აქვთ.

1866 წელს სტენტონმა, მოტმა, სიუზან ბ. ანთონინი<sup>30</sup> და მათმა თანამოაზრებმა დაარსეს „ამერიკის თანაბარი უფლებების ასოციაცია“, შემდგომში „ეროვნული ქალთა ხმის უფლების ასოციაცია“, რომელიც იბრძოდა ქალთა პოლიტიკური უფლებებისათვის, ასევე გაყრის გაადგილების, დასაქმებისა და შრომის ანაზღაურებისას დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

ლუკრეცია მოტს ეკუთვნის აზრი, რომლის ხორცშესხმასაც დღემდე ცდილობენ ამერიკელი ქალები: „კაცებსა და ქალებს, მთელს ამერიკის შეერთებულ შტატებში თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეთ“.

ამერიკაში დაწყებული მოძრაობის მიუხედავად, ბრიტანეთში ქალთა პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლა მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ 1885 წლის წარუმატებლობამ, როდესაც ბრიტანეთის რეფორმის აქტის საფუძველზე ხმის უფლება მიწაზე მომუშავებებს მიეცათ და ქალებს კიდევ არა, ფრთხი შეკვეცა ქალთა მოძრაობას. ამ დროისათვის, ამერიკაში ფემინისტური მოძრაობა ენთუზიაზმითაა აღსავს და სულ უფრო მეტ და მეტ შტატში იზრდება ქალებისათვის პოლიტიკური უფლებების მიცემის მომხრეთა რიცხვი.

1902 წელს სიუზან ბ. ენთონი ენვია ინგლისს და ცხოვრობდა მანჩესტერში ქრისტაბელ პანკურსტთან, სწორედ ამ ვიზიტის შტაბეჭდილებების ქვეშ განაცხადა სიუზანის გამგზავრების შემდეგ მისმა მასპინძელმა ქრისტაბელ პანკურსტმა: „გაუსაძლისია იმაზე ფიქრიც კი, რომ ქალთა კიდევ ერთმა თაობამ უნდა დახარჯოს თავიანთი ცხოვრება ხმის უფლების თხოვნით. ჩვენ დროის კარგვის უფლება არ გვაქვს, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ“.

ამ სიტყვებმა შთააგონა ბრიტანელ ქალთა პროაქტიური მოძრაობა პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეაყოვნა 1914 წელს, თუმცა 1918 წელსვე ნაწილობრივი წარმატებით დაგვირგვინდა.

ამ პერიოდის ამერიკაში, უკვე 1912 წლისათვის მრავალ შტატში მოიპოვეს ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება და კიდევ რვა წლის დებატებისა და გაცხარებული ბრძოლის შედეგად მიაღწიეს საბოლოო გამარჯვებას – სრულ პოლიტიკურ თანაბარუფლებიანობას ელის პოლის (lise Paul) თაოსნობით. ამ გამარჯვებით თავისთავად ვერ გადაწყდა ყველა არსებული პრობლემა, რომელიც სქესთა იერარქიული ურთიერთობიდან გამომდინარეობს. ამ გამარჯვების შემდეგ პირველი ტალღის ამერიკელი ფემინისტები დაუპრუნდნენ 1848 წლის ლუკრეცია მოტის (Lucretia Mott) „სენტიმენტების დეკლარაციას“, და იქ დასმული სხვა საკითხების, კერძოდ, განქორწინების გაადვილების, მემკვიდრეობისა და შრომის ანაზღაურების საკითხების გადაჭრისათვის ბრძოლა წამოიწყეს.

მიზანშეწონილად მივიჩნიე კურსის ამ მონაკვეთში გავიხსენოთ ასევე ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის ისტორია. 8 მარტს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღნიშნავენ. ამ დღეს აღნიშნავს ასევე გაერთიანებული ერების

<sup>30</sup> სიუზან ბ. ენთონი (1820-1906) 50 წელზე მეტ ხანს წარმოადგენდა ქალთა უფლებებისათვის მოძრაობის ერთერთ წამყვან მებრძოლს. სიუზან ბ. ენთონი და ელიზაბეტ ქეიდი სტენტონი ერთმანეთს 1851 წელს მონობის გაუქმდისათვის მებრძოლთა წრებიდან შეხვდნენ და მათი ისტორიული მეგობრობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. სიუზან ენთონის „საფრანგისტების“ მოძრაობის ნაპოლეონსაც კი უწოდებენ, თავისი ორგანიზატორული და ტაქტიკური ნიჭის გამო.

ორგანიზაცია, ზოგიერთ ქვეყანაში კი (მათ შორის საქართველოში დედათა დღეს 3 მარტან ერთად), ეროვნულ დღესასწაულადაა გამოცხადებული.

ქალთა საერთაშორისო დღის დაწესების იდეა პირველად მეოცე საუკუნის დამდეგს გაჩნდა. 1909 წელს, ამერიკის სოციალისტური პარტიის დეკლარაციის საფუძველზე ამერიკის შტატებში პირველი ქალთა ეროვნული დღე 28 თებერვალს აღინიშნა. 1913 წლამდე ამერიკაში ქალთა დღეს თებერვლის ბოლო კვირა დღეს აღინიშნავდნენ. 1910 წელს სოციალისტური ინტერნაციონალის შეხვედრაზე კოპენჰაგენში ქალთა დღის დაარსება ქალთა მოძრაობის ღვაწლის დასაფასებლად და ასევე იმის საჩვენებლად, ქალებისათვის არჩევნებში მონაწილების უფლების მინიჭების მოთხოვნისადმი მხარდაჭერის გამოსახატავად. კონფერენციის 100-მა მონაწილე ქალმა 17 ქვეყნიდან (რომელთა შორისაც იყო პირველი სამი ქალი, რომელიც ფინეთის პარლამენტში აირჩიეს) ერთხმად მიიღო ეს შემოთავაზება, თუმცალა კონკრეტული თარიღი არ დაუდგენიათ. ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად 1911 წელს ქალთა საერთაშორისო დღე ავსტრია, დანია, გერმანიასა და შვეიცარიაში 19 მარტს აღინიშნა. ამ ქვეყნებში მიღიონზე მეტმა ქალმა და მამაკაცმა მიიღო მონაწილეობა მსვლელობებში, რომელთა მოთხოვნები ქალებისათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლებისა და გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე მათი რაოდენობის გაზრდის გარდა, ქალებისათვის მუშაობის უფლების, პროფესიულ წვრთნის საშუალებისა და სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის აღმოფხვრას შეადგენდა.

1913-1914 წლებში რუსმა ქალებმა აღნიშნეს თავიანთი პირველი ქალთა საერთაშორისო დღე 1913 წლის თებერვლის უკანასკნლე კვირა დღეს. რუსეთში ქალთა დღის აღნიშვნა პირველი მსოფლიო ომის საფრთხის აცილებისათვის მებრძოლი სამშვიდობო მოძრაობის ღონისძიებათა ფარგლებში მოხდა. მომავალ წელს ევროპის სხვადსხვა ქვეყნებში ქალებმა 8 მარტს გამართეს მსვლელობა ომის წინააღმდეგ.

1917 წელს, მაშინ, როდესაც რუსეთის დროში ქვეშ მებრძოლი 2 მიღიონი ჯარისკაცი დაიღუპა პირველი მსოფლიო ომის ბრძოლებში, რუსეთის იმპერიის ქალებმა ისევ თებერვლის ბოლო კვირა დღე აირჩიეს გაფიცვისათვის „პური და მშვიდობა“. პოლიტიკური ლიდერები ეწინააღმდეგებოდნენ ამ გაფიცვას, მაგრამ ქალებმა თავისი არ დაიშალეს. გაფიცვიდან ოთხი დღის შემდეგ მეფე ჩამოაგდეს და დროებითმა მთავრობამ ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა. ეს ისტორიული კვირა დღე, როდესაც გაფიცვა გაიმართა დაემთხვა 23 თებერვალს იულიანური კალენდრით (რომელიც იმ უამად გამოიყენებოდა რუსეთში), ხოლო გრიგორიანული კალენდრით ეს იყო 8 მარტი.

ამ მოვლენათა შემდეგ ქალთა საერთაშორისო დღე მსოფლიოს მასშტაბით დამკვიდრდა, რასაც ხელის ასევე შეუწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში გამართულმა ქალთა ოთხმა მსოფლიო კონფერენციამ, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

## 2. პროლეტარიატი და გენდერული დისკრიმინაცია ადრეული პოლიტიკური სახელმწიფოს დროს – საბჭოთა კავშირი 1918-1936 წლებში.

### ლიტერატურა:

Goldman, Wendy, Z. *Women, the State and Revolution: Soviet family Policy and Social Life, 1917-1936*, Cambridge: Cambridge University Press, 1993, 8-56.

Kollontai, Allexandra, “The Soviet Woman – a Full and Equal Citizen of Her Country”.

## პრირა 4

1. პროლეტარიატი და გენდერული დისპრიმინაცია აღრეული  
ბოლშევიკური სახელმწიფოს დროს – საბჭოთა კავშირი 1918-1936 წლებში  
(გამოძიებება).

### ლიტერატურა:

Goldman, Wendy, Z. *Women, the State and Revolution: Soviet family Policy and Social Life, 1917-1936*, Cambridge: Cambridge University Press, 1993, 59-104.

Kollontai, Alexandra, "Communism and the Family", 1920.

1917 წელს ბოლშევიკების საკონონმდებლო ინიციატივებმა ქალებს სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების მთელი სპექტრი მიანიჭეს და ახალი კანონმდებლობის წინაშე ქალი და მამაკაცი უფლებრივად გათანაბრდა. ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ თითქმის ერთ თვეში ქალებს მოეხსნათ გაყრის შემთხვევაში უძრავ ქონებასთან და ბავშვებზე მზრუნველობასთან დაკავშირებული შეზღუდვების მთელი რიგი. ქალებს მიეცათ განათლების მიღების, პროფესიის თავისუფლად არჩევის, საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება. ქალებს მიენიჭათ უფლება მამაკაცის თანაბარი ანაზღაურების მიღებისა თანაბარ შრომაში (Equal pay for equal work). ამგვარად 1918 წლის ივლისში მიღებულმა კონსტიტუციამ გააძლიერა ქალთა და მამაკაცთა პოლიტიკური და სამოქალაქო თანასწორობა. რუსეთის საბჭოთა ფედერაციის 1918 წლის სამოქალაქო კოდექსში ქორწინების ერთადერთ ფორმად სამოქალაქო ქორწინება დაადგინა, ამ პერიოდამდე რუსეთში იურიდიული ძალა მხოლოდ რელიგიურ ქორწინებას ჰქონდა. ქორწინების რეგისტრაციის პროცედურა ძალიან გაიოლდა, ასევე გაიოლდა განქორწინების პროცედურა. ამ რეფორმის შედეგად მოიმატა ქორწინებისა და განქორწინების რაოდენობამ, განსაკუთრებით ახალგაზრდა წყვილებში. 1920 წელს მოხდა აპორტის ლეგალიზება.

ახალგაზრდა ბოლშევიკურ სახელმწიფოში განხორციელებული საკანონმდებლო ინიციატივები წარმოადგენდა მსოფლიოს მასშტაბით ქალთა ემანსიპაციის ყველაზე პროგრესულ და რევოლუციოურ ცვლილებებს. 1930-იანი წლების მეორე ნახევრამდე საბჭოთა კავშირი, ქალთა სამართლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, მსოფლიო ლიდერად რჩებოდა. ამ ვითარების გათვალისწინებით, საინტერესოა, როგორ ესმოდათ ბოლშევიკური რევოლუციის ავტორებს თანასწორი უფლებები; თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის მიხედვით, უფლება წარმოადგენს „თანასწორობის, თავისუფლებისა და სამართლიანობის საყველაოდ სავალდებულო ფორმას“, მარქსისტული იდეოლოგიის თანახმად, უფლება კლასობრივი ხასიათის ფენომენი იყო და „კლასობრივი ჩაგვრის იარაღად“ გამოიყენდოდა. „მუშათა“ კლასის (მუშები და გლეხები) ქალების ინტერესები და მოთხოვნები აღიქმედობა ჩაგრული უმრავლესობის საერთო ინტერესებად და მოთხოვნებად, გაბატონებული უმცირესობის ინტერესებისა და მოთხოვნების საწინააღმდეგოდ. ხოლო ის წინააღმდეგობები, რაც არსებობდა „მუშათა“ კლასის ქალებსა და მამაკაცებს შორის და, მით უმეტეს, ქალების სვადასხვა ჯგუფებს შორის იგივე კლასის შიგნით (მუშა ქალები, მუშათა ცოლები, გლეხი ქალები, შინამოსამსახურეები) იგნორირებული იყო. იმავდროულად სხვა ფენების წარმომადგენელი ქალები – დიდგვაროვნები, ვაჭართა შვილები და ცოლები, სასულიერო პირთა შვილები და ცოლები, ინტელიგენცია ყოველგვარ უფლებებს მოკლებული აღმოჩნდა. მგვარად, ქალთა თანასწორობის პროლეტარულმა კონცეფციამ იმთავითვე გარიყა ქალთა სხვა ჯგუფები, მათ შორის ლიბერალური მოძრაობის ბევრი აქტივისტი ქალი.

მძლავრი ინდუსტრიალიზაციის პროცესში სოფლის მოსახლეობის ქალაქში ჩამოდინება გამოიწვია, რამაც ხელი შეუწყო დიდგვაროვანთა კულტურის, ფასეულობებისა და იდეალების

ჩანაცვლებას ახალი „პროლეტარული“ იდეებითა და ლირებულებებით, რომელთა მიხედვით ქალის როლი ოჯახში და საზოგადოებში უნდა გატოლებოდა მამაკაცის როლს. თუმცა ამ თვალსაზრისით, გადადგმულმა პირველივე ნაბიჯებმა აჩვენა, რომ მხოლოდ თანასწორი პოლიტიკური უფლებების მინიჭება ქალებისთვის არ იყო საკმარისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონანილეობისა და როლის გასაზრდელად. თვით ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობა არ მიიჩნევდა ქალებს საკმარისად კვალიფიციურად იმისათვის, რომ მათ ისევე ეფექტურად ესარგებლად თავიანთი უფლებებით, როგორც ამას აკეთებდნენ მამაკაცები. 1926 წელს, ქალთა 26% ჯერ კიდევ წერა-კითხვის უცოდინარი იყო.<sup>31</sup>

მუშათა კლასის წარმომადგენელ ქალთა მონანილეობა პროლეტარულ მოძრაობაში მინიმალური იყო, რაც ბოლშევიკური პარტიის მესვეურთ საშუალებას აძლევდა ქალთა საკითხი განეხილათ როგორც „კულტურულად ჩამორჩენილი მოსახლეობის“ საკითხი. ბოლშევიკ ლიდერთა წერილებსა და გამოსვლებში იგრძნობა ქალთა ობიექტივიზაცია ანუ მათი როგორც განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი არსებების განვითარებისათვის ზრუნვა, რომლებსაც თავად არ შესწოდათ განვითარების უნარი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას სურდა სქესთა თანასწორობის იდეის შემოტანა და იდეოლოგიური გამტკიცება, რათა უფრო მეტი და მეტი ქალი ჩართულიყო ოჯახს გარეთ შრომაში ანუ მომხდარიყო მათი ენერგიისა და შრომის ექსპლუატაცია, ხოლო იმას, რომ ისინი დიდ ცვლილებას შეიტანენ პოლიტიკურ წყობასა და აზროვნებაში ხელისუფლება არ მოელოდა. ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ ქალები მოიქცეოდნენ სწორედ ისე, როგორც ეს აღნერილი იქნებოდა იდეოლოგიურ ბუკლეტებსა და სხვა პუბლიკაციებში, ვინაიდან მუშათა კლასის წარმომადგენელი ქალის ინტერესები და სურვილები უნდა განუხროლად შეესაბამებოდეს კლასის ინტერესებსა და სურვილებს. თუ დღეს ამგვარი აზროვნებისა და იდეოლოგის უტოპიურობა ბევრისთვისაა თვალში საცემი, იმ პერიოდში ამას ძალიან ცოტა ადამიანი ამჩნევდა და აღიარებდა კიდეც.

ამ უმცირესობას მიეკუთვნებოდა ადრეული ბოლშევიკური საზოგადოების ერთ-ერთი თვალშისაცემი ფიგურა და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობაში ერთადერთი ავტორიტერული ქალი – ალექსანდრა კოლონტაი.<sup>32</sup> კოლონტაის სახელს წინააღმდეგობებით აღსავსე ცნობები უკავშირდება. რევოლუციის დასრულებისთანავე ალექსანდრა კოლონტაი, რომელიც წარსულში ცნობილი იყო, როგორც მენშევიკების პარტიის აქტივისტი და სოციალისტური ფემინიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი ბოლშევიკების რიგებში გადადის და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სათავეში დგება. ამ თანამდებობიდან, იგი აქტიურად ახორციელებს ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას მუშათა კლასის ქალებთან მიმართებაში. მიუხედავდ იმისა, რომ კოლონტაი მხარს უჭერდა პარტიის ძირითად მიმართულებას ქალთა გათავისუფლებისა მათი საზოგადოებრივ წარმოებაში ჩართვის გზით და ხედავდა ქალთა დიდ როლს კულტურულ რევოლუციის, კოლონტაი, განსხვავებით მამაკაცი ბოლშევიკი ლიდერებისა, მიიჩნევდა, რომ მხოლოდ წერა-კითხვის შესწავლით ვერ გადაწყდებოდა ქალთა ჩაგრული მდგომარეობის საკითხი, არამედ იმ შემთხვევაში, თუ ქალები სხვაგვარად დაიწყებდნენ ფიქრს საკუთარ თავზე, საკუთარ შესაძლებლობებსა და პასუხისმგებლობებზე. კოლონტაი არ მოიაზრებდა ქალებს როგორც ობიექტებს, რომლებზე ზემოქმედებითაც უნდა მომხდარიყო მათივე განვითარება და გააქტიურება, არამედ როგორც სუბიექტებს, რომელთა გადაწყვეტილებებზე და ქმედებაზეც იყო დამოკიდებული კულტურული რევოლუციის ბედი და საკუთარი მდგომარეობა საზოგადოებაში. თუმცა ამ თვით კოლონტაის შეხედულებებიც ქალების დაწინაურების შესახებ ემყარებოდა ტრადიციული „ქალური“ თვისებებისა და ქცევის ნორმების ჩანაცვლებას „მამაკაცური“ თვისებებითა და ქცევის ნორმებით და არ ისმებოდა კითხვა მამაკაცურობის

<sup>31</sup> Julia Gradskova, Women and Political System of the Soviet State, Moscow State University, 2004,4.

<sup>32</sup> ალექსანდრა კოლონტაი (1872 წლის 31 მარტი-1952 წლის 9 მარტი) საბჭოთა სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფიგურა, დიპლომატი და აგიტატორი იყო.

ავკარგიანობის შესახებ. კოლონტაი მამაკაცურ თვისებებსა და მამაკაცებს უბრალოდ უფრო სრულყოფილ და თავისუფალ არსებებად მოიაზრებდა ახალი სოციალური წყობის შესაქმნელად და ქალების განვითარებისა და გათავისუფლების გზაზ მათ მიერ მამაკაცების უნარ-ჩვევების გადაღება ესახებოდა.

კოლონტაი გახლდათ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ქალებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ავტორი. თავისი ხანგრძლივი და აქტიური პოლიტიკური კარიერის მანძილზე კოლონტაიმ სოციალურ პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა მხოლოდ კარიერის დასაწყისში შეძლო. დიდი საბჭოთა ენციკლოპედია კოლონტაის იხსენიებს როგორც პირველ ქალ ელჩს, რომელიც საბჭოთა მთავრობამ ნორვეგიაში 1923 წელს მიავლინა.<sup>33</sup> კოლონტაის ერთ-ერთი ბიოგრაფის ტომ კონდიტის აზრით, 1920-იანი წლებიდან, როდესაც კოლონტაი საბჭოთა კავშირის ოფიციალურ წარმომადგენლად დაინიშნა ნორვეგიას, შვედეთსა და მექსიკაში „1945 წლამდე, ვიდრე მან უარი არ განაცხადა დიპლომატიურ საქმიანობებზე ჯანმრთელობის გამო, კოლონტაი იმყოფებოდა ერთგვარ გადასახლებაში და როგორც დიპლომატი ჩამოცილებული იყო აქტიურ შიდა პოლიკიას. შესაბამისად, მისი შეხედულებები ოჯახისა და ქალთა სტატუსის შესახებ საბჭოთა კავშირში გახუნდა. როგორც საბჭოთა კავშირის ელჩი შვედეთსა და ნორვეგიაში, სავაჭრო დელეგატი მექსიკაში და დელეგატი ერთა ლიგაში ასევე ფინეთისა და საბჭოთა კავშირის სამშვიდობო მოლაპარაკების მონაწილე 1940 წელს, ალექსანდრა კოლონტაი დიდი გულმოდგინებით ემსახურა ხელისუფლებას და 1946 წლიდან გარდაცვალებამდე (1952 წელი) გახლდათ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი“.<sup>34</sup> კოლონტაის გადართვამ საგარეო პოლიტიკასა და ფიზიკურად საზღვარგარეთ ყოფნამ იქონია გავლენა ქალთა საკითხებთან მიმართებაში 1920-იანი წლების დასაწყისში განვითარებული კოლონტაისებური ხედვის დაკინებასა და არაეფექტურ განხორციელებაზე საბჭოთა კავშირში.

ბოლშევიკური რევოლუციის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა ოჯახური საქმეების კერძო სფეროდან საზოგადოებრივ სფეროში გადმოტანა და ამ გზით მამაკაცებისა და ქალების „გათავისუფლება“. ქორწინება განიხილებოდა როგორც ორი ადამიანის ურთიერთსიყვარულსა და გაგებაზე დაფუძნებული კავშირი, თავისუფალი იმ მოვალეობებისგან, რასაც ოჯახის ინსტიტუტი აკისრებდა მათ ფეოდალურ და კაპიტალისტურ ფორმაციებში.<sup>35</sup> ამგვარად, „ოჯახის გაუქმება და არა ოჯახში არსებული კონფლიქტების მოგვარება წარმოადგენდა ქალთა ემანსიპაციის გასაღებს“,<sup>36</sup> მაგრამ ოჯახისადმი ამგვარი დამოკიდებულება, რწმენა და სურვილი მისი გაუქმებისა არ ვრცელდებოდა ქორწინებაზე. პირიქით, ადრეული ბოლშევიკური სახელმწიფოს რიტორიკა ცდილობდა ქორწინების ახალი ცნების შემოტანასა და დამკვიდრებას, სამოქალაქო ქორწინების შემოღებით, გაყრის პროცედურეს გაიოლებით, აგიტირებით იმგვარი კავშირისა, რომელიც სიყვარულსა და არჩევანის თავისუფლებას ემყარება და არა ეკონომიკურ დამოკიდებულებას. კომუნიზმის მარქსისტული დღის წესრიგი ითვალისწინებდა „საზოგადოების შეცვლას, მისი ეკონომიკური სტრუქტურის შეცვლის ხარჯზე“<sup>37</sup> და სავარაუდოა, რომ რევოლუციის შემდგომ ბოლშევიკითა იდეოლოგიური ზრახვები არ იზღუდებოდა მხოლოდ ეკონომიკური ფორმაციის შეცვლით, არამედ სოციალურისაც და ოჯახის ინსტიტუტისაც მათ შორის. მკვლევარ ვენდი გოლდმანის მიხედვით:

1998 წლის ოქტომბერში, ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლიდან სულ რაღაც ერთი

<sup>33</sup> Большая Советская Энциклопедия, Москва: Советская Энциклопедия, 1973, 437.

<sup>34</sup> Alexandra Kollontai Archives, იხილეთ ინტერნეტში მისამართზე: <<http://www.marxists.org/archive/kollonta/intro.htm>> ბოლო ვიზიტი მარტი 14, 2003.

<sup>35</sup> Tamar Sabedashvili, Paper for the course: Research Methods in Gender Studies. Contents Analysis – Method and Practice, Applied to the Abstract from Aleksandra Kollontai's Article Communism and the Family (1920), Central European University, Budapest, 2003, 2.

<sup>36</sup> Wendy Z. Goldman, Women, the State and Revolution: Soviet Family Policy and Social Life, 1917-1936 (Cambridge: Cambridge University Press, c1993), 6.

<sup>37</sup> Zeev Sternhell, “Fascism: Reflections on the Fate of Ideas in Twentieth Century History”, in Michael Freeden (ed.), Reassessing Political Ideologies: the Durability of Dissent, (London, New York: Routledge, 2001), 109.

წლის გასვლის შემდეგ ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის ანუ უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით, მიღებულ იქნა ახალი კოდექსი ქორწინებას, ოჯახსა და მეურვეობაზე. კოდექსმა საკანონმდებლო ენით ასახა სოციალური ურთიერთობების რევოლუციური ხედვა, რომელიც ემყარებოდა ქალთა თანასწორობას და ოჯახის ფენომენის კვდომას. ბოლშევიკების აზრით, მხოლოდ სოციალიზმს შეეძლო დაეძლია სამუშაოსა და ოჯახს შორის არსებული წინააღმდეგობა. სოციალიზმის პირობებში სახლის სამუშაო გადავიდოდა საზოგადო სფეროში და ის საქმე, რომელსაც მილიონებით ქალი ასრულებდა აუნაზღაურებლად შესრულდებოდა დაქირავებული ადამიანების მიერ, რომლებიც ამაში გასამრჯელოს მიიღებდნენ, იქნებოდა ეს მუშაობა სასადილოებში, სამრეცხაოებში, თუ საბავშვო ბალებში.”<sup>38</sup>

ალექსანდრა კოლონტაის მიერ 1920 წელს გამოქვეყნებული სტატია „კომუნიზმი და ოჯახი“ (სტატია პირველად დაიბეჭდა რუსულად „კომუნისტკას“ 1920 წლის მეორე ნომერში, ხოლო იმავე წელს მოგვიანებით ინგლისურად, ურნალში „ვორქერ“ (*the Worker*) ამ ეპოქის სულისკვეთებითა გაუღენთილი და შესაბამისადაც უნდა აღვიქვათ. სტატიის მიხედვით, სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას ბავშვების აღზრდაზე, ხოლო ოჯახს ჩამოერთმევა მწარმოებლის ფუნქცია და მხოლოდ მომხმარებლის ფუნქცია რჩება:

„მშრომელმა დედებმა არაფერზე უნდა იდარდონ; კომუნისტური საზოგადოება არ წართმევს მშობლებს შვილებს, არ მოსწყვეტს ბავშვს დედის მკერდს, არ ჩაიდენს ძალმომრეობით საქციელს, რომ დაანგრიოს ოჯახი, მსგავსი არაფერი მოხდება!

კომუნისტური საზოგადოების მიზნები განსხვავებულია. კომუნისტური საზოგადოება ხედავს, რომ ძველი ყაიდის ოჯახი ირღვევა და ოჯახს ეცლება ყველა ის საყრდენი, რაც მას როგორც სოციალურ ერთეულს ინარჩუნებდა. შინამეურნეობა კვდება, მუშათა კლასის მშობლებს არ შესწევთ ძალა მოუარონ ბავშვებს, უზრუნველყონ ისინი განათლებითა და არსებობის საშუალებებით. ბავშვები და მშობლები ერთნაირად იტანჯებიან ამ სიტუაციით.

კომუნისტ საზოგადოებას ამის თქმა შეუძლია მშრომელი ქალისა და მამაკაცისთვის: „თქვენ ხართ ახალგაზრდები და გიყვართ ერთმანეთი. ყველას აქვს უფლება იყოს ბედნიერი. იცხოვრეთ თქვენი ცხოვრებით, ნუ გაურბიხართ ბედნიერებას. ნუ გეშინიათ ქორწინების, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალიზმის პირობებში ქორწინება მართლაც რომ უბედურების სათავე იყო. ნუ გეშინიათ ბავშვების გაჩენა, საზოგადოებას სჭირდება მუშაკები და უხარია ყველა ბავშვის დაბადება. თქვენ არ უნდა ინერვიულოთ თქვენი ბავშვის მომავალზე, მას არც სიცივე და არც შიმშილი შეაწუხებს.”<sup>39</sup>

ქალთა ცნობიერების ამაღლებისა და ემანსიპაციის კულტურული პროექტის მთელი სირთულე და წინააღმდეგობრიობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღებაში ქალთა მონაწილეობის განსაკუთრებით კი, ქალთა განყოფილებების (ჟენოტდელების) საქმიანობის გამოიკვეთა. ქალთა განყოფილები იყო ქალთა პოლიტიკური აქტივობის ერთადერთი უწყება და 1920-იანი წლებიდან 1930-იანი წლების დასაწყისამდე არსებობდა. ქალებთან მუშაობის პირველი დეპარტამენტის ხელმძღვანელი 1919 წელს ინესა არმანდი გახდა, შემდგომ ქალთა განყოფილებას ალექსანდრა კოლონტაი და ალექსანდრა სამოილოვა ხელმძღვანელობდნენ. ქალთა განყოფილება მიზნად ისახავდა ქალთა პოლიტიკური ცნობიერების ამაღლებას და საზოგადოებრივ სფეროში მათ გააქტიურებას. იგეგმებოდა ქალ დელეგატთა აქტიური მონაწილეობა სოციალური უზრუნველყოფის, შრომის, სახალხო განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში. ქალი დელეგატების არჩევა ხდებოდა არა მხოლოდ მუშათა რიგებიდან, არამედ

<sup>38</sup> Wendy Z. Goldman, *Women, the State and Revolution: Soviet Family Policy and Social Life, 1917-1936* (Cambridge: Cambridge University Press, c1993), 1, 3.

<sup>39</sup> Aleksandra Kolontai, *Communism and the Family, Selected Writings by Alexandra Kolontai*, (eds. Alison and Busby) 1920. თარგმანი თამარ საბედაშვილი.

დიასახლისებს – მუშათა ცოლებს შორისაც, ქალ დელეგატებს თვალყური უნდა ედევნებინათ სასადილოებისა და კლუბების, საპავშვო ბაღების მუშაობისთვის, დაეცვათ ქალთა და ბავშვთა უფლებები. დელეგატად არჩევამ პირველად მისცა ათასობით ქალს საშუალება თავი მოესინჯა საზოგადოებრივ სფეროში. დასავლეთელმა მკვლევრებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ქალთა განყოფილებების საქმიანობას, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის ენციკლოპედიებსა და ისტორიის სახელმძღვანელოებში ქალთა განყოფილებების მუშაობა გამოტოვებულია.

უურნალ „დელეგატკას“<sup>40</sup> მიხედვით, ქალთა განყოფილებაში მომუშავე ქალები მონაწილეობდნენ წითელარმიელთათვის საჭმლის ულუფის გადანაწილებაში, აკონტროლებდნენ სკოლის მოსწავლეთათვის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გაცემის პროცესებს, ებრძოდნენ მწერებსა და პარაზიტებს საცხოვრებელ სახლებში, ასწავლიდნენ გლეხებს ჯიშიანი ქათმების მოყვანას. თავის მხრივ ქალთა აქტივობას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ქალების თვითშეფასებაზე და მათ ორგვლივ არსებულ სოციალურ რეალობაზე. ამის დასტურია ტროცკის 1923 წლის 13 ივლისს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული სიტყვები, რომ ქალთა განყოფილებებს უკავშირდება მრავალი ოჯახური კრიზისი: ქალთა განყოფილებაში მუშაობის შემდეგ ქალებს წინ ემლებათ ახალი სამყარო, ოჯახი ყურადღების გარეშე რჩება, რაც აღიზიანებს მამაკაცს და იწვევს ოჯახის ნერგას.<sup>41</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა საზოგადოებრივმა აქტივობამ გარკვეული ზეგავლენა იქონია ქალთა თვითშეფასების ზრდასა და გააქტიურებაზე, უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობების სფეროები, ძალიან ახლოს იდგა მათ საოჯახო საქმიანობებთან, ხოლო იდეოლოგიის, ფინანსებისა და თავდაცვის საკითხები, რომელთა მნიშვნელობა და შეფასება გაცილებით უფრო მაღალია, მამაკაცების პასუხისმგებლობის ქვეშ რჩებოდა. იმ ფაქტმა, რომ ქალთა განყოფილებების საქმიანობის კონცენტრირება მოხდა ქალების ტრადიციულ როლებსა და ფუნქციებზე, მოაკლო ქალებს საშუალება გავლენა მოეხდინათ მნიშვნელოვანი სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. 1934 წელს მიღებული გადაწყვეტილებით ქალთა განყოფილებები გაუქმდა და გორბაჩიოვის პერიოდამდე, როცა შეიქმნა ქალთა საბჭოები, მგავსი ტიპის სპეციალიზებულ ქალთა ერთეულს საბჭოთა კავშირში არ უარსებია. 1934 წელს ქალთა განყოფილების გაუქმებას საფუძვლად დაედო მოსაზრება, რომ უკვე დროა ქალი დაწინაურდეს არა როგორც ქალი, არამედ როგორც მუშაკი, საზოგადოების სრულუფლებიანი და განვითარებული წევრი.

ბოლშევიკური რევოლუციის ადრეულ ეტაპზე იმდენად მძლავრი იყო ძველის დანგრევისა და დავინიუბის სურვილი, რომ ქალის გათანაბნორებისა და გათავისუფლების ერთ-ერთ საშუალებად, როგორც აღვნიშნეთ, ოჯახის ინსტიტუტთან ბრძოლა აღიქმებოდა. იმ პერიოდში ბევრი ინერებოდა იმის შესახებ, რომ მონოგამიური ქორწინება ბურჟუაზიის გადმონაშთია, რომელიც მუშათა კლასს არ სჭირდება. ოჯახი არ არის კარგი ადგილი შვილების აღსაზრდელად, ბავშვების აღზრდაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფომ უნდა აიღოს. „თავისუფალი სიყვარულის“ იდეის წინააღმდეგ გამოვიდა ლენინი, მისი შეხედულებები ასახულია ინესა არმანისადმი მიწერილ წერილებში. ლენინი ავითარებდა მარქსის შეხედულებებს და მიიჩნევდა, რომ ქალთა სრული გათავისუფლებისთვის საჭიროა საზოგადოებრივი მეურნეობის არსებობა, რომ საჭიროა ქალი გათავისუფლდეს სახლის საქმეებისგან და მონაწილეობდეს საერთო წარმოებაში.

კლარა ცეტკინისადმი მიცემულ ინტერვიუში „ლენინი ქალთა საკითხებზე“ ლენინი აღნიშნავს: „მე მეჩვენება, რომ სექსის შესახებ თეორიებით ზედმეტად გატაცება და მათვის ზედმეტი ყურადღების დათმობა ადამიანების პიროვნული საჭიროებებიდან გამომდინარეობს. ამ თეორიების უმეტესობა უბრალო პიპოთეზებია. მათ ისეთი ადამიანები ენაფებიან, ვისაც სურთ საკუთარი არანორმალური, ზღვარსგადასული სექსუალური ცხოვრება გაამართლონ ბურჟუაზიული მორალის თვალში და საკუთარი პიროვნების მიმართ ტოლერანტული

<sup>40</sup> უურნალი „დელეგატკა“ გამოიცემოდა 1920-1931 წლებში.

<sup>41</sup> Julia Gradskova, Women and Political System of the Soviet State, Moscow State University, 2004,7.

დამოკიდებულება დაიმსახურონ. ბურჟუაზიული მორალის ეს შენიღბული პატივისცემა ჩემი აზრით, შეინიშნება ყველაფერში რაც შეეხება სექსს, საბოლოო ანალიზი აჩვენებს, რომ საფუძველში ეს ყველაფერი ერთობ ბურჟუაზიულია. ინტელექტუალები და სვა მათი მსგავსნი განსაკუთრებით იხიბლებიან ამით. პარტიაში კი კლასობრივ თვითშეგნებასა და მებრძოლ პროლეტარიატს შორის ამგვარი თეორიები არ არსებობს.”<sup>42</sup>

მეორე თეორია, რომელიც ინტიმური სფეროს რეფორმას ისახავდა მიზნად ეკუთვნოდა პროფესორ ა. ზალკინდს და ჩამოყალიბებული იყო როგორც „რევოლუციური პროლეტარიატის სქესობრივი ცხოვრების თორმეტი მცნება“. ამ თეორიის მიხედვით, თავისუფლების იდეის საწინააღმდეგოდ სექსუალური სურვილები უნდა ექვემდებარებოდეს კლასობრივ ინტერესებსა და სურვილებს და არავითარ შემთხვევაში საწინააღმდეგოდ. ქალის უმწეო სინაზე არ გამოდგება. ეკონომიკურად, პოლიტიკურად და ფიზიოლოგიურადაც ქალი უნდა დაუახლოვდეს მამაკაცს. „ქალურობა“ როგორც კონცეფცია შედეგია ქალთა ათასწლიანი მონობისა და მინიმალურად პასუხობს რევოლუციისა და რევოლუციის სქესობრივი შერჩევის საჭიროებებს. საგულისხმოა, რომ ოჯახის მიერ მოქალაქეებზე დაკისრებული ეკონომიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობების გაუქმების, ოჯახის კონცეფციის კვდომის იდეამ მაღევე განიცადა კრახი. 1920-იანი წლების ბოლოს ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღებისას მთავრობამ შეზღუდა სახემნიფოს შესაძლებლობა კერძო სფეროში არსებული საქმიანობების საზოგადოებრივ სფეროში გადატანისა. უპატრონო ბავშვებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, ქვეყნის სწრაფმა ინდუსტრიალიზაციამა და კოლექტივიზაციამ, ხუთწლიანი გეგმების შემოღებამ დიდი გამოცდა მოუწყო ახალი სამოქალაქო კანონმდებლობის ეფექტურობასა და იმ რევოლუციურ იდეებს, რომლებიც არსებობის ტრადიციული ფორმების შეცვლას ისახავდა მიზნად. თუმცადა მკვლევარ ვენდი გოლდმანის აზრით, არა მხოლოდ ამ პრობლემებმა განაპირობა სახელმწიფოს პოლიტიკის შეცვლა ქალებთან და ბავშვებთან მიმართებაში, არამედ ცვლილებებმა კადრების მმართველობაში, რომლებსაც ამ საკითხებისადმი სხვაგვარი პოლიტიკური ხედვა ჰქონდათ. ამგვარად 1936 წლის სამოქალაქო კანონმა დრამატულად შეცვალა 1918 და 1926 წლების რადიკალური და რევოლუციური კოდექსები, ფორმალურად შეინარჩუნა გენდერული თანასწორობის რიტორიკა, მაგრამ იმავდროულად აკრძალა აბორტი, შემოილო ჯარიმები გაყრის შემთხვევაში, გაზარდა ალიმენტის რაოდენობა, შემოილო დამსჯელი ზომები იმ ადამიანებისთვის, ვინც იკეთებდა ან აკეთებდა აბორტს არალეგალურად, ასევე მათვის ვინც არ იხდიდა ალიმენტს და სხვა.<sup>43</sup>

პაროლდ ჯ. ბერმანის 1950 წელს დაბეჭდილ წიგნში ავტორს მოჰყავს საბჭოთა მკვლევრის ციტატა, რომელიც წერს „ოჯახი ახლა [1940-იანი წლები] უმნიშვნელოვანესია, როგორც მისი წევრების, ასევე სახელმწიფოსათვის. მეტიც, სახელმწიფო ცდილობს კანონის მეშვეობით შექმნას ოჯახის წევრთა იმგვარი მორალური და სამართლებრივი ცნობიერება, რომელიც სტაბილურობას შეუწყობს ხელს.“<sup>44</sup> იყო მცდელობები იჯახის მნიშვნელობა უფრო გაეზარდათ, ვიდრე ქორწინების მნიშვნელობა და ამის ნათელი მაგალითი ბერმანის აზრით, იყო ის კანონები, რომლებიც ქორწინებაში არ მყოფ ფეხმძიმე ქალს აძლევდა საშუალებას გარკვეული დახმარება მიეღო ბავშვის ბიოლოგიური მამისგან.

მოსაზრებები ქალთა საკითხის გადაჭრის შესახებ, როგორც დავინახეთ არ იყო ერთგვაროვანი მეოცე საუკუნის ახალგაზრდა ბოლშევიკურ სახელმწიფოში. ქალთა ემანსიპაციისადმი კლასობრივი მიდგომა ანუ რნერი იმისა, რომ კერძო საკუთრების მოსპობასთან ერთად სქესთა შორის არსებული უთანასწორობაც მოისპობოდა ვერ ითვალისწინებდა არსებულ ვითარებას

<sup>42</sup> Zetkin, Clara, Lenin on the Women's Question: An Interview with Lenin, 4. იხილეთ ინტერნეტში მისამართზე: <<http://www.marxists.org/archive/zetkin/1925/lenin/zetkin2.htm>> ბოლო ვიზიტი 17 თებერვალი, 2005.

<sup>43</sup> მეტი ინფორმაციისათვის ამ პროცესებზე იხილეთ: *Women, the State and Revolution: Soviet Family Policy and Social Life, 1917-1936* (Cambridge: Cambridge University Press, 1993), and *Women at the Gates: Gender and Industry in Stalin's Russia*, (Cambridge: Cambridge University Press, 2002).

<sup>44</sup> Harold J. Berman, *Justice in Russia: an Interpretation of Soviet Law*, (Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 1950), 236.

სრულად. ფორმალური თანასწორობა, რომელიც დამყარდა საკანონმდებლო სფეროში და აისახა კიდევ ქალებისთვის მინიჭებული შესაძლებლობების დიდი სპექტრით არ აღმოჩნდა საკმარისი სქესთა შორის არსებული დისკრიმინაციის დასაძლევად, ვინაიდან ქალების გამოთავისუფლება ოჯახური საქმიანობებისგან როგორც ეს იგეგმებოდა რევოლუციის შემდგომ წლებში ვერ მოხერხდა, სანაცვლოდ მივიღეთ ისეთი საზოგადოებრივი მოლოდინები, რომლებიც ქალს ავალდებულებდა შრომას საზოგადოებრივ სფეროში, მაშინ როცა ტრადიციების გავლენა ასაქმებდა ქალს ოჯახში უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცს და ამგვარად საბჭოთა პერიოდის ქალები ერთგვარი ემანსიპაციის პარალეურად ორმაგად დატვირთულნი (double burdened) აღმოჩნდნენ.

კურსის ფარგლებში ჩვენ ძირითადად მიმოვიხილეთ საბჭოთა კავშირის ადრეული წლები 1917-1936, ვინაიდან სწორედ ამ ორი ათწლეულის მანძილზე მოხდა ძირეული ტრანსფორმაცია საბჭოთა მთავრობის ხედვაში ქალთა უფლებების მიმართ, რომელიც დაიწყო რადიკალური ლიბერალური ხედვით ქალთა ინდივიდუალური თავისუფლებისა და უფლებების, ოჯახის ინსტიტუტის გაუქმების შესახებ და დასრულდა იმგვარი სახელმწიფო პოლიტიკით, რომელიც ოჯახის აღდგენა განმტკიცებაზე იყო ორიენტირებული და ითვალისწინებდა ქალთა ორმაგ შრომას (ოჯახში და ოჯახს გარეთ). პირველ ათწლეულში წამოწყებული ინტელექტუალური მსჯელობა ქალთა უფლებების შესახებ სწორხაზოვანმა და მკაცრმა გადაწყვეტილებებმა შეცვალა. ოჯახის მიმართ სტალინის პოლიტიკა წარმოადგენდა ერთგვარ ჰიბრიდს, რომელიც საწყის ადრეული სოციალისტური ხედვიდან იღებდა, მაგრამ ამავე დროს დამახინჯდა და დაუძლეურდა სახელმწიფო არსებული სიღარიბითა და შიმშილით და საბოლოოდ დეფორმირდა სახელმწიფოს მზარდი დამოკიდებულებით ტერორზე. ამ იდეოლოგიურ გარდატეხაში ტრაგიკული მხოლოდ ის არ იყო, რომ შედეგად განადგურდა ახალი სოციალური წყობის შექმნის შესაძლებლობა, მით უფრო, რომ ათასობით ადამიანი იბრძოდა და იტანჯებოდა სწორედ ამისათვის. ტრაგედია ის იყო, რომ პარტია თავს ადრეული სოციალისტური ხედვების გამგრძელებლად და მემკვიდრეობა წარმოადგენდა, მაშინ, როცა მთავრობის ქალთა ემანსიპაციის ცარიელ რიტორიკას თან ახლდა სწორხაზოვანი პოლიტიკა, რომელიც ქალთა შრომის გამოყენებას ისახავდა მიზნათ. ხელისუფლებამ დაივინყა დაპირება საშინაო საქმეების სოციალიზაციის, საზოგადოებრივ სფეროში გატანის და ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორი ურთიერთობების დამყარების შესახებ. ყველაზე ტრაგიკული კი ის იყო, რომ საბჭოთა ქალების შემდგომ თაობებს, რომლებიც მოწყვეტილი აღმოჩნდნენ რევოლუციის ადრეული წლების მოაზროვნებისა და იდეებისაგან, ამ ცრუ ემანსიპაციის პირობებში მოუხდათ ცხოვრება, რაც სინამდვილეში ამ საკითხზე ადრეული სოციალისტურ ხედვის მხოლოდ დამახინჯებული და განუხორციელებელი ჩანაფიქრი იყო.<sup>45</sup>

ვინაიდან ეს ისტორიული პერიოდი ნათლად განსაზღვრავს ქალთა უფლებების თვალ-საზრისით საბჭოთა კავშირიში შემდგომ ათწლეულებში არსებულ ტენდენციებსა და ვითარებას კურსის ფარგლებში ამით შემოვიფარგლებით. მოგვიანებით ამ თემას ერთგვარად დავუბრუნდებით საქართველოს მაგალითზე პოსტსაბჭოთა საზოგადოებში ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე საუბრისას.

## 2. ქალთა უფლებები და საერთაშორისო ორგანიზაციები

### ლიტერატურა:

Hilkka Pietila, *Engendering the Global Agenda: The Story of Women and the United Nations*, Development Dossier, UN Non-Governmental liaison Service, 2002, 1-29.

Miller, Carol, «‘Geneva – the Key to Equality’: Inter-war feminists and the League of Nations», in *Women’s History Review*, Volume 3, Number 2, 1994, 218 –245.

<sup>45</sup> Wendy Z. Goldman, *Women, the State and Revolution: Soviet Family Policy and Social Life, 1917-1936* (Cambridge: Cambridge University Press, c1993), 343.

## პრინა 5

### 1. ქალთა უფლებები და საერთაშორისო ორგანიზაციები (გამოყენება)

ლიტერატურა:

Hilkka Pietila, *Engendering the Global Agenda: The Story of Women and the United Nations*, Development Dossier, UN Non-Governmental liaison Service, 2002, 29-105

### 2. ქალთა უფლებები და საერთაშორისო ორგანიზაციები (გამოყენება)

ლიტერატურა:

Frazer, Arvonne, S. «The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women (The Women's Convention)», in *Women, Politics and the United Nations*, Anne Winslaw (ed.), Greenwood Press, London 1995, 77-94.

Women Law and Development, «United Nations' Human Rights Systems», in *Women's Human Rights Step-by-Step*, Logos Press, 1997, 28-62.

ქალებმა უნდა ისწავლონ თავის გათავისუფლება  
ცრურნებისა და ტრადიციული დამოკიდებულებების  
ხუნდებისაგან. მათ უნდა ისწავლონ თავის აღმოჩენა  
და საკუთარი ტალანტისა და ძალის განვითარება.  
უნდა ისწავლონ თავიანთი ინიციატივების, უნარებისა  
და ნიჭების გამოყენება და აღმასების მხედვების  
უნდა იმგვარად დაიხვეწონ,  
რომ ელვარება და ბრწყინვა დაიწყონ...<sup>46</sup>

ანი რ. იაგრე  
გაეთიანებული ერების ქალთა სტატუსის  
შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე  
1967

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების დაცვა საერთაშორისოდ აღიარებულ პრიორიტეტად იქცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებით კი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის შედეგად და ადამიანის უფლებების დასაცავად შეიქმნა მრავალი საერთაშორისო დოკუმენტი, ქალების ადამიანურობა არ აღმოჩნდა საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ მათაც ეფექტურად ესარგებლათ ამ საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცავი ინსტრუმენტებით. ამგვარად, გაეროს სისტემაშივე საჭირო გახდა სპეციალური საერთაშორისო მექანიზმების შექმნა, რომლებიც უმუალოდ ქალების უფლებების დაცვას მოემსახურებოდა. კურსის ამ მონაკვეთში მიმოვისილავთ ქალთა უფლებების დამცავი

<sup>46</sup> ანი რ. იაგრე „ქალის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციის შესავალი“ (“An Introduction to the Declaration on Elimination of Discrimination Against Women”. Annual Review of United Nations Affairs 1967-1968. Compiled by: Richard N. Swift. Oceana Publications, Inc. New York. 1969. 57).

ინსტრუმენტების განვითარებას გაეროს სისტემაში 1945-2005 წლებში, დაწყებული ადრეული კონვენციებიდან „ქალთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის“ ჩათვლით (მას ხშირად მოიხსენიებენ „ქალთა კონვენციის“ სახელითაც), ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მსოფლიო კონფერენციებსა და ქალთა მდგომარეობის შესახებ კომისიის სხდომების შედეგებს.

ნარმოუდგენელია ქალთა უფლებების დამცავ კონვენციებზე საუბარი გაეროს წესდების მოხსენიების გარეშე.<sup>47</sup> წესდების 55-ე მუხლში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელს შეუწყობს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემას და დაცვას საყოველთაოდ, განურჩევლად რასის, სქესის, ენისა და რელიგიისა“.<sup>48</sup> შესაბამისად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ ყველა შემდგომ დოკუმენტში გატარებულია წესდებაში ხაზგასმული დისკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპები.

წესდებას მოსდევს ადამიანის უფლებების დამცავი სამი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი: „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ (1948), „საერთაშორისო კონვენცია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე“ (1966) და „საერთაშორისო კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე“ (1966). სამივეს ხშირად მოიხსენიებენ კოლექტიური სახელით „საერთაშორისო ბილი ადამიანის უფლებების შესახებ“,<sup>49</sup> ვინაიდან ისინი ერთად უყრიან საფუძველს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დაცვას. „ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია“ კანონის წინაშე ყველას თანაბარუფლებიანად აცხადებს, მიუხედავად მათი სქესისა (მუხლი 2). ზემოხსენებული ორი კონვენცია დეკლარაციის მუხლებს ავრცებს და ვალდებულებით ხასიათს სძენს. ამ დოკუმენტებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ არ შეიძლება ადამიანების ჩაგვრა სქესის საფუძველზე და ამავე დროს ისეთი სიტყვები როგორიცაა „ადამიანები“, „ყველა“, „ხალხები“, თავისთავად მოიცავენ როგორც ქალებს, ასევე კაცებს. მაშინ საინტერესოა რაღატომ გაჩნდა ქალების უფლებების დამცავი დოკუმენტების შექმნის საჭიროება? რატომ არ აღმოჩნდა „საერთაშორისო ბილი ადამიანის უფლებების შესახებ“ საკმარისად ეფექტური ქალების უფლებების დაცვისათვის?

სიტყვა „ადამიანი“ ისტორიულად იმდენად მეტად იყო კაცური შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელი, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თანამედროვეობაში ეს სიტყვა ორივე სქესის აღსანიშნავად გამოიყენება ქალებთან მიმართებაში მისი გათავისება არ ამონტურულა. „ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციის“ მიღებისას ქალებს ძალიან „გაუმართლათ“, რომ ისინიც მოიაზრეს დეკლარაციის ტექსტში წინა საუკუნეების მნიშვნელოვან დოკუმენტებთან შედარებით.<sup>50</sup> თუმცალა ჩართვამ ვერ უზრუნველყო ქალები ადამიანის უფლებებითა და მათი დაცვით. ქალების ჩართვა ამ შემთხვევაში მიგვანიშნებს გაეროს მიერ ქალების ადამიანებად აღიარებაზე, მაგრამ ეს აღიარება ვერ იძენს პრაქტიკულ მნიშვნელობას. „ადამიანის უფლებების საერთაშორისო ბილის“ მიხედვით, დე იურე არ შეიძლება ადმიანების ჩაგვრა სქესის ნიშნით დე ფაქტო კი, ქალები დღესაც განიცდიან უფლებრივ სივიწროვეს კაცებთან შედარებით.

<sup>47</sup> 1945 წლის გაეროს წესდების პირველივე მუხლის მესამე პარაგრაფში გაეროს მისიაზე საუბრისას აღნიშნულია, რომ ორგანიზაციამ უნდა ხელი შეწყოს თანამშრომლობას საერთაშორისო მასშტაბის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, თუ ჰემანიტარული პრობლემების გადაჭრისას და უზრუნველყოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა ყველას სასარგებლოდ, განურჩევლად რასის, სქესის, ენის თუ რელიგიისა. სქესთა თანაბარუფლებიანობას ეხება ასევე წესდების შემდეგი მუხლები: 8, 13, 55, 76.

<sup>48</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. (1945). მუხლი 55. ქვეპარაგრაფი 8).

<sup>49</sup> ადამიანის უფლებების წყაროები. (*Human Rights Sourcebook*. Edited by Albert P. Blaustein, Roger S. Clark, Jay A. Sigler. Paragon House Publishers. New York. 1987. 14).

<sup>50</sup> არცერთი შემდეგი დოკუმენტი არ მოიხსნიებს და შესაბამისად არ ეხება ქალებს: „კაცისა და მამაკაცი მოქალაქის უფლებების დეკლარაცია“ (მიღებული საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის მიერ 1789 წლის 26 აგვისტოს); „ვირჯინიის უფლებების დეკლარაცია“ (შექმნილი ჯორჯ მეისონის მიერ და ერთხმად მიღებული ვირჯინიის დელეგატთა კონვენტის მიერ 1776 წლის 12 ივნისს); „ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ (1776, 12 ივნისი); „ამერიკის შეერთებული შტატების ბილი უფლებების შესახებ“ (რატიფიცირებული 1791 წლის 15 დეკემბერს).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამდე, ერთა ლიგა შეეცადა ქალთა სტატუსის შესწავლას. ახლადშექმნილ ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციებს<sup>51</sup> ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ამ პირველ მთავრობათაშორის ორგანიზაციასთან, რომელიც პირველი მსოფლიო ომის მწარე გამოცდილების შედეგად შეიქმნა და მიზნად ისახავდა მსოფლიო უსაფრთხოებისა და მშვიდობის დაცვას, თუმცა ერთა ლიგამ ვერ შეძლო თავისი მისის შესრულება და ვერ დაიცვა მსოფლიო ახალი ომისგან. ქალთა ორგანიზაციების თანამშრომლობამ ერთა ლიგასთან საფუძველი მოუმზადა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილი ახალი ფართომასშტაბიანი მთავრობათაშორისი ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში ქალთა საკითხებზე მუშაობას. მცირე ხნით დავუბრუნდეთ ერთა ლიგას; ერთა ლიგა წარმოადგენდა პირველ ორგანიზაციას, რომელსაც მთავრობათა თანამშრომლობის გზით მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე უნდა ეზრუნა. ქალებმა იმთავითვე გაიაზრეს ერთა ლიგის მანდატის მნიშვნელობა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ქალთა ორგანიზაციები უკვე კარგა ხანია იბრძოდნენ და ემხრობოდნენ ერთა თანაცხოვრების მშვიდობიან გზებს. ამას გარდა, ქალების ენთუზიაზმი ამგვარი მთავრობათაშორისი ორგანიზაციის მიმართ გამომდინარეობდა მათი რწმენიდან, რომ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება და გაძლიერება დიდადაა დამოკიდებული მთავრობათა გადაწყვეტილებებზე და პოლიტიკაზე.<sup>52</sup> სწორედ მთავრობებზე ზემოქმედების საშუალებას იძლეოდა ერთა ლიგის ტიპის ორგანიზაცია. როგორც ბრიტანელმა ფემინისტმა და პაციფისტმა ვერა ბრიტანმა 1920-იან წლებში დასძინა: „დადგა დრო, როდესაც ეროვნულიდან საერთაშორისო დონეზე უნდა გადავინაცვლოთ და შევეცადოთ საერთაშორისო შეთანხმებით მივაღწიოთ იმას, რასაც ვერ მიაღწია ეროვნულმა კანონმდებლობამ.“<sup>53</sup>

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ 1919 წელს მთავრობათა წარმომადგენლები შეიკრიბნენ პარიზში, რათა დაეარსებინათ ერთა ლიგა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია. ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ასევე ესწრებოდნენ კონფერენციას და შეკრებილ საზოგადოებას სთავზობდნენ თავიანთ მოსაზრებას ლიგის დამფუძნებელი დოკუმენტის შესახებ. ქალები განსაკუთრებით ლობირებდნენ მათვის აქტუალური საკითხებს, ისეთებს როგორებიც იყო ქალთა წარმომადგენლობისა და მონანილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე და არჩევნებში მონანილეობის უფლების მოპოვება. უფრო კონკრეტულად, ქალები ითხოვდნენ, რომ ერთა ლიგას თავისი წევრი სახელმწიფოებისათვის ქალებისთვის პოლიტიკური უფლებების მიცემა აუცილებელ პირობად წაეყენებინა. ასევე ითხოვდნენ, უცხოელზე გათხოვილი ქალისთვის თავისი ქვეყნის მოქალაქეობის შენარჩუნების უფლების მინიჭებას, ქალთა და ბავშვთა ტრეფიკინგის და სახელმწიფოს მხრიდან პროსტიტუციის ხელშეწყობის აღმოფენას. ქალების მოთხოვნა იყო ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო და ჯანდაცვის ბიუროს შექმნა და შეიარაღების შენელება. ამ საკითხთაგან უმეტესობის კონცეპტუალური გააზრებაც კი არ დასცალდა ერთა ლიგას, თუმცა სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ქალთა მოძრაობის მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მოხერხდა

<sup>51</sup> პირველი ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციები დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს მეოცე საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით კი, პირველი მსოფლიო ომის დროს შეიქმნა, მათი არასრული ჩამონათვალი შემდეგია: ქალთა საერთაშორისო საბჭო (International Council of Women), ქალთა საერთაშორისო ალიანსი (International Alliance of Women), საერთაშორისო თანამშრომლობის ქალთა გილდა (International Cooperative Women's Guild), უნივერსიტეტების ქალთა საერთაშორისო ფედერაცია (International Federation of University Women), ბიზნესისა და პროფესიონალური ქალთა საერთაშორისო ფედერაცია (International Federation of Business and Professional Women), მსოფლიოს ახალგაზრდა ქალთა ქრისტიანული ასოციაცია (World Young Women's Christian Association), ქალთა საერთაშორისო ლიგა მშვიდობისა და თავისუფლებისთვის (Women's International League for Peace and Freedom).

<sup>52</sup> Hilkka Pietila, Engendering the Global Agenda: the Story of Women and the United Nations, NGLS, 2002, 1.

<sup>53</sup> იქვე, 8.

განათლებაზე და ჯანდაცვაზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების დაფუძნება.<sup>54</sup>

ამ წინადადებების ზეგავლენით ერთა ლიგის დამფუძნებელ დოკუმენტში<sup>55</sup> ნათქვამია, რომ ლიგის წევრ ქვეყნებს მოეთხოვებათ ქალთა, მამაკაცთა და ბავშვთა შრომის ადამიანური პირობების უზრუნველყოფა და ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის აღმოფხვრა. ტექსტში ასევე ნათქვამი იყო, რომ ლიგის თანამდებობები თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის განურჩევლად სქესისა.

მაშინ როდესაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუცია იწერებოდა ქალებმა ამერიკული და ბრიტანული პროფესიული კავშირებიდან მოითხოვეს დოკუმენტში დაეფიქსირებინათ რვა საათიანი სამუშაო დღე, ბავშვთა შრომის აღმოფხვრა, სოციალური დაზღვევების გაძლიერება, პენსიები და სადეკრეტო შეღავათები და უმთავრესი: თანაბარი შრომის სანაცვლოდ თანაბარი ანაზღაურება ქალებისა და მამაკაცებისათვის. მათ ასევე მოითხოვეს მინიმალური ანაზღაურება სახლის საქმისთვის. ქალთა ამ შემოთავაზებებს თანემედროვეთა შეფასებით, რადიკალურობის გამო, თავაზიანი უარი ეთქვა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ერთა ლიგის დაარსების შემდეგ ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები რეგულარულად ადვენტდნენ თვალს მათ მუშაობას. ქალებმა დაარსეს ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციების დამაკავშირებელი კომიტეტი,<sup>56</sup> რომელიც რეგულარულად აფიქსირებდა ქალების პოზიციასა და შეხედულებებს უენევაში ერთა ლიგისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში გამართულ მაღალი დონის შეხვედრებზე.

1935 წელს ლიგის ასამბლეამ მიმართა მთავრობებს და ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციებს, თხოვნით შეესწავლათ ქალების მდგომარეობა თავიანთი გავლენისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში. 1937 წელს ლიგამ დაარსა ქალთა სამართლებრივი სტატუსის შემსწავლელი კომიტეტი,<sup>57</sup> რომელსაც დაევალა „სხვადასხვა ქვეყნებში ქალთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ ვრცელი გამოკვლევის ჩატარება“. <sup>58</sup> ლაურა რეანდას მიხედვით, კომიტეტის მანდატი შემოიფარგლებოდა ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით. სამწუხაროდ კომიტეტმა ვერ იარსება დიდხანს მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო და ჯამში სამჯერ მოახერხა შეკრება.<sup>59</sup>

ერთა ლიგის მიერ 1938 წელს გამოცემული მემორანდუმი ექსპერტების კომიტეტს ავალებდა უურადღება გაემახვილებინათ სხვადასხვა ქვეყნებში ქალების სამართლებრივ სტატუსზე, შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

თუ რამდენად მიუწვდებათ ქალებს ხელი:

- განათლებაზე;
- საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე;
- სამოქალაქო და სამართლებრივი თანამდებობების დაკავებაზე;
- სამართლებრივ და ადგილობრივ საბჭოებში განევრიანებაზე;
- საპარლამენტო თუ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობაზე;
- ქონების მემკვიდრეობით მიღებაზე, ფლობაზე, განკარგვაზე, მართვაზე;

<sup>54</sup> ცერძოდ ისეთი ორგანიზაციებისა, როგორებიცა: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO)), და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (World Health Organization (WHO)).

<sup>55</sup> ეს დოკუმენტია: Covenant of the League of Nations.

<sup>56</sup> The Liason Committee of Women's International Organizations.

<sup>57</sup> კომიტეტი ფუნქციონირებდა 1938-1940 წლებში. დოროთი ქენიონზე, ა.შ.-ს წარმომადგენლობზე ერთა ლიგის ამ კომიტეტში და ა.შ.-ს პირველ დელეგატზე გაეროს კომისიაში ქალთა სტატუსის შესახებ 1947-1950 წლებში, მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: "Agents of Social Change: Dorothy Kenyon". ბოლოს ვიხილე 2002 წლის 24 ობერვალს: <<http://www.smith.edu/libraries/libs/ssc/exhibit/kenyon.html>>

<sup>58</sup> ლაურა რეანდა, "კომისია ქალთა სტატუსის შესახებ", 265. (Laura Reanda "The Commission on the Status of Women". The United Nations and Human Rights: A Critical Appraisal. Philip Alston ed. Clarendon Press. Oxford. 1992. 265).

<sup>59</sup> იქვე, 266.

- მეურვეობაზე;
- ქორწინებასთან დაკავშირებულ უფლებებზე.

ქორწინების გავლენა ქალების სტატუსზე ზემოთ ჩამოთვლილ უფლებებთან მიმართებაში განსაკუთრებით იყო ხაზგასმული მემორანდუმში; დაწყებული ქალის ასაკისა და ქორწინებაზე მშობლების თანხმობის აუცილებლობის საკითხიდან დამთავრებული გათხოვილი და გასათხოვარი ქალების მიმართ საემიგრაციო სამართალში დაფიქსირებული განსაკუთრებული რეგულაციების შესწავლით:

- ა) მეუღლეების ურთიერთობა (საქორწინო კონტრაქტი; კონტრაქტის დაცვა; ცალცალკე ცხოვრება; მიტოვება; გაყრა; ალიმენტი)
- ბ) გათხოვილი და გასათხოვარი დედის ურთიერთობა ბავშვთან (მეურვეობა, მეურვეობის უნარიანობა)
- გ) ქორწინების გავლენა: საცხოვრებელ ადგილზე; ეროვნებაზე; დაბეგვრაზე; პასპორტებზე; ვაჭრობის უფლებაზე; გაკოტრებისას; ზარალის ანაზღაურებისას.

კომიტეტს ასევე ევალებოდა გადაეხედა შრომითი სამართლისათვის ქალებთან მიმართებაში, ხელფასებისათვის, დაზღვევებისა და პენსიებისათვის, ასევე ქალების მიმართ სისხლის სამართლებრივი რეგულაციებისათვის.

ერთი სიტყვით, ლიგის მემორანდუმი კომიტეტისადმი მოიცავდა თითქმის სრულ ჩამონათვალს იმ საკითხებისა, <sup>60</sup> რაც მოგვიანებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალების უფლებებზე მიღებული სამართლებრივი დოკუმენტების მთავარ საკითხებად იქცა. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კომიტეტი შემოიფარგლებოდა მხოლოდ ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით და ვერ იარსება იმდენ ხანს, რომ თავი გაერთვა თუნდაც ამ მისისთვის, მემორანდუმში ქალებთან დაკავშირებული საკითხებისათვის თავის მოყრა მსგავსი ფორმით უნდა შევაფასოთ როგორც პროგრესული ნაბიჯი ქალების უფლებების აღიარება - დაცვის გზაზე, რადგან მათი აუცილებლობა აღიარა ერთა ლიგის მსგავსმა მნიშვნელოვანმა მთავრობათაშორისმა ორგანიზაციიამ.

გაეროს სტრუქტურაში ადამიანის უფლებების კომისიის დაქვემდებარებაში, თავდაპირველად, 1946 წელს დაარსდა ქვეკომისია ქალების სტატუსის შესახებ.<sup>61</sup> ქვეკომისია მალევე გადაკეთდა სრულუფლებიან კომისიად ქალთა სტატუსის შესახებ (Commission on the Status of Women, CSW), რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ერთ-ერთ კომისიას.<sup>62</sup> კომისიის მანდატი ითვალისწინებს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სქესთა თანაბარუფლებიანობის პრინციპის გატარებისაკენ მიმართული რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადებას. კონკრეტული წინადადებების მომზადების პრეროგატივა არსობრივი სხვაობაა გაერთიანებული ერების კომისიისა და ერთა ლიგის კომიტეტს შორის, რადგან ამ უკანასკნელს არ შეეძლო ინფორმაციის შეგროვებაზე იქით წასულიყო.

თუმცადა გაეროს ქალების სტატუსის კომისიის ფუნქციების გაფართოება-ჩამოყალიბებაც არ მომხდარა ერთბაშად. 1954 წლის გაერთიანებული ერების ყოველწლიური მიმოხილვიდან ნასესხები ეს აბზაცი დაგვეხმარება ორმოცდაათიან წლებში გაეროს სტრუქტურაში ქალთა შესახებ კომისიის როლისა და მდებარეობის გასაგებად:

<sup>60</sup> ქალთა ტრეფიკინგის გარდა. 1927 წელს და შემდგომ 1932 წელს ერთა ლიგამ დანიშნა მრჩევლები, რომლებსაც ევალებოდათ ტრეფიკინგის შემთხვევების გამოკვლევა ამერიკის, ევროპისა და შუა აზიის ქვეყნების კონტექსტში.

<sup>61</sup> გაეროს საზოგადებრივი ინფორმაციის დეპარტამენტი. ბოლოს ვიხილე 2002 წლის 23 თებერვალს: <<http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/history.htm>>

<sup>62</sup> ამჟამად კომისია შედგება 45 წევრისაგან, რომლებსაც გაეროს წევრი სახელმწიფოების მთავრობები ნიშნავენ ოთხი წლის ვადით. კომისიის წევრები შემდეგ გეოგრაფიული პროპორციით ირჩევიან: 13 წევრი აფრიკის ქვეყნებიდან, 11 აზიის, 4 აღმოსავლეთ ევროპის, 9 ლათინური ამერიკისა და კარბიბის აუზის ქვეყნებიდან, 8 დასავლეთ ევროპისა და დანარჩენი ქვეყნებიდან. კომისია იკრიბება ყოველწლიურად, სულ მცირე რვა დღით მაინც.

უნივერსალურ დეკლარაციაზე მუშაობა შეიძლება შევადაროთ დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე მუშაობის პროცესს – მითუმეტეს, რომ ორივე ეს დოკუმენტი პროგრამული სახის განაცხადია; კოვენანტების მომზადება შეიძლება შევადაროთ კონსტიტუციური ასამბლეის კომიტეტის მუშაობას უფლებების შესახებ ბილზე. მაშინ, როდესაც გაეროს ქალების სტატუსის კომისიის მუშაობა ანალოგიურია კონგრესის იმ კომიტეტისა, რომელიც სპეციფიკურ საკითხებზე ამზადებდა კანონებს. ეს ანალოგი სამართლიანია იმდენად, რამდენადაც ორივე [გაეროს კომისიაც და კონგრესის რომელიღაც კონკრეტული კომიტეტიც] ამუშავებს ტექსტებსა და გამოსცემს რეზოლუციებს გარკვეულ სფეროში, რომ ისინი შემდგომ შესაბამისმა ზემდგომმა ორგანოებმა განიხილონ.<sup>63</sup>

მიუხედავად ქალების სტატუსის შესახებ კომისიის ამგვარი შემოფარგვლისა გარკვეული, „სპეციფიკური საკითხებით“, შექმნის შემდეგ მან შეასრულა უნიკალური როლი საერთაშორისო არენაზე ქალების უფლებების გამოტანისა და გამოთქმის თვალსაზრისით. 1949-1959 წლებში კომისიამ დაამუშავა შემდეგი „სპეციფიკურ საკითხებზე“ ორიენტირებული ქალების უფლებების საერთაშორისო კონვენციები:

- კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ (ამ კონვენციის შექმნის ინიციატივა წამოვიდა ლათინური ამერიკის წარმომადგენელი კომისიის წევრებისგან. გენერალურმა ასამბლეამ ეს კონვენცია მიიღო 1952 წლის 20 დეკემბერს, 640-ე (VII) რეზოლუციით. ხელმოწერისა და რატიფიკაციისთვის გაიხსნა 31 მარტს, ძალაში შევიდა 1954 წლის 7 ივლისს);
- კონვენცია გათხოვილი ქალის ეროვნების შესახებ (გენერალურმა ასამბლეამ ეს კონვენცია მიიღო 1957 წლის 29 იანვარს, 1040-ე (XI) რეზოლუციით. ძალაში შევიდა 1958 წლის 11 აგვისტოს);
- კონვენცია ქორწინებაზე თანხმობის, ქორწინების დაშვებისათვის მინიმალური ასაკისა და ქორწინების რეგისტრირების შესახებ (გენერალურმა ასამბლეამ ეს კონვენცია მიიღო 1962 წლის 7 ნოემბერს, 1763-ე A (XVII) რეზოლუციით. ხელმოწერისა და რატიფიკაციისთვის გაიხსნა 1962 წლის 10 დეკემბერს, ძალაში შევიდა 1964 წლის 9 დეკემბერს);

**მიმოვიხილოთ ეს ადრეული კონვენციები:**

### **კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ**

კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების მიერ მიღებული პირველი დოკუმენტი იყო ქალებთან დაკავშირებით, რომელიც სავალდებულო ხასიათს ატარებდა ხელმომწერი მხარეებისათვის. კონვენციის ძირითადი მოთხოვნაა პოლიტიკური უფლებების კუთხით სქესებს შორის თანაბარუფლებიანობის დანერგვა. 1954 წლისათვის კონვენციას შეუერთდა 18 ქვეყანა, რამაც იგი ადამიანის უფლებების დარგში, გენოციდის

<sup>63</sup> ჯონ ფრიდი, „სოციალური და ჰუმანიტარული საკითხები: ქალების სტატუსი“, 99. (“Social and Humanitarian Matters: the Status of Women”. Annual Review of United Nations Affairs 1954. Edited by Clyde Eagleton, Waldo Chamberlin, Richard N. Swift. New York University Press. Washington Square. New York. 1955. 99).

კონვენციის შემდეგ გაეროს იმ დროის ყველაზე მეტად მიღებულ დოკუმენტად აქცია<sup>64</sup>.

კონვენციის მთავარი ამოცანაა სქესთა შორის თანაბარუფლებიანობის მიღწევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისას. კონვენცია ქალებს კაცების მსგავსად ანიჭებს სრულ პოლიტიკურ უფლებებს: არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, კენჭისყრის უფლებას, საზოგადოებრივ სამსახურში ჩადგომის და შესაბამისი ფუნქციების შესრულების უფლებას.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო ადევნებდა თვალყურს კონვენციის იმპლემენტაციას. გაეროს 1953 წლის 23 ივლისის 504 (XVI) რეზოლუციით, კონვენციას შეერთებულ ქვეყნებს ევალებოდათ საბჭოსთვის ყოველ ორ წელიწადში ერთხელ წარედგინათ მოხსენება კონვენციის დანერგვის კუთხით ჩატარებული სამუშაოს შესახებ. 1968 წლიდან მოყოლებული ქალთა პოლიტიკური უფლებების საკითხის მონიტორინგი ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1325 (XIV) რეზოლუციის თანახმად, ქალთა სტატუსის შესახებ კომისიას დაევალა „ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის აღმოფხვრის დეკლარაციის“ დანერგვის მონიტორინგის პარალელურად. როგორც ვხედავთ, დეკლარაციის მიღებამ არა მარტო კონცეპტუალური, არამედ პრაქტიკული ცვლილებებიც მოიტანა მონიტორინგის თვალსაზრისით, მითუმეტეს, რომ დეკლარაციაში გაერთიანებული იყო ის საკითხები, რომლებსაც ეძღვნებოდა კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ. ხოლო მას შემდეგ, რაც შეიქმნა და მიიღეს „კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ ქალებთან დაკავშირებული გაერთიანებული ერების დოკუმენტების მონიტორინგი დაევალა კომიტეტს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ჩქ), რომელიც 1982 წელს შეიქმნა როგორც კონვენციის მონიტორინგის ორგანიზაცია.

### კონვენცია გათხოვილი ქალის ეროვნების შესახებ

ეს კონვენცია ქალის უფლებების ერთ-ერთ ყველაზე წინააღმდეგობებით აღსავსე საკითხს არეგულირებს, რომელიც მოგვიანებით, ჯერ „დეკლარაციაში ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“, ხოლო შემდეგ „ქალთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციაში“ ასახა. თუმცალა, დღემდე ქალთა კონვენციის წევრი ქვეყნების უმეტესობა თავს იკავებს მეცხრე მუხლის (ქალის ეროვნების შესახებ) მიღებაზე.<sup>65</sup>

კონვენციის მიხედვით, ქალებს კაცების მსგავსად ეძლევათ უფლება მიიღონ, შეიცვალონ ან შეინარჩუნონ ეროვნება. კონვენციის განხორციელებაზე ზედამხედველობას თავდაპირველად გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო ანარმობდა, სპეციალური მოხსენებითი პროცედურის საშუალებით (ეს პროცედურა დადგინდა საბჭოს 1954 წლის 12 ივლისის 547 (VII) რეზოლუციით). ქალთა კონვენციის მიღების შემდეგ, „გათხოვილი ქალის ეროვნების შესახებ კონვენციის“ განხორციელების მონიტორინგი ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტს დაევალა.

### კონვენცია ქორწინებაზე თანხმობის, ქორწინების დაშვებისათვის მინიმალური ასაკისა და ქორწინების რეგისტრირების შესახებ

<sup>64</sup> შემდეგი დეტალებისთვის იხილეთ: ჯონ ჸ. ე. ფრიდი. „სოციალური და ჰუმანიტარული საკითხები: ქალთა სტატუსი“, 100. (John H. E. Fried. "Social and Humanitarian Matters: the Status of Women". *Annual Review of United Nations Affairs 1954*. Edited by Clyde Eagleton, Waldo Chamberlin, Richard N. Swift. New York University Press. Washington Square. New York. 1955. 100).

<sup>65</sup> რებეკა ჟ. ქუკი, „ქალთა საერთაშორისო ადამიანის უფლებების სამართალი: წინამდებარებული გზა“, 15. (Rebecca J. Cook. "Women's International Human Rights Law: The Way Forward". *Human Rights of Women: National and International Perspectives*. Edited by Rebecca J. Cook. University of Pennsylvania Press. Philadelphia. 1994. 15).

კონვენცია მიზნად ისახავს ქორწინების, როგორც ქალის ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორის, რეგულირებას. კონვენციაში ნათქვამია, რომ ქვეყნებმა, რომლებიც შეუერთდებიან ამ დოკუმენტს უნდა უზრუნველყონ მეუღლეთა თანაბარუფლებიანობა თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობებში. დოკუმენტის, მიხედვით მხოლოდ თავისუფალ და სრულ თანხმობაზე დაფუძნებული ქორწინება შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად. კონვენციის წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა დაადგინონ მინიმალური ასაკი ქორწინებისათვის. დოკუმენტში არ არის აღნიშნული სასურველი ასაკი ქალისათვის ოჯახის შესაქმნელად, მაგრამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ გადაწყდა, რომ უნდა არსებობდეს ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტი. შესაბამისად, გენერალური ასამბლეის მიერ 2018 (XX) რეზოლუციით 1965 წლის 1 ნოემბერს მიღებული რეკომენდაციის თანახმად ქალის ქორწინების ასაკი არ უნდა იყოს 15 წელზე ნაკლები.<sup>66</sup> კონვენციის მოთხოვნაა, ასევე ქორწინების შესაბამის ორგანოში რეგისტრირება.

კონვენციის მონიტორინგს თავიდან გენერალური მდივანი ახორციელებდა; სახელმწიფოებს ევალებოდათ მისთვის მოხსენების წარდგენა კონვენციის რატიფიკაციიდან მესამე წლის ბოლოს, შემდეგ კი, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ. „ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციის“ მიღების შემდეგ კონვენციის განხორციელებაზე მონიტორინგი დაევალა კომისიას ქალთა სტატუსის შესახებ, კიდევ უფრო მოგვიანებით „ქორწინებაზე თანხმობის, ქორწინების დაშვებისათვის მინიმალური ასაკისა და ქორწინების რეგისტრირების შესახებ კონვენციის“ ძირეული საკითხები ქალთა კონვენციის მე-16 მუხლში აისახა, და მათ განხორციელებაზე თვალყურის დევნება შესაბამისად ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტს დაევალა.

როგორც აღინიშნა, ზემოთ ჩამოთვლილი კონვენციების პრინციპები და საკითხები აისახა თავდაპირველად „ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციაში“ (1967), ხოლო მოგვიანებით „ქალთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციაში“ (1979). ქალთა ადრეული კონვენციები, როგორც ვნახეთ ქალებთან დაკავშირებულ ერთ საკითხზე ორიენტირებული დოკუმენტებია რადგან „ზოგადი რწმენის მიხედვით, ამ კონკრეტული სფეროების გარდა ქალების უფლებები საუკეთესოდ იყო დაცული ზოგადი ადამიანის უფლებების დამცავი დოკუმენტებით“.<sup>67</sup> თუმცადა ეს სათითაოდ შერჩეული საკითხი ადრეულ კონვენციებამდე დაცული იყო გაეროს წესდებითა და „ადამიანის უფლებების უნივერსალური/საყოველთაო დეკლარაციით“. მაგალითად, „ადამიანის უფლებეთა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-16 მუხლი იცავს ორივე სქესის წარმომადგენლების თანაბარუფლებიანობას ქორწინებისას და ქორწინებაში; მე-15 მუხლის თანახმად „ყველას აქვს უფლება ეროვნებაზე“; 21-ე მუხლი ყველას, განურჩევლად სქესისა, ანიჭებს პოლიტიკურ უფლებებს.<sup>68</sup> ამგვარად, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ ქმნის საჭირო საფუძველს სქესთა შორის თანაბარუფლებიანობისათვის, მაგრამ ქალთა

<sup>66</sup> „ქალთა უფლებების შესახებ არსებული საერთაშორისო კონვენციების კრებული“ 11. (*Compendium of International Conventions Concerning the Status of Women*. United Nations. New York. 1988, 11).

<sup>67</sup> გაეროს საზოგადებრივი ინფორმაციის დეპარტამენტი. ბოლოს ვიზილე 2002 წლის 23 თებერვალს: <<http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/history.htm>>.

<sup>68</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948); **მუხლი 16:** 1. ყოველ სრულწლოვან მამაკაცსა და ქალს რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე უფლება აქვს დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი. ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით შეუძლების, ქორწინებაში ყოფნისა და განეორნინების დროს. 2. ქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მეუღლის თავისუფალი და სრული თანხმობის საფუძველზე. 3. ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია და უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ. **მუხლი 15:** 1. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება. 2. არავის შეუძლია თვითწებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან თავისი მოქალაქეობის შეცვლის უფლება. **მუხლი 21:** 1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამტებლაში უშუალოდ, ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით. 2. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის საჯარო სამსახურში. 3. სახელმწიფო ხელისუფლების საფუძველის ხალხის ნება; ეს ნება უნდა გამოიხატოს პერიოდულ და სამართლიან არჩევნებში, რომელიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საძველზე, ფარული კენჭისყრით ან სხვა თანაბარმინიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

სტატუსის შესახებ კომისიაში მოღვაწე ქალებისთვის თავიდანვე ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო ქალთა უფლებების დამცავი სხვა მექანიზმების შექმნაც. ამ მიზეზით „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მიღების შემდეგ, მალევე, კერძოდ, 1949 წელს, კომისიამ დაიწყო მუშაობა „კონვენციაზე ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ“.<sup>69</sup> ერთეულ საკითხზე მიმართულ ქალთა კონვენციებზე მუშაობის პარალელურად გაეროში მიმდინარეობდა გაცხარებული კამათი, იმის შესახებ საჭირო იყო თუ არა ერთ საკითხზე მიმართული კონვენციების გარდა ქალთა უფლებების დამცავი უფრო კომპლექსური საერთაშორისო დოკუმენტის შექმნა, ქვემოთ ვიხილავთ, თუ როგორ გადაწყდა ეს საკითხი.

## დეკლარაციის შექმნა

1968 წელს ქალთა სტატუსის შესახებ კომისიის თავმჯდომარე ანი იაგრე თავის „ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის აღმოფხვრის დეკლარაციის შესავალში“ წერდა: „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ არ გამოიწვია ქალთა მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება მრავალ ქვეყანაში. ფაქტები ქალთა დისკრიმინაციის შესახებ შემზარავია, ამიტომ გენერალურ ასამბლეას მოუწია ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად სპეციალური დეკლარაციის მიღება“.

გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მოხსენების თანახმად, 1963 წლის 15 ნოემბერს, ოცდაორმა განვითარებადმა და „აღმოსავლეთ ევროპის“ ქვეყანამ გენერალური ასამბლეის მე-18 სხდომაზე წარადგინა რეზოლუცია „ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციის“ ტექსტზე მუშაობის წინადადებით.<sup>70</sup> ეს ქვეყნები იყო: 1. ავღანეთი, 2. ალჟირი, 3. არგენტინა, 4. ავსტრია, 5. კამერუნი, 6. ჩილე, 7. კოლუმბია, 8. ჩეხოსლოვაკია, 9. გაბონი, 10. გვინეა, 11. ინდონეზია, 12. ირანი, 13. მალი, 14. მექსიკა, 15. მონდოლეთი, 16. მაროკო, 17. პაკისტანი, 18. პანამა, 19. ფილიპინები, 20. პოლონეთი, 21. ტოგო, 22. ვენესუელა.

საინტერესოა, რომ ამ22 ქვეყანაზე წერისას მკვლევრები მათ ნაწილს განვითარებად ქვეყნებად მოხსენიებს, ხოლო ნაწილს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებად, როცა გეოგრაფიულად, ჩამოთვლილი ევროპული ქვეყნები ცენტრალურ ევროპას მიეკუთვნებიან (კერძოდ: პოლონეთი, ავსტრია და უნიტერალი ჩეხოსლოვაკია). პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის გაიგივება აღმოსავლეთ ევროპასთან მათი საბჭოურ ბანაქში მოაზრებით შეიძლება აიხსნას. ფრეიზერის მიხედვით, „დეკლარაციის მომხრე ქვეყნებიდან არც ერთი არ წარმოადგენდა მთავარ დასავლურ ძალას, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს აზრს, რომ ფემინიზმი ან ქალის უფლებებისათვის ბრძოლა ინდუსტრიალიზაციური იდეაა. რეზოლუციის წარმდგენი ეს 22 ქვეყანა აცხადებდა, რომ ქალთა მონაწილეობას ერთა განვითარების საქმეში არსებითი მნიშვნელობა აქვს, ხოლო ქალთა დისკრიმინაცია შესაბამისად აფერხებს განვითარების პროცესს“.<sup>71</sup> შესაბამისად ამ 22 ქვეყნის გამაერთიანებელ იდეად შეიძლება მოვიაზროთ დისკრიმინაციის აღიარება განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად.

დეკლარაციის წერა მიმდინარეობდა 1965-1967 წლებში. დოკუმენტის შექმნის პროცედურა

<sup>69</sup> ლაურა რეანდა, „კომისია ქალთა სტატუსის შესახებ“, Laura Reanda “The Commission on the Status of Women”. *The United Nations and Human Rights: A Critical Appraisal*. Philip Alston ed. Clarendon Press. Oxford. 1992. 284.

<sup>70</sup> ასევე იხილეთ არვონე ს. ფრეიზერი „კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ქალთა კონვენცია)“, 73, და ლაურა რეანდა, „კომისია ქალთა სტატუსის შესახებ“, 284 (Arvonne S. Fraser, “The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women (The Women’s Convention)”. In *Women Politics and the United Nations*. Anne Winslow ed. Greenwood Press. Westport, Conn. 1995,78 and Laura Reanda, “The Commission on the Status of Women”. *The United Nations and Human Rights: A Critical Appraisal*. Philip Alston ed. Clarendon Press. Oxford. 1992. 284).

<sup>71</sup> იხილეთ არვონე ს. ფრეიზერი „კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ქალთა კონვენცია)“, 78. (Arvonne S. Fraser, “The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women (The Women’s Convention)”. In *Women Politics and the United Nations*. Anne Winslow ed. Greenwood Press. Westport, Conn. 1995, 78).

პირველად განიხილეს ქალთა სტატუსის შესახებ კომისიის მე-18 სხდომაზე, რომელიც თეირანში გაიმართა. ამ სხდომაზე აირჩა 12-კაციანი კომიტეტი, რომელსაც დეკლარაციის შექმნა დაევალა. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ მოხალისეები და წარმომადგენლები რეზოლუციის ავტორი ქვეყნებიდან. ფრეიზერი დეტალურად აღნერს დეკლარაციის შექმნის პროცესს, კომიტეტის მუშაობისთვის საწყისად პოლონეთის მიერ წარმოდგენილი ტექსტი შეირჩა. ამ ტექსტში მოცემული იყო დისკრიმინაციის განმარტება, რომელიც ამოიღეს დეკლარაციის საბოლოო ვარიანტიდან. თუმცა დისკრიმინაციის განმარტება შეიტანეს „ქალთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის ტექსტში“. დეკლარაციის ტექსტი მონაცევლეობით განიხილეს გენერალურმა მდივანმა, საბჭომ ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე, კომისიამ ქალთა სტატუსის შესახებ, გაეროს წევრმა ქვეყნებმა, ტექსტის შემქმნელმა კომიტეტმა, ვიდრე იგი გადაეცა განსახილველად და დასამტკიცებლად გენერალურ ასამბლეას. 1967 წლის 7 ნოემბერს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „დეკლარაცია ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“.

დეკლარაციის ეფექტურობისა და გავლენის მიმოხილვისას, ლაურა რეანდა წერს: „მიუხედავად იმისა, რომ დეკლარაცია არ ატარებს ვალდებულებით ხასიათს მისი წევრი ქვეყნებისათვის, ამ დოკუმენტის ისევე როგორც, ადამიანის საყოველთაო უფლებების დეკლარაციის მნიშვნელობა მის წევრ ქვეყნებზე მორალური პასუხისმგებლობის დაკისრებაშია. „ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციის“ წევრი ქვეყნები მორალურ პასუხისმგებლობას იღებენ, რომ აღმოფხვრან ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციული კანონმდებლობა თუ ქმედებანი“.<sup>72</sup>

„მორალური სიძლიერის“ გარდა დეკლარაცია წინ გადადგმული ნაბიჯია ქალთა უფლებების საერთაშორისო სამართლებრივ კონტექსტში მოაზრების თვალსაზრისით; ქალთა უფლებების ასეთი ფორმით თავმოყრა ერთიან დოკუმენტში თავისთავად მნიშვნელოვანი და უპრეცენდენტო ფაქტია.

დეკლარაცია შედგება პრეამბულისა და 11 მუხლისგან; პრეამბულაში ნათვექმია, რომ მიუხედავად გაერთიანებული ერების წესდებისა, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“, გაეროს სხვადასხვა რეზოლუციების, კონვენციებისა და რეკომენდაციებისა ვერ მოხერხდა ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრა; რომ, მიუხედავად იმ უზარმაზარი როლისა, რასაც ქალები ასრულებებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში მათი უფლებრივი მდგომარება ჩამოუვარდება კაცების უფლებრივ მდგომარეობას. დეკლარაციის თერთმეტი მუხლი შემდეგ საკითხებს ეხება: პირველი მუხლი გმობს ქალთა წინააღმდეგ მიმართულ დისკრიმინაციას; მეორე მუხლი გმობს ზოგიერთი ქვეყნის კანონებს, წესებსა და ჩვეულებებს, რომლებიც ქალის დისკრიმინაციას უწყობენ ხელს; მესამე მუხლი მოუწოდებს ისეთი საზოგადოებრივი აზრის განმტკიცებისაკენ, რომელიც აღიარებს სქესთა თანაბარუფლებიანობას; მეოთხე მუხლი იცავს ქალთა პოლიტიკურ უფლებებს; მეხუთე მუხლი ეძღვნება ქალთა უფლებას მიიღონ, შეიცვალონ ან შეინარჩუნონ ეროვნება; მეექვსე მუხლი აღიარებს სქესთა თანასწორობას ქორწინებისას, ქორწინების დროს და გაყრისას; მეშვიდე მუხლი მოუწოდებს წევრ ქვეყნებს შეცვალონ ეროვნული სისხლის სამართლის კოდექსების დისკრიმინაციული მუხლები; მერვე მუხლი მოუწოდებს ქვეყნებს შეიმუშაონ ტრეფიკინგთან ბრძოლის ეფექტური ზომები; მეცხრე მუხლი ეძღვნება განათლების მიღების მნიშვნელობას სქესთა შორის თანაბარუფლებიანობის შესახებ; მეათე მუხლი არეგულირებს სქესთა თანაბარუფლებიანობას ცხოვრების ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში; მეთერთმეტე მუხლი მოუწოდებს მთავრობებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო პირებს, რომ „დანერგონ და განახორციელონ ამ დეკლარაციაში აღწერილი პრინციპები“.<sup>73</sup>

<sup>72</sup> ლაურა რეანდა, „კომისია ქალთა სტატუსის შესახებ“, 284. (Arvonne S. Fraser, “The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women (The Women’s Convention)”. In *Women Politics and the United Nations*. Anne Winslow ed. Greenwood Press. Westport, Conn.. 1995, 78 and Laura Reanda, “The Commission on the Status of Women”. *The United Nations and Human Rights: A Critical Appraisal*. Philip Alston ed. Clarendon Press. Oxford. 1992. 284).

<sup>73</sup> „დეკლარაცია ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 11.

დეკლარაციის მიღების შემდეგ მნიშვნელოვანი იყო მისი გავრცელება მსოფლიოს მასშტაბით, რომ მასში განხილული საკითხები არ დარჩენილიყო ქალალდზე. მაგრამ, ვინაიდან დეკლარაცია სამართლებრივ ვალდებულებას არ აკისრებს მის წევრ ქვეყანას, მისი დანერგვა და შესაბამისად მონიტორინგი არ განხორციელდა ეფექტურად. წევრი ქვეყნები არ გამოირჩეოდნენ დიდი ენთუზიაზმით დეკლარაციის დანერგვის შესახებ მოხსენებების წარდგენისას. ფრეიზერი წერს, რომ უკვე 1968 წელს „ქალთა სტატუსის შესახებ კომისიის წევრმა პოლონეთიდან გააკეთა შემოთავაზება დეკლარაციის კონვენციად გადაკეთების შესახებ, დასძინა რა, რომ ასეთი ტრანსფორმაცია ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა ადამიანის უფლებების დამცავი დოკუმენტებისათვის“.<sup>74</sup> თუმცადა ქალთა სტატუსის შესახებ კომისიის მხოლოდ 25-ე სხდომაზე, 1974 წელს, გადაწყდა რეალურად დაწყებულიყო ქალთა უფლებების დამცავი ერთიანი კონვენციის ტექსტზე მუშაობა.

## ქალთა კონვენცია

კომისიის თხუთმეტკაციანი სამუშაო ჯგუფი 1974 წლის 7-დან 17 იანვრამდე მუშაობდა.<sup>75</sup> მთავრობებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების ჩატარების შემდეგ, 1974 წელს, 6-დან 17 დეკემბრამდე გამართულ 26-ე სხდომაზე კომისიამ ქალთა სტატუსის შესახებ მიიღო „ქალთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის“ ტექსტი. ჰელვი სიფილამ, გენერალური მდივნის მოადგილემ სოციალური განვითარების და ჰუმანიტარული საქმეების განხრით, სხდომის შემდეგ შენიშნა, რომ თუ კონვენციას გენერალური ასამბლეა მიიღებს თავის შემდგომ სესიაზე, მაშინ ეს ფაქტი მოხდება ქალთა 1980 წლის მსოფლიო კონფერენციამდე, გაეროს მიერ გამოცხადებული ქალთა ათწლეულის (1975-1985) შუაში.<sup>76</sup> ეს მიზანი მიღწეულ იქნა ქალთა სტატუსის შესახებ კომისიის ინტენსიური ძალისხმევის შედეგად, 1979 წლის 19 დეკემბერს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია.

„კონვენციას ქალთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ ხშირად უწიდებენ „ქალთა კონვენციასა“ ან „ბილს ქალთა უფლებების შესახებ“, რადგან იგი ქალების უფლებების დამცავი კომპლექსური დოკუმენტია წარმოადგენს, სადაც თავმოყრილია დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის საჭირო მნიშვნელოვანი ელემენტები. კონვენციის ტექსტი შედგება პრეამბულისა და 30 მუხლისაგან. პრეამბულის ტექსტი წააგავს „ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციის“ პრეამბულის ტექსტს, თუმცადა უფრო ფართო და გაბედულია თავისი შინარსით. კონვენციის პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ „სილარიბის პირობებში ქალებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია სურსათი, ჯანმრთელობის დაცვის საშუალებები, განათლება, პროფესიული მომზადება და დასაქმება, აგრეთვე სხვა მოთხოვნილებები“.<sup>77</sup> კონვენციის პრეამბულა დეკლარაციის პრეამბულისგან განსხვავდება ასევე ორი ერთობ პოლიტიკური შინაარსის აბზაცით, რაც დოკუმენტს „თავისი დროის პროდუქტად“ აქცევს.<sup>78</sup> ორიდან ერთი აბზაცი

<sup>74</sup> არვონე ს. ფრეიზერი „კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ქალთა კონვენცია)“, 78. (Arvonne S. Fraser, “The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women (The Women’s Convention)”. In *Women Politics and the United Nations*. Anne Winslow ed. Greenwood Press. Westport, Conn. 1995, 84).

<sup>75</sup> „ადამიანის უფლებები: კომისია ქალთა სტატუსის შესახებ“, „Human Rights: Commission on the Status of Women“. *Annual Review of United Nations Affairs* 1974. Compiled and edited by: Joseph T. Vambery. Oceana Publications, inc. New York. 1976. 261.

<sup>76</sup> „ქალთა უფლებები და სტატუსი“, 260. (“Women’s Rights and Status”. *Annual Review of United Nations Affairs* 1976. Compiled and edited by William A. Landskron. Oceana Publications, inc. New York. 1977. 260).

<sup>77</sup> „კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, პრეამბულა.

<sup>78</sup> არვონე ს. ფრეიზერი „კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (ქალთა კონვენცია), 85. (Arvonne S. Fraser, “The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women (The

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემოთავაზებაა, მასში ნათქვამია, რომ სქესთა შორის თანასწორობას ძალიან შეუწყობს ხელს ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი, რომელიც დაემყარება თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპს. ხოლო მეორე აბზაციში ხაზგასმულია, „რომ აპარტეიდის, რასიზმის ყველა ფორმის, რასობრივი დისკრიმინაციის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, აგრესის, უცხო სახელმწიფოს მიერ ოკუპაციისა და ბატონობის, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის აღმოფხვრა აუცილებელია მამაკაცისა და ქალის უფლებებით სრული სარგებლობისათვის“.<sup>79</sup> ფრეიზერის მიხედვით, ეს აპარტეიდთან დაკავშირებული არგუმენტი სენეგალის მიერ იყო შემოთავაზებული.<sup>80</sup> ეს აბზაცი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი ამახვილებს ყურადღებას კავშირზე დისკრიმინაციულ პოლიტიკურ რეჟიმსა და ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე.

კონვენციის პირველი მუხლი ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის განმარტებაა. „[...] ტერმინი „ქალის დისკრიმინაცია“ ნიშნავს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯნვას ან შეზღუდვას, რომელმაც შესაძლებელია შედეგად მოიტანოს ან რომლის მიზანია ქალისათვის, მისი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში, ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების შესაძლებლობის შესუსტება, ან სრული უარყოფა.“ (“კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”, მუხლი 1.) 2-6 მუხლები ადგენენ სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სხვა ზომებს რაც კონვენციის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ, რომ მიიღწეს სქესთა შორის თანაბარუფლებიანობა. ეს ძალისხმევებია: სპეციალური ზომები (მუხლი 4), სოციალური და კულტურული ნიმუშების მოდიფიკაცია (მუხლი 5) და ქალთა ტრეფიკინგის აღმოფხვრა (მუხლი 6). მუხლი 2, კონვენციის ძირეული მნიშვნელობის მუხლად ითვლება, რადგან იგი უდგენს სახელმწიფოებს სტრატეგიებს კონვენციის განსახორციელებლად.

6-16 მუხლები ეძღვნება დისკრიმინაციის სპეციფიკურ სფეროებს, კერძოდ, ქალთა და კაცთა თანაბარუფლებიანობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში (მუხლი 7), საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს წარმოდგენის უფლებას (მუხლი 8), ქალის უფლებას მიიღოს, შეიცვალოს და შეინარჩუნოს ეროვნება (მუხლი 9), უფლებას განათლებაზე (მუხლი 10), ქალთა და მამაკაცთა თანაბარუფლებიანობას დასაქმების სფეროში (მუხლი 11), უფლებას სამედიცინო მომსახურებაზე (მუხლი 12), ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს (მუხლი 13), მოწოდებას სოფლად მცხოვრები ქალის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (მუხლი 14),<sup>81</sup> მოწოდებას კანონის წინაშე ქალის და მამაკაცის თანასწორობის მიღწევისათვის (მუხლი 15) და ქალის დისკრიმინაციის აღმოფხვრის მოწოდებას ქორწინებასა და საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებში (მუხლი 16).

მუხლი 16, მუხლი 2-ის მსგავსად პრინციპული მნიშვნელობისაა და სახელმწიფოების მხრიდან თავის შეკავება ამ ორ მუხლზე შეუსაბამობაშია კონვენციის მთავარ მიზანთან, ამიტომ კომიტეტი ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვის შესახებ მოუწოდებს ქვეყნებს არ შეიკავონ თავი ამ მუხლებზე ან გადასინჯონ და გადათქვან ამ მუხლებზე

Women’s Convention)”. In *Women Politics and the United Nations*. Anne Winslow ed. Greenwood Press. Westport, Conn. 1995, 85).

<sup>79</sup> “კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”, პრეამბულა.

<sup>80</sup> არვონე ს. ფრეიზერი “კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ქალთა კონვენცია)”, 85. (Arvonne S. Fraser, “The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women (The Women’s Convention)”. In *Women Politics and the United Nations*. Anne Winslow ed. Greenwood Press. Westport, Conn. 1995, 85).

<sup>81</sup> სოფლად მცხოვრები ქალების საკითხი პირველად დეკლარაციის წერისას იყო ნახსენები საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ, მაგრამ ეს საკითხი დეკლარაციის ტექსტში არ შევიდა, არამედ მხოლოდ კონვენციის. (მეტი დეტალებისთვის იხილეთ არვონე ს. ფრეიზერი “კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ” (ქალთა კონვენცია)”, 85. (Arvonne S. Fraser, “The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women (The Women’s Convention)”. In *Women Politics and the United Nations*. Anne Winslow ed. Greenwood Press. Westport, Conn. 1995, 85).

გამოთქმული რეზერვაციები.

17-22 მუხლები არეგულირებენ კონვენციის დანერგვის მონიტორინგის შემსრულებელი ორგანოს მუშაობას. იქმნება კომიტეტი ქალთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ; დგინდება სახელმწიფოების მიერ მოხსენებების წარდგენის პროცედურა და კომიტეტის შეხვედრის დრო და ვადები.

17 მუხლის თანახმად, ეს კომიტეტი, რომელსაც ხშირად იგივე შემოკლებული სახელით მოიხსენიებენ, რითაც კონვენციას (CEDAW) შეიქმნა 1982 წელს. იგი შედგება ქალთა საკითხებზე მომუშავე ექსპერტებისაგან, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან არიან წარმოდგენილი კომიტეტში. კომიტეტის დაარსებიდან 2002 წლამდე მისი წევრები (სულ 69) იოპან წორდენფელტის (შვედეთიდან) გამოკლებით სულ ქალები იყვნენ.<sup>82</sup> კონვენციის წევრი ქვეყნები ირჩევენ კომიტეტის წევრებს კონვენციის მოთხოვნის მიხედვით, წევრთა თანაბარი გეოგრაფიული გადანაწილების შესახებ.

კომიტეტის მანდატი ითვალისწინებს კონვენციის დანერგვის თვალყურის დევნებას დოკუმენტის წევრ სახელმწიფოებში. კომიტეტის შეხვედრები წელიწადში ოჯგერ იმართება, ამ შეხვედრებისას კომიტეტი განიხილავს კონვენციის წევრი ქვეყნების მიერ წარდგენილ მოხსენებებს, იმის შესახებ თუ რა გაკეთდა ქვეყნების მასშტაბით კონვენციის დასახერგად. კონვენციის რატიფიცირებიდან ერთი წლის შემდეგ სახელმწიფო ვალდებულია კომიტეტს წარუდგინოს მოხსენება. ამ პირველი მოხსენების შემდეგ ქვეყნები ვალდებული არიან კომიტეტს მოხსენება წარუდგინონ ყოველ 4 წელიწადში ერთხელ. მოხსენების განხილვისას კომიტეტის წევრებს შესაძლოა გაუჩნდეთ დამატებითი კითხვები ქვეყნის მოხსენების ირგვლივ. განხილვის დასასრულს კომიტეტი ამზადებს რეკომენდაციებს და საბოლოო კომენტარს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რასაც კომიტეტი მიიჩნევს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მომხსენებელი ქვეყნის ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საბოლოო ანუ დასკვნითი კომენტარის მომზადება კომიტეტმა დაიწყო მეცამეტე სესიის (1994 წელს) გადაწყვეტილებით. მეცამეტე სესია მნიშვნელოვანია კიდევ იმიტომ, რომ მას შემდეგ კომიტეტის სხდომები გაეროს სათაო ოფისში ნიუ-იორკში იმართება (მანამდე კომიტეტი ხვდებოდა მონაცვლეობით ხან გაეროს ოფისში ვენაში, ხან კი ნიუ იორკში).<sup>83</sup>

კონვენციის 23-30 მუხლები კონვენციის რატიფიცირებისა და ძალაში შესვლის პროცედურას განსაზღვრავს.

კონვენცია გენერალურმა ასამბლეამ თავისი 34/180 რეზოლუციით მიიღო 1979 წლის 18 დეკემბერს, ხელმოწერებისა და რატიფიკაციისათვის გაიხსნა 1980 წლის 1 მარტს. კონვენცია ძალაში შევიდა 1981 წლის 3 სექტემბერს გენერალური ასამბლეის 36/131 რეზოლუციით.

2002 წლის თებერვლისათვის 170 ქვეყანაა კონვენციის წევრი.<sup>84</sup> ქალთა კონვენცია გაეროს ბავშთა კონვენციის შემდეგ ყველაზე მრავალწევრიანი კონვენციაა, მაგრამ ამავე დროს წევრი სახელმწიფოები ყველაზე მეტად ამ კონვენციის ზოგიერთ მუხლებზე იკავებენ თავს, რაც ქალთა უფლებების დამცავებისა და მკვლევრებისაზრით, აფერხებს კონვენციის ეფექტურობას.

ფემინისტი მკვლევარები ვერ თანხმდებიან ქალთა ადამიანის უფლებების არტიკულაციისა და დანერგვის სტრატეგიებზე, ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, სელინა რომანი ფიქრობს, რომ ქალთა უფლებები უფრო ძლიერი და მრავლისმომცველი იქნება თუ, მათი გამოთქმა მოხდება „ქალებისავე ენით“ და არა ადამიანის უფლებების არსებულ დისკურსში, რომელიც მამაკაცური დომინირების გამო არ არის საკმარისად მგრძნობიარე ქალების პრობლემებისადმი. სხვები, მაგალითად, ჰილარი ჩარლსვორსი მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებების დისკურსი იმ ფორმით

<sup>82</sup> იოპან წორდენფელტი კომიტეტში 1982-1984 წლებში მსახურობდა.

<sup>83</sup> მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მარა რ. ბუსტელო „ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტი გზაჯვარედინზე“. (Mara R. Bustelo. “The Committee on the Elimination of Discrimination Against Women at the Crossroads”. *The Future of United Nations Human Rights Treaty Monitoring*. Edited by Philip Alston and James Crawford. Cambridge University Press. Cambridge. 2000. 79-111).

<sup>84</sup> უკანასკნელი ქვეყანა, რომელიც კონვენციას შეუერთდა არის ბაზრები, 2002 წლის 18 ივნისს, საქართველო ქალთა კონვენციას შეუერთდა 1994 წლის 26 ოქტომბერს. გაერთიანებული ერები: ქალთა განვითარების განყოფილება.

რა ფორმითაც არსებობს უკვე მოიცავს ბერკეტებს ქალთა უფლებების დასაცავად, განსაკუთრებით ისეთ საზოგადოებებში, სადაც ქალების უფლებების მძიმე დარღვევები ხდება.

რაც შეეხება დანერგვას, რეპეკა ქუკი ამ თვალსაზრისით სამ ძირითად მიღვომას გამოყოფს. ლიბერალური ფემინიზმი აღიარებს სქესთა თანაბარუფლებიანობის მიღწევის შესაძლებლობას არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, ეს მიღვომა არ არის საკმარისად მგრძნობიარე ძალთა იერარქიაში ქალების სხვადასხვაგვარი მდებარების და ამ მდებარეობასთან დაკავშირებული პრობლემების მიმართ. კულტურული ფემინიზმი აღიარებს არსობრივ განსხვავებებს ქალებსა და მამაკაცებს შორის, ასეთი მიღვომა სახითათოა, რადგან მან შეიძლება გამოიწვიოს ქალების უფლებრივი გარიყვა. ხოლო მესამე მიღვომა, რადიკალური ფემინისტების სახით, მიზნად ისახავს მამაკაცთა მიერ დომინირებული სამყაროს ძირეულ შეცვლას, რადგან იგი ეფუძნება სხვადასხვა სახის უთანასწორობას, რომლებიც გამომდინარეობენ გენდერული უფლებრივი უთანასწორობიდან.

ამგვარი სახის დებატები კვლავ გრძელდება, მაგრამ ამავე დროს ჩვენ უკვე მოგვეპოვება კონკრეტული ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებაც შეიძლება ქალების ინტერესების დასაკმაყოფილებლად. მრავალი ქვეყნის მიერ კონვენციის რატიფიცირება არ ნიშნავს, რომ ქალთა უფლებების დარღვევა ერთპაშად და სამუდამოდ აღმოიფხვრება, ქვეყნებს რომც არ ჰქონდეთ ამდენი შეზღუდვები კონვენციის სხვადასხვა მუხლებზე. კონვენციის რატიფიცირება მხოლოდ პირველი ნაბიჯია, მისი პრინციპების დანერგვა ადგილობრივ კანონმდებლობაში კიდევ სხვა, ხოლო ამ კანონების განხორციელება კიდევ სხვა. ეს სამივე საფეხური ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ წინამდებარე ეტაპის გარეშე, რაც გამოიხატა ქალთა უფლებრივი აზრის საერთაშორისო დონეზე ჩამოყალიბებაში ეს შემდგომი ეტაპები ვერ გახდებოდა შესაძლებელი.

ქვეთავში მე შევეცადე მეჩვენებინა ქალთა უფლებების დამცავი დოკუმენტების განვითარების ძირითადი შტრიხები ერთა ლიგასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1945-1982 წლებში. მიმართია, რომ ამ პერიოდში სერიოზული საფუძველი ჩაეყარა უფრო მოქნილ, კულტურებისადმი მგრძნობიარე, მრავლისმომცველ და ქალთა უფლებების დამცავ ძლიერ კანონმდებლობას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას მსოფლიოს მრავალ ქვრყანაში.

გაერთიანებული ერების ქალთა საკითხებისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენციები

განვითარებადი ქვეყნების რიცხვის ზრდამ გაერთიანებული ერების წევრთა რიგებში, ორგანიზაციის დღის წესრიგში დააყენა მათი განვითარების საკითხი. მრავალრიცხოვანმა კალევებმა და ანალიზმა, ჯერ კიდევ ადრეულ 1970-იან წლებში გაერო დაარწმუნა, რომ მსოფლიოს მასშტაბით ქალების მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა ერთ-ერთ უმთავრეს გასაღებს სიღარიბის დაძლევისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების გზაზე. ამავე პერიოდში ძალას იკრებდა ფემინისტური მოძრაობის მეორე ტალღა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქალთა კვლევებს და ქალებთან დაკავშირებული მრავალი საკითხი გახადა საჯარო მსჯელობის საგანი. მიუხედავად შექმნილი რეალობისა პირველი საერთაშორისო განვითარების სტრატეგია, რომელიც განვითარების მეორე დეკადისთვის (1970-1980) შეიქმნა ქალების მდგომარეობაზე ძალიან მნირად საუბრობდა. ამის პასუხად კომისიამ ქალთა სტატუსის შესახებ გენერალურ ასამბლეას შესთავაზა რეზოლუცია, რომელიც წარმოადგენდა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საერთაშორისო დონეზე მოქმედების პროგრამას. ეს რეზოლუცია (A/RES/2715 XXV) ასამბლეამ ერთხმად მიიღო 1970 წლის 15 დეკემბერს. გენერალურმა ასამბლეამ ორი წლის შემდეგ (1972 წელს), 1975 წელი ქალთა საერთაშორისო წელინადად გამოაცხადა, რომლის ამოცანას ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება იყო, როგორც გაეროს სისტემაში, ასევე ორგანიზაციის წევრ ქვეყნებშიც. 1974 წელს გაერომ მიიღო

გადაწყვეტილება მეხიკოში 1975 წელს გამართულიყო პირველი მსოფლიო კონფერენცია ქალთა საკითხებზე.

ქალთა საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციები მეხიკოში (1975), კოპენჰაგენსა (1980) და ნაირობიში (1985) მიეკუთვნებოდნენ 1970-1980-იან წლებში გაეროს ეგიდით ორგანიზებული ოცამდე კონფერენციის რიგს, თუმცალა თითოეული მათგანი თავისი მნიშვნელობითა და შინაარსით აბსოლუტურად უნიკალური იყო.

1975 წლის ქალთა წლისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენცია წარმოადგენდა პირველ გლობალურ მაღალი რანგის მთავრობათაშორის შეკრებას, რომელიც მთლიანად ქალთა საკითხებს დაეთმობოდა. ეს იყო ასევე პირველი შემთხვევა, როდესაც 1200 წარმოდგენილ დელეგატს შორის 73%-ს ქალები შეადგენდნენ, უფრო მეტიც 133 დელეგაციიდან 113-ს ქალები ხელმძღვანელობდნენ.<sup>85</sup>

კონფერენციამ მიიღო „მსოფლიო მოქმედებათა გეგმა ქალთა საერთაშორისო წლის ამოცანების შესასრულებლად“.<sup>86</sup> ამ გეგმის მიხედვით, უნდა მომხდარიყო მსოფლიოს მასშტაბით ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება მომავალ ათწლეულში ანუ 1985 წლამდე. გეგმამ ქალთა მოძრაობის მიერ წამოჭრილი საკითხები „თანასწორობის -განვითარების - მშვიდობის“ ჩარჩოში მოაქცია. ეს თემები იქცა მთავარ საკითხებად, როგორც ამ ათწლეულის ისევე ქალთა საკითხებისადმი მიძღვნილი შემდგომი მსოფლიო კონფერენციებისათვის. კონფერენციის შედეგად გენერალურმა ასამბლეამ 1976-1985 წლები ქალთა დეკადად გამოაცხადა და გადაწყდა დეკადის შუაში 1980 წელს დანის დედაქალაქ კოპენჰაგენში შემდგომი კონფერენციის მოწყობა, რომელიც შეაფასებდა პლატფორმის შესრულების შუალედურ პროგრესს. ხოლო 1985 წელს კენის დედაქალაქ ნაირობიში დაგეგმილი კონფერენცია კი, მთლიანი დეკადის შედეგებსა და მიღწევებს შეაჯამებდა.

მკვლევართა ანალიზმა აჩვენა, რომ მეხიკოში დასმულ ამოცანათა შესრულება ვერ მოხერხდა ქალთა დეკადაში, თუმცალა მრავალი სხვა დადებითი შედეგი იქნა მიღწეული. დადებითი შედეგი გახსლდათ ის, რომ მოხდა მსოფლიოს მასშტაბით ქალთა მდგომარეობის (უფლებრივი, სოციალური თუ სხვა) გააზრება და განცხადება, უკეთესად ვიდრე ამ პერიოდამდე მომხდარა. ამ დეკადაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოაგროვა უზარმაზარი ინფორმაცია ქალთა საკითხების შესახებ, ასევე გამოაშკარავდა ის სირთულეები, რომლებიც მონაცემთა შეგროვებისას მათ სქესის მიხედვით განაწილებას ტოვებდა უყურადღებოდ. ამ მიგნებაზე დაყრდნობით გაერომ წევრ ქვეყნებს მოსთხოვა მონაცემთა შეგროვების მეთოდების იმგვარი დახვეწა, რომ სქესის მიხედვით დისაგრეგირებული მასალა მოეპოვებინათ. ეს რეკომენდაცია განვითარებულმა ქვეყნებმა შესრულეს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ჯერ კიდევ შეუსრულებელი რჩება. 1990-იან წლებში საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტმა შვედეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით შეიმუშავა გენდერული სტატისტიკის პარამეტრები და საფუძველი ჩატარა პუბლიკაციას „ქალი და მამაკაცი საქართველოში“, რომელიც ყოველწლიურად გამოდის, თუმცა კიდევ უფრო მეტია ამ მიმართულებით გასაკეთებელი, ვინაიდან გენდერული სტატისტიკის ქონა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს სტატისტიკური მეთოდებით მასალის მოგროვების მთელ სისტემაში გენდერის უფრო კორექტულად კი, სქესის მიხედვით მონაცემთა სეგრეგაციას, რაც საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტს ჯერ კიდევ გასაკეთებელი აქვს.

1985 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „ნაირობის სამომავლო სტრატეგიები ქალთა წინსვლისთვის“<sup>87</sup> და ამ დროსვე გადაწყდა ბუთნელინადში ერთხელ ჩატარებულიყო მსოფლიოს მასშტაბით კვლევები ქალთა როლის შესახებ, რომელიც ნაირობის კონფერენციის დასკვნებისა და რეკომენდაციების შესრულებას გადამოწმებდა. დეკადის შედეგად დამოკიდებულებამ

<sup>85</sup> სოფლიოს ქალთა კონფერენციებზე მოწყობებული მასალა ეყრდნობა ჰილკა პიეტილას „გლობალურ დღის წესრიგში გენდერის ინტეგრაცია: ქალებისა და გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის ამბავი“, 2002. (Hilkka Pietila, Engendering the Global Agenda: the Story of Women and the United Nations, NGLS, 2002).

<sup>86</sup> “The World Plan of Action for the Implementation of the Objectives of International Women’s Year”

<sup>87</sup> The Nairobi Forward-Looking Strategies for the Advancement of Women (NFLS)

ქალთა საკითხების მიმართ შეცვლა დაიწყო, ამის დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ „ნაირობის სამომავლო სტრატეგიები ქალთა წინსვლისთვის“<sup>88</sup> 157 წევრი ქვეყნის თანხმობით იქნა მიღებული, მაშინ, როდესაც ადრეულ კონფერენციებზე ამ ტიპის დოკუმენტების მიღება კენჭისყრით ხდებოდა. გაერთიანებული ერების სისტემაში კონსენსუსით ანუ თანხმობით მიღებული კონფერენციის საბოლოო დოკუმენტი უფრო მეტად სავალდებულოა მთავრობებისთვის შესასრულებლად, ვიდრე კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით მიღებული დოკუმენტი.

ვინაიდან დეკადაშ ვერ შეასრულა დასმული ამოცანები „ნაირობის სამომავლო სტრატეგიები ქალთა წინსვლისთვის“ არ სვამდა ახალ ამოცანებს, არამედ სახავდა ახალ, გაუმჯობესებულ სტრატეგიებს დასმულ საკითხთა მისაღწევად 2000 წლისთვის. ამგვარად, გაეროს ქალთა დეკადა გარკვეულწილად გაგრძელდა 2000 წლამდე.

გაეროს ეგიდით ორგანიზებულ ქალთა მსოფლიო კონფერენციების უშუალო მონაწილეების გაეროს წევრ სახელმწიფოთა სამთავრობო დელეგაციები წარმოადგენდნენ, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურმა მონაწილეობამ კონფერენციის ე.წ. პარალელურ ღონისძიებებში უდიდესი როლი შეასრულა და დიდი გავლენა იქონია კონფერენციათა მსველობებსა და დასკვნებზე. მეხიეროს კონფერენციას 1200 მთავრობის დელეგატთან ერთად 3800 არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი დაესწრო, ეს იყო სამოქალაქო საზოგადოების ყველაზე დიდი მონაწილეობა გაეროს ამ დრომდე ჩატარებულ მსოფლიო კონფერენციებს შორის. 1980 წელს კოპენჰაგენის კონფერენციას 7000 მონაწილე, ნაირობის 1985 წლის კონფერენციას 16000 და 1995 წლის ბეიჯინგის (პეკინის) ქალთა მსოფლიო კონფერენციასა და ჰუაიროუს ფორუმს 50000 მონაწილე დაესწრო.

ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციამ, რომელიც პეკინში გაიმართა თავი მოუყარა და კონცეპტუალურად გამართა ყველა ის საკითხი, რომელიც კი, როდესმე დასმულა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. კონფერენცია 1995 წლის 4-დან 15 სექტემბრამდე ჩინეთის დედაქალაქ პეკინში გაიმართა. დელეგატთა უმრავლესობა სამართლიანად სვამდა კითხვას: ხომ არ ნიშნავდა პეკინში კონფერენციის ჩატარება ჩინეთის მთავრობისათვის პოლიტიკური მხარდაჭერის გამოცხადებას ანუ მხარდაჭერას იმ რეჟიმისა, რომელსაც ბევრი არც თუ უსაფუძვლოდ ტოტალიტარულ და ადამიანის უფლებათა უგულვებელყოფ რეჟიმად მოიაზრებდა? ამ პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ბევრი მონაწილეობის მსურველი ქალი თავს იკავებდა ჩინეთში გამგზავრებისგან. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმის გამართვა პეკინში იგეგმებოდა, მაგრამ საბოლოოდ დედაქალაქიდან 60 კილომეტრის მოშორებით, შედარებით პატარა ქალაქ ჰუაიროუში გაიმართა. საერთაშორისო შეფასებით ბეიჯინგის იგივე პეკინის ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენცია დიდი წარმატება თავისი მოცულობითა და შინაარსით. კონფრენციას 189 სამთავრობო დელეგაცია დაესწრო, ეს ციფრი აღემატებოდა გაეროს ოდესმე ჩატარებულ კონფერენციებში მონაწილე სამთავრობო დელეგაციათა რიცხვს. კონფერენციის უშუალო მონაწილე 17000 ადამიანი იყო, აქედან 6000 სამთავრობო წრეების წარმომადგენლები, 4000 აკრედიტირებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და 4000 უურნალისტი და კიდევ ბევრი გაეროს თანამშრომელი. არასამთავრობო ორგანიზაციათა ჰუაიროუში გამართულ ფორუმზე 30000 მონაწილე ჩამოვიდა მსოფლიოს ყველა კუთხიდან, პლიუს 5000-მდე ჩინელი. თავისი მასშტაბითა და მრავალფეროვნებით ბეიჯინგის კონფერენცია და ჰუაიროუს ფორუმი ძალიან მთამბეჭდავი აღმოჩნდა როგორც ვეტერანი მსოფლიოს ქალთა კონფერენციების მონაწილეთათვის ასევე ახალბედებისთვის.

„ბეიჯინგის დეკლარაცია და მოქმედებათა პლატფორმა თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობისათვის“<sup>88</sup> ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციის ოფიციალური, საბოლოო დოკუმენტია.<sup>88</sup> ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმა აღწერს ქალთა მდგომარეობას გლობალურად, და აქედან გამომდინარე, გამოკვეთს ზრუნვის, გნებავთ, წუხილის 12 კრიტიკულ

<sup>88</sup> “Beijing Declaration and Platform for Action for Equality, Development and Peace”.

სფეროს, რომლის დარეგულირების გზასაც ასევე სახავს. ეს 12 კრიტიკული სფეროა:

1. სიღარიბე;
2. განათლება;
3. ჯანდაცვა;
4. ძალადობა ქალების წინააღმდეგ;
5. შეიარაღებული კონფლიქტები;
6. ეკონომიკა;
7. ძალაუფლება და გადაწყვეტილების მიღების დონეები;
8. ინსტიტუციური მექანიზმები;
9. ადამიანის უფლებები;
10. მედია;
11. გარემოს დაცვა;
12. გოგონათა მდგომარეობა.

მოქმედებათა პლატფორმაში ნათქვამია, რომ იგი წარმოადგენს ქალთა წინსვლისა და გაძლიერების დღის წესრიგს. ამგვარად აქცენტი აღარ კეთდება ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, არამედ მათ გაძლიერებასა და წინსვლაზე, ვინაიდან, პლატფორმის თვალთახედვით, მხოლოდ მამაკაცებთან თანასწორობა არ არის საკმარისი; იმისათვის, რომ ქალებმა მოახერხონ რეალური ცვლილების მოხდენა და სრულფასოვანი მონაწილეობის მიღება გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე, საჭიროა მათი წინსვლისა და გაძლიერებისათვის ხელშეწყობა.

თუ გავაანალიზებთ, პერიოდის მოქმედებათა პლატფორმა თავმოყრაა ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხისა, რაც კი როდესმე წამოჭრილა საერთაშორისო დონეზე ქალებთან მიმართებაში.

ქალთა კონვენციისაგან განსხვავებით, ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმა ამომწურავად ეხება ქალთა მიმართ ძალადობის საკითხს და სახავს ამ პრობლემის გადაჭრის ქმედით გზებს. პლატფორმა ამახვილებს ყურადღებას ქალთა რეპროდუქციულ უფლებებზე და საუბრობს გოგონათა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრის საჭიროებებზე. პლატფორმა, ასევე პირველად და მკაფიოდ მოუწოდებს წევრ მთავრობებს მოახდინონ გენდერის ინტეგრირება ე.წ. ‘მეინსტრიმინგი’ მათ მიერ განხორციელებული პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებში.

ბეიჯინგის კონფერენციიდან ხუთი წლის შემდეგ, 2000 წელს გაეროს აღარ დაუგეგმავს ახალი მსოფლიო კონფერენცია ქალთა საკითხებზე. ამის ნაცვლად ნიუ იორკში, გაეროს სათაო ოფისში, გაიმართა გენერალური ასამბლეის სპეციალური სხდომა სათაურით: „ქალები 2000: გენდერული თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა ოცდამეერთე საუკუნეში“. ეს სხდომა ისტორიაში „ბეიჯინგ +5“ სახელითაც არის ცნობილი, მისი მიზანი ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმის მუშაობის ხუთწლიანი შეფასება იყო. სხდომა 5-დან 9 ინვისამდე გაიმართა და მას 178 წევრი ქვეყნის 2300 სამთავრობო დელეგატი და 2000-მდე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი დაესწრო. „ბეიჯინგ +5“ – ისთვის გაერომ წევრ ქვეყნებს დაუგზავნა კითხვარი, რომელზე პასუხების გაცემაც იძლეოდა საშუალებას მოქმედებათა პლატფორმის ეფექტურობის შესაფასებლად. გაეროს 188 წევრი ქვეყნიდან 146-მა ქვეყანამ გამოგზავნა პასუხები ამ კითხვაზე, რაც 2000 წლის იანვარში აიკინდა და ერთიან პუბლიკაციად გამოიცა.<sup>89</sup> ამ ანგარიშის პარალელურად არასამთავრობო ორგანიზაციებმა თავიანთი ჩრდილოვანი ანგარიში მოამზადეს, სადაც სამთავრობო ანგარიშში მოცემული დასკვნების გადამოწმება მოხდა.

გენერალური ასამბლეის ამ საგანგებო სხდომის საბოლოო დოკუმენტს, რომელიც ერთხმად

<sup>89</sup> გამოცემის სათაურია: “ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმის განხორციელების განხილვა და შეფასება” (“Review and appraisal of the implementation of the Beijing Platform for Action”(E/CN.6/2000/PC/2)).

იქნა მიღებული წევრი ქვეყნების დელეგაციათა მიერ წარმოადგენდა „პოლიტიკური დეკლარაცია და შემდგომი ნაბიჯები და ინიციატივები ბეიჯინგის დეკლარაციისა და მოქმედებათა პლატფორმის განსახორციელებლად“.<sup>90</sup> ამ დოკუმენტში ხაზგასმულია მთავრობათა მიერ ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმით აღებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა, რაც გულისხმობს იმას, რომ მოქმედებათა პლატფორმის ზეგავლენა ზოგადად დადებითად შეფასდა და მისი განხორციელების ვადები გაგრძელდა კიდევ 5 წლით.

2005 წლის 28 თებერვლიდან – 11 მარტამდე ისევ ნიუ-იორქში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათაო ოფისში გაიმართა გაეროს „კომისიის ქალთა სტატუსის შესახებ“<sup>91</sup> რიგით 49-ე სხდომა. ამ სხდომას წინ უძლოდა მოსამზადებელი შეხვედრა ჟენევაში, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები მსოფლიოს სხვდასხვა ქვეყნებიდან. მთავარი ამოცანა და მიზანი კომისიის 49-ე სხდომისა იყო ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმისა და 2000 წელს მიღებული დეკლარაციის განხორციელების შეფასება და შედეგაბიდან გამომდინარე პლატფორმის ან განმტკიცება და გაძლიერება ან მისი სისუსტეების აღიარება და მიტოვება.

მოსამზადებელმა სამუშაომ და შეფასებებმა ნათლად წარმოაჩინა „ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმის“ როგორც კონცეპტუალური ჩარჩოს ძლიერება ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. აღინიშნა, რომ ზრუნვის ის 12 კრიტიკული სფერო, რომელსაც მოქმედებათა პლატფორმა კვეთს ათი წლის თავზეც აქტუალურია მრავალი ქვეყნის მოქალაქე ქალებისათვის და მიუხედავად „ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმის“ სუსტი განხორციელებისა ეროვნულ დონეებზე ქვეყნების მთავრობების მიერ, გაერთიანებული ერების „ქალთა სტატუსის კომისიის“ 49-ე სხდომამ თავისი დეკლარაციით მოახდინა მოქმედებათა პლატფორმის განმტკიცება ყოველგვარი ცვლილებებისა და შესწორებების გარეშე, მეტიც პლატფორმასთან შეერთებულ ქვეყნებს მოსთხოვა მისი განუხრელი და ეფექტური განხორციელება.

49-ე სხდომა 28 თებერვალს გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გახსნა, ეს ფაქტი უკვე დასტურია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრიდან ქალთა საკითხების სერიოზული მხარდაჭერისა. თავის სიტყვაში გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ საზოგადოების განვითარების ყველაზე სწორ და ძლიერამოსილ გზას ქალთა გაძლიერება და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა წარმოადგენს. გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აბსოლუტურად აუცილებელია გენდერული უთანასწორობის დაძლევა დასაქმების სფეროში, ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა საკანონმდებლო ორგანოსა და გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის აღმოფხვრა.

კომისიის სხდომას 180-ზე მეტი სამთავრობო დელეგაცია ესწრებოდა და 6000-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია ადევნებდა თვალს. პლატფორმის განმტკიცების საქმეში დიდია სწორედ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, რომლებმაც ორგანიზებულად და ეფექტურად გაუწიეს წინააღმდეგობა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ინიციატივას „პლატფორმის“ ტექსტში ქალთა რეპროდუქციული უფლებების ნაწილის ჩასწორების შესახებ. ა.შ.შ. დელეგაციის ცვლილების გათვალისწინება მნიშვნელოვნად გააუარესებდა ქალთა არჩევანის თავისუფლებას ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტისას. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს მხარი დაუჭირა ევროკავშირის ქვეყნების დელეგაციებმა და აქტიური ლობირების შედეგად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 4 მარტს გაითხოვა წინადადება „პლატფორმის“ ტექსტის ცვლილების შეტანის შესახებ. არასამთავრობო და სამთავრობო დელეგატების ამგვარმა წარმატებულმა თანამშრომლობამ, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მსოფლიო მასშტაბით არსებული ქალთა მდგომარეობის სირთულისა, საერთაშორისო დონეზე ქალთა საკითხებისადმი პროგრესული მიდგომა დომინირებს.

<sup>90</sup> “Political Declaration and Further Actions and Initiatives to Implement the Beijing Declaration and Platform for Action”.

<sup>91</sup> “Commission on the Status of Women”.

კურსის ამ მონაკვეთში ჩვენ განვიხილეთ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ყველა ის მასშტაბური და მნიშვენლოვანი ღონისძიება, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში გაიმართა მისი დაარსების დღიდან, ვიდრე დღემდე. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს მიერ წევრ სახელმწიფოთა მთავრობებისთვის საერთაშორისო დონეზე ქალთა საკითხების ამგვარმა ქმედითმა დასმამ, ქალთა უფლებებისათვის მებრძოლთ შეუქმნა ნოყიერი გარემო მუშაობისთვის, ხოლო იმ სისუსტეებმა, რომლებიც შეინიშნება ზემოხსენებულ საერთაშორისო დოკუმენტების განხორციელებასთან მიმართებაში გამოავლინა მთავრობათა პოლიტიკური ნების ნაკლებობა ქალთა რეალური გაძლიერებისა და წინსვლისთვის ხელშეწყობის საქმეში.

## პრირა 6

### 1. როგორ სრულდება საერთაშორისო ვალდებულებები: საქართველოს გამოცდილება ქალთა უფლებრივი მდგრადარიცხვის კუთხით 1991-2004 წლებში

#### ლიტერატურა:

Sabedashvili, Tamar, «Women's Legal Rights Conditions: the Case of Georgia», Report Delivered at a Conference «Gender Works for the Former Soviet Union Countries», organized by the World Bank and Swedish International Development Agency, Stockholm, Sweden, April 2004.

Committee on the Elimination of Discrimination Against Women, *Initial Report of States Parties, Georgia*, March 10, 1998.

**ჟაკი:** კარგი მაშინ. მინდა, რომ გამიძღვე...ნინ  
**მასწავლებელი:** ძალიან კარგი, მაგრამ საით არის წინ?  
**ჟაკი:** მოდი ერთ დიდ საიდუმლოს გეტყვი,  
კაცობრიობის უძველეს ხრიკს.  
წინ არის ყველგან [...] საითაც  
გაიხედავ, ყველგან წინაა!

მილან კუნდერას პიესიდან "ჟაკი და მისი ბატონი"<sup>92</sup>

საბჭოთა კავშირის დაშლას თან მოჰყვა ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების, მათ შორის, საქართველოს აღმოცენება. 1991 წლიდან მოყოლებული საქართველომ, როგორც ერმა-სახელმწიფომ გაიარა სახელმწიფოდ ჩამოყალიბების რთული და მტკიცნეული პროცესი. 90-იანი წლების დასაწყისში წარმოქმნილმა ორმა ეთნიკურმა კონფლიქტმა და სამოქალაქო ომმა დიდი გავლენა იქონია არა მხოლოდ ქვეყნის განვითარების ბედზე, არამედ ასიათასობით მოქალაქეზე და მათ შორის ქალებზეც.

სახელმწიფოს მიერ თავსმოხვეული გენდერული თანასწორობის რიტორიკა კომუნიზმთან ერთად დასამარდა, ახლადაღმოცენებულ დამოუკიდებელ ქვეყნებში ქალები, ერთის მხრივ, რეაბილიტირებული კულტურული და რელიგიური ტრადიციების, ხოლო, მეორეს მხრივ, მძიმე ეკონომიკური პირობების დაქვემდებარებაში აღმოჩნდნენ.

ტრანზიცია გულისხმობს „ნინ“ მოძრაობას ერთი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილებიდან მეორისაკენ, თუმცა ეს „ნინ“, როგორც ჟაკი ამბობს, შეიძლება იყოს ყველგან და ზუსტად არავინ იცის სად დავასრულებთ მოგზაურობას. ამგვარად დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე 4,4<sup>93</sup> მილიონიანი ქვეყანა მოძრაობს „ნინ“. ტრანზიცია არ არის ქართული სიტყვა, ამ ლათინური წარმოშობის სიტყვას ფართო გამოყენება სწორედ ლათინური წარმოშობის ენებში აქვს, თუმცა აღმოჩნდება მანძილზე ჩვენთანაც ფართო გავრცელება პოვა და თავის ლექსიკურ მნიშვნელობაზე გაცილებით მეტი შინაარსი შეიძინა. ვებსტერის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ტრანზიცია ნიშნავს შეცვლას, მოძრაობას ან გადასვლას ერთი პოზიციიდან, მდგომარეობიდან, სუბიექტიდან,

<sup>92</sup> Milan Kundera, *Jacques and His Master: An Homage to Diderot in Three Acts* (New York: Harper & Row Publishers, 1985), 89.

<sup>93</sup> სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა 2002 წლის აღნერის შედეგებით 4,4 მილიონს უდრის, 1989 წლის აღნერის მონაცემებით კი 5,5 მილიონის ტოლი იყო.

მოსაზრებიდან მეორეზე<sup>94</sup> ჩვენს პოლიტიკურ გარემოში ტრანზიცია განისაზღვრა, როგორც ცვლილება ერთი სახელმწიფო წყობიდან მეორისაკენ; ეკონომიკური თვალსაზრისით, ძირითადად, სოციალიზმისა და ცენტრალიზებულად დაგეგმილი ეკონომიკიდან კაპიტალიზმისა და საბაზრო ეკონომიკისკენ, ხოლო პოლიტიკურად - ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიისკენ.

ეს პროცესები ოფიციალურად 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყო, თუმცა ფართო საზოგადოება არ იყო ინფორმირებული ზუსტად რა სახელით მოენათლათ ისინი. სიტყვა „ტრანზიცია“ პოსტსაბჭოთა კონტექსტში შემოღებული იქნა მოგვიანებით, 90-იანი წლების შუა ხანებში, მაშინ, როცა პოლიტიკოსებსა და მკვლევრებს დასჭირდათ სახელის დარქმევა ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) რესპუბლიკების მიმდინარე პროცესებისთვის. ასე, რომ საქართველო სხვა სსრკ რესპუბლიკების უმრავლესობასთან ერთად ტრანზიციულ სახელმწიფოთა კატეგორიაში აღმოჩნდა, რომლებიც ჩემთვის მისაღები და საკმაოდ ფართოდ გავრცელებული განსაზღვრების თანახმად, წარმოადგენენ "ჰიბრიდებს", სადაც ძველი წყობის მნიშვნელოვან ასპექტებთან ერთად თანაარსებობენ ახალი წყობისათვის დამახასიათებელი ასპექტებიც. ასეთ ქვეყნებს, მიუხედავად იმისა, დემოკრატიული და საბაზრო ეკონომიკის გზით ვითარდებიან თუ ავტორიტარიზმის გზას ადგანან, საერთო მახასიათებელი - არასტაბილურობა გამოარჩევს."<sup>95</sup>

„ტრანზიციის“ ცნებამ ჩვენს რეალობაში გარკვეული იდეოლოგიური მნიშვნელობა შეიძინა და უმეტეს შემთხვევაში პოლიტიკოსების მიერ განადგურებული მრეწველობის, მძიმე ეკონომიკური პირობების, ელექტრონურობის მიწოდების ნაკლებობის, მზარდი უმუშევრობის, ათასობით იძულებით გადაადგილებული ადამიანის, ეთნიკური კონფლიქტებისა და სამოქალაქო ომის გასამართლებელ და საპოდიშო ტერმინად იქცა. თითქოსდა ტრანზიცია თავისთავში აუცილებლად გულისხმობდეს და „ნორმალურს“ ხდიდეს ზემოჩამოთვლილ სირთულეებს. სახელის გამოძებნას მახასიათებელი ნიშნების გამოყოფაც მოჰყვა ასე შეიქმნა ტრანზიციის იდეოლოგია, რომელიც არა ხოლო ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას გამოხატავდა არამედ, სამწუხაროდ, პოსტკომუნისტურ მთავრობათა არაეფექტური და ხშირად დანაშაულებრივი ქმედებისა და უამრავი ადამიანის ტანჯვის გასამართლებელი საბუთიც გახდა.

კურსის ეს თემა ქალთა მდგომარეობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ მდგომარეობას ეხება გარდამავალი პერიოდის საქართველოში 1991 წლის 9 აპრილიდან, მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, დღევანდელ დღემდე. 1991 წლის შემდგომი პერიოდი არის ცვლილებათა ხანა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე; გარდამავალ პერიოდში ქართველ ქალებს მამაკაცებთან ერთად მიენიჭათ გარკვეული უფლებები, ჩამოყალიბდა ახალი და გარდაიქმნა ძველი სახელმწიფო ინსტიტუტები, მაგრამ ხდება კი ამ უფლებების დაცვა ან რამდენად ეფექტურად მუშაობს სახელმწიფო სტრუქტურები და სრულდება თუ არა ქალების მდგომარეობის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმები ჯერ კიდევ საკითხავია.

ახლადაღმოცენებული ქართული სახელმწიფო 1990-იანი წლებიდანვე შეეცადა საერთა-შორისო საზოგადოებრიობის ლეგიტიმური წევრი გამხდარიყო. იგი შეუერთდა საერთაშორისო კონვენციებსა და ხელშეკრულებებს, 1994 წელს შეუერთდა კონვენციას ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW ან ქალთა კონვენცია), საქართველოდან ქალთა ოფიციალური დელეგაცია მონაწილეობდა გაეროს მიერ მოწყობილ ქალთა მსოფლიო კონფერენციებში. საქართველო უერთდება ბეიჯინგის კონფერენციაზე მიღებულ მოქმედებათა პლატფორმას და შესაბამისად ცდილობს ქვეყნის შიგნით გადადგას შესაბამისი ნაბიჯები ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ რამდენად

<sup>94</sup> Webster's Unabridged Dictionary: Newer Words Faster (Random House Inc. 1999), s.v. "transition".

<sup>95</sup> Adrian Karatnycky, "Political and Economic Reform in East Central Europe and New Independent States: A Progress Report", Nations in Transit 1997: Civil Society, Democracy and Markets in East Central Europe and the Newly Independent States, ed. Adrian Karatnycky, Alexander Modyl and Boris Shor (New Brunswick and London: Transaction Publishers, 1998), 9.

გააზრებულად და ეფექტურად?

1994 წლის 24 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ბრძანებულებით, ქვეყანა რეზერვაციის გარეშე შეუერთდა კონვენციას ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც ძალაში 1994 წლის 25 ნოემბერს შევიდა. ამ მოვლენამ მწვანე შუქი აუნთო ქალთა უფლებების დამცავთ, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ კანონმდებლებს, იმისათვის, რომ გაეუმჯობესებინათ ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში და აემაღლებინათ მათი ცნობიერება ამ თვალსაზრისით. კონვენციასთან მიერთება წარმოადგენდა ქალთა განვითარებისთვის და მათი შესაძლებლობების რეალიზაციისთვის მყარი საფუძველის შესაქმნელი პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

მოდით განვიხილოთ ქართველ ქალთა სამართლებრივი სტატუსი კონვენციის მუხლებისა და მისი მოთხოვნების შესაბამისად. ასევე შევადაროთ საქართველოს მთავრობის მიერ გაეროს კონვენციის კომისიისათვის წარდგენილი მოხსენება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მოხსენებას. ორივე მოხსენება წარედგინა გაეროს გენერალურ მდივანს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტის დაინტერესებით, კონვენციის მე-18 მუხლის თანახმად, რომლის მიხედვითაც, კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წარადგინონ თავიანთი მიხსენებები კონვენციის შესრულების შესახებ.<sup>96</sup>

კონვენციის პირველ მუხლში ვკითხულობთ: "ტერმინი „ქალის დისკრიმინაცია“ ნიშნავს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯნვას ან შეზღუდვას, რომელმაც შესაძლებელია შედეგად მოიტანოს ან რომლის მიზანია ქალის მიერ, მისი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში, ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების შესაძლებლობის შესუსტება, ან სრული უარყოფა."<sup>97</sup> დისკრიმინაციის განსაზღვრების გარდა კონვენცია წევრს სახელმწიფოებს ავალდებულებს კონკრეტული ღონისძიებების გატარებას დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.

ქალთა კონვენციის მხარე სახელმწიფოებისთვის კონვენციის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ მოთხოვნათა თანმიმდევრობით განვიხილავ კანონის წინაშე ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ცნებას, ქართული სამართლის ჩარჩოებში. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ქალები და მამაკაცები თანაბარუფლებიანები არიან განათლებისა და ჯანდაცვის მიღების კუთხით. "აქვთ უფლება გააფორმონ კონტრაქტები და განკარგონ ქონება, და მიღონ მემკვიდრეობა."<sup>98</sup> კანონმდებლობა ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის ერთნაირია სასამართლო პროცედურის ყველა ეტაპზე. მოქალაქეობის მიღების, მასზე უარის თქმის, აღდგენის ან შეწყვეტის უფლება ქალებს და მამაკაცებს ერთნაირი აქვთ.<sup>99</sup> მიუხედავად კანონის წინაშე სქესთა თანასწორუფლებიანობისა, ტრადიციები და ქალთა დაბალი უფლებრივი ცნობიერება, მამაკაცებს სახავს მეტი პრიორიტეტების მქონე მოქალაქეებად. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტში წარდგენილ ორივე მოხსენებაში ვკითხულობთ: "მიუხედავად ქალთა კანონმდებლობის არადისკრიმინაციული დებულებებისა, მაინც არსებობს ქალთა და მამაკაცთა სოციალურ როლებს შორის ასიმეტრია, მამაკაცების სასარგებლოდ."<sup>100</sup>

არასამთავრობო ორგანიზაციათა მოხსენებაში მემკვიდრეობით დე იურე და დე ფაქტო უფლებებთან დაკავშირებით წერია, რომ მიუხედავად კანონის წინაშე თანასწორუფლებიანო-

<sup>96</sup> საქართველოს პირველი ანგარიში უნდა 1995 წელს წარედგინა, მაგრამ პირველადი ანგარიშის წარდგენა მხოლოდ 1998 წელს მოხერხდა, გაეროს კომიტეტმა კი იგი 1999 წელს გაიხილა.

<sup>97</sup> გაერო, კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 1.

<sup>98</sup> Report of Non-governmental Organizations on the Status of Women in the Republic of Georgia Under CEDAW Articles, 1998, 5-6.

<sup>99</sup> Consideration of Initial Report Submitted by States Parties under Article 18 of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, article 9, paragraph 59.

<sup>100</sup> Ibid. article 5, paragraph 33.

ბისა, „ტრადიციის მიხედვით ქალები მეორად მემკვიდრეებად მიიჩნევიან. პრაქტიკულად, ქალებს უფრო ნაკლები უფლებები აქვთ, ვიდრე მამაკაცებს მემკვიდრეობით მიღებული ქონების განაწილებაში“.<sup>101</sup> ამ შემთხვევაში პარადოქსი, რომლის მოწმენიც ვხდებით კოდიფიცირებული სამართლის არაეფექტურობაა ჩვეულებით სამართალთან შედარებით. თუმცა კონვენცია სტიმულს აძლევს სახელმწიფოებს რეგულირება გაუწიონ დისკრიმინაციულ ჩვეულებებსა და ტრადიციებს, ქალთა დისკრიმინაციის ტრადიციული ფორმების აღმოფხვრა საკანონმდებლო ინიციატივებზე მეტს მოითხოვს. ამ სიტუაციის შემდგომი ანალიზისთვის გამოვიყენოთ რ.ჯ. ვინსენტის ლოგიკა იმის შესახებ, თუ რა ემართება ადამიანთა უფლებებს თუ ისინი რეალურად არ ხორციელდება. ვინსენტი მიმართავს ჯეკ დონელის, რომელმაც „ფლობის პარადოქსის“<sup>102</sup> ცნება შემოიტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ როდესაც პიროვნებას მანქანას მოპარავენ, მას თეორიულად ისევ აქვს ამ მანქანაზე უფლება, მაგრამ პრაქტიკულად ვერ ახორციელებს. ვინსენტი აღნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში „ადამიანის უფლებებისთვის დამახასიათებელია განუხორციელებლობა“<sup>103</sup> იგივე სიტუაცია გვაქვს საქართველოში ქალთა და მამაკაცთა კანონით გათვალისწინებულ და რეალურ თანასწორობასთან დაკავშირებით, ბევრ სფეროში ქალები სამართლებრივად მამაკაცების თანასწორულფლებიანნი არიან, მაგრამ რეალური მონაცემები განსხვავებულ სურათს იძლევა.

კონვენციის მე-2 მუხლის პარაგრაფი ა) შეეხება სქესთა თანასწორულფლებიანობის პრინციპის ასახვას ქვეყნების კონსტიტუციებსა და ეროვნულ კანონმდებლობებში. საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც პარლამენტმა 1995 წლის აგვისტოში მიიღო, როდესაც ქვეყანა უკვე შეერთებული იყო ქალთა კონვენციას. კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ ალიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.“<sup>104</sup> ასე, რომ პრიორიტეტულად საერთაშორისო სამართლის დოკუმენტი ცხადდება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა მისი ნაწილია და იგი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. თუმცა საერთაშორისო სამართლის ნორმების პირდაპირი გატარება ქვეყანაში ვერ მოხერხდება, ამისათვის საჭიროა მისი ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა.

ვინაიდან საქართველო საბჭოთა სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეა, სქესთა თანაბარულებიანობის სამართლებრივი დარეგულირების მრავალი საკითხი არ არის კონვენციის ადგილობრივ სამართალში დანერგვის შედეგი, არამედ ამ სამართალმემკვიდრეობის. ამის გათვალისწინებით, მუხლობრივად განვიხილოთ კონვენციის მოთხოვნები და საქართველოს სამართლებრივი რეალობა. კონსტიტუციაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრინციპის ასახვა კონვენციით გათვალისწინებული პირველი მოთხოვნაა. (ნაწილი I, მე-2 მუხლი, პარაგრაფი ა)). საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ვკითხულობთ „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, ნარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“ აქ „სქესი“ ნახსენებია სხვა კრიტერიუმებთან ერთად, რომლის მიხედვითაც პიროვნებამ კანონის წინაშე არ უნდა განიცადოს დისკრიმინაცია. კონსტიტუციაში განსაკუთრებულად არ არის მოხსენებული ქალი და მამაკაცი, რომელთაც თანაბარი უფლებები და ძირითადი თავისუფლებები აქვთ, აქ ორივე სქესისათვის გამოყენებულია სიტყვა „პიროვნება“, „მოქალაქე“, ან „ინდივიდი“. დოკუმენტში კანონმდებლებმა

<sup>101</sup> Report of Non-governmental Organizations on the Status of Women in the Republic of Georgia Under CEDAW Articles, 1998, 6.

<sup>102</sup> R.J. Vincent, Human Rights and International Relations, Cambridge:Cambridge University Press, 1986, 10. Citing Jack Donelly, The Concept of Human Rights, 16-17.

<sup>103</sup> Ibid, 10.

<sup>104</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995, თავი I, მუხლი 6, პარაგრაფი 2.

ჩადეს „პიროვნება“, „მოქალაქე“, და „ინდივიდი“ ორივე სქესის აღსანიშნავად, მცირეოდენი მითითებით, რომ'არ არის საჭირო მოქალაქეთა განცალკევება სქესობრივი განსხვავებულობის საფუძველზე.

30-ე მუხლის მე-4 პარაგრაფში ქალები ორჯერ არიან მოხსენიებული: "შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით." ქალთა მოხსენიება არასრულწლოვანებთან ერთად ხაზს უსვამს სახელმწიფოს მხრიდან მათი შრომითი უფლებების დაცვის საჭიროების აღიარებას სპეციალური კანონმდებლობის საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს ღიად არ არის ნათქვამი, კონსტიტუციის შემქმნელები აღიარებენ, რომ ქალები სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ იმისთვის, რომ არ დაირღვეს მათი უფლებები და სახელმწიფო მათ მიმართ, ისევე როგორც მოზარდების მიმართ ერთგვარ მამობრივ, პატერნალისტურ ზრუნვას იჩენს. ამგვარი დამოკიდებულება ქალების მიმართ მეორედ კონსტიტუციის 36-ე მუხლში ჩანს; "ქორწინება ეფუძნება თანასწორუფლებიანობასა და მეუღლეთა თავისუფალ ნებას", იქვე მე-3 პარაგრაფში წერია "კანონი იცავს ქალთა და ბავშვთა უფლებებს". ისევ, ქალების მოხსენიება ბავშვებთან ერთად ხაზს უსვამს სახელმწიფოს მხრიდან ქალთა დაცვის საჭიროებას, რაც თავისთვალი ცუდი არ არის.

ქალთა უფლებებისათვის მებრძოლნი ათწლეულების მანძილზე იღწვოდნენ იმისთვის, რომ მათ ქვეყნების კანონმდებლობებში ამგვარი სპეციალური ზრუნვის მუხლები გაჩენილიყო, თუმცალა ისტორიამ და გამოცდილებამ აჩვენა, რომ მამობრივმა ზრუნვამ შეიძლება დისკრიმინაციული ხასიათი შეიძინოს. მაგალითად, შრომით სამართალს თუ დავუბრუნდებით და შევადარებთ შრომით ბაზარზე არსებულ სიტუაციას, რომელიც დღითიდებე უფრო და უფრო კონკურენტუნარიანი ხდება, დავინახავთ, რომ ის გულუხვი სპეციალური ზრუნვა, რომლითაც საქართველოს შრომის კოდექსი აჯილდოვებს ქალებს შესაძლოა დამქირავებულების მხრიდან მათი კანდიდატურის დაწუნების მიზეზი გახდეს. იგივე კოდექსის III თავის 17 მუხლის მიხედვით,<sup>105</sup> დაუშვებელია სამსახურში მიღებისას სქესის ნიშნით პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაცია, თუმცალა მრავალი დამქირავებელი სურვილის შემთხვევაში მონახავს საბაბს სამუშაოზე უარის თქმისთვის, ხოლო ზოგიერთი დამქირავებელი ისე შორსაც მიდის, რომ პირდაპირ აცხადებს ან ქალების, ან მამაკაცების დაქირავების სურვილს, რაც კოდექსის ამ მუხლის განხორციელების დაბალი ეფექტურობის მაჩვენებელია.

ამას გარდა, კონსტიტუციის ქალებისა და ბავშვების/მოზარდების უფლებების დამცავი მუხლების არსებობა, რომლებიც მათი მამაკაცებთან თანაბარუფლებიანობის გარანტები ხდებიან მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ სქესობრივი და ასაკობრივი დისკრიმინაცია პრობლემურია და კანონმდებელი ცდილობს ამ პრობლემას გაუმკლავდეს (თუ რამდენად ეფექტურად ეს უკვე სხვა საკითხია).

თუ ქალთა კონვენციის შესრულების ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების მოხსენებებს და სახელმწიფო სტრუქტურების მოხსენებებს შევადარებთ, შევამჩნევთ შეუთავსებლობას: არასამთავრობო სექტორის მოხსენების მიხედვით, მიუხედავად ზემოხსენებული კონსტიტუციის მე-14 მუხლისა, "არ არსებობს სპეციალური კანონები, რომლებიც აკრძალავენ ქალთა დისკრიმინაციას",<sup>106</sup> სახელმწიფო მოხსენება კი საწინააღმდეგო მონაცემს გვაწვდის: სისხლის სამართლის კოდექსი "აწესებს სანქციებს იმ ქმედებებისთვის, რომლებიც არღვევენ მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას; ასეთი სანქციები იღებენ ჯარიმის ან დაპატიმრების

<sup>105</sup> საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, თბილისი: გამოცემულია 2003 წლის ნოემბრის მდგომარეობით. თავი III შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) მუხლი 17. სამუშაო მიღების გარანტიები:

1. დაუსაბუთებელი უარი სამუშაოს მიღებაზე აკრძალულია.

2. სამუშაოდ მიღებისას დაუშვებელია ადამიანის უფლებათა პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების ნარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობასა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

<sup>106</sup> Report of Non-governmental Organizations on the Status of Women in the Republic of Georgia Under CEDAW Articles, 1998, article 2.

ფორმას თავისუფლების აღკვეთით 2 წლით ან მეტით. თუ ამ სახის დანაშაული ჩადენილია პიროვნების თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ან თუ ასეთ ქმედებას სერიოზული შედეგი მოჰყვება, იგი ისჯება პატიმრობით 3 წლით, ან მეტით. ასეთ შემთხვევებში დამნაშავედ მიჩნეულ ადამიანს შეიძლება ჩამოერთვას უფლება ჰქონდეს განსაკუთრებული თანამდებობა 5 ან მეტი წლის მანძილზე.”<sup>107</sup> ეს შეუთანხმებლობა ორ მოხსენებას შორის შემთხვევითი არაა, ერთია გქონდეს ასეთი დებულება სისხლის სამართლის კოდექსში, ხოლო მეორეა მისი პრაქტიკაში გატარება და გამოყენება. ფაქტი, რომ ასეთი მუხლი არსებობს თავისთავად დადებითი მოვლენაა, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება საქართველოში, პრობლემა საკანონმდებლო ბაზის ნაკლებობა კი არა, ხალხის მხრიდან მისი ცოდნა და გამოყენებაა. საშუალება რომ გვქონდეს თვალი მიგვედევნებინა ამ მუხლით სასამართლოს მიერ განხილული საქმებისთვის, უკეთ დავინიხავდით, რომ ასეთ შემთხვევებში კანონმდებლობა მკაცრად ქაღალდზე დაწერილი რჩება და იშვიათად ხორციელდება პრაქტიკულად, რაც განპირობებულია მოსახლეობის დაბალი უფლებრივი ცნობიერებით, სქესობრივი დისკრიმინაციის დანაშაულად აღქმის ნაკლებობით.

არასამთავრობო ორგანიზაციების მოხსენება იმეორებს: „საქართველოს კანონმდებლობა არ იცავს ქალებს ძალადობისგან. სისხლის სამართლის კოდექსში პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები განსაზღვრულია სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფით.. არ არსებობს დაცვა პარტნიორის მხრიდან ცუდად მოპყრობისგან, ქმრის ან პარტნიორის მიერ გაუპატიურება დანაშაულად არ ითვლება. არ არსებობს სპეციალური კანონი, რომელიც აკრძალავდა ქალთა წინააღმდეგ ძალადობას.“ ამ მხრივ ის ფაქტი, რომ 1997 წლის რეგისტრირებულია გაუპატიურების მხოლოდ 41 შემთხვევა და გაუპატიურების მცდელობის 18 შემთხვევა მიანიშნება იმაზე, რომ გაუპატიურების ბევრი შემთხვევა განუცხადებელი რჩება. ეს რიცხვები მიანიშნებენ იმ მიზეზებზეც რა მიზეზებითაც ქალები ერიდებიან სამართალდამცავ ორგანოებს: ეს შეიძლება იყოს უნდობლობა სასამართლო სტრუქტურების მიმართ, სურვილის არქონა მოხდეს „კერძო“ საკითხების გახმაურება, საზოგადოებრივი აზრის შიში, პატრიარქალური საზოგადოების ზეგავლენა, რომელიც ქმრისა ან პარტნიორის მიერ ჩადენილ გაუპატიურებას არ აღიქვამს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობად, ქალთა დაბალი უფლებრივი ცნობიერება და სხვა.<sup>108</sup>

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, საკანონმდებლო ინიციატივების ჩათვლით, ქალებით ყოველგვარი ვაჭრობისა და ქალთა სექსუალური ექსპლუატაციის აღსაკვეთად.“ ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმკვეთი კანონის არარსებობის მსგავსად, არ არსებობს ასევე განსაკუთრებული კანონი, რომელიც დაარეგულირებდა ქვეყანაში ქალთა ტრეფიკინგს ან პროსტიტუციას. მიუხედავად სპეციფიური კანონის არ არსებობისა, 2003 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა მუხლი ადამიანებით ვაჭრობის შესახებ, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან მანმადე ვერ ხერხდებოდა ამ მძიმე დანაშაულისათვის კრიმინალების დასჯა და ისინი შედარებით ისეთი მცირე ბრალეულობით იძვრენდნენ თავს, როგორიცაა საბუთების გაყალბება, პროსტიტუციაში ჩათრევა, მუქარა, შანტაჟი და სხვა.

მონაწილე სახელმწიფოებისადმი ქალთა კონვენციის შემდეგი მოთხოვნა ჩამოყალიბებულია მე-2 მუხლის ვ) პარაგრაფში; „[სახელმწიფოებმა უნდა] მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, იმ მოქმედი კანონების, დადგენილებების, ჩვეულებებისა და პრაქტიკის შესაცვლელად ან გასაუქმებლად, რომელიც ქალის დისკრიმინაციას უწყობს ხელს.“ ერთი მაგალითი თუ როგორ შეუძლია სახელმწიფოა ასეთი ჩვეულებებისა და პრაქტიკის

<sup>107</sup> Consideration of Initial Report Submitted by States Parties under Article 18 of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, article 2, paragraph 23.

<sup>108</sup> მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით გაუპატიურება ისჯება 3-დან 7 წლამდე პატიმრობით. მიუხედავად ამისა, დამამიმებელ შემთხვევებში ჩადენილი გაუპატიურება (მაგალითად, როგორიცაა ჯუფური გაუპატიურება, ფეხმძმიმე ქალის გაუპატიურება, 14 წლამდე ასაკის პიროვნების გაუპატიურება) ისჯება 5-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

რეგულირება იყო წინა სისხლის სამართლის კოდექსის 134-ე მუხლი, რომელიც დანაშაულად მიიჩნევდა ქალის ცოლად მოყვანის მიზნით მოტაცების ფრადიციას, „ეს დანაშაული ზღუდავს ქალისთვის არჩევანის თავისუფლებას, თუ ვისზე დაქორნინდეს. ისეთი ქმედება, როგორიც მოტაცებაა უკვე გულისხმობს ძალადობას, ფიზიკურს ან ფსიქოლოგიურს, [ზოგ შემთხვევაში კი სექსუალურსაც].“<sup>109</sup> ქალის მოტაცება დაქორნინების მიზნით, ბოლო ხანებში ნაკლებად პოპულარული გახდა, რაც ზოგადად ქორნინებების რაოდენობის შემცირებითაა გამოწვეული, რაც, თავის მხრივ, მძიმე ეკონომიკურმა სიტუაციამ განაპირობა. შეიძლება აქ მოვნახოთ იმ ფაქტის ახსნა, რომ ახლანდელ სისხლის სამართლის კოდექსში ქირნინების მიზნით ჩადენილი მოტაცება არ არის ნახსენები, გარდა 144-ე მუხლისა, რომელიც მოტაცებას განსაზღვრავს, როგორც მძევლად აყვანას, რომელიც მიზნად ისახავს პიროვნებაზე ან ორგანიზაციაზე ზენოლას, მის იძულებას განახორციელოს ესა თუ ის ქმედება, იმ პირობით, რომ მძევალი გათავისუფლდება. ჩამოთვლილია დამამძიმებელი გარემოებებიც, ხოლო დაქორნინების განზრახვა ნახსენები არ არის. ეს მოვლენა უყურადღებოდ დარჩა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კომიტეტისადმი წარდგენილ 2000 წლის სექტემბრის მეორე სამთავრობო მოხსენებაში. ამას გარდა, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მოტაცება დაქორნინების მიზნით საბჭოთა კანონმდებლობით დასჯადი იყო, ასეთ შემთხვევათა უმრავლესობა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებში და არა სასამართლოებში მთავრდებოდა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ქალებს სურდათ თავიანთ „გამტაცებლებზე“ დაქორნინება და ნაწილობრივ იმიტომ, რომ ქალის რეპუტაციისთვის სარისკო იყო არ გათხოვილიყო მოტაცების შემდგომ. სიტუაციაში უკეთ გასარკვევად საჭიროა ითქვას, რომ საქართველოში ქირნინებამდე ქალიშვილობის შენარჩუნება კვლავ ძლიერ ტრადიციად რჩება. ასე, რომ მოტაცება, რომელიც ქირნინებით არ დაგვირგვინდა, ჩრდილს აყენებს ქალის რეპუტაციას, არა აქვს მნიშვნელობა ჰქონდა თუ არა მას სექსუალური ურთიერთობა გამტაცებელთან. ეს არის ის შემთხვევა, როცა ქალთა უფლებების იურიდიული დაცვა ფაქტობრივად არაეფექტურია ძლიერი კულტურული ინსტიტუტების გამო. გათხოვებამდე ქალწულებრივი სინმინდის დაცვა და ორმაგი მორალური სტანდარტები შედეგია პატრიარქალური საზოგადოებისა, რომელიც არღვევს ქალთა თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს. ეს კულტურული საკითხებია, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან ეფექტურად არ რეგულირდება, რადგან ერთის მხრივ, არ მიიჩნევა აქტუალურად და არ განიხილება, ხოლო, მეორეს მხრივ, იმიტომ რომ არსებობს ზღვარი მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს ეფექტური ჩარევისთვის. მიუხედავად ყველაფრისა, ამ სფეროში ცვლილებათა განხორციელება დაწყებულია თუნდაც მათ ირგვლივ მსჯელობისა და ბევრი ადამიანის ქალისა და მამაკაცის ინდივიდუალური მაგალითის წყალობით.

ქალთა კონვენციასთან შეერთებას ზოგადად დადებითი შედეგები მოჰყვა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, თუმცა ბევრი რამ საჭიროებს სრულყოფას, რადგანაც საზოგადოება ამ პრობლემებისადმი მგრძნობელობა აკლია. ამ შემთხვევაში საზოგადოებაში მოიაზრება ასვე საქართველოს ხელისუფლებაც, რომელმაც ვერ მოახერხა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე მოქმედი სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა.

მცირე ხნით შევჩერდეთ საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებზე გენდერული თანასწორობის მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებით და ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, ასევე მიმოვიხილოთ ამ სფეროში დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილება.

1999 წლის 20 თებერვალს პრეზიდენტ ე. შევარდნაძის 48 ბრძანებულებით, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების პოლიტიკის შესამუშავებლად შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელიც, სამწუხაროდ, არაეფექტური გამოდგა, ერთის მხრივ, ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობის და მეორეს მხრივ, არაეფექტური ინსტიტუციური დაგეგმვის გამო. კომისიამ შეიმუშავა ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 1998-2004 და ქალთა მიმართ

<sup>109</sup> ხათუნა მადურაშვილი, „ქალთა უფლებები და მათი დაცვა საქართველოს სისხლისა და შრომის სამართლით“, აღმანახი, 1998: 31.

ძალადობასთან ბრძოლის 2000-2004 სამოქმედო გეგმები. დღევანდელი მონაცემებით კომისიამ არსებობა შეწყვიტა, ხოლო შემუშავებული გეგმების 97% განუხორციელებული დარჩა.<sup>110</sup>

ეს გამოცდილება მნიშვნელოვანი გაკვეთილია იმისათვის, რომ აღარ დავუშვათ ამ საკითხზე ფორმალური კომისიებისა თუ სხვაგვარი მექანიზმების შექმნა, მხოლოდ საერთა-შორისო საზოგადოების მოთხოვნების საამებლად, არამედ გავითავისოთ გენდერული თანასწორობის სახელმწიფოებრივი ერთეულის არსებობის საჭიროება საქართველოს მოქალაქეების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და შევქმნათ ქმედითი, ეფექტური და ანგარიშვალდებული მექანიზმი.

გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმისა და შესაბამისად გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის საჭიროებაზე მიუთითებს საქართველოში არსებული პრობლემები:

- არ არსებობს ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკა;
- არ არსებობს კანონი „ოჯახური ძალადობის“ შესახებ;
- არ არსებობს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები;
- არ არსებობს სამუშაო ადგილზე სქესის ნიშნით დისკრიმინაციის (მტრული სამუშაო გარემო) აღმოფხვრის იურიდიული ბერკეტები;
- ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი მაღალია;<sup>111</sup>
- სახეზეა ქალთა მზარდი გაღატაკება და არაფორმალურ შრომით სექტორში დასაქმებულ ქალთა რაოდენობის ზრდა, შესაბამისი მძიმე სამუშაო პირობებითა და დაუცველობით;
- საქმიანობის ყველა სფეროში დიდია სხვაობა ქალებისა და მამაკაცების ხელფასებს შორის; „2002 წელს კაცების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი თითქმის ორჯერ აღემატებოდა ქალების ხელფასს“;<sup>112</sup>
- დაბალიაქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი გადაწყვეტილებების მიღების სხვადასხვა დონეებზე;
- არ ხდება სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების<sup>113</sup> შესრულება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

მძლავრი გენდერული სტერეოტიპების არსებობა არახელსაყრელია როგორც ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისთვისაც; ყველა მამაკაცი ერთნაირი წარმატებით ვერ ერგება „მამაკაცურობის“ გაბატონებულ სტერეოტიპს (ძლიერი, ჰეტეროსექსუალი, ოჯახის მარჩენალი) და შესაბამისად მათი ადგილი და უფლებები საზოგადოებაში იზლუდება. 1991 წლიდან მოყოლებული ბევრმა ქალმა შეითავსა ან სრულად იტვირთა ოჯახის მარჩენალის ფუნქცია, რამაც მეუღლეთა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ზოგ შემთხვევაში, მამაკაცების აგრესიულობამ მოიმატა და ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა ოჯახური ძალადობისთვის, ზოგ შემთხვევაში კი, მამაკაცების დეპრესიულობა და დემორალიზაცია მოხდა (მამაკაცთა თვით-მკვლელობის მონაცემი 2002 წლისთვის თითქმის ხუთჯერ აღემატება ქალთა თვით-მკვლელობის მონაცემს<sup>114</sup>). ჩვენი საზოგადოების განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია გადაიხედოს ის ჩვეულებები და სტერეოტიპული შეხედულებები, რომლებიც რჩებიან დომინანტ

<sup>110</sup> მაგალითისთვის იხილეთ: „ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი“ქალთა საკონსულტაციო ცენტრი „სახლი“, 2004

<sup>111</sup> 100 000 ქალიდან 32 დაღუპული ქალი – 2004 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით. World Health Report 2004, World Health Organization, 148.

<sup>112</sup> ქალი და კაცი საქართველოში 2002, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი 2003, გვ.27.

<sup>113</sup> განსაკუთრებით აღსანიშნავია კონვენცია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და 1995 წლის პერიოდის მოქმედებათა პლატფორმა.

<sup>114</sup> ქალი და კაცი საქართველოში 2002, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი 2003, გვ.10.

მარეგულირებელ ძალებად საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის<sup>115</sup> და ამ პროცესში დიდი როლი უნდა შეასრულოს სამოქალაქო სექტორმა. არასამთავრობო ორგანიზაციები, თავისუფალი მედია და დამოუკიდებელი ექსპერტები გაცილებით ეფექტურად იმუშავებენ, თუ ხელისუფლებას ექნება შემხვედრი პოზიცია და შესაბამისი პოლიტიკა, თუ ხელისუფლება რეალურად და არა ფორმლურად გაიხსნება ამ გენდერული საკითხების მიმართ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მიხედვით, ქვეყნებმა, რომლებიც კონვენციას შეუერთდნენ, არ უნდა დაიშურონ ძალისხმევა ისეთი პოლიტიკის შესამუშავებლად, რომელიც ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრისკენ იქნება მიმართული (მუხლი 2).

ძემოთ აღნიშნული 1998 წელს<sup>116</sup> მომზადებული კონვენციის განხორციელების შესახებ სამთავრობო და არასამთავრობო (ჩრდილოვანი) ანგარიშების, განხილვა ქალთა კონვენციის კომიტეტის 21-ე სხდომაზე (1999 7-25 ივნისი) მოხდა.<sup>117</sup> კონვენციის განხორციელების ზედამხედველმა კომიტეტმა საქართველოში არსებული ვითარების შესახებ მოხსენების განხილვის შემდეგ დასკვნით კომენტარებში შემამთვოთებლად მიიჩნია ეროვნული სამოქმედო გეგმის განუხორციელებლობა, საზოგადოებაში ტრადიციული პატრიარქალური სტერეოტიპების დომინირება, ქალთა წინააღმდეგ ძალადობის ფაქტებზე მონაცემების სიმწირე და მთავრობას ოცზე მეტი რეკომენდაცია შესთავაზა, რომლებიც სამნუხაროდ 5 წლის შემდეგაც აქტუალურია, ვინაიდან შევარდნაძის ადმინისტრაციას გააჩნდა დეკლარირებული და არა რეალური სურვილი, ეზრუნა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ვალდებულებები, გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, დაკონკრეტდა და დაიხვენა 1995 წელს პეკინში გამართული ქალთა მეოთხე საერთაშორისო კონფერენციის საბოლოო დოკუმენტით „ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმა“. ამ დოკუმენტით გაეროს წევრ ქვეყანათა მთავრობებს დაევალათ ქალთა უფლებების დამცავი და გენდერული პოლიტიკის განმხორციელებელი სახელმწიფო მექანიზმის შექმნა-გაძლიერება (სექცია). „მოქმედებათა პლატფორმაში“ ვკითხულობთ:

201. ქალთა წინსვლაზე ორიენტირებული სახელმწიფო მექანიზმი წარმოადგენს პოლიტიკის კოორდინირების ცენტრალურ ერთეულს მთავრობაში. მისი მთავარი ამოცანა სამთავრობო დონეზე ქვეყნის პოლიტიკაში გენდერული-თანასწორობის პერსპექტივის ინტეგრირება და გამჭოლ ხაზად გატარებაა. ასეთი მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირებისათვის შემდეგი პირობებია აუცილებელი:

- ა. გადაწყვეტილების მიღების უმაღლეს დონეზე არსებობა, სასურველია მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობის ქვეშ.
- ბ. ისეთი ინსტიტუციური მექანიზმების ან პროცესების შემუშავება, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ღონისძიებათა დეცენტრალიზებული დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის საშუალებას იძლევა. მათ შორის, არასამთავრობო და თემზე დაფუძნებული ორგანიზაციების ჩართვის ხარჯზეც.
- გ. საკმარისი ფინანსური რესურსებისა და პროფესიონალი კადრების არსებობა.

<sup>115</sup> იქნება ეს ქალიშვილობის ინსტიტუტი, რომელიც შედეგად სულ მცირე ადრეულ ქორწინებებსა და დანგრეული ოჯახებს იძლევა თუ ჩვეულებითი სამართლის პრიმატი კოდიფიცირებულ სამართალზე მშობლების მეტევიდრეობასთან მიმართებაში, რომლის მიხედვითაც ოჯახის უფროს ვაჟიშვილსა და ქალიშვილს არ მიუწვევდა ხელი მშობლების უძრავ ქონებაზე, რაც მნვავე სოციალურ-ეკონომიკურ შედეგს იძლევა

<sup>116</sup> კონვენციის მოთხოვნაა შეერთებიდან ერთი წლის და შემდეგ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ კონვენციის განხორციელების შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება (მუხლი 18). საქართველომ პირველი ანგარიში 1995 წლის ნაცვლად სამი წლის დაგვიანებით 1998 წელს წარადგინა.

<sup>117</sup> კომშინირებული მეორე და მესამე პერიოდული ანგარიშები კომიტეტს საქართველოს მთავრობამ მიაწოდა, მაგრამ მათი განხილვა ჯერ არ შემდგარა.

დ. მთავრობის პოლიტიკაზე ნებისმიერ სფეროში გავლენის ქონის შესაძლებლობა.<sup>118</sup>

პეკინის „მოქმედებათა პლატფორმა“ კონკრეტულ მითითებებსა და რეკომენდაციებს აძლევს გაეროს წევრ სახელმწიფოებს გენდერული პოლიტიკის ეფექტური მექანიზმის შექმნისა და ფუნქციონირებისათვის. სწორედ ამ პლატფორმის გათვალისწინებით მომზადდა საქართველოში ზემოხსენებული ეროვნული სამოქმედო გეგმები, მაგრამ ვინაიდან არ არსებობდა ქმედითი სახელმწიფო მექანიზმი გეგმების სისრულეში მოსაყვანად, მათი ამოცანები ქალალზე დარჩა. 2004-2005 წლებში ხდება პეკინის მოქმედებათა პლატფორმის 10 წლის მუშაობის შეფასება და მისი ამოცანების განმტკიცება მსოფლიოს მასშტაბით და შესაბამისად, სასურველია ჩვენი ქვეყანა ამ თვალსაზრისით, განახლებული და რეალისტური ამოცანებითა და გეგმებით წარსდგეს საერთაშორისო არენაზე.

ევროკავშირის სტრუქტურები ხშირად გამოთქვამენ თავიანთ პოლიტიკაში სქესთა თანასწორუფლებიანობისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპების გატარების სურვილსა და მზაობას. 1999 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებამ დავალდებულა ევროკავშირი დაძლიოს დისკრიმინაცია და დაამყაროს თანაბარუფლებიანობა ქალებსა და მამაკაცებს შორის.<sup>119</sup>

ევროკავშირის ხელშეკრულების მე-2 მუხლის მიხედვით, ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორუფლებიანობისათვის ხელისშეწყობა ევროპული საზოგადოების მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, მე-3 მუხლის მიხედვით კი, კავშირის ყველა საქმიანობა მიზნად უნდა ისახავდეს უთანასწორობის აღმოფხვრას და ქალებსა და მამაკაცებს შორის თანაბარუფლებიანობის ხელშეწყობას.

ევროკავშირის უფლებათა წესდების 23-ე მუხლის მიხედვით, „ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორუფლებიანობა უნდა იყოს დაცული ყველა სფეროში, მათ შორის დასაქმების, შრომისა და ანაზღაურების სფეროებში.“<sup>120</sup>

ევროკავშირის ჩარჩო სტრატეგია გენდერულ თანასწორობაზე (2001-2005) სქესთა თანაბარუფლებიანობას ეკონომიკური სოციალური და დემოკრატიული განვითარების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. ევროკავშირის გაფართოების კომისარ ფერნოიგენს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ წევრობის კანდიდატი ქვეყნების კანონმდებლობის თანასწორუფლებიანობის კანონებთან შესაბამისობა ევროკავშირის წევრობის წინაპირობაა.

ევროკავშირში განვირიანებისათვის საჭიროა სამი კრიტერიუმის დაკმაყოფილება: 1. კანდიდატი ქვეყნები უნდა იყვნენ სტაბილური დემოკრატიული სახელმწიფოები; 2. კანდიდატ ქვეყნებს უნდა გააჩნდეთ მოქმედი საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ერთიან ევროპულ ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნება; 3. კანდიდატი ქვეყნების კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის კანონმდებლობას და შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს.

ევროსაბჭოს მოთხოვნები მთავრობების მიმართ გენდერული თანასწორობის ჭრილში შემდეგია:

1. თანასწორობა შრომის ანაზღაურების სფეროში;
2. თანასწორი მოპყრობა დასაქმების, პროფესიული; წვრთნის/გადამზადების, დაწინაურების და სამუშაო პირობების კუთხით;
3. თანასწორი მიდგომა სოციალური სქემების ფარგლებში;
4. თვითდასაქმებულთა და მათ დამხმარე მეუღლეთა თანაბარი მოპყრობა;
5. ორივე მშობლის დეკრეტული შვებულება;
6. სამუშაო დროის სამართლიანი ორგანიზება;

<sup>118</sup> FWCW Platform for Action, Institutional Mechanisms for the Advancement of Women, UN 1995, H, 201. Available on-line, last visited on August 15 2004. <<http://www.un.org/womenwatch/daw/beijing/platform/institu.htm>>

<sup>119</sup> EU, Treaty of Amsterdam Amending the Treaty of European Union, the Treaties Establishing European Communities and Certain Related Acts, Article 2, Article 3, Article 118, Article 119, entered into force on 1<sup>st</sup> of May 1999.

<sup>120</sup> EU, Charter of Fundamental Rights of the European Union, Article 23.

7. სქესობრივი დისკრიმინაციის შესახებ აღძრულ საქმეებში მტკიცების ტვირთის საკითხი;
8. ნახევარგანაკვეთიანი სამუშაოს შესაძლებლობა ორივე სქესისთვის;

ევროპარლამენტმა, განსაკუთრებით კი, ქალთა უფლებებისა და თანაბარუფლებიანობის კომიტეტმა მოითხოვა მეტი ყურადღება გამახვილდეს ისეთ საკითხებზე როგორიცაა ქალთა ტრეფიკინგი რეგიონში. კომიტეტმა ევროპის კომისიას მოსთხოვა მეტი ყურადღება მიაქციოს გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვას ევროკავშირის გაფართოების პროცესში.

ქალთა საკითხებისათვის ყურადღების მიქცევის აუცილებლობა სახელმწიფო დონეზე დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში 1970-იანი წლებიდან დადგა დღის წესრიგში. თავდაპირველად იქმნებოდა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესაზე მიმართული ცალკეული პროგრამები და პროექტები, რომლებმაც გარკვეულ შედეგს მიაღწია, თუმცა ამ გზით ქალთა საკითხები ერთგვარ გეტოში მოექცა, რადგან მათი გადაჭრა და განხილვა ხდებოდა სხვა ისეთი აქტუალური საკითხებისგან მოწყვეტილად, რომლებიც ასევე უშუალო კავშირში იყვნენ და გავლენას ახდენდნენ ქალთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. 1980-იანი წლების მცდელობები გენდერული საკითხების ინტეგრირებისა ცალკეულ სამთავრობო პროგრამებში ასევე არ აღმოჩნდა საკმარისად ეფექტური, კოორდინირებისა და პროფესიონალი კადრების ნაკლებობის გამო, თუმცადა ნათელი გახდა თუ რა დიდი როლის შესრულება შეუძლია ხელისუფლებას გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით. შესაბამისად, 1990-იანი წლებიდან დასვა გენდერული საკითხების არა უბრალოდ ინტეგრირების, არამედ ინსტიტუციონალიზაციის და გამჭოლ ხაზად გატარების (მეინსტრიმინგის) საკითხი მთავრობის პოლიტიკის ფორმულირების პროცესში. საერთაშორისო თანამეგობრობამ გენდერულ პოლიტიკაზე მომუშავე ეროვნული მექანიზმის შექმნა ამ სფეროში წინსვლისათვის პრიორიტეტად დაასახელა. თუ თავდაპირველი გენდერულ საკითხებზე მომუშავე ეროვნული მექანიზმები უფრო ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო ერთეულების ფარგლებში იქმნებოდა 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან ხაზი გაესვა აუცილებლობას მათი მთავრობის ყველაზე მაღალ შესაძლო ეშელონებში განთავსების შესახებ, როგორიცაა დაგეგმვისა და ფინანსთა სამინისტროების, პრეზიდენტის ან პრემიერ მინისტრის ზედამხედველობის ქვეშ. მიუხედავად ამ პოზიტიური ტენდენციებისა, კვლევებმა აჩვენა, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო მაინც შეზღუდულია გენდერულ საკითხებზე მომუშავე ეროვნული მექანიზმების ეფექტურობა.<sup>121</sup>

საერთაშორისო გამოცდილებამ ცხადყო, რომ ძალიან ბევრ ფაქტორს შეუძლია შეასუსტოს გენდერული პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე ერთეულის ეფექტურობა. თვით ტერმინის „გენდერი“ შემოტანამაც წარმოშვა გარკვეული დაბნეულობა, ვინაიდან გენდერული პოლიტიკა კვლავ ქალებზე კონცენტრირებული რჩება და ვერ ხერხდება მასში მამაკაცთა წარმატებული ინტეგრირება. მართალია, საწყის ეტაპზე მონაცემები მამაკაცთა მდგომარეობის შესახებ მოსახმობია ქალთა უთანასწორო და დისკრიმინაციული მდგომარეობის გამოსავლენად, მაგრამ დროთა განმავლობაში აუცილებელია ისეთი გენდერულად მგრძნობიარე ღონისძიებების დაგეგმვა, რომლებიც მამაკაცთა ინტერესებსაც მოემსახურება და შესაბამისად მათ ჩართულობასა და მხარდაჭერას გამოიწვევს. სოციალური სამართლიანობის არგუმენტის პარალელურად უწყებამ უნდა განავითაროს ეფექტიანობის არგუმენტი, და თავისი პოლიტიკა ამ კუთხით წარმართოს; ნათლად დაანახოს ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა ხელსაყრელია სახელმწიფოს განვითარებისთვის და თან იძლევა მოქალაქეთა უფლებების დაცვის საშუალებას. ქვეყნის მთავრობა უნდა აცნობიერებდეს, რომ ზრუნვა სქესთა შორის თანასწორობის მიღწევისათვის დაკმაყოფილებს უპირველესად ქვეყნის მოქალაქეების მწვავე საჭიროებას და არა საერთაშორისო თანასაზოგადოების მიერ ნაკარნახევ კიდევ ერთ მოთხოვნას.

<sup>121</sup> Byrne, Bridget, Julie Kock Laier, Sally Baden, Rachel Marcus, National Machineries for Women in Development: Experiences, Lessons and Strategies for Institutionalising Gender in Development Policy and Planning, Report N 36, Bridge: Development-Gender, Institute of Development Studies, Brighton, 1996.

იმისათვის, რომ გენდერული პოლიტიკის შემმუშავებელი ეროვნული მექანიზმი იყოს ეფექტური, აუცილებელია მას ჰქონდეს გამართული საკანონმდებლო ბაზა, დებულება, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი მსგავსი უწყების სტრუქტურა, ამოცანები, ორგანიზაციის პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება. ეს ყოველივე უნდა იყოს გამყარებული დაგეგმვისა და მართვის ისეთი სტრუქტურებით, რომლებსაც შეუძლიათ გეგმების საქმედ გადაქცევა.

სხვა ქვეყნების პრაქტიკა აჩვენებს, რომ შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი უწყების რჩევით, უფლებათა დამცავ, პოლიტიკის განმხორციელებელ და მონიტორინგის ფუნქციათა გაუმიჯნაობის გამო, რადგან თითოეული მათგანი ითხოვს განსხვავებულ უნარჩვევებს და უწყებრივ კულტურას. საქართველოში ამ ეტაპზე, თუ შეიქმნა ცალკე გენდერული თანასწორობის სახელმწიფო ერთეული, იგი უნდა იყოს ჩართული პოლიტიკის შემმუშავებასა და შედეგების მონიტორინგში და არა უშუალოდ მის განხორციელებაში, განხორციელებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი სამინისტროები უნდა იყვნენ. შესაძლებელია გამონაკლისის სახით, უწყებამ ინოვაციური, საჩვენებელი პროექტები განახორციელოს ისეთ სფეროებში, სადაც ერთი კონკრეტული სამინისტრო არ მუშაობს და აუცილებელია მათი თანამშრომლობა, მაგალითად, წვრთნის ორგანიზება სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლების მონაწილეობით.

ინტერდისციპლინარული და ინტერინსტიტუციური ხასიათიდან გამომდინარე, უმჯობესია, თუ ამგვარი ორგანო განთავსდება როგორც სათათბირო ორგანო პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარების ქვეშ, რათა მან გავლენა იქონიოს სხვადასხვა სამინისტროების მუშაობაზე. ასეთი სტრუქტურული განლაგება კარგია, რადგან ამას შესაძლოა მოჰყვეს კარგი დაფინანსება, საქმიანობის ფართო პროფილი და უკეთესი კავშირები საერთაშორისო, თუ ადგილობრივ დონეზე. რისკი, რაც თან ახლავს ამგვარ განლაგებას არის ის, რომ ამგვარი ინსტიტუციური მექანიზმი შეიძლება აღმოჩნდეს ზედმეტად დამოკიდებული ერთ ან ორმნიშვნელოვან, ცენტრალურ პოლიტიკურ ფიგურაზე და მათ გადაწყვეტილებებზე.

შესაძლებელია ასეთი ორგანო შეიქმნას ერთ რომელიმე კონკრეტულ სამინისტროში, მაგრამ სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში უწყება თითქმის ვერ ახორციელებს გავლენას სხვა სექტორულ სამინისტროებზე, ასევე ერთ სამინისტროში ყოფნისას ქალთა საკითხები განიხილება სხვა მარგინალურებული ჯგუფების (მაგ: ინვალიდები, ეთნიკური უმცირესობები) საკითხებთან ერთად და შეიძლება დადგეს რესურსების ნაკლებობის რეალური საფრთხის წინაშე.

მრავალი ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამგვარი სახელმწიფო სტრუქტურის დაფინანსება ზოგადად მწირია და ისინი ადვილად ექვემდებარებიან ბიუჯეტის სეკვესტრს. ამისგან დასაცავად ორგანოებმა შეიმუშავეს შემდეგი სტრატეგია: გრძელვადიანი და ნაკლებად შესამჩნევი პროექტების ნაცვლად, რომლებიც ინსტიტუციურ გაძლიერებასა და უფლებათა დაცვას ეძღვნება, ისინი მუშაობენ მოკლევადიან, ეფექტურ პროექტებზე. განვითარებად ქვეყნებში ხშირად გამოიყენება დონორების დახმარება ამგვარი ორგანოების დასაფინანსებლად, თუმცადა დაფინანსებისთვის უმჯობესია მოინახოს სტაბილური სახელმწიფო სახსრები.

ინტერესები და სამინისტროებს შორის არსებული ფარული თუ აშკარა პატრობა ხელს უშლის ისეთ ინტერესების საკითხზე მუშაობას როგორიცაა გენდერული თანასწორობა, რომელიც ითხოვს სხვადასხვა სექტორული სამინისტროების საქმიანობების კოორდინირებას. პირადი და პოლიტკური წინააღმდეგობა და საჯარო მოხელეთა დაბალი მგრძნობელობა გენდერული საკითხების მიმართ დამაბრკოლებელია უწყების ეფექტური მუშაობისთვის.

პოლიტიკური პატრონაჟი და ამომრჩეველთა ინტერესები ხშირად დიდ გავლენას ახდენს იმაზე თუ ვისი დანიშვნა ხდება ამა თუ იმ პოსტზე. გენდერული თანასწორობის სამინისტროები - უწყებები ხშირად მმართველი პარტიის პოლიტიკურ ინტერესების გატარებას ახდენს, მათ სათავეში ინიშნებიან ცნობილ პოლიტიკურ ფიგურათა მეუღლები ან მმართველი პოლიტიკურ პარტიის წევრი ქალები, ამიტომ ხშირად ამგვარი სამინისტროები ხდება მმართველი პარტიის

ინტერესების დამკანონებელი და გამტარებელი ერთეული, რაც ართულებს მათ კავშირს ქალთა დამოუკიდებელ მოძრაობასთან და ეფექტურ საქმიანობას.

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ გენდერული პოლიტიკის შემუშავებელი უწყების ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა შემდეგი სტრატეგიების გამოყენებითაა შესაძლებელი:<sup>122</sup>

გენდერის ინტეგრირება განვითარების გეგმებში – ამ ამოცანის შესასრულებლად ორი ძირითადი სტრატეგია არსებობს, რომელიც ერთმანეთთან ტანდემში უნდა განხორციელდეს: (1) ეროვნული პოლიტიკის ან/და მოქმედებათა გეგმის შემუშავება გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის და (2) შესაბამისი გენდერული საკითხების ინტეგრაცია (*mainstreaming*) განვითარების პროექტების დაგეგმვისას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პირველის კოორდინირება და ასახვა მოხდეს მეორეში, გენდერის ეფექტური ინტეგრაციისათვის განვითარების გეგმებში აუცილებელია:

- სახელმწიფოში გენდერული პოლიტიკის არსებობა;
- გენდერული თანასწორობისათვის მებრძოლთა პოლიტიკური და ეკონომიკური აქტივობა ადგილზე;
- მაღალი თანამდებობის პირთა პოლიტიკური ნება;
- შესაბამისი დაფინანსება;
- სქესის მიხედვით დისაგრეგირებული მონაცემები და ინდიკატორები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ძალადობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა;
- კონკრეტული ამოცანები როგორც მიკრო ასევე სექტორულ დონეებზე;
- საბიუჯეტო პროცესის მონიტორინგი და მისი გენდერული ანალიზი;

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გენდერული პოლიტიკის შემუშავებისათვის საჭირო ძირითადი მიმართულებები და ინსტრუქციები დამუშავდეს იმ ადამიანებთან კონსულტაციების შედეგად, ვისაც მოუხდება ამ მიმართულებებისა და ინსტრუქციების მიხედვით დოკუმენტების შემუშავება და მოქმედება.

გენდერული ცნობიერების ამაღლება და წვრთნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიუროკრატიული წინააღმდეგობის დასაძლევად და დამოკიდებულებებში ცვლილების მისაღწევად.

სტერეოტიპებისა და ტრადიციების სიძლიერის გამო, გენდერული განათლება უნდა იყოს უწყებელი და შეეხოს ყველა რანგის საჯარო მოხელეს. ტრენინგებისშინაარსობრივი სიცავადე და ზოგადად, მათი მაღალი დონე ძალიან მნიშვნელოვანია. ტრენინგი ვერ იქნება ეფექტური თავისთავად, თუ მის პარალელურად არ მოხდა ინსტიტუციური ცვლილებები, საკანონმდებლო ცვლილებები და კულტურული ცვლილებები.

საკონტაქტო პირები / ოფიცირები (*focal points*) – ეს ძირითადი მექანიზმი იქნა გამოყენებული ბევრი ქვეყნის, რადგან დამყარდეს კავშირები გენდერულ პოლიტიკაზე მომუშავე ცენტრალურ ერთეულსა და სამინისტროებსა და დეპარტამენტებს შორის. პრაქტიკაში ამ მექანიზმა ვერ გაამართლა, რადგან საკონტაქტო პირებად ხშირად ინიშნებიან ქალი თანამშრომლები, რომლებიც ძალიან დატვირთულები არიან თავიანთ ძირითად სამუშაოზე, ფლობენ მცირე რესურსებს და მიღებული აქვთ მნირი წვრთნა, ასევე ვერ იღებენ საკმარის დახმარებას დაკისრებული საქმიანობის შესასრულებლად, ნათლად არ აქვთ განერილი თავიანთი ფუნქციები და მათი შესრულების მექანიზმები. საკონტაქტო პირების მექანიზმის

<sup>122</sup> წყარო: Byrne, Bridget, Julie Kock Laier, Sally Baden, Rachel Marcus, National Machineries for Women in Development: Experiences, Lessons and Strategies for Institutionalising Gender in Development Policy and Planning, Report N 36, Bridge: Development-Gender, Institute of Development Studies, Brighton, 1996.

ეფექტურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია უწყებებში მაღალი თანამდებობის პირთა დაკავება ამ საქმიანობით. მათ უნდა მიეცეს საქმიანობის მოკლე და ნათელი აღწერა, ჩაუტარდეს შესაბამისი მომზადება, ანაზღაურება და აუცილებელია მათ დაქვემდებარებაში არსებობდეს ერთეული დაკომპლექტებული პროფესიონალი კადრებით.

უწყებათაშორისი საკონრიდნაციო კომიტეტების შექმნა – ეს არის კიდევ ერთი მექანიზმი, რათა დაიძლიოს ბიუროკრატიული წინააღმდეგობა და მოხდეს გენდერული პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია. ასეთი კომიტეტები შედგება სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებისა და არასამთავრობო სექტორის ექსპერტებისაგან, რომლის კოორდინირებას, ხელმძღვანელობას ახდენს გენდერული თანასწორობის ეროვნული უწყება (მაგ. მინისტრთა კაბინეტი). ამიტომ ეროვნული მექანიზმის სტატუსი ძალიან მნიშვნელოვანია, იმისათვის რომ მან შეძლოს ამ მაღალ ჩინოსან პირთა მოწვევა და მართვა.

კავშირები ქალთა ორგანიზაციებთან და არასამთავრობო სექტორთან ზოგადად – ეროვნული მექანიზმის ლეგიტიმურობა და ეფექტურობა დამოკიდებულია მისი კავშირების ხარისხზე ქალთა და ზოგადად არასამთავრობო სექტორთან. ფორმალური რეპრეზენტაციის სისტემა თიშავს პატარა და სუსტ ქალთა ორგანიზაციებს ამიტომ საზოგადოებრივი მოსმენები, რომლებიც კომბინირებული იქნება უფრო ფართო საკონსულტაციო სამუშაოსთან და სამოქალაქო სექტორის ჩართულობის მოქნილ სისტემასთან შეიძლება უკეთესი შედეგი გამოიღოს.

რც ერთი კონკრეტული სტრატეგია არ წარმოადგენს ყველაზე სწორ გამოსავალს, არამედ საჭოროა მათი კომბინირება და კოორდინირება, ალიანსების მშენებლობის გზით მთავრობის შიგნით და გარეთ. ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული საკონტაქტო პირების/ოფიცრების მექანიზმი, საქართველოშიც ვერ დააღწევს თავს პროფესიული კადრების ნაკლებობის პრობლემას და დღის წესრიგში აუცილებლად დადგება სხვაგვარი უფრო ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმის შექმნის აუცილებლებლობა.

## 2. ქალთა უფლებრივი გდგომარეობა საქართველოში: იძულებით გადაადგილებული ქალები

"იმის ნახევარი ვარ, რაც ვიყავი. ჩემი სახლი და ეზო მინდა,  
ჩემი ძველი მეზობლები. ჩემი ქმრის გვერდით მინდა დავიმარხო.  
" დევნილი ქალი ოჩამჩირედან

სასურველია კურსის ამ მონაკვეთში ასევე ვისაუბროთ იძულებით გადაადგილებულ ქალთა მდგომარეობაზე საქართველოში, ვინაიდან ეს ჯგუფი წარმოიშვა სწორედ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პერიოდში და მათ მიერ განცდილი პრობლემები (უფლებრივი, ჯანმრთელობის, ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული) განსაკუთრებით თვალსაჩინო და იმავდროულად სიმპტომურია საქართველოში მცხოვრები ქალთა სხვა ჯგუფებისათვისაც.

1991 წლის შემდგომ განვითრებულმა მოვლენებმა გავლენა იქონია და მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქალთა მდგომარეობა საქართველოში. განსაკუთრებულ ყურადღებას ეთნიკური კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებული ქალები იმსახურებენ მათი მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ურსის ამ კომპონენტში განხილულია, თუ რა გავლენა იქონია ქალთა მდგომარეობაზე ეთნიკურმა კონფლიქტმა, რა ცვლილებები მოხდა დევნილ ქალთა ცხოვრებაში სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტების თვალსაზრისით. საკითხის ამგვარი დასმით ნაშრომი ცდილობს ზოგადი

პოლიტიკურ ეკონომიკური პროცესებისა და ტრანზიციისათვის ნორმად მიწერილი ზემოქმედების წარმოჩენას მოსახლეობის კონკრეტულ ჯგუფზე, აქცევს რა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ქალებს ანალიზის ძირითად ერთეულად.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, საქართველოს პირველი ნაბიჯებს სახელმწიფობრიობის აღსადგენად თან ახლდა სამი შეიარაღებული კონფლიქტი: ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ეთნიკური კონფლიქტები და თბილისის სამოქალაქო ომი. ამ კონფლიქტთა გავლენა უდიდესი იყო; მათ ღრმა კვალი დაამჩნიეს ქვეყნის განვითარებას. უშუალო მსხვერპლის გარდა დრამატული შედეგი იყო ის, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ეთნიკურად ქართველი ან ქართველებთან ახლო ნათესაურ კავშირში მყოფი მოსახლეობა ეთნიკური წმენდის მსხვერპლი გახდა და იძულებული იყო დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილები. 1993 წლის ოქტომბერში, როცა ათასობით ადამიანი გამორბოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან, უმეტესობამ ფეხით გადმოკვეთა სვანეთის უღელტეხილი, რადგან ტრანსპორტის არანაირ საშუალებაზე არ მიუწვდებოდა ხელი. „200-დან 350 მდე დევნილი ბავშვი და ქალი დაიღუპა ამ მგზავრობისას. ზოგიერთმა არაადამიანურ პირობებში იმშობიარა, ხოლო ზოგიერთი მშობიარობას გადაყვა.“<sup>123</sup> საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა 55% ქალია, დევნილთა საერთო რაოდენობის 36% ბავშვია და 11,5% კი 63 წელს არის გადაცილებული.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი 1992-1993 წლებში მიმდინარეობდა, რომლის შედეგადც 240 000 – 250 000 ადამიანი გახდა იძულებით გადაადგილებული. მათი აბსოლიტური უმრავლესობა ეთნიკური ქართველია. თუ ამ კონფლიქტში რომელიმე მხარეს გამარჯვებულს ან დამარცხებულს დავარქმევთ, მაშინ ქართული მხარე უკანსკნელია, თუმცა კონფლიქტი ჯერ არ არის საბოლოოდ მოგვარებული. აფხაზეთის ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი კვლავ გაურკვევლია, მიუხედავად იმისა, რომ საომარი ქმედებები ოფიციალურად ათ წელზე მეტია რაც შეწყდა. კონფლიქტის გადაჭრის გაჭიანურებული პროცესი დევნილთა მდგომარეობას ართულებს, რადგანაც არანაირი პოლიტიკური გადაწყვეტილება არ არის მიღებულა მათი სტატუსის გასაუმჯობესებლად; უნდა ასიმილირდნენ და დაფუძნდნენ ისინი გადანაცვლების ადგილებში (საქართველოს დიდი ქალაქები და რეგიონები) თუ ყოველთვის მზად უნდა იყვნენ სახლებში დასაპრუნებლად? და მესამე ყველაზე მნიშვნელოვანი, რა უნდათ თავად მათ? ამ ძალზე საჭირო კითხვას სამთავრობო დონეზე იშვიათად სვამენ. ამ მხრივ, დევნილი ქალები ყველაზე მეტად არიან იგნორირებულნი, 1992-1997 წლებში პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ მიღებული 50-ზე მეტი ნორმატიული აქტიდან, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირებს ეხებათ, არც ერთი განსაკუთრებულად არ ეხება ქალთა და ბავშვთა საკითხებს.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთიდან დევნილი ქალები ზემოთ მოვიხსენიე როგორც ერთი კონკრეტული ჯგუფი, ჩემთვის კარგად ნაცონბია ის ფაქტიც, რომ ეს ჯგუფი არ არის ერთგვაროვანი, არამედ მრავალფეროვანია განათლების, ოჯახური მდგომარეობის, ეკონომიკური შესაძლებლობების, ასაკისა და თუნდაც ეთნიკური შემადგენლობით, ამიტომ ამ ჯგუფის წარმომადგენელთა თუ მათვის აქტუალურ საკითხთა სრული სპეციალის წარმოდგენას, ცხადია, ვერ მოვახერხებთ და მხოლოდ რამდენიმეთი შემოვიფარგლები.

მატერიალური კეთილდღეობის მიხედვით, იძულებით გადაადგილებული ქალები შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად ღარიბ და სიღარიბის ზღვარს ოდნავ მაღლა მყოფ ჯგუფებად დაიყოს, თუმცა უმეტესობა ის ქალია, რომელთა ოჯახებმა თითქმის ყველაფერი დაკარგეს კონფლიქტის დროს. ასე, რომ ახლა მათ ყოველდღიური ბრძოლა უწევთ გადარჩენისათვის გენდერულ ძალადობისა და სიცოცხლისთვის საშიშ სიტუაციებში.

1999 წლებში ფერიდე ზურიკაშვილის მიერ ჩატარებულმა კვლევამ იძულებით გადაადგილებულ ქალთა შესახებ საინტერესო შედეგები გამოავლინა. მოცემული გამოკვლევის ჩარჩოებში დევნილი ქალები საქართველოს 7 ქალაქში და 2 სოფელში იქნა გამოკითხული.

<sup>123</sup> Feride Zurikashvili, Internally Displaced Women in Georgia (Tbilisi: Women's Studies Center at Tbilisi State University, October-November 1999), working paper, 7.

ალმოჩნდა, რომ ისინი, დევნილ მამაკაცთა მსგავსად, ნატრობენ თავიანთ ძველ ცხოვრებას და უნდათ საკუთარ მიწაზე დაბრუნება, თუმცა უფრო ადვილად შეეგუენ ახალ პირობებს და უფრო მეტი სიცოცხლის უნარიანობა და ამტანობა გამოამჟღავნეს, ვიდრე მამაკაცებმა.

ქალებმა უფრო ადვილად მონახეს სამუშაო ადგილები და არ თაკილობენ ნებისმიერი ხელმისაწვდომი საქმიანობის შესრულებას, ისეთი საქმიანობებისაც კი, რომლებიც მათი პროფესიულ გამოცდილებასთან და მიღებულ განათლებასთან შედარებით დაბალი სტატუსისაა. თბილისში მცხოვრები დევნილი ქალების გამოკითხვით და მათთან ლაპარაკით გამოვარევი, რომ დედობა გადამწყვეტ როლს თამაშობს დევნილ ქალთა გადარჩენისათვის სწრაფვაში და მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან ემიგრანტები, არამედ იძულებით გადაადგილებულნი საკუთარ მიწაზე, მაინც შეგვიძლია პარალელი გავავლოთ კეიტ ფრიდმან-კასაბას მიერ აღწერილ აშშ-ში ემიგრირებულ ებრაელ და იტალიელ დედათა და ცოლთა და საქართველოში იძულებით გადაადგილებულ ქალებს შორის. ამ ქალთა უმრავლესობა ამჟღავნებს "გმირულ თავგანნირვას თავაინთი ოჯახების გადარჩენისთვის."<sup>124</sup> დედობა ჯაბნის და დომინირებს სხვა ნებისმიერ სოციალურ როლს და ინსტინქტს, იგი გადარჩენისთვის ყველა მცდელობის მამოძრავებელი ძალაა.

დევნილი ქალები ზრუნავენ ოჯახზე, ბავშვებზე, ვაჭრობენ, გამოიმუშავებენ თანხას, მაგრამ როგორც ფერიდე ზურიკაშვილის კვლევამ აჩევნა, ქალებს მაინც მიაჩნიათ, რომ კვლავ მამაკაცები არიან ოჯახებზე პასუხისმგებელნი. მოუხედავად იმ ფაქტისა, რომ ტრადიციული გენდერული როლების გადანაწილება მოხდა და უფრო და უფრო მეტი ქალი ინახავს ოჯახს სახლის გარეთ მუშაობით, მაშინ როცა უმუშევარი და დეპრესიონული ქმრები სახლში რჩებიან, ქალები კვლავ ფიქრობენ ან უბრალოდ ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ ისინი მამაკაცებს კვლავ ოჯახის მეთაურებად მიიჩნევენ.

კონფლიქტის დროს ქალებზე ღიად ვრცელდებოდა გენდერული ძალადობა და მისი უმთავრესი ფორმა, გაუპატიურება, მაგრამ ცეცხლის შეწყვეტას ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შეწყვეტა არ მოჰყოლია. თომას ბეკი თავის კვლევაში „ქალები, ომი და გადაადგილება საქართველოში“, წერს:

იმედგაცრუების დროს უსაფუძვლო გააფთრება და ოჯახური ძალადობის შემთხვევები უფრო ხშირი ხდება. ქმრები და ოჯახის მამრობითი სქესის სხვა წევრები ცემენ ცოლებს და ოჯახის სხვა მდედრობითი სქესის წევრებს, გადააქვთ რა დევნილობით გამოწვეული სტრესი თვიანთი ოჯახის წევრებზე. ბეკი დევნილ ქალს იძულებით მოუხდა სექსუალური მომსახურების გაწევა საკვებისა, თუ საცხოვრებელი ადგილის გამო. ზოგიერთი, ოჯახიდან ზენოლის გამო, შემოსავლის მოპოვების მიზნით იძულებული გახდა პროსტიტუციის გზას დადგომოდა.<sup>125</sup>

ოჯახურ ძალადობასთან ერთად თავიანთი ოჯახების უმძიმესი ეკონომიკური პირობების გამო დევნილ გოგონებს უფრო ემუქრებათ ტრეფიკინგის საფრთხე.

დევნილ ქალთა უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვს და აფხაზეთში თავიანთი პროფესიის შესაბამისად მუშაობდნენ მასწავლებლებად, ექიმებად, ბუღალტრებად და ა.შ. იძულებით გადაადგილებამ არა მხოლოდ ჩამოაშორა ისინი თავიანთ საქმიანობას, არამედ აიძულა იმ საქმით დაკავებულიყვნენ, რაშიც არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ. ვაჭრობა მათი ძირითადი საქმიანიბა გახდა. ისინი ყიდიან სიგარეტს, პურს, ნამცხვარს ბაზრობებზე, სადგურებში და ა.შ. ზოგიერთი მათგანი, ვინც მოახერხა გარკვეული თანხის დაგროვება, ბაზრობებზე ქირაობს სავაჭრო ადგილებს, ვაჭრობს სხვადასხვა სახის საქონელით, ძირითადად

<sup>124</sup> Kathie Friedman-Kasaba, *Memories of Migration, Gender, Ethnicity, and Work in the Lives of Jewish and Italian Women in New York, 1870-1924* (New York: State University of New York Press, 1996), 92.

<sup>125</sup> Thomas Buck, *Women, War, and Displacement in Georgia* (Washington, DC: Research and Reference Services Project, USAID, July 6, 1999), 12.

ტანსაცმლით, რომელიც უმეტესწილად თურქეთიდან, ირანიდან და პოლონეთიდან შემოაქვს. ვაჭრობით დაკავება სიმპტომატურია ქალაქებში მცხოვრები დევნილი ქალებისთვის, ხოლო სოფლად მცხოვრები დევნილი ქალები ძირითადად სოფლის მეურნეობით არიან დაკავებულნი. ვაჭრობით ქალებს საშუალება ეძლევათ გამოიმუშაონ გადარჩენისთვის საკმარისი თანხა, მაგრამ ისინი იშვიათად ამაყობენ ამ საქმიანობით, რაც გამოივეულია ვაჭრობაში მონაწილე პიროვნებებზე საქართველოში ნეგატიური კულტურული სტერეოტიპის არსებობით. ექსპერტებმა, რომლებიც სწავლობდნენ ქართველ დევნილ ქალთა მდგმარეობას შემდეგი დაასკვნეს:

სავაჭრო საქმიანობა იშვიათად ითვლება „სამუშაოდ“ თავად ქალების მიერ. მართლაც ბევრმა გამოკითხულმა ქალმა თავისი თავი უმუშევრად მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დიდ დროს ატარებენ ქუჩებსა და ბაზრობებზე. ზოგიერთმა უბრალოდ დამალა ეს ფაქტი, თუმცა გასაყიდი პროდუქციით სავსე ყუთები აშკარად ჩანდა მათ საცხოვრებელში. მიზეზები მდუმარებისთვის არის სირცხვილი და შიში იმისა, რომ არსებული ჰუმანიტარული დახმარება არ განაწილდება „მომუშავე“ ქალებსა და მათ ოჯახებზე.<sup>126</sup>

იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოს მთავრობისგან მიზერულ ფინანსურ დახმარებას იღებენ. რაც შეეხება საერთაშორისო ჰუმანიტარულ დახმარებას, ამჟამად ასეთი ტიპის დახმარება მინიმალურამდეა შემცირებული, რადგანაც დონორმა ორგანიზაციებმა თავიანთი ჰუმანიტარული დახმარების პოლიტიკა თვითდაფინანსების და განვითარების პოლიტიკით შეცვალეს. თუმცა იძულებით გადაადგილებული პირები ნაკლებად ინფორმირებულნი არიან დონორთა პრიორტეტების ცვლილების შესახებ და ხშირ შემთხვევაში ისინი კვლავ ელიან ჰუმანიტარულ დახმარებას და ჩივიან მისი არარსებობის გამო.

დევნილ ქალთა სხვადასხვა კვლევებზე დაყრდნობით შეგვიძლია გამოყოფილ დევნილ ქალთა საქმიანობის სამი ძირითადი ტიპი:

1. ვაჭრობა (თბილისი, გორი, ქუთაისი);
2. სოფლის მეურნეობა – ქალები, რომლებიც მუშაობენ ჩაის პლანტაციებში, მინდვრად (წყალტუბოს, ზუგდიდის რაიონები);
3. სეზონურად მომუშავე დევნილი ქალები, რომლებიც გადადიან გალის რაიონში და მალულად მუშაობენ თავიანთ მიტოვებულ ბალებში, ხოლო შემდეგ ყიდიან მიღებულ მოსავალს. (ძირითადად თხილს);

ყველა ეს საქმიანობა დიდ რისკთან და მძიმე შრომასთან არის დაკავშირებული. იძულებით გადაადგილებულ ქალთა სეზონური მუშაობისთვის არ არსებობს უსაფრთხოების გარანტიები, რადგანაც ისინი სადემარკაციო ხაზს კვეთენ, რომელიც ერთამანეთისგან ყოფს აფხაზურ და ქართულ მხარეებს. ქალები იძულებულნი არიან მოქრთამონ რუსი მშვიდობისმყოფელი ჯარისკაცები, (ქრთამი დაახლოებით 5 ლარს უდრის), მაგრამ თუ მათ ეს თანხა არ გააჩნიათ ან თანხის გადაუხდელობის მიზეზები აქვთ, მდინარე ენგურის ნავებით, ან სხვა საშუალებებით გადაკვეთით ისინი სიცოცხლეს სერიოზულ საფრთხეში იგდებენ. შემთხვევითი არაა, რომ იძულებით გადაადგილებულ ქალთაგან სეზონური მუშაობით ძირითადად ასაკოვანი ქალები არიან დაკავებულნი. ფაქტი, რომ მათ უფრო ნაკლები საფრთხე ემუქრებათ სექსუალური ძალადობის მხრივ, სტიმულს აძლევს მათ გადავიდნენ „მეორე მხარეს“. მამაკაცებისთვის სახიფათოა დემარკაციის ხაზის გადაკვეთა, რადგან ეთნიკური შუღლი და ანგარიშსწორება მათ ფიზიკურ უსაფრთხოებას ემუქრება.

შევარდნაძის მთავრობის პოლიტიკური ტენდენციები იძულებით გადაადგილებულ პირთა დანარჩენ მოსახლეობასთან ასიმილაციისგან თავის არიდებას ისახავდა მიზნად, ამ პოლიტიკამ შედეგად დევნილთა მარგინალიზაცია გამოიწვია საქართველოს დანარჩენი მოსახლეებისაგან. ე.წ. კომპაქტური დასახლების ადგილები ან კოლექტიური ცენტრები, სადაც დაახლოებით

<sup>126</sup> Thomas Buck, Alice Morton, Susan Allen Nan, Feride Zurikashvili, *Aftermath: Effects of Conflict on Internally Displaced Women in Georgia* (Washington: Center for Development Information and Evaluation U.S. Agency for International Development, September 2000), working paper no. 310, 7.

დევნილთა 85% ცხოვრობს, ამის ნათელი მაგალითია. სხვა მოქალაქეებისგან განსხვავებით დევნილები ამ ადგილებში საშინელი საცხოვრებელი პირობების გამო განსხვავებულად და დამცირებულად გამოიყურებიან. ქვეყანაში არის დევნილთა დაახლოებით 3,600 კომპაქტური დასახლების ცენტრი და მათი უმრავლესობა ნაკლებად თუ აკმაყოფილებს საცხოვრებელი პირობების სტანდარტებს. თითოეულ ოთახში მაცხოვრებელ ადამინთა საშუალო რაოდენობა ოთხია „სამზარეულო და ტუალეტი ხშირად საერთოა და სანიტარული პირობები მძიმე.“<sup>127</sup> ამიტომაც არის, რომ ინფექციური დაავადებები როგორიცაა ტუბერკულიოზი და ჰეპატიტი ძალზედ გავრცელებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის. მოუშუშებელი ტრამვები და მძიმე საცხოვრებელი პირობები ანგრევენ დევნილ ქალთა ჯანმრთელობას. ფერიდე ზურიკაშვილის მიერ გამოკითხულ 105 დევნილ ქალთაგან 15% ანუხებდა გულის დაავადებები, 20,2% მაღალი წნევა, 13% რევმატიზმი, 6% ტუბერკულიოზი, 21% ნევროზი, 18% საჭმლის მონელებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ბევრ შემთხვევაში დევნილ ქალთა დისკრიმინაცია ორმაგია, ისინი დისკრიმინაციას განიცდიან როგორც ქალები და იმავდროულად როგორც იძულებით გადაადგილებული პირები. „ჩვენ ყვლანაირი უფლება გვაქვს ჩამორთმეული, ჩემი მინიდან და სახლიდან მოშორებულს სულ ისეთი გრძნობა მაქვს, რომ თბილისში არავის ვუნდივარ, არავის ვჭირდები. თავს სრულფასოვან მოქალაქედ უკვე ვეღარ აღვიქვამ“ განაცხადა პირად საუბრში 43 წლის დევნილმა ქალმა. „მომბეზრდა იმის ყურება, თუ როგორ ეცვლებათ სახის გამომეტყველება, როცა იგებენ, რომ ლტოლვილი ვარ, ეს შებრალებაა, თანაგრძნობაა, თუ ზიზლი, მნიშვნელობა აღარ აქვს უკვე. დავიღალე იმისგან, რომ ჩემი პოლიტიკური სტატუსიდან გამომდინარე მექცევიან და არა იმის მიხედვით, თუ ვინ ვარ მე. საქართველოში, სადაც ყველგან ძნელია ცხოვრება, სხვა სირთულეებთან ერთად უფრო ძნელია ლტოლვილობა“ მითხრა 23 წლის იძულებით გადაადგილებულმა გოგომ.

ასევე პირად საუბარში ერთმა დევნილმა ქალბატონმა განაცხადა: რომ მიუხედავად იმისა, რომ დაკარგა მთელი ქონება, სახლი, ეზო, სამსახური, მაინც ბედნიერია, რადგან მისი შვილები გადარჩნენ და იგი უფრო იღბლიანია, ვიდრე სხვა დევნილები, რომლებმაც კონფლიქტში ოჯახის წევრები და ნათესავები დაკარგეს. „ყველაფერს ვაკეთებ, რაც კი შეიძლება გავაკეთო ჩემი ბავშვებისთვის, არ მაინტრესებს რას იფიქრებენ სხვები, ვის მოეწონება და ვისთვის მიუღებელი იქნება ჩემი საქციელი, მე ჩემი საკუთარი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მაქვს.“

ქალები არ ლაპარაკობენ იმაზე რა ძნელია საათების განმავლობაში მზეში, ქარში თუ წვიმაში იდგე გზებზე და ყიდდე გამაგრილებელ სასმელს, სიგარეტს, პურს, და ა.შ. რასაც ისინი ამჟღავნებენ არის გადარჩენისადმი ლტოლვა. შეიძლება ვინმემ ისინი დაქანცულ და სუსტ არსებებად წარმოიდგინოს, მაგრამ ეს ყველაფერი უფერულდება მათი სიცოცხლისადმი სწრაფვის შემხედვარე.

ქვეთავის ამ მონაცემთში შევეცადე წარმომედგინა, თუ როგორ აისახა გარდამავალი ე.წ. „ტრანზიციის“ პერიოდი მოსახლეობის ერთ გარკვეულ ჯგუფსა და მის ცხოვრებაზე. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არანაირი პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესი, განსაკუთრებით ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული, არ მიმდინარეობს განყენებულად, ისე, რომ გავლენა არ იქონიოს უბრალო მოქალაქეებზე და არ აისახოს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ასევე, შეგვიძლია იმის თქმაც, რომ ეს გავლენა არ არის ერთგვაროვანი და დიფერენცირდება, სქესის, ასაკის, სოციალური და პოლიტიკური კუთვნილების, რელიგიური თუ ეთნიკური ნიშნის მიხედვით. ალბათ, ჩვენი, როგორც მკვლევრების, ვალია არა მარტო სხვადასხვა საზოგადოებრივი პროცესების აღწერა და მათ ხასიათში წვდომა, არამედ იმ პრობლემური საკითხების შესწავლა და გამომზეურება, რაც ამა თუ იმ პროცესებს ადამიანებისთვის მოაქვთ.

<sup>127</sup> Thomas Buck, Alice Morton, Susan Allen Nan, Feride Zurikashvili, *Aftermath: Effects of Conflict on Internally Displaced Women in Georgia* (Washington: Center for Development Information and Evaluation U.S. Agency for International Development, September 2000), working paper no. 310, 5.

## პრირა 7

### 1. სქესობრივი დისკრიმინაცია სამუშაო აღგილზე – დეპატეპი ამორიკის შეართებულ შტატებში

#### ლიტერატურა:

Catherine A. Mackinnon, *Difference and Dominance: On Sex Discrimination*, 1984.

Glendora C. Hughes «Sexual Harassment: Then and Now», *Maryland Bar Journal* May/June, 2000.

Beth Ann Faragher, Petitioner v. City of Boca Raton, Supreme Court of the United States 1998 U.S. LEXIS 4216.

მეოცე საუკუნის 1980-იანი წლებიდან მოყოლებული სქესობრივი დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე იქცა ერთ-ერთ საყურადღებო და ნინააღმდეგობით აღსავსე პრობლემად. რა არის სქესობრივი დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე? ამ კითხვაზე პასუხის მოსაძებნად ბევრი იურისტი, დამქირავებელი თუ მუშაკი იმტკრევს თავს. სამუშაო ადგილზე სქესობრივი დისკრიმინაციის, სქესის ნიშნით შევიწროვების კონცეფციის განსაზღვრება ბევრ შემთხვევაში სუბიექტურია და მხოლოდ კერძო შემთხვევებს ერგება. ამ თვალსაზრისით, გასათვალის-ნინებელია, რომ ტერმინის განსაზღვრება გრძელვადიანი პროცესია, რომელიც იწრთობა ახალ-ახალი ინფორმაციითა და ცოდნით. თუ მიღებული ინფორმაციის კომუნიკაცია არ მოხდება კორექტულად, სწორად, დაბნეულობამა და გაუგებრობამ შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს როგორც დამქირავებელი, ასევე დაქირავებული.

დასავლეთში დამქირავებლები თავს გრძნობენ მოვალედ რეაგირება მოახდინონ თავიანთი თანამშრომლების რომანტიკულ თუ სექსუალურ ქცევაზე, თუ ეს გავლენას ახდენს სამუშაო გარემოზე. სამუშაო ადგილზე სქესობრივი დისკრიმინაცია აღქმულია როგორც ან უკვე გამჟღავნებული საიდუმლო, რომელიც ბევრ მამაკაცსა და ქალს აერთიანებდა და ისინი ან გაურბოდნენ მსგავს ფაქტებს, იცვლიდნენ სამსახურს ან რჩებოდნენ და იტანდნენ შევიწროვებას. ამ პრობლემის დაგვიანებულმა აღიარებამ გამოიწვია სამუშაო ადგილის ისეთი შეფასება და სამუშაო ადგილას ისეთი ქცევა, როგორიც მანამადე არ იყო ცნობილი.

დასავლეთში, მკვლევარ გლენდორა ჰიუგის აზრით, დასრულდა ეპოქა, როდესაც „არავინ არაფერი იცოდა და არავინ არაფერს იმჩნევდა და მომავალი ითხოვს პასუხისმგებლობასა და პრევენციას“.<sup>128</sup> იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი შეიტყობს სამუშაო ადგილზე, ერთი თანამშრომლის მიერ მეორის სქესობრივი ნიშნით შეზღუდვის, დისკრიმინაციის შესახებ და არ მოახდენს სათანადო რეაგირებას, იგი მკაცრად აგებს პასუხს ადამინის უფლების დარღვევაზე თვალის დახუჭვის, ე.ი. თავისი ფუნქციების შეუსრულებლობისა და ბოროტმოქმედისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის ბრალდებებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1980-იან წლებამდე დაბალი ინსტანციის ფედერალურ სასამართლოში რამდენჯერმე მოხდა სამუშაო ადგილას სქესობრივი დისკრიმინაციის შემთხვევების განხილვა. სასამართლომ დაადგინა, რომ სამუშაო ადგილზე სქესობრივი დისკრიმინაცია არის ქალი თანამშრომლის მამაკაცი თანამშრომლის მიერ (შესაძლოა უფროსიც იყოს) შევიწროვება და სქესობრივი კავშირის მოთხოვნა. 1980 წელს დასაქმების თანაბარი შესაძლებლებების კომისიამ (Equal Employment Opportunity Commission (EEOC)) დაადგინა სამუშაო ადგილზე სქესობრივი დისკრიმინაციის შემთხვევები. გამოიკვეთა სამუშაო ადგილას სქესობრივი დისკრიმინაციის ორი ძირითადი ფორმა:

<sup>128</sup> Glendora C. Hughes "Sexual Harassment: Then and Now", *Maryland Bar Journal* May/June, 2000.

**1. Quid pro quo** (მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ) - ამგვარი სქესობრივი დისკრიმინაცია ხდება მაშინ, როდესაც სექსუალური ხასიათის მოთხოვნის დაკმაყოფილების სანაცვლოდ ადამიანი მიიღებს სამსახურს ან დაწინაურდება სამსახურში, ხოლო დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში შესაძლოა დაკარგოს სამსახური.

**2. მტრული სამუშაო გარემო** - სქესობრივი დისკრიმინაციის მეორე ფორმაა და ითვალისწინებს სიტყვიერ შეურაცხყოფას, ფიზიკურ შეხებას, სექსუალურ მოთხოვნებს ან სქესობრივი ხასიათის სხვაგვარ ქცევას. ეს ქმედება იმდენად დაუინებული და ხშირი უნდა იყოს, რომ ხელს უშლიდეს ადამიანის მუშაობის პროცესს, ადაბლებდეს საქმიანობის ხარისხს ან ქმნიდეს შეურაცხმყოფელ გარემოს მუშაობისათვის.

დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების კომისიის მიერ განმარტებების გამოცემიდან სამი წლის შემდეგ მათი გამოყენება საჭირო გახდა კატცი დოულის წინააღმდეგ საქმეში (1983). საქმის განხილვის შემდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ დამქირავებელი პასუხს აგებდა სამუშაო ადგილზე სქესობრივი დისკრიმინაციის ბრალდებით. ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციის quid pro quo სახეს, დამქირავებელმა არ მიიღო შესაბამისი ზომები, მას შემდეგ, რაც წერილობით შეიტყო თანამშრომელი ქალის მისი ხელმძღვანელის მიერ სქესობრივი დისკრიმინაციის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების უზენასმა სასამართლომ პირველი განაჩენი სქესობრივი დისკრიმინაციის ბრალდებით 1986 წელს გამოიტანა საქმეში მერიტონ სეივინგს ბანკი ვინსონის წინააღმდეგ. სასამართლო განაჩენმა მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაუყარა სამუშაო ადგილზე სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის ბრალდებით საქმების შემდგომ განხილვას. მერიტონის საქმეში დადგინდა, რომ სქესობრივი ნიშნით შევიწროვება „მტრული სამუშაო გარემო“ მართლაც სქესობრივი დისკრიმინაციის ფორმაა. ასევე დადგინდა, რომ საკითხში გარკვევის სწორი ფორმაა კითხვა იმისა იყო თუ არა სქესობრივი ხასიათის მოთხოვნები მიუღებელი მომჩინეობისთვის და არა ის ნებაყობილობით დათანხმდა იგი სქესობრივ კავშირს თუ არა.

1990-იანმა წლებმა სამუშაო ადგილზე სქესობრივი შევიწროვების პრობლემა გასაგები გახადა ამერიკული საზოგადოების დიდი ნაწილისათვის და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროდ იქცა. საზოგადოებრივი ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტმა, რომ 1991 წელს სენატის იურიდიული კომიტეტი განიხილავდა მოსამართლე კლარენს ტომასის ნომინაციას უზენაეს სასამართლოში მოსამართლედ. მოსმენებისას დაისვა საკითხი მოსამართლე კლარენს ტომასის მიერ თავისი ასისტენტის ანიტა ჰილის შესახებ, მაშინ, როდესაც მოსამართლე მუშაობდა დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების კომისიის თავმჯდომარედ. ამ მოსმენებს ტელევიზიით გადასცემდნენ და მოსახლეობა როგორც სერიალს ისე უყურებდა და რაც უფრო მნიშვნელოვანია ბევრ საუბრობდა ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ ამგვარი ქმედება და რა არის სქესობრივი ნიშნით ადამიანის შეურაცხყოფა სამუშაო ადგილას. ამ გახმაურებულ საქმეს მოჰყვა ბილ კლინტონისა და მონიკა ლევინსკის საქმე, პრესამ და ტელევიზიამ დიდი როლი შეასრულა საზოგადოებრივი ინტერესის გაღვივებასა და შენარჩუნებაში და შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლებისათვის სამუშაო ადგილზე სქესობრივი შეურაცხყოფის პრობლემატიკა ფრიად აქტუალური გახდა.

სამუშაო ადგილზე სქესობრივი ნიშნით შეურაცხყოფაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ შეურაცხყოფის ფაქტი უფრო ხშირად ხდება მამაკაცსა და ქალს შორის, მაგრამ შესაძლებელია, რომ ამგვარი პრობლემა წამოიჭრას ქალებს შორის ან მამაკაცებს შორის. ამერიკის შეერთებულ შტატებში ცალკეული საქმეების განხილვამ ამ ბრალდებით შექმნა პრეცენდენტები და გარკვეულწილი პასუხები გასცა ამ ხასიათის პრობლემების ირგვლივ არსებულ დავებს, თუმცა მრავალი საკითხი კვლავ გაურკვეველი და ბუნდოვანია. კერძოდ, დამქირავებელს ევალება საჭირო ზომების მიღება იმისათვის, რომ სქესობრივი ნიშნით შეურაცხყოფის შემთხვევები სამუშაო ადგილზე აიღაგმოს, მაგრამ არ კონკრეტდება რას შეიძლება გულისხმობდეს ეს

ზომები. იმ შემთხვევაში თუ დაზარალებული არ იმოქმედებს დამქირავებლის რეკომენდაციების შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავს მის დაცვას მსგავსი შეურაცხყოფისგან, პასუხისმგებლობა მომხდარზე უკვე აღარ ეკისრება დამქირავებელს, არამედ უშუალოდ შეურაცხმყოფელსა და დაზარალებულს, რომელმაც არ შეისმინა დამქირავებლის რჩევები და არ დაეცვემდებარა პრევენციულ ღინისძიებებს.

რა შეიძლება წარმოადგენდეს სამუშაო ადგილზე სქესობრივი შეურაცხჰყოფის თავიდან აცილების, პრევენციის ეფექტურ მეთოდს?

- წათლად განერილი სქესობრივი შეურაცხყოფის ამკრძალავი შიდა განაწესი;
- ამ შიდა განაწესის ეფექტური კომუნიკაცია ყველა თანამშრომლისთვის;
- შურისძიებისაგან დაცვა;
- ეფექტური ჩივილის პროცესი;
- გამოძიების პროცესში კონფიდენციალობის შეძლებისდაგვარადად მაქსიმალური დაცვა;
- ეფექტური გამოძიების პროცესი;
- შესაბამისი და დაუყოვნებელი გამასწორებელი ქმედების უზრუნველყოფა;

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტი უნდა იყოს კომპინირებული უფროსებისა და ზედამხედველების/ხელმძღვანელების პერიოდულ ხარისხიან ტრეინინგთან. ტრეინინგის მეშვეობით თანამშრომლებმა უნდა შეიძინონ უნარ ჩვევები მსგავს სიტუაციებთან გამკლავებისა და მათი ეფექტური დაძლევისათვის.

იმ შემთხვევაში თუ დამსაქმებელი, ხელმძღვანელი მომსწრეა სქესობრივი შეურაცხყოფების ფაქტებისა მან უნდა მოახდინოს რეაგირება დაზარელებულისგან ოფიციალური წერილობითი განაცხადის მიღებამდე.

სამუშაო ადგილზე სქესობრივი შეურაცხყოფა ხშირ შემთხვევაში თანამშრომლებს შორის წარუმატებელი რომანების საფუძველზე ყალიბდება. სამწუხაროდ არ არსებობს არანაირი გეგმა ან ღონისძიება, რომელიც ამგვარ რისკს აგვაცილებდა თავიდან. ამგვარი შემთხვევების მონიტორინგიც ძალიან ძნელია, იმიტომ რომ ერთი შეხედვით შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ხელმძღვანელი თანამშრომლების პირად ცხვორებაში ერევა. არსებობს ორი გზა, ერთი ვითარების იგნორირება, ვიდრე რეალური პრობლემები არ გაჩნდება და მეორე, სამუშაოზე მიღებისას ინფორმირება თანამშრომლების, რომ სასიყვარულო ურთიერთობების წამოწყება ხელმძღვანელსა და დაქვემდებარებულ თანამშრომლებს შორის იკრძალება. განსაკუთრებით დიდი რისკის მქონეა თანამდებობით მაღალი მამაკაცისა და მასზე დაქვემდებარებული ქალის ურთიერთობა, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში სწორედ ამ დროს შეიძლება გართულდეს საქმე. პრობლემების თავიდან ასაცილებლად, ხელმძღვანელს ევალება ხშირი საუბარი და ტრენინგი ჩაუტაროს თავის მოადგილებს, დეპარტამენტების უფროსებს და სხვა თანამდებობით მაღალ საფეხურზე მყოფ თანამშრომლებს.

აქვე უნდა აღინიბონოს, რომ ხშირ შემთხვევაში სამუშაო ადგილას დაწყებული რომანი ქორნინებით მთავრდება და მორალური თვალსაზრისით არასწორი იქნებოდა რომანტიული ეპიზოდებისა და შემდგარი ურთიერთობების შეურაცხყოფის პოტენციური რისკის მატარებლად განხილვა. დამქირავებელმა უნდა გააკეთოს თავისი მაქსიმუმი თანამშრომელთა უფლებრივი განათლების თვალსაზრისით, უნდა დააწესოს ხელმისაწვდომი და ეფექტური მექანიზმები ამგვარი პრობლემების დასაძლევად, მაგრამ ამ ნიადაგზე არ უნდა შექმნას არაჯანსაღი გარემო, რომელმაც შეიძლება პროვოცირებაც კი გაუკეთოს არაჯანსაღ ბრალდებებსა და ქმედებას.

საქართველოში სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით:

- გაუპატიურება სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე" (მუხლი 137.3(დ))

- სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე (მუხლი 138.3(ე))
- სექსობრივი კავშირის, მამათმავლობის, ლესბიანობის ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის იძულება სახელგამტები ცნობის გახმაურების ან ქონებრივი დაზიანების მუქარით ანდა მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. (მუხლი 139.1)

როგორც ვხედავთ, საკანონმდებლო ბაზა არ არის ღარიბი, მაგრამ ერთია საკანონმდებლო ბაზის არსებობა და მეორე მისი პრაქტიკაში დანერგვა და გამოყენება. სამუშაო ადგილზე სექსობრივი ნიშნით შევიწროების მხოლოდ უკიდეურესი ფორმები (გაუპატიურება, ძალმომრეობა, სექსუალური კონტაქტის იძულება) აქვს საქართველოში კანონმდებელს გათვალისწინებული რეაგირებისათვის. რაც შეეხება, სხვაგვარი ტიპის სექსობრივ შევიწროებას, როგორიცაა მტრული სამუშაო გარემოს შექმნა, ანუ შეურაცხმყოფელი კომენტარები, შეხება და სხვა, ამგვარი ქმედებაზე არსებული კანონები სამართლებრივი გზებით რეაგირების საშუალებას არ იძლევა.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში არ არსებობს სტანდარტები სამუშაო ადგილზე სექსის ნიშნით შევიწროებისაგან მოქალაქეთა დასაცავად. ამერიკის მაგალითზე დავინახეთ, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა და როლი ენიჭება დამქირავებელს ამ თვალსაზრისით დაქირავებულთა უფლებების დაცვის საქმეში, ხოლო საქართველოში ამგვარი მექანიზმები არარსებულია. საქართველოს ბევრი მოქალაქე დასაქმებულია არაფორმალურ შრომით სექტორში, მათ შორის ეკონომიკურად აქტიური ქალების დიდი ნაწილი (ქუჩის მოვაჭრეები, ძიძები, სახლის დამლაგებლები), რომელთა სამუშაო პირობები და რისკები როგორც სექსის ნიშნით დისკრიმინაციის, ისევე ზოგადად ცუდი სამუშაო პირობების გამო ჯანმრთელობის გაუარესების ძალიან მაღალია.

## **2. როგორ დავარეგულიროთ ოჯახური ძლადობა, გასათვალისწინებელი გამოცდილება**

### **ლიტერატურა:**

Isabel Marcus, «Reframing ‘Domestic Violence’: Terrorism in the Home» in Fineman, M. A. & Myktruk, R (eds.), *Public Nature of Private Violence – the Discovery of Domestic Abuse*, New York, Routledge, 1994, 11-35.

პროექტი ჰარმონია, ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის საზოგადოებრივი პროგრამის სასწავლო მასალები, 7-36.

მოცემულ ქვეთავში შევეხებით ოჯახური ძალადობის რაობას, მისი პრობლემად აღიარების ისტორიას და ეფექტურ სტრატეგიებს ოჯახური ძალადობის დასაძლევად.

ოჯახური ძალადობა არის განმეორებადი და ხშირი ციკლი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური შეურაცხყოფისა, რომელსაც ოჯახის ერთი წევრი ახორციელებს მეორეზე, მასზე კონკრეტოლისა და ძალაუფლების მოპოვების მიზნით. ძალადობა ოჯახში არის კონკრეტული ქმედება ან მუქარა პიროვნების მხრიდან, რომელიც სექსობრივ ან სხვა

ურთიერთობაში იმყოფება პარტნიორთან.<sup>129</sup>

სხვა, შედარებით გამარტივებული განმარტებების მიხედვით, ოჯახური ძალადობა წარმოადგენს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ჩადენილ ძალადობას, რომლის მსხვერპლი ხშირ შემთხვევაში ქალები და ბავშვები არიან, ხოლო მოძალადეები მამაკაცები.<sup>130</sup>

მოცემული განმარტება ოჯახური ძალადობის ყველაზე მეტად გავრცელებული სცენარებს შეესაბამება, თუმცალა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდნენ მოხუცებიცა და მამაკაცებიც. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ხშირად ოჯახური ძალადობის შემთხვევებში მოძალადედ მამაკაცი (ქმარი, მამამთილი, ძმა) გვევლინება, არსებობს ოჯახური ძალადობის ისეთი ფაქტები, სადაც დედამთილი ან მული, ან პირიქით, რძალია მოძალადე. ოჯახური ძალადობის შემთხვევები, სადაც მამაკაცები არიან მსხვერპლის როლში ძალიან მცირე მასშტაბების მქონეა, მაშინ როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც უამრავი მექანიზმი არსებობს ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის, ჯერ კიდევ 22 დღეში ერთი ქალი იღუპება მოძალადე ქმრებისგან. ხოლო შვედეთში, ამ ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის სანიმუშო ქვეყანაში საშუალოდ 10 დღეში ერთი ქალი კვდება.<sup>131</sup> ოჯახურ ძალადობაზე სტატისტიკა საქართველოში არასებობს, სტატისტიკის არ არსებობა პრობლემის არ არსებობაზე არ მიუთითებს, არამედ მის გამოუმჯდავნებლობასა და მიჩუმათებზე. ოჯახურ ძალადობაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით, საქართველოში ოჯახური ძალადობა მწვავე პრობლემაა. არასამთავრობო ორგანიზაცია „სახლი“, რომელიც უფასო იურიდიულ და ფსიქოლოგიურ კონსულტაციას უწევს ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებს წელიწადში 300-350 ქალს ემსახურება თბილისში.<sup>132</sup> 2004 წელს საქართველოში გაიხსნა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა პირველი თავშესაფარი, რომელმაც 5 თვის მანძილზე 15 ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალი და ბავშვი შეიფარა. მსხვერპლთა ციფრი გაცილებით დიდი იქნებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ ჰყოფნიდეთ სახსრები თავიანთი საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაციის გასავრცელებლად და მოზიდული კონტინგენტის მოსამსახურებლად.

სხვა ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ რაც უფრო მეტი ეფექტური მექანიზმი იწყებს მუშაობას ოჯახური ძალადობის დასამარცხებლად, მით უფრო იზრდება გამოაძვრავებული ოჯახური ძალადობის შემთხვევების რიცხვი ანუ მეტი მსხვერპლი აცხადებს საჯაროდ თავის პრობლემას დაცვის იმედით. სწორედ იმიტომა შვედეთის ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალთა სიკვდილიანობის მონაცემი თვალში საცემი და შემაშფოთებელი, რომ ოჯახური ძალადობის ფაქტების აღრიცხვიანობა, პრობლემასთან ბრძოლა, ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობს, ხოლო ჩვენს ქვეყანაში ეს საკითხი მთლიანად არასამთავრობო სექტორის მხრებზე წევს, საზოგადოებრივად გაუმართლებლად ითვლება ოჯახური ძალადობის ფაქტებზე საუბარი, მსხვერპლ ქალებს არ აქვთ ნდობა სამართალდამცავი ორგანოების და საზოგადოებრივი აზრის, რადგან დიდია რისკი ოჯახურ ძალადობაში მათივე დადანაშაულების და უფრო მეტიც ოჯახის დამანგრევლად გამოცხადების. საჭიროა დაინტენსიური მსჯელობა ჩვენს საზოგადოებაში ოჯახური ძალადობის პრობლემის ირგვლივ, რადგან იგი არ არის თვითრეგულირებადი, „კერძო“ სფეროში არსებულ პრობლემა, არამედ დანაშაულია. ჩვენ უნდა გავიაზროთ და ვალიაროთ, რომ სახლის კედლებს შეიგნით ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის

<sup>129</sup> პროექტი ჰარმონია, ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის საზოგადოებრივი თანამშრომლობის პროგრამის სასამართლო მასალები, 7.

<sup>130</sup> Merriam-Webster Dictionary of Law, © 1996 Merriam-Webster, Inc - violence committed by one family or household member against another; WordNet ® 2.0, © 2003 Princeton University - violence or physical abuse directed toward your spouse or domestic partner; usually violence by men against women.

<sup>131</sup> ამერიკას მონაცემი: პროექტი ჰარმონია, ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის საზოგადოებრივი თანამშრომლობის პროგრამის სასამართლო მასალები, 11. შვედეთის მონაცემი ეკუთვნის შვედეთის ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის პოლიციის სამმართველოს მონაცემები.

<sup>132</sup> „სახლის“ საქმიანობის შედეგებმა აჩვენა, რომ ცენტრში კონსულტირებულთა 73%- ის პრობლემა უკავშირდება ოჯახურ ძალადობას. ოჯახური ძალადობის მსხვერპლებთან ინდივიდუალურმა თუ ჯგუფურმა მუშაობამ, მომსვლელთა რაოდენობის ზრდამ (წელიწადში საშუალოდ 8-10%-ით) ნათელი გახადა, როგორც თვით პრობლემის აქტუალობა, ასევე მსხვერპლთა დაცვის საკითხის მოგვარების აუცილებლობა.

მიმართ ჩადენილი ცემა, წამება, დაშინება, გაუპატიურება ისეთივე სასტიკი დანაშაულებია როგორც „საზოგადოებრივ“ სფეროში, ოჯახს გარეთ ჩადენილი დანაშაულებები. შესაბამისად ოჯახური ძალადობის გაკიცხვა და დასჯა არ წარმოადგენს ადამიანის პირად საქმეში ჩარევა, არამედ დანაშაულზე რეაგირება არის.

ინტენსიურად ოჯახური ძალადობის პრობლემის შესწავლა დაიწყო მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემამ მეცნიერთა ყურადღება არც ისე დიდი ხანია მიიქცია, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ოჯახური ძალადობის სიმპტომატიკის, მსხვერპლისა და მოძალადის პროტეტების შესაქმნელად. განვითარებულ ქვეყნებში დაიხვეწა და გაანალიზდა სამართლებრივი ნორმები, რომელთა უმეტესობა არ იძლეოდა ოჯახური ძალადობის ფაქტებზე რეაგირების საშუალებას. შემუშავდა მსხვერპლთა დაცვა-რეაბილიტაციისა და მოძალადეებთან მუშაობის მეთოდები, თუმცა უმეტეს ქვეყნებში ამ საქმიანობით არასამთავრობო სექტორია დაკავებული და არ ხდება ამ საკითხისადმი მთავრობის მხრიდან სათანადო ყურადღების გამოვლენა, არამედ ფორმალური, დეკლარირებული აღიარება და მნირი რეაგირება. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ბავშვების მიმართ ცუდი მოპყრობა საზოგადოებრივი შემფოთების საგნად იქცა, რაც შეეხება ოჯახურ ძალადობას, მისი პრობლემად ჩამოყალიბება და გააზრება არ აღმოჩნდა ადვილი დამკვიდრებული კულტურული ნორმებისა და ტრადიციაბის ფონზე, რომლებიც ორ ზრდასრულ ადამიანს შორის არსებულ უსიამოვნებას, მათ შორის, უფრო ძლიერისა და ავტორიტეტულის კონტროლისა და პასუხისმგებლობის სფეროდ სახავდა.

სამოციანი წლების საზოგადოებრივი მოძრაობებიდან მოყოლებული ამერიკასა და ევროპაში ფართოდ გავრცელდა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის იდეები ქორწინებასა და სამსახურში. 70-80-იან წლებში იზრდება საზოგადოების გათვითცნობიერების დონე ოჯახური ძალადობის საკითხში, ცოლქმრული ძალადობა აღიარებულ იქნა დაუშვებელ ქმედებად. აშშ-ში უკვე სამოცდაათიან წლებში საზოგადოების მხრიდან ზენოლის შედეგად დაიწყო სახელმწიფოს მხრიდან კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების სუბსიდირება ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის. პირველი ასეთი თავშესაფარი 1974 წელს სან პაულში, მინესოტას შტატში გაიხსნა და ეს პროგრამა დღემდე არსებობს. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში 1 500-მდე ქალთა თავშესაფარია (მაშინ, როდესაც იმავე ა.შ.შ.-ში 3800 ცხოველთა თავშესაფარი ფუნქციონირებს).

კვლევებმა აჩვენა, რომ 1994 წელს აშშ-ში საშუალოდ სამიდან ორი მსხვერპლი ქალი იცნობდა თავდამსხმელს.<sup>133</sup> ქალთა 31%-მა განაცხადა რომ თავდამსხმელი იყო უცხო ადამიანი, 28%-მა განაცხადა, რომ შეურაცხყოფას იღებდა მეუღლის ან შეყვარებულისაგან, 35% ნაცნობებისაგან, ხოლო 5% სხვა ნათესავებისაგან. წლიურად ამერიკის შეერთებულ შტატებში კაცებთან შედარებით ქალები 10-ჯერ მეტ ძალადობის ფაქტს განიცდიან ნაცნობების, მეუღლეების, შეყვარებულებისა თუ ნათესავებისაგან.<sup>134</sup> ყოველწლიურად ოჯახური ძალადობის ტრამვების მოსაშუალებლად 3-5 მილიარდი დოლარი იხარჯება, 100 მილიარდი დოლარი კი იკარგება მიუღებელი ხელფასების, არაპროდუქტიულობისა და ავადმყოფობის მიზეზით გაცდენილი სამუშაო საათების გამო.<sup>135</sup> 1993 წელს 575 000 კაცი დააპატიმრეს ქალების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის გამო, მაშინ, როდესაც იმავე წელს 49 000 ქალი დააპატიმრეს მამაკაცების მიმართ ჩადენილი ძალადობის გამო.<sup>136</sup>

1995 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მეოთხე საერთაშორისო კონფერენციის დასკვნითი, დოკუმენტი „პეკინის მოქმედებათა პლატფორმა“ განმარტავს ძალადობას ქალების წინააღმდეგ:

<sup>133</sup> Ronet Bachman Ph.D., U.S. Department of Justice Bureau of Justice Statistics, "Violence Against Women: A National Crime Victimization Survey Report," January 1994, p. iii.

<sup>134</sup> იქვე, 6.

<sup>135</sup> Domestic Violence for Health Care Providers, 3rd Edition, Colorado Domestic Violence Coalition, 1991.

<sup>136</sup> American Psychl. Ass'n. Violence and the Family: Report of the American Psychological Association Presidential Task Force on Violence and the Family (1996), 10.

„ტერმინი „ძალადობა ქალების წინააღმდეგ“ ნიშავს გენდერის საფუძლველზე ჩადენილ ძალადობას, რომელმაც ქალებს ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ზიანი ან ტანჯვა მოუტანა, მუქარის, იძულების, თავისუფლების შეზღუდვის ჩათვლით, განურჩევლად იმისა ამგვარი ქმედება საზოგადოებრივ თუ კერძო სფეროში იქნება ჩადენილი. ამგვარად ძალადობა ქალების წინააღმდეგ მოიცავს, მაგრამ არ იზღუდება შემდეგი განსაზღვრებებით:

ა. ოჯახში ჩადენილი ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა, ცემა, გოგონების სექსუალური შეურაცხყოფის, მზითვთან დაკავშირებული ძალადობა, გაუპატიურება ოჯახში, გოგონათა წინდაცვეთა, და სხვა ტრადიციული ჩვეულებები რაც საზიანოა ქალებისთვის, ძალადობა დაკავშირებული ექსპლუატაციასთან [...]”<sup>137</sup>

პრობლემისადმი გაეროს ყურადღება და პრობლემის საერთაშორისო რანგის დეფინიცია, კიდევ ერთხელ ადასტურებს მის აქტუალობას სხვადასხვა რელიგიის, კულტურისა და პოლიტიკონომიკური განვითარების მქონე სახელმწიფოებისთვის.

ოჯახური ძალადობის განმარტებისას ასევე უნდა ვისაუბროთ პრობლემის გავრცელებულ ფორმებზე, ოჯახური ძალადობა ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური შეურაცხყოფის კომბინაციაა.

**ფიზიკური ძალადობის ფორმებია:** ცემა, ხელის კვრა, წიხლის ჩარტყმა, თმის მოქაჩვა, კბენა, ფიზიკური ტკივილის მიყენება სხვადასხვა ნივთების გამოყენებით (წამება), სახლში გამოკეტვა, დაწვა, გენიტალიების დამახინჯება / მოკვეთა, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით დაჭრა, მოკვლა.

**სექსუალური ძალადობის ფორმებია:** გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის შეურაცხმყოფელი რეპლიკები, კომენტარები, შემოთავაზებები, პორნოგრაფიული მასალის ყურების ან/და გამეორების იძულება, ინცესტი, იძულებითი ფეხშიმობა, ცემის შემდეგ სექსუალური ურთიერთობის იძულება, დასჯის მიზნით სექსისა და ალერსისგან თავის შეკავება, და სხვა.

**ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმებია:** დაცინვა, დამამცირებელი შენიშვნები, რეპლიკები, კომენტარები, შემოთავაზებები, გინება, ზიზლის გამომხატველი ქმედება, აკრძალვა, იზოლირება, საზოგადოებაში შეურაცხყოფა, ყვირილი, მუქარა, ეჭვიანობა, ლამით ძილის საშუალების მოსპობა, შანტაჟი და სხვა.

ოჯახური ძალადობის ფორმაა ასევე ეკონომიკური ძალადობა, რაც საერთო ეკონომიკურ სახსრებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვაში ან აკრძალვაში, მუშაობის, სწავლის დაშლაში, ცოლის საკუთრების მითვისებაში ვლინდება.

ძალადობის ეს ფორმები არ არის ოჯახური ძალდობისათვის დამახასიათებელი ქმედებების სრული ნუსხა. თუ ერთი შეხედვით, ფიზიკური ძალადობის შემთხვევები უფრო თვალსაჩინოა და შესაძლოა ქალის ფიზიკური ლიკვიდაციით დასრულდეს, ძალადობის სხვა ფორმებს არანაკლები ზიანის მოტანა შეუძლიათ. ოჯახური ძალადობისთვის არ არის დამახასიათებელი ერთი რომელიმე კონკრეტული ფორმის სისტემატიკური, სხვა ფორმებისგან იზოლირებული, განმეორება, ოჯახური ძალადობა ჩვეულებრივ ძალადობრივი ქმედებების მთელი კომპლექსითაა წარმოდგენილი და გრძელვადიანად ავადმყოფობებს, ნევროზს, დეპრესიას, ფსიქიკურ მოშლილობას და სხვა მრავალ უბედურებას ინვევს.

ოჯახური ძალადობის კვლევები აჩვენებს, რომ ოჯახურ ძალადობას ციკლური ხასიათი აქვს. მკვლევარ ლენონ ვალკერის და მინეაპოლისის ოჯახური ძალადობის პროექტის გამოკვლევების საფუძველზე ეს ციკლი გაყოფილია სამ ეტაპად. თითოეულ ეტაპს აქვს განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ქვემოთაა აღნერილი. აღნერილი ეტაპები და მათი მახასიათებლები არ წარმოადგენენ აბსოლიტურ კანონზომიერებას ოჯახური ძალადობის

<sup>137</sup> Fourth World Conference for Women Platform for Action, D. Violence against Women, 113.

შემთხვევების დასახასიათებლად, არამედ საერთო და განზოგადებულ ტენდენციებს.<sup>138</sup>

## პირველი ეტაპი: მზარდი დაძაბულობა

ნებისმიერი ურთიერთობის დასაწყისში ძალადობა ნაკლებად არის გამოხატული, ურთიერთობა უსაზღვრო სიყვარულის ხასიათს ატარებს. ამ პერიოდის განმავლობაში პარტნიორებს შორის დაძაბულობა თითქმის არ არსებობს და მოძალადის ქცევა პოზიტიურია. ეს ის პერიოდია, როცა თითოეული პარტნიორი საუკეთესოდ იქცევა, ვინაიდან ამ სტადიაზე ერთ-ერთი პარტნიორის მიერ ძალადობის გამოყენების შემთხვევაში დიდი შანსია მათი ურთიერთობის შეწყვეტისა. ურთიერთობის გაგრძელების შემთხვევაში, მოთხოვნებთან ერთად ძლიერდება სტრესი. იმატებს აგრესიული ქცევა, ჩვეულებრივ ეს საგნებთან მიმართებაში გამოიხატება და არა პარტნიორის მიმართ. აგალითად, ფეხის მირტყმა ან მუშტის დარტყმა კარზე, კედელზე. დაძაბულობა არ ნეიტრალდება ამგვარი ქმედებით და ზრდასთან ერთად ინაცვლებს საგნებიდან პარტნიორზე და გამოიხატება დასაწყის ეტაპზე სიტყვიერ შეურაცხყოფაში. ცოლი ყველანაირად ცდილობს თავიდან აიცილოს სიტყვიერი შეურაცხყოფა: გულმოდგინედ ასუფთავებს სახლს, ისე იქცევა როგორც მეუღლეს მოსწონს, მაგრამ ამგვარი კომპრომისები არ არის საკმარისი მოძალადისთვის გაღიზიანების და კონფლიქტის მიზეზი ყოველთვის მოიძებნება.

მოძალადე აწყობს ეჭვიანობის სცენებს, ცდილობს სრული კონტროლი დაამყაროს მეუღლეზე, გააკონტროლოს მისი დროის გადანაწილება, სად და ვისთან ერთად წავა იგი, ასევე შეეცადოს მეუღლის იზოლირებას მისი მშობლების ოჯახისა და მეგობრებისგან, გამუდმებით უმტკიცებს მას, რომ უყვარს და სხვა ადამიანები ზედმეტები არიან და მხოლოდ ხელს უშლიან ბედნიერებაში და, რომ მარტო ორნი უნდა იყვნენ ერთად და არავინ სხვა.

დაძაბულობის ზრდის ეტაპზე მსხვერპლი გრძნობს, რომ რაც არ უნდა გააკეთოს მოძალადებს არაფერი აკმაყოფილებს. გრძნობს, რომ უძლურია შეაჩეროს მზარდი დაძაბულობა, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობს დათმოს და არ გააღიზიანოს მეუღლე, გრძნობს რომ არ იცის რა არის სწორი საქციელი დაძაბულობის განსამუხტავად. მაგრამ მსხვერპლი, არა მარტო პასიური დამთმობის როლშია, ის ასევე გაბრაზებულია, რადგან მას არ ენდობიან და უსაფუძვლოდ ავიწროვებენ, აყენებენ შეურაცხყოფას. გაბრაზებულია ასევე, რომ მხოლოდ მისი მხრიდან ხდება დათმობები და მოძალადე არ ასრულებს დანაპირებს.

დაძაბულობის ზრდის ეტაპზე მოძალადე თავს გარიყულად გრძნობს, მისი არავის ესმის, ამართლებს თავის ქმედებას, უარყოფს დანაშაულს, გულნატკენი და დაბნეულია, სჯერა, რომ მეუღლე არ აკეთებს საკმარისს, რათა უკეთესად აგრძნობინოს თავი, სასმელს ეტანება და ყველას ადანაშაულებს საკუთარი თავის გარდა შექმნილ ვითარებაში.

## მეორე ეტაპი: უმწვავესი ძალადობის ფაქტი (აფეთქების, კულმინაციის ეტაპი)

ამ ფაზაში დაძაბული ურთიერთობები ძალადობის კონკრეტულ ინციდენტში ვლინდება. მოძალადე ირჩევს ძალადობის ფორმას, ადგილს, დროს, წინასწარ იცის რა უნდა თქვას, როგორი ძალადობა ჩაიდინოს. ეს ის ეტაპია, რომელშიც ხშირად სამართალდამცავი ორგანოები ერთვებიან. ძალადობის ფაქტის შემდეგ მოძალადეს სტრესი და დაძაბულობა ეხსნება. ამის გამოა, რომ მოძალადე ხშირად წყნარი და თანმიმდევრულია სამართალდამცავებთან შეხვედრისას. მსხვერპლი კი, საპირისპიროდ დაბნეული და ისტერიულია ინციდენტის გამო.

აფეთქების ეტაპზე მსხვერპლი შეშინებულია, თავს ადანაშაულებს ძალადობაში,

<sup>138</sup> ოჯახური ძალადობის ციკლების აღწერის წყაროა: ამერიკის მონაცემი: პროექტი პარმონია, ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის საზოგადოებრივი თანამშრომლობის პროგრამის სასწავლო მასალები, 14-17.

შერცხვენილი, დამცირებული და დეგრადირებულია, შოკირებულია. ამასთანავე მსხვერპლი არის გაპრაზებული და შესაძლოა გაამწვავოს კიდეც კონფრონტაცია შიშის დაძლევის სურვილით.

მოძალადე აფეთქების ეტაპზე უკონტროლოა, ადანაშაულებს მსხვერპლს ძალადობის პროვოცირებაში. სურვილი აქვს გააკონტროლოს გააკრიტიკოს და დასაჯოს მსხვერპლი. ეტანება ალკოჰოლს, რათა სიმთვრალით გაამართლოს თავის ქცევა და მიიჩნევს, რომ ძალადობით მოაგვარა პრობლემები.

### მესამე ეტაპი: სიმშვიდის ხანა (თაფლობისთვე)

ეს ფაზა დგება ძალადობის ფაქტის შემდეგ და გამოირჩევა სიმშვიდით და სიყვარულით. ამ ფაზაში მოძალადე ინანიებს თავის საქციელს და მსხვერპლს გამოსწორების იმედს აძლევს. პატივის ითხოვს, პირობას იძლევა, რომ მსგავსი ძალადობა აღარ გამეორდება. ცდილობს ისე მოიქცეს, ვითომ არაფერი მომხდარა, ასაჩუქრებს მსხვერპლს.

თუ ამ ფაზაში მოძალადე არ მიიღებს კვალიფიციურ დახმარებას „თაფლობისთვე“, მხოლოდ გარკვეული პერიოდი გაგრძელდება და შემდეგ დაძაბულობა კვლავ დაიწყებს მატებას, ვიდრე არ მიაღწევს მაქსიმუმს და ციკლი ისევ გამეორდება.

თაფლობის პერიოდში მსხვერპლს სურს თავი დაალწიოს მოძალადეს, თან იტანჯება მოძალადის მიტოვების აზრის გამო, თავს დამნაშავედ გრძნობს, ახლა ხომ ასე კარგადაა ყველაფერი. სურს დაუჯეროს მეუღლის დაპირებებს, მაგრამ წყენასაც ვერ ივიწყებს, უმწეო და უიმედო მდგომარეობაშია.

ამ პერიოდში მოძალადე გრძნობს, რომ გარკვეული პერიოდი შეუძლია თავის გაკონტროლება, ეშინია არ მიატოვოს მეუღლები. თავის თავთან ცდილობს გაამართლოს თავისი საქციელი და ამცირებს შეურაცხყოფის მნიშვნელობას. პირობას დებს, რომ ძალადობის ფაქტი აღარასოდეს განმეორდება.

გამოცდილება აჩვენებს, რომ ამ პერიოდში თუ მოძალადე კვალიფიცირებულ დახმარებას მიიღებს შესაძლოა ძალადობის შემდგომი ფაქტი აღარ გამეორდეს, თუმცა დახმარების აღმოჩენა არ იძლევა ძალადობის შეწყვეტის გარანტია.

რაც უფრო მეტად განიცდის ქალი ძალადობას, მით უფრო მეტად ექვემდებარება იგი შემდეგ დახასიათებას.

ქალს უყალიბდება თავისი შესაძლებლობების დაბალი თვითშეფასება, მას ჰგონია, რომ არაკომპეტენტურია და თავისთავს აბრალებს მომხდარს. როგორც წესი, ქალს შეურაცხყოფის შედეგად ერლვევა ძილი, ეწყება თავის ტკივილი, დეპრესია, შიშები, ეჭვით უყურებს დახმარების მიღების შესაძლებლობას. ცდილობს უარყოს ძალადობა, დააბრალოს ქმრის ზედმეტ სიყვარულს ან სხვა პრობლემებს. ძალადობა მსხვერპლს უმწეოს ხდის და რაც უფრო დიდ ხანს ეგუება იგი ძალადობას, მით უფრო ნაკლებად ესახება გზა თავის გადასარჩენად, იგი იტანჯება ნასწავლი უმწეობის სინდრომით.

მე შევეცადე წარმომედგინა ოჯახური ძალადობის პრობლემისთვის დამახასიათებელი ურთიერთობის ეტაპები და განცდები. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მკვლევრები თანხმდებიან იმაზეც, რომ ვერ იარსებებს ერთი უნივერსალური ფორმულა ოჯახური ძალადობის ყველა ფაქტის აღსანერად, არამედ უმეტესობა ფაქტებისათვის დამახასიათებელი საერთო ტენდენციები, რაც იქნა წარმომდგენილი.

ფემინისტები საკანონმდებლო სფეროს მამაკაცთა სარბიელად განიხილავენ. როგორც წინა თავებში აღვნერეთ, კანონები იქმნებოდა მამაკაცების მიერ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების დასარეგულებლად, რომელიც პატრიარქალურ საზოგადოებაში არსებობდა, სადაც მთავარ მოქმედ პირებსა და პრივილეგირებულ მოქალაქეებს სწორედ მამაკაცები წარმოადგენდნენ. საკანანომდებლო სფეროს განხილვისას ფემინისტები ცდილობენ

გამოკვეთონ „ტრადიციული“, „გავრცელებული“ კანონმდებლობის მამაკაცური ხელწერა და ის თუ რა გავლენა აქვს ამგვარ კანონებს ქალების ცხოვრებაზე. ოჯახური ძალადობის სფეროში არსებული სამართალი ისტორიულად წარმოადგენდა აშკარა გამოვლინებას საზოგადოებაში არსებული სოციალურ-კულტურული ნორმებისა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ოჯახის მამაკაცი წევრების მიერ ოჯახის წევრი ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალადობის გამოყენებას მისაღებ პრაქტიკად, წესრიგისა და მორჩილების მიღწევის გავრცელებულ ფორმად მოიაზრებდა.

უკვე აღინიშნა, რომ საქართველოში კანონი კონკრეტულად ოჯახური ძალადობის შესახებ არ არსებობს, თუმცადა არსებობს რიგი სამართლებრივი მექანიზმებისა, რომლებიც პასუხობენ ოჯახურ ძალადობას. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსში არსებული მუხლები: ცემა (მუხლი 125), ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით, ასოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამოსასწორებელი სამუშაოებით ვადით თხუთმეტ თვემდე ანდა ტუსაღობით, ვადით ორ თვემდე. წამება (მუხლი 126) ისჯება თავისუფლების შეზღუდვის ვადით, ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით - სამ წლამდე.<sup>139</sup> ჯანმრთელობის განზრას დაზიანება (მუხლი 117) დამამდიმებელი გარემოებების გარეშე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან რვა წლამდე.<sup>140</sup> ჯანმრთელობის განზრას ნაკლებად მძიმე დაზიანება (მუხლი 118) დამაძიმებელი გარემოებების გარეშე ისჯება გამოსასწორებელი სამუშაოთი ვადით - 18 თვემდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით, სამ წლამდე ან ტუსაღობით, სამ თვემდე ან თავისუფლების აღკვეთით - სამ წლამდე.<sup>141</sup> ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით (მუხლი 119) ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან თორმეტ წლამდე. ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანება (მუხლი 120) ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოებით, ვადით ექვს თვემდე ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით ერთ წლამდე. განზრას მკვლელობა (მუხლი 108) ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე. განზრას მკვლელობა დამამდიმებელ გარემოებაში (მუხლი 109) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით და სხვა ისეთი მუხლები როგორებიცაა იძულება (მუხლი 150), მუქარა (მუხლი 151), გაუპატიურება (მუხლი 137), სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით ქმედება (მუხლი 138) და სხვა.

მკვლევარმა ნინო ბაქაქურმა გაანალიზა საქართველოს კანონმდებლობა ოჯახური ძალადობის ფაქტებზე რეაგირების კუთხით. ბაქაქურის ანალიზის მიხედვით, „ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულთა უმეტესობა, თუ ისინი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულით არ სრულდება, მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რომელთა ჩადენისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას. უფრო ხშირად ამ დანაშაულების ჩადენისათვის დამნაშავე ისჯება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ან ტუსაღობით რამდენიმე თვით ან თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს ერთი წლისა. ამასთან, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ აღნიშნულ დანაშაულთა უმეტესობის ჩადენაში დამნაშავე პირებს ძირითადად პირობითი სასჯელი ენიშნებათ. ამავე დროს ზემოაღნიშნულ დანაშაულთა უმეტესობა მიეკუთვნება კერძო ან კერძო-საჯარო ბრალდების დანაშაულებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შესახებ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით. ამასთან ერთად, კერძო ბრალდების საქმეები შესაძლებელია

<sup>139</sup> (მუხლი 126) წამება ჩადენილი: ორი ან მეტი პარის მიმართ; დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ; დამნაშავისათვის შეცნობით არასრულწლოვანის, უმწერ მდგომარეობაში მყოფის ან მატერიალურად ან სხვაგვარად მასზე დამკიდებულის მიმართ; შეკვეთით და სხვ. ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

<sup>140</sup> (მუხლი 117) ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანება ჩადენილი: ორი ან მეტი პარის მიმართ; დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ; დამნაშავისათვის შეცნობით არასრულწლოვანის, უმწერ მდგომარეობაში მყოფის ან მატერიალურად მასზე დამკიდებულის მიმართ; განსაკუთრებული სისასტიკით; ანგარებით ან შეკვეთით; არაერთგზის ან სხვ. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან თორმეტ წლამდე.

<sup>141</sup> დამამდიმებელი გარემოებები ამ მუხლისთვის იგივეა, რაც 117-ე მუხლისთვის და ამ შემთხვევებში ჯანმრთელობის განზრას ნაკლებად მძიმე დაზიანება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე.

შეწყდეს ბრალდებულთან დაზარალებული შერიგებით. მართალია, კერძო საჯარო ბრალდების საქმეები ზოგადად ბრალდებულისა და დაზარალებულის შერიგების გამო არ წყდება, მაგრამ კანონმდებელი აქაც უშვებს გამონაკლის და ითვალისწინებს შერიგებით შეწყვეტის შესაძლებლობას, როცა საქმის შემდგომმა გამოძიებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს, როგორც დაზარალებულის, ისე ბრალდებულის ინტერესებს.

ეს ერთი შეხედვით, არც თუ ისე მნიშვნელოვანი ასპექტები, სხვა ფაქტორებთან ერთად არსებით უარყოფით ზეგავლენას ახდენს ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული საქმეების წარმოებაზე საგამოძიებო ორგანოსა, თუ სასამართლოში.

კანონმდებლის მიერ აღნიშნულ დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის დაზარალებულის საჩივრის არსებობის აუცილებლობის დაწესება იწვევს იმას, რომ აღნიშნული საქმეების აღძვრა ან საერთოდ არ ხდება, ან აღნიშნული საქმეების აღძვრის შემდეგ იხურება დაზარალებულის მიერ საჩივრის უკან წაღების, ბრალდებულისა და დაზარალებულის ვითომ „შერიგების“ შედეგად.

თუ გავითვალისწინებთ ოჯახური ძალადობის მსხვერპლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, მის შიშს, დამნაშავისადმი მისი სოლიდარობის სინდრომს, მისი უსაფრთხოების მექნიზმების არარსებობას, ნათელი გახდება, რომ მსხვერპლთა უმეტესობა მრავალ ფაქტორთა ზეგავლენით სრულიადაც ვერ იქნება განწყობილი მოძალადის წინააღმდეგ საჩივლელად.

მსხვერპლის ინიციატივაზე დაყრდნობა ოჯახური ძალადობის დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრისას კანონმდებლის შეცდომაა, რაც დადასტურდა მრავალი ქვეყნის გამოცდილებით. ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული საქმეების წარმოებას საგამოძიებო ორგანოსა თუ სასამართლოში ხელს უმლის აგრეთვე, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მსვლელობისას ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებულთა და მოწმეთა უსაფრთხოების დაცვის მექანიზმის გაუმართაობა. კანონმდებლობით ასევე გათვალისწინებული არ არის ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის უფასო სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარების სამართლებრივი საფუძვლები. სათანადო სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, აგრეთვე ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სპეციალიზებული დაწესებულებების – თავშესაფრებისა და რეაბილიტაციის ცენტრების მოსაწყობად.”<sup>142</sup>

საკანონმდებლო ხარვეზების პარალელურად მტკიცნეულია ის ფაქტი, რომ ოჯახური ძალადობა სათანადოდ არ არის აღიარებული საზოგადოების მიერ, ეს საკითხი არის უკიდურესად ტაბუირებული და მიიჩნევა, რომ ოჯახის, კერძო საქმეა და გარეშე პირები არ უნდა ჩაერიონ.

თუ ცემა, გაუპატიურება, შეურაცხყოფა, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა ჩადებილი ოჯახს გარეთ არათუ გასაკიცხი, არამედ, ხშირ შემთვევაში, სამართლით დასჯადი ქმედებებია, რატომ აღიქვამს საზოგადოება იგივე საქციელს ჩადენილს ოჯახის წევრებს შორის სხვანაირად? ნუთუ შუასაუკუნეობრივი გამოთქმა „ჩემი სახლი, ჩემი ციხესიმაგრეა“ კვლავ ძალაში რჩება? ამის მიზეზი ის ხომ არ არის, რომ ჩვენი სოციუმი, ისევე როგორც მრავალი სხვა საზოგადოება ქალებს არ მოიაზრებს ოჯახის ისეთივე სრულფასოვან წევრებად, როგორც მამაკაცებს?

ვინაიდან სამართალი ტრადიციულად საზოგადოებრივ სფეროსა და იქ არსებულ ურთიერთობებს არეგულირებდა, ძნელად ხდება მისი დამკვიდრება ოჯახური ცხოვრების გამომხატველი ე.წ. „კერძო“ სფეროში, რომელიც სამწუხაროდ რჩება იმუნური საკანონმდებლო რეგულირებისაგან და უფრო მეტად ექვემდებარება ჩვეულებით სამართალს. მიუხედავად იმისა, რომ ეგალიტარული საბჭოთა სამართლის მემკვიდრე თანამედროვე ქართული მემკვიდრეობითი სამართალი ოჯახის მემკვიდრედ თანაბარ უფლებებს ანიჭებს როგორც გოგო, ასევე ბიჭ შვილს, ჩვეულებითი სამართალი, რომელიც უპირატესია ამ საკითხში

<sup>142</sup> ნინო ბაქაეური, ოჯახური ძალადობა და ადამიანების ტრეფიკინგი: როგორ დავიცვათ ჩვენი უფლებები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი 2004 წელი, 76-77.

კოდიფიცირებულ სამართალზე, მთავარ მემკვიდრედ უმცროს ვაჟს მოიაზრებს. შესაბამისად, ტრადიციის თანახმად, უფროს ვაჟიშვილს ოჯახი ხელს უწყობს უძრავი ქონების შეძენაში, თუ ამის საშუალება აქვს, ხოლო გათხოვების შემდეგ ოჯახის ქალიშვილი იღებს მზითვს და არანაირ უფლებას აღარ აცხადებს დედ-მამის დანარჩენ ქონებაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქალიშვილის მიერ უარის თქმა უძრავ ქონებაზე – მშობლების სახლზე, ვინაიდან ხშირად მოძალადე ქმარს ცოლი ვერ შორდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას ნასასვლელი არ აქვს და იგი ეკონომიკურადაც დამოკიდებულია მეუღლეზე. დედმამისეულ სახლში ჩვეულებრივ ქმა და რძალი ცხოვობენ და უკან დაბრუნებისას ოჯახის ქალიშვილი თავს სულ მცირე უხერხულად გრძნობს. იმ შემთხვევაში, თუ ქალმა ხმა აიმაღლა და მოითხოვა თავისი კუთვნილი ქონება მშობლების მემკვიდრეობიდან, მას საზოგადოებრივი აზრი კიცხავს.

ეს სტერეოტიპული მაგალითი არ გამოხატავს უნივერსალურად მთელი ჩვენი საზოგადოებისა და ყველა ოჯახის მდგომარეობას, არამედ იმ ტენდენციებსა და ნორმებს, რომლებიც სამწუხაროდ ჯერჯერობით რჩებიან ძირითადად და ნამყვანად ჩვენი საზოგადოების უმეტესისთვის.

ქართული ენაც ინახავს გასაღებს ოჯახური ურთიერთობის საიდუმლოსი, სიტყვა „გათხოვება“ და ისეთი გამოთქმა როგორიცაა „პატრონს ჩავაბარო“, მიუთითებს იმ ობიექტივიზაციაზე, რაც ქალს ქორნიხებაში მოელის. მართალია ვერავინ მიდის ისე შორს, რომ ქალი ქმრის საკუთრებად გამოაცხადოს როგორც ეს ადრე ხდებოდა, მაგრამ ქმრის იმპერატიულობის, აღმატებულობის მომენტი შენარჩუნებულია. ასეთ ვითარებაში ქალის ფიზიკური შეურაცხყოფა ქმრის მხრიდან მოიაზრება როგორც მეთოდი აკონტროლო და მორჩილებაში გყავდეს შენთვის დაქვემდებარებული ადამიანი, მითუმეტეს, თუ ამგვარი ქცევა საზოგადოებრივი მორალით გამართლებულია და მეტიც ხშირად მსხვერპლს მიიჩნევენ დამნაშევედ, რომელმაც დამსახურებულად მიიღო ამგვარი სასჯელი. სამწუხაროდ არსებობს უამრავი მითი ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით, რომლებსაც თვითონ ქალებიც უწყობენ ხელს, მაგალითად: „მცემს იმიტომ, რომ ეჭვიანია და ძალიან ვუყვარვარ“; „კაცია და ასე უნდა მოიქცეს, თორემ ცოლი თავზე დააჯდება“ და სხვა. ამგვარი დამოკიდებულება მეტყველებს საზოგადოების მიერ პრობლემისადმი თვალის დახუჭვის სურვილზე, არალიარებაზე იმ ფაქტისა, რომ ოჯახური ძალადობა ინვეს ჯანმრთელობის პორბლემებს ქალებში, ფსიქიკურ მოშლილობას ქალებსა და ბავშვებში, რომ ნებისმიერი გარემო, სადაც ბატონობს ძალადობა ადრე თუ გვიან სავალალო ანარეკლ პოვებს და აისახება იმ საზოგადოების ცხოვრებაზე, რომლმაც მისი დათმენა და არალიარება გადაწყვიტა.

ამერიკელი მკვლევარი ჯოან მაიერი წერს: „ამჟამინდელი ამერიკული საკანონმდებლო და სოციალური ნორმები [...] ორაზროვანია: მაშინ როცა ოჯახური ძალადობა ნომინალურად არალეგალურია და მეტიც, კრიმინალიზებულია, სამართლებრივი და სოციალური დაწესებულებების უმეტესობას დღემდე მცირე აღიარებასა და დახმარებას უჩენენ ამგვარი ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს, ურჩევნიათ რა, რომ ეს საკითხი განიხილონ როგორც კერძო ოჯახური დავა და არა როგორც დანაშაული“.<sup>143</sup>

დელიქტური სამართალი,<sup>144</sup> რომელიც ჩვეულებრივ არეგულირებს ფიზიკური ზიანის მიყენების ფაქტებს, ტრადიციულად არაფერს ამბობდა ფიზიკური დაზიანების შემთხვევებზე ოჯახის წევრებს შორის. მეუღლეთაშორისი და მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობების იმუნიტეტის დოქტრინის გამო კანონშემოქმედნი და სასამართლოები ტრადიციულად გვერდს უვლიდნენ ისეთი დაზიანებითი დანაშაულების დასჯას, რაც ოჯახს გარეთ არ დარჩებოდა მათი ყურადღების მიღმა. სამართლით პრაქტიკაში ძალიან იშვიათად ისჯება

<sup>143</sup> Joan Meier, “Introduction”, *The Public Nature of Private Violence: the Discovery of Domestic Abuse*, Martha Albertson Fineman, Roxanne Mykitiuk (eds.), Routledge: New York, London, 1994, 121.

<sup>144</sup> დელიქტური სამართალი (Tort Law) იმ შინაარსით რა შინაარსითაც ტექსტშია მოხსენიებული საქართველოში არ არსებობს, თუმცა არსებობს დელიქტური ვალდებულება, რომლის მიხედვითაც: პირი რომელიც სხვა პირს მართლაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კარი მესამე).

ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორესთვის განზრახ მიყენებული დაზიანება. უმეტესი ქვეყნების სამართალი არ აღიარებს ქმრის მიერ ცოლის გაუპატიურების ფაქტებს. მეუღლის ცემა განზრახ არის გამოტოვებული სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიცირებულ დანაშაულთა ნუსხაში იმ მოტივით, რომ ქმარს აქვს უფლება აღზარდოს თავისი მეუღლე. დღესაც კი, იმ ქვეყნების სამართალში, სადაც მოხდა ოჯახური ძალადობის კრიმინალიზაცია მოსამართლები, პროკურორები და პოლიციის ოფიცრები თავს არიდებენ ოჯახურ კონტექსტში ფიზიკური შეურაცხყოფის შესახებ კანონების გამოყენებას.

სხვა ამერიკელი მკვლევარი ელიზაბეტ რაპაპორტი<sup>145</sup> თავის სტატიაში: „სიკვდილით დასჯა და შეღავათი ოჯახური ძალადობისას“ აანალიზებს სამართლებრივი ნორმების ქმედებას ისეთი მკვლელობების მიმართ, რომლებიც სიკვდილით ისჯება და ოჯახური ძალადობის შედეგად ჩადენილი მკვლელობების მიმართ.

მკვლევრის თვისებრივი ანალიზი აჩვენებს, რომ სიკვდილით დასჯის ამერიკული კანონი სექსისტურია, მაშინ როდესაც უმეტეს შტატებში ფინანსური მოტივით ადამიანის მოკვლა შეიძლება იქცეს მიზეზად დამნაშავისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანისა, ე. წ. „ოჯახის შენარჩუნების“ მიზეზით ჩადენილი მკვლელობა დამნაშავეს გარკვეულ შეღავათებს აძლევს. ქმრის მხრიდან ცოლის ან ყოფილი ცოლის მკვლელობა არ განიხილება იგივე სიმძიმის დანაშაულად როგორც სხვა, ოჯახს გარეთ, ჩადენილი მკვლელობები, მას ამსუბუქებს ის გარემოება, რომ მოძალადეს ემოციებისგან „სისხლი უდუდა“, „ცივსისხლიანი“ წინასწარგანზრახული მკვლეობისგან განსხვავებით. რაპაპორტი აღნიშნავს, რომ ქმრის მიერ მეუღლის „ცხელ გულზე“, როცა მას საყვარელთან ერთად ნახავს მოკვლის განხილვა როგორც შემამსუბუქებელი გარემოებისა მაჩვენებელია მამაკაცთა უპირატესი მდგომარეობისა საზოგადოებაში, ვინაიდან ისტორიულად „ცხელ გულზე“ ჩადენილი მეუღლის მკვლელობა ცოლების მხრიდან, ანუ როცა ქმარს საყვარელთან წასწრებდა, არ განიხილებოდა შემამსუბუქებელ გარემოებად. ის, რომ ქალები ნაკლებად კლავენ მეუღლეებს ღალატის შემთხვევაში, გამოწვეულია იმითაც, რომ მათ ქმრების ფლობაზე უფრო ნაკლები პრეტენზია აქვთ, შესაბამისად, მათი რეაქცია ღალატზე ან მიტოვებისას ნაკლებად მწვავეა.

საქართველოში ოჯახში ძალადობის პრობლემა არ დგას იმ აქტუალურ პრობლემათა რიგში, რომლის მოგვარებისათვის სახელმწიფო შესაბამის ნაბიჯებს გადადგამდა. არ არის დანახული კავშირები ოჯახურ ძალადობასა და სიღარიბეს შორის, ოჯახურ ძალადობასა და ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობას, ზოგადად საზოგადოების განვითარებას შორის, ოჯახურ ძალადობასა და კანონმორჩილებას, სამართლებრივი ნორმების ნაკლებ ეფექტურობას შორის. ოჯახური ძალადობის პრობლემის დაძლევა წარმოუდგენელია ამ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვის გარეშე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემის მოსაგვარებლად უმნიშვნელოვანებია, არა მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ნაბიჯები, განხორციელებული პოლიტიკა, არამედ საზოგადოებრივი აზრის ტრანსფორმაცია, რომელიც ამ პრობლემისადმი არა შემნენარებლური, არამედ შეურიგებელი გახდება. ამ ტრანსფორმაციაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს.

<sup>145</sup> Elizabeth Rapaport, “The Death Penalty and the Domestic Discount”, *The Public Nature of Private Violence: the Discovery of Domestic Abuse*, Martha Albertson Fineman, Roxanne Mykitiuk (eds.), Routledge: New York, London, 1994, pp. 224-251.

## პრინციპი 8

### 1. საარჩევნო კანონების მიზანი – საკანონების მიზანი ქალთა წარმომადგენლობის ზრდასთან დაკავშირებული საკითხები

#### ლიტერატურა:

Matland, R. «Enhancing Women's Participation: Legislative Recruitment and Electoral Systems», in Karan Azza (ed.). *Women in Parliament: Beyond Numbers*, International IDEA, 1998, 65-88.

Ndezhda Shvedova. «Obstacles to Women's Participation in Parliament», in Karan Azza (ed.). *Women in Parliament: Beyond Numbers*, International IDEA, 1998, 19-41.

საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო, დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ცდილობს. 1991 წლიდან მოყოლებულ გარდამავალ პერიოდს თან ახლდა წარმატებები და წარუმატებლობებიც. დასაწყისშივე, სამმა დიდმა კონფლიქტმა შეაფერხა ქვეყნის განვითარება; 1991-1993 წლებში შიდა ქართლში და აფხაზეთში განვითარებული ეთნიკური კონფლიქტების გამო დაახლოებით 300 000 მოქალაქე იქცა იძულებით გადაადგილებულ პირად. თბილისის სამოქალაქო ომი (1991 წლის დეკემბერი - 1992 წლის იანვარი), რომელიც სამხედრო ოპოზიციასა და დემოკრატიული გზით არჩეულ, პირველ პოსტკომუნისტურ, პრეზიდენტ გამსახურდიას მთავრობას შორის მიმდინარეობდა ამ უკანასკნელის მარცხით და ედუარდ შევარდნაძის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ყოფილი თავმჯდომარისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა გადამდგარი მინისტრის საქართველოში დაბრუნებით დასრულდა.

1995 წლის 5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების დროს შევარდნაძე ხმათა 75% იქნა არჩეული, მისი ხელმძღვანელობით პრორეფორმისტულმა 1995 წელს არჩეულმა პარლამენტმა იმავე წლის 24 აგვისტოს ახალი კონსტიტუცია მიიღო. 1998 წელს პირველად გაიმართა ადგილობრივი, 1999 წელს საპარლამენტო, ხოლო 2000 წელს საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც ისევ შევარდნაძემ გაიმარჯვა.

2003 წლის 2 ნოემბერს გაიმართა ახალი საპარლამენტო არჩევნები, რომელმაც მნიშვნელოვანი დარღვევებით ჩაიარა და ხალხის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მშვიდობიანი პროტესტის ფორმებით, საქართველოს მოსახლეობამ მოახერხა გაერთიანება შევარდნაძის კორუფციული ადმინისტრაციისა და პარტიის (მოქალაქეთა კავშირი) წინააღმდეგ. ხალხის ნებამ გაიმარჯვა და 2003 წლის 23 ნოემბერს პრეზიდენტი შევარდნაძე გადადგა. ქვეყანას ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამდე პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მართავდა. 2004 წლის 4 იანვარს 96% პროცენტით საქართველოს მოსახლეობამ ახალი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აირჩია. საპარლამენტო არჩევნები ასევე 2004 წლის 28 მარტს გაიმართა ხელახლა და პარლამენტის თავმჯდომარედ კვლავ ნინო ბურჯანაძე აირჩიეს.

#### საქართველოს საარჩევნო სისტემის ანალიზი: შანსები ქალთა წარმომადგენლობისთვის

მოცემულ ქვეთავში შევეცდები გავაანალიზო საქართველოს საპარლამენტო და ადგილობრივი საარჩევნო სისტემები და განვსაზღვრო მათი გავლენა ქალთა პოლიტიკაში მოსვლის შესაძლებლობებზე. საარჩევნო სისტემის ანალიზისთვის გამოვიყენებ პროფესორ ლიჯპჰარტის მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებს დეპუტატთა არჩევის წესის, საარჩევნო ოლქის სიდიდის, არასაწორი პროპორციულობის, საარჩევნო ბარიერის, პარლამენტის

სიდიდისა და გაერთიანებული სიების გამოყენების შესაძლებლობათა ირგვლივ.<sup>146</sup> ანალიზის საფუძველზე შევეცდები განვსაზღვრო ქალთა არჩევის შანსები ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე.

საქართველოს კონსტიტუცია და ორგანული კანონი, საქართველოს ერთიანი საარჩევნო კოდექსი ის ძირითადი დოკუმენტია, რომელიც აკანონებენ არჩევნების სამართლებრივ ჩარჩოებს. ლიჯპჰარტის მიერ შემუშავებული საარჩევნო სისტემების კრიტერიუმების მიხედვით, პირველ რიგში შევაფასოთ დეპუტატთა არჩევის წესები, იქნება ეს მაურიტარული, პროპორციული, თუ შუალედური. რადგანაც პარტიული სიებით პროპორციული წარმომადგენლობის საფუძვლებზე აირჩევა პარლამენტის 150 წევრი, ხოლო 85 წევრი ამდენივე ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქიდან ორეტაპიანი მაურიტარული არჩევნების საფუძველზე – საქართველოს საარჩევნო სისტემა მიეკუთვნება შუალედურ სისტემებს, რომელიც მოიცავს შერეულ, მაურიტარულ და პროპორციულ საარჩევნო წესს.

„საარჩევნო ოლქის საშუალო სიდიდე განისაზღვრება თითოეულ საარჩევნო ოლქში არჩეული წარმომადგენლების რაოდენობით.“<sup>147</sup> ლიჯპჰარტის მიხედვით, საარჩევნო ოლქის სიდიდის გამოანგარიშება შეიძლება საკანონმდებლო ორგანოს წევრთა საერთო რაოდენობის გაყოფით საარჩევნო ოლქების რაოდენობაზე. ამ ფორმულის მიხედვით, საქართველოში საარჩევნო ოლქის საშუალო სიდიდე 2,76 მანდატია:

პარლამენტართა რაოდენობა	საარჩევნო ოლქების რაოდენობა	საარჩევნო ოლქების საშუალო სიდიდე
235	85	2.76

საარჩევნო ოლქის საშუალო სიდიდე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია იმ ურთიერთდამოკიდებულების გამო, რომელიც არსებობს სამართლიან წარმომადგენლობას და საარჩევნო ოლქის სიდიდეს შორის. რაც უფრო დიდია ოლქის ზომა და ამომრჩეველთა რაოდენობა, უკეთესი შანსები არსებობს პროპორციული წარმომადგენლობისთვის. თუ ამომრჩეველთა რაოდენობა დიდია, ხოლო მანდატთა რაოდენობა მცირე, მიახლოებითი პროპორციულობის შანსები მცირდება (რაც, ჰოგანი, ჰორვილი). საარჩევნო ოლქების არათანაბარი მოცულობის უარყოფითი ზეგავლენა საქართველოს საარჩევნო წესის მაურიტარულ ნაწილთან მიმართებაში, რომელიც 85 ერთმანდატიანი ოლქიდან ითვალისწინებს ამავე რაოდენობის პარლამენტარის არჩევას, აღნიშნული იყო ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების სამსახურის საბოლოო მოხსენებაში საქართველოს 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შეფასებისას.<sup>148</sup>

თითოეული საარჩევნო ოლქი იღებს ერთ საპარლამენტო მანდატს. მიუხედავად ამისა, ამომრჩეველთა რაოდენობებს შორის დიდი განსხვავების გამო თითოეული ხმის წონა არათანაბარია. ამ განსხვავების საუკეთესო მაგალითია ყაზბეგის რაიონის ამომრჩეველთა რაოდენობა დაახლოებით 4000 რეგისტრირებული ხმის მიცემის უფლების მქონე პირით და ქ. ქუთაისი 135000 რეგისტრირებული ამომრჩეველთა რაოდენობით. მაიკლ გალაპერის მიხედვით, ეს არის „არასწორი პროპორციულობა“. ერთმანდატიან საოლქო სისტემებში ეს უკანასკნელი ნიშნავს იმას, რომ ოლქებში არის ამომრჩეველთა მნიშვნელოვნად არათანაბარი რაოდენობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არასწორი პროპორციულობა დიდი პარტიების სასარგებლოდ ან მიიღოს გადაჭარბებული რეგიონალური წარმომადგენლობის სახე. საქართველოს მაგალითზე

<sup>146</sup> A Lijphart, *Electoral Systems and Party Systems*, Oxford: Oxford University Press, 1994, 14.

<sup>147</sup> იქვე 10.

<sup>148</sup> OSCE/ODHIR, *Georgia Parliamentary Elections: 31 October & 14 November 1999, Final Report*, Warsaw, February 2000, 4.

ამან გამოიწვია საქართველოს მოქალაქეთა კავშირის (სმკ), პრეზიდენტის პარტიის მიერ ორივე არჩევნებში ადგილების უმეტესი რაოდენობის დაკავება (იხ. 1 და 2 ცხრილი) 1995 წლის არჩევნებში სმკ-მ პარლამენტში მოიპოვა 106, 1999 წლის არჩევნებში კი 132 ადგილი. ასევე 2004 წლის 28 მარტის არჩევნებში ნაციონალური მოძრაობისა და გაერთიანებული დემოკრატების საერთო სიებით 93 ადგილის მოპოვებას ხელი შეუწყო როგორც თავისთავად მოსახლეობის დიდმა მხარდაჭერამ, ასევე გარკვეულწილად საარჩევნო სისტემამაც.

მკვლევართა მიხედვით, საარჩევნო ბარიერი საარჩევნო სისტემის შემდგომი მნიშვნელოვანი ფაქტორია. საარჩევნო ბარიერი არის ამომრჩეველთა მხარდაჭერის მინიმალური დონე, რომელიც პარტიას პარლამენტში მოსახვედრად სჭირდება. 1999 წელს მიღებული საკონსტიტუციო დამატების მიხედვით: პროპორციული არჩევნებით საპარლამენტო წარმომადგენლობის კვალიფიციურ ხმათა რაოდენობა 5%-იდან 7%-მდე გაიზარდა. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ 7%-იანი საარჩევნო ბარიერი არის "ძალიან მაღალი ეუთოს წევრ სხვა სახელმწიფოებთან შედარებოთ."<sup>149</sup> საარჩევნო ოლქის საშუალო რაოდენობის დაბალ სიდიდეს იგივე შედეგი აქვს, რაც მაღალ საარჩევნო ბარიერს: ორივე ზღუდავს პროპორციულობას და მცირე პარტიებისთვის ადგილების მოპოვების შანსებს. როცა საარჩევნო ოლქის საშუალო სიდიდეები იზრდება, ხოლო ბარიერები მცირდება, პროპორციულობისა და მცირე პარტიების არჩევის შანსები უმჯობესდება. ასე რომ, საარჩევნო ოლქის საშუალო სიდიდის (2,76) და საარჩევნო ბარიერის (7%) მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ბარიერის სიმაღლისა და საშუალო სიდიდის სიმცირის გამო მცირე პარტიებისთვის ძალზედ ძნელია პარლამენტში მოხვედრა. რაც შეეხება ქალებს, ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს საარჩევნო სისტემაში მათი არჩევისთვის საუკეთესო საშუალებაა დიდი პარტიების საარჩევნო სიებში პირველ ოცეულში ჩართვა, ასევე ძლიერი საარჩევნო ბლოკების სიების პირველ ოცეულში მოხვედრა. თუ ქალს მაჟორიტარ კანდიდატად წარადგენს პარტია ან 5 წევრისგან შემდგარი საინიაციატივი ჯგუფი<sup>150</sup> მისი არჩევის შანსები ნაკლებია ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების გამო, ვინაიდან საზოგადოების პოლიტიკური კულტურა, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, უპირატესობას ჯერ კიდევ მამაკაც კანდიდატებს ანიჭებს. განსაკუთრებულია ის შემთხვევები, როცა ქალი კანდიდატი ძალზედ ცნობილი და სასურველი კანდიდატია ამომრჩეველთა დიდი რაოდენობისთვის ან თუ წარდგენილია დიდი პარტიის მიერ, რომელსაც მოცემულ ოლქში ამომრჩეველთა დიდი რაოდენობა უჭერს მხარს.

პატარა პარტიების, მათ შორის, ქალთა პარტიებისთვის პარლამენტში არჩევის სხვა შანსს წარმოადგენს გაერთიანებული სიების შექმნის შესაძლებლობა. საქართველოს ორგანული კანონის, ერთიანი საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ცალკეულ პარტიებთან ერთად საარჩევნო ბლოკებს – ერთ ბლოკში გაერთიანებულ რამდენიმე პარტიას – შეუძლიათ წარადგინონ გაერთიანებული საკანდიდატო სია,<sup>151</sup> რაც უდავოდ ზრდის მცირე პარტიების შანსებს, ასევე იძლევა ქალი კანდიდატების დასახელების საშუალებას გაერთიანებული მცირერიცხოვანი პარტიების წევრთა რიგებიდან.

სელსაყრელი პირობები საქართველოს პარლამენტში ქალთა არჩევისთვის:

- დიდი პარტიების ან ძლიერი საარჩევნო ბლოკების პარტიულ სიებში ჩართვა პირველ ოცეულში;
- პარტიის მიერ მაჟორიტარ კანდიდატად წარდგინება იმ რაიონში, სადაც წარმდგენ

<sup>149</sup> იქვე, 6.

<sup>150</sup> კანდიდატის დასახელებისთვის საინიციატივო ჯგუფმა უნდა წარადგინო ამომრჩეველთა არანაკლებ 1 000 ხელმოწერა, რეგისტრირებული შესაბამისი ოლქის საარჩევნო კომისიის მიერ, იმ შემთხვევის გარდა, თუ წარდგენილი კანდიდატი პარლამენტის წევრად იქნა არჩეული ბოლო საპარლამენტო არჩევნების დროს.

<sup>151</sup> საქართველოს ორგანული კანონი, ერთიანი საარჩევნო კოდექსი, მუხლი 96.

- პარტიასა და თავად კანდიდატს მრავალრიცხოვანი მხარდამჭერები ჰყავს;
- საინიაციატივო ჯგუფის მიერ მაუორიტარ კანდიდატად წარდგინება იმ რაიონში, სადაც კანდიდატს ამომრჩეველთა უმრავლესობა უჭერს მხარს.

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონმდებლობა განსაკუთრებულად ხელსაყრელ პირობებს არ უქმნის მცირე პარტიებს ან ინდივიდუალურად, ქალ კანდიდატებს, რაც ერთმანდატიანი მაუორიტარული სისტემის არსებობითაა გამოწვეული. არ არსებობს ასევე სპეციალური წესდება, რომელიც მხარს დაუჭერდა ქალთა წარდგინებას პრეზიდენტის 1999 წლის 28 აგვისტოს 511-ე განკარგულების გარდა, რომელიც მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს "განიხილონ დროებითი სპეციალური ღონისძიებები გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად, კვოტების შემოღების ჩათვლით".<sup>152</sup> საქართველოში საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად კვოტები არ შემოუღიათ, მაგრამ აქვე მნიშვნელოვნად მიმართია უურადღების შეჩერება კვოტებზე როგორც მექანიზმზე, მის რაობაზე, დადებით და უარყოფით მხარეებზე.

ჩვენს საზოგადოებაში ხშირად ერთ-ერთ სტერეოტიპულ ფემინისტურ მოთხოვნად ხელისუფლებაში, განსაკუთრებით კი საკანონმდებლო ხელისუფლებაში, ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად კვოტების შემოღება მოიაზრება. რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, კვოტირება როგორც დროებითი ზომა ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად ან მუდმივი ზომა სქესთა შორის თანასწორობის მისაღწევად არ არის სასურველი საშუალება ყველა ფემინისტისთვის. ბირგიტა დალის, შვედეთის პარლამენტის სპიკერის თქმით, „მხოლოდ კვოტების სისტემა არ წარმომადგენს ქალთა დაბალი პოლიტიკური წარმომადგენლობის პრობლემის გადაჭრის გზას. პოლიტიკურმა პარტიებმა, განათლების სისტემამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, პროფესიულმა კავშირებმა, ეკლესიამ – თავისი ორგანიზაციების ფარგლებში ყველამ უნდა სისტემატიკურად წაახლისოს ქალების პოლიტიკური მონაწილეობა, ქვემოდან ზემოთ. ამას დრო დასჭირდება, არც ერთი წელი, არც ხუთი, არამედ ერთი ან ორი თაობა, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ.“<sup>153</sup>

ხელისუფლებაში ქალებისთვის კვოტის ქონა ნიშნავს ქალთა კვოტით მიერ განსაზღვრული რაოდენობით წარმომადგენის დაკანონებულ მოთხოვნას. კვოტები შეიძლება არსებობდეს როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვის, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში (განათლება, პირველადი ჯანდაცვა), სადაც მამაკაცები შედარებით ნაკლებად არიან წარმომადგენილნი. არსებობს ეგრეთ წოდებული ნეიტრალური კვოტები, როდესაც არც ერთი სქესი არ შეიძლება იყოს წარმომადგენილი 40%-ზე ნაკლებად ან 60%-ზე მეტად. პოლიტიკაში კვოტების სისტემის საფუძველს ქალთა ჩართულობისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა ქმნის. ვინაიდან ქალები მოსახლეობის 50%-ს და ზოგ ქვეყანაში მეტს წარმომადგენენ, აუცილებელია მათი ინტეგრირება პოლიტიკურ ცხოვრებაში და არა იზოლირება.

განსაკუთრებით ფაქტიათ მოსაპყრობია ეს საკითხი პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც ათწლეულების მანძილზე ქალებისთვის 30%-იანი დაკანონებული კვოტა არსებობდა, რომელიც როგორც საბჭოთა კავშირის დაცემამ გამოააშკარავა საკმად ხელოვნური გახლდათ, ვინაიდან ქალების პროცენტულმა შემადგენლობამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პარლამენტებში საშუალოდ 10-14%-მდე დაინია, ცალკეულ ქვეყნებში 3%-მდეც კი შემცირდა. საბჭოური წარსულის გამო კვოტების მოთხოვნა ნაკლებ ეფექტურობით სარგებლობს ჩვენს საზოგადოებაში და ხშირად ქალთა პოლიტიკური რეპრეზენტაციის დისკრედიტაციის საფუძველიც შეიძლება გახდეს.

<sup>152</sup> პრეზიდენტ შევარდნაძის 1999 წლის 28 აგვისტოს 511 პრანებულება „ქალთა ადამიანის უფლებების დამცავი მექანიზმების გაძლიერების შესახებ“.

<sup>153</sup> Birgitta Dahl, Speaker of Parliament, Sweden, cited in *Women in Parliament: Beyond Numbers*, International Democracy and Electoral Assistance (IDEA), 1998, 93.

დღუდ დალერუპი, პოლიტოლოგიის პროფესორი განიხილავს ქალთა კვოტირების დადებით და უარყოფით მხარეებს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით.<sup>154</sup>

### დადებითი მხარეები:

- კვოტები არ ახდენენ ქალების დისკრიმინაციას, პირიქით, ეხმარებიან მათ ბარიერების გადალახვაში კუთვნილი ადგილების მოპოვებაში;
- კვოტების სისტემა გულისხმობს ქალთა გუნდის, ქალთა გარკვეული რაოდენობის არსებობას, ეს აძლიერებს ქალების პოზიციებს და ამცირებს სტრუსს, რომელსაც საჩვენებლად წარმოდგენილი ქალები განიცდიან;
- ქალებს აქვთ უფლება თანაბარი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი პოლიტიკურ ასპარეზზე;
- ქალთა გამოცდილება საჭიროა პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- არჩევნებში ყველაზე მთავარია პროპორციული წარმომადგენლობა და მერე კვალიფიკაცია და განათლება; მთავარია, რომ საზოგადოების ყველა ჯგუფი იყოს შეძლებისდაგვარად წარმოდგენილი და მათ შორის რა თქმა უნდა ქალები;
- ქალებს ისეთივე კვალიფიკაცია და განათლება აქვთ როგორც მამაკაცებს, მაგრამ მამაკაცების მიერ დომინირებულ პოლიტიკურ სისტემაში ქალების კვალიფიკაციის ხელოვნური დაკნინება ხდება. მათ გაცილებით მეტი ძალისხმევა სჭირდებათ პოლიტიკაში კარიერის გასაკეთებლად, ვიდრე მამაკაცებს;
- პოლიტიკური პარტიები საზღვრავენ ვის ამოირჩევს ხალხი, რადგან ისინი ასახელებენ კანდიდატებს, ამიტომ მნიშვნელოვანია მათ დაასახელონ ქალი კანდიდატები;
- კვოტების შემოღებამ შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტები, მაგრამ მხოლოდ დროებით.

### უარყოფითი მხარეები

- კვოტების სისტემა ეწინააღმდეგება თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს, ვინაიდან ქალებს პრივილეგია ენიჭებათ;
- კვოტები არადემოკრატიულია, რადგან ამომრჩეველს აძალებენ კვოტებით განსაზღვრულ ჯგუფის არჩევას და ართმევენ თავისუფალი არჩევანის უფლებას;
- კვოტები გულისხმობს, რომ პოლიტიკოსებს ირჩევენ მათი სქესის გამო, ხოლო კვალიფიცირებულ კადრებს ყურადღებას არ აქცევენ;
- ბევრ ქალს არ სურს იყოს არჩეული მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან;
- კვოტების შემოღება იწვევს შიდაპარტიულ კონფლიქტებს.

კვოტების შემოღება უკავშირდება სხვაობას თანასწორობის ორ კონცეფციას შორის; კლასიკური ლიბერლური განმარტებით თანასწორობა მდგომარეობს ყველასთვის „თანაბარი შესაძლებლობების“ მინიჭებაში, მაგალითად, ქალებისთვის აქტიური და პასიური პოლიტიკური უფლებების მინიჭებაში, ხოლო დანარჩენი უკვე ცალკეული ქალის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.

ბოლო ათწლეულში ფემინისტთა ძლიერი წნების წყალობით თანასწორობის მეორე კონცეფცია იკრებს მეტ ძალას, რომელიც „შედეგის თანასწორობაში“ მდგომარეობს. ამ

<sup>154</sup> Drude Dahlerup, "Using Quotas to Increase Women's Political Representation", in *Women in Parliament: Beyond Numbers*, International Democracy and Electoral Assistance (IDEA), 1998, 91-106.


განმარტების მომხრეთა აზრით, სინამდვილეში თანაბარი შესაძლებლობები არ იქმნება მხოლოდ იმით, რომ ფორმალური ბარიერების მოცილება ხდება. პირდაპირი დისკრიმინაცია, ისევე, როგორც დაფარული ბარიერებისა და შეზღუდვების მთელი კომპლექსი უშლის ქალებს ხელს მათთვის კუთვნილი პოლიტიკური წარმომადგენლობა მოიპოვონ. კვოტები ამგვარად წარმოადგენს საშუალებას „თანასწორი შედეგის“ დადგომისათვის. ამ არგუმენტს აძლიერებს ის ფაქტი, რომ თანასწორობა როგორც შედეგი არ დადგება მხოლოდ ხელოვნური „თანაბარი მოპყრობის“ უზრუნველყოფით ფორმალური ბარიერების მოშორების გზით.<sup>155</sup>

პარლამენტში მოხვედრის შანსები, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, თეორიულად არ განსხვავდება მამაკაც კანდიდატთა შანსებისგან, მაგრამ ძალზედ ბევრია დამოკიდებული პარტიებზე: ფაქტი, რომ ქალები საქართველოს პარლამენტში მხოლოდ 9,4% არიან წარმოდგენილნი (წინა არჩევნების პარლამენტში ქალები შეადგენდნენ შესაბამისად 6,4% და 7%) მიანიშნებს, რომ ძირითად დამაბრკოლებელ ძალას პარტიები წარმოადგენენ. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს პარლამენტში ქალთა უმეტესობა ხვდება მხოლოდ წამყვანი პარტიის სიებით, რაც იგივე პარტიის სიებით მოხვედრილ მამაკაც კანდიდატთა პროცენტულ მაჩვენებელს საგრძნობლად ჩამოუვარდება, მაგრამ პარლამენტართა საერთო რაოდენობაში წამყვანი პარტიების სიებით მოხვედრი ქალთა პროცენტული წილი (ქალთა საერთო რაოდენობის სიმცირის გამო) აღემატება მამაკაცთა პროცენტულ წილს. სამი უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების მონაცემები ასე გამოიყურება:

არჩევნები	პარტია	მოპოვებულ აღგილთა რაოდენობა	მამაკაცები	%	ქალები	%	ქალთა საერთო რაოდენობა პარლამენტში	ლიდი პარტიის სიით გასულ ქალთა პროცენტული წილი	ლიდი პარტიის სიით გასულ მამაკაცთა პროცენტული წილი
1995	სმკ	106	95	89%	11	10%	17	65%	40%
1999	სმკ	132	121	92%	11	8%	16	69%	52%
2004	ნაც. მოძრაობა – დემოკრა- ტები	93	77	83%	16	17%	22	73%	33%

<sup>155</sup> Drude Dahlerup, "Using Quotas to Increase Women's Political Representation", in *Women in Parliament: Beyond Numbers*, International Democracy and Electoral Assistance (IDEA), 1998, 95.

წლების მიხედვით საკანონმდებლო ორგანოში ქალთა რაოდენობა:



1995		1999		2004	
ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი
17	218	16	219	22	213

1999 წლის არჩევნებში პარლამენტში პარტიების მიერ არჩეული პირები. 2002 წლის მონაცემები.

პარტია	ქალები	მამაკაცები	სულ
სმკ	11	95	106
ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი	1	11	12
სახალხო პარტია	-	23	23
აღორძინება	1	24	25
ლეიბორისტული პარტია	2	12	14
იმედი	-	11	11
სოციალისტ-მაჟორიტარები	1	10	11
აფხაზეთი	-	10	10
მამული	-	9	9
პარტიის გარეშე	1	11	12
<b>სულ</b>	<b>17</b>	<b>216</b>	<b>233</b>


1995 წლის არჩევნებში პარლამენტში პარტიების მიერ არჩეული პირები. (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის მონაცემები).

პარტიები და ბლოკები	ქალები	მამკაცები	სულ
სმკ	11	121	132
აღორძინება	3	55	58
მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	1	14	15
ლეიბორისტული პარტია	-	2	2
1992წ. არჩეული აფხაზეთის პარლამენტარები	1	11	12
დამოუკიდებელი კანდიდატები	-	16	16
<b>სულ</b>	<b>16</b>	<b>219</b>	<b>235</b>

ეროვნულ დონეზე საარჩევნო სისტემის განხილვის შემდეგ ყურადღება გავამახვილოთ ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო სისტემის მახასიათებლებზე. ადგილობრივ დონეზე კანციდატთა არჩევა ხდება მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული საარჩევნო წესით. „ამომრჩევლებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში, რომელიც ეფუძნება მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემას, აქვთ იმდენივე ხმის უფლება შესაბამისად რამდენი წევრიცაა საკრებულოში.“<sup>156</sup> თბილისის თვითმმართველობის გარდა, სადაც არჩევნები პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ტარდება და სადაც, შესაბამისად, თითოეულ ამომრჩეველს ერთი ხმის უფლება აქვს. ასე, რომ საარჩევნო სისტემის ორი მნიშვნელოვანი განზომილება, საარჩევნო წესი და ოლქის სიდიდე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დიდი პარტიების სასარგებლოდ მოქმედებს, მცირე პარტიებისთვის მრავალმანდატიანი ოლქები უფრო სახარბიელოა მხოლოდ პროპორციულ საარჩევნო სისტემაში. ერთმანდატიან ოლქებში შედარებით მცირე პარტიებს უფრო მეტი შანსები აქვთ თუ საარჩევნო წესი მაჟორიტარულია.

საქართველოს შემთხვევაში დიდი პარტიები აბსოლუტურ საკანონმდებლო უპირატესობას ფლობენ. არსებული დიდი პარტიებისთვის ხელსაყრელი საარჩევნო სისტემის თანმდევი ფაქტორია ქალთა წარმომადგენლობის სიმცირე, რადგანაც ქალი-კანციდატები ძირითადად დამოკიდებულნი არიან დიდი პარტიების მიერ მოპოვებულ ადგილებზე, ხოლო მცირე პარტიები ადგილების მოპოვებას ძირითადად მამაკაცებისთვის ცდილობენ, რადგან ისინი მინიმალური წარმომადგენლობისთვის იპროვიან და პროპორიტეტს მამაკაცებს ანიჭებენ, რაც ტრადიციული პოლიტიკური კულტურითაა განპირობებული.


ცხრილი 3: 1998 წლის არჩევნების მონაცემები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლობა



ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის შესწავლამ, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრმა ჩაატარა, აჩვენა, რომ არჩეულ ქალთა რაოდენობა უფრო ნაკლებია დიდ ადმინისტრაციულ ერთეულებში და უფრო მაღალი მცირე ერთეულებში.

<sup>156</sup> საქართველოს ორგანული კანონი, ერთიანი საარჩევნო კოდექსი, მუხლი 111.

ცხრილი 4: 1998 წლის არჩევნების მონაცემები, ქალები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში



ეს მონაცემები აჩვენებს, რომ ქალების ადგილობრივ დონეზე არჩევა უფრო მაღალია, როცა საარჩევნო ოლქი მცირეა. ამ ვითარებას განაპირობებს ის ფაქტორი, რომ ნაკლები მოასახლეობის მქონე, მცირე საარჩევნო ოლქში ქალი კანდიდატი უფრო ადვილად ახერხებს ავტორიტეტის მოპოვებას, მას მოსახლეობის დიდი ნაწილი იცნობს და ენდობა და ამისთვის ნაკლები ფინანსური რესურსები სჭირდება, რაზეც ჩვეულებრივ ქალ კანდიდატებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი.

პოლიტიკური პარტიების როლის უკეთ შესაფასებლად პარლამენტში წარმომადგენლობის თვალსაზრისით, მიკი კაულის მიერ შემუშავებული მახასიათებლების მიხედვით, 4 პარტიული დონის ფაქტორს აქვს რამდენადმე ახსნადი მნიშვნელობა პარტიიდან არჩეულ ქალთა პროპორციასთან მიმართებაში:

- პარტია ცენტრალურად ორგანიზებულია და პარტიის ლიდერს სურს ხელი შეუწყოს ქალებს, შექმნას კანდიდატთა დივერსიფიცირებულობა, ასევე მოახდინოს კანდიდატის დასახელება ადგილობრივ დონეზე;
- პარტია მემარცხენე იდეოლოგისაა, თუმცა "მემარცხენე პარტიები აღარ შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ ქალთა მხარდამჭერ პარტიებად, რადგანაც ასეთი მხარდაჭერა სცილდება იდეოლოგის ფარგლებს;
- არსებობენ ძლიერი შიდა პარტიული ქალთა ჯგუფები, რომლებიც მხარს უჭერენ და ლობირებას უწევენ ქალ კანდიდატებს;
- პარტიები რეგულირებას უკეთებენ ქალ კანდიდატთა ნომინირებას ისეთი ფორმალური წესებით როგორიც კვოტები ან სამიზნეებია (ნომინირებულ ქალთა სასურველი პროცენტი).<sup>157</sup>

ამ კრიტერიუმების მიხედვით, გადავწყვიტე შემესწავლა შევარდნაძის ადმინისრტაციის მმართველი პარტია საქართველოს მოქალაქეთა კავშირი. ზურაბ უვანიას ხელმძღვანელობით 1993 წელს დაფუძნებული საქართველოს მოქალაქეთა კავშირი სოციალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის პარტიად მიიჩნეოდა, რომლის ლიდერი პრეზიდენტი შევარდნაძე იყო. პარტიას დიდი რეგიონალური წარმომადგენლობა ჰყავდა, მაგრამ მკაცრად ცენტრალიზებულ

<sup>157</sup> Caul, M. "Women's Representation in Parliament: the Role of Political Parties", *Party Politics*, vol. 5. no.1 (1999): 79-98.

გაერთიანებად რჩებოდა 2003 წლამდე, როცა ვარდების რევოლუციის შედეგად განვითარებული მოვლენების ფონზე პარტიამ არსებობა შეწყვიტა. კაულის მიხედვით, ცენტრალიზებული მმართველობა ქალებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმ შემთხვევაში თუ მმართველი ძალები გენდერულად მგრძნობიარენი არიან და ქალთა პოლიტიკურ სარბიელზე გამოყვანას ემხრობიან.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირში არ არსებობდა განცალკევებული შიდაპარტიული ქალთა დაჯგუფებები, ქალები უფრო აქტიურები იყვნენ საშუალო და ადგილობრივ ელიტათა დონეზე. სმკ-ს პარლამენტში ქალთა წარდგინების არც კვოტები და არც განსაზღვრული სამიზნეები ჰქონდა. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ 1995 წელს პარლამენტში სმკ-ს სიით გასული 106 დეპუტატიდან და 1999 წელს გასული 132 დეპუტატიდან ორივეჯერ თერთმეტი მანდილოსანი ქალთა რეპრეზენტატიულობის ნიშნით არ მოხვედრილან პარლამენტში. ამ მხრივ, ანუ რაოდენობრივი გაუმჯობესების თვალსაზრისით, შეინიშნება 2003 წლის მოწვევის პარლამენტში მმართველი პოლიტიკური გართიანების მხრიდან, ვინაიდან მათ შედარებით ნაკლები 93 ადგილიდან 16 გამოიმეტეს ქალებისთვის.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი თავისი იდეოლოგიური კუთვნილებით სოციალ-დემოკრატიული პარტია გახლდათ. ქალთა საკითხებთან მიმართებაში სმკ მიეკუთვნება მერილინ როშმაიერის მიერ დაყოფილ პარტიათა კატეგორიის მეორე ჯგუფს; ერთი ჯგუფია "ქრისტიან-დემოკრატიული, ნაციონალისტური პარტიები" ისინი მხარს "უფრო ძლიერ" ოჯახებს უჭერენ, ახვევენ რა ქალებს თავს ტრადიციულ როლებს. მეორე ჯგუფი, რომელსაც სმკ შეიძლება მივაკუთვნოთ არის "რეფორმირებული კომუნისტური, სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები. [ისინი] ზოგადად უსვამენ ზახს გენდერულ თანასწორობას მინიმუმ დასაქმებისა და სოცუზრუნველყოფის პოლიტიკის საკითხებში".<sup>158</sup>

საქართველოს პარლამენტის ამჟამინდელი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრი იყო და პირველად ამ თანამდებობაზე სწორედ სმკ-ს რიგებიდან წარადგინეს. ამ თანამდებობამდე იგი პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტს ხელმძღვანელობდა. ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარედ პირველად 2001 წლის 9 ნოემბერს აირჩიეს, მას შემდეგ რაც სხვა მინისტრებთან ერთად საზოგადოებრივი პროტესტის გამო პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე ზურაბ უვანია გადადგა, სმკ-მ და ექსთავმჯდომარე უვანიამ მხარი დაუჭირეს ბურჯანაძის კანდიდატურას. 1991 წლიდან მოყოლებული ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს სათავეში ქალი ჩაუდგა. ბურჯანაძისადმი საზოგადოების დამოკიდებულება დადებითი იყო. ბევრმა უურნალისტმა და პოლიტიკოსმა ხაზი გაუსვა მის ქალურობას როგორც პარლამენტში უფრო ბალანსირებული პოლიტიკის გატარების გარანტის.

პარლამენტარმა ვახტანგ ხმალაძემ, პარლამენტის თავმჯდომარის დროებითი საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარემ, ინტერვიუში განაცხადა, რომ ბურჯანაძეს ძირითადად მხარი დაუჭირეს რადგან პარლამენტმა უპირატესობა მიანიჭა ისეთ კანდიდატურას, რომელსაც შემდგომში თანამდებობრივი პრეტენზიები არ ექნებოდა პრემიერ-მინისტრის ან პრეზიდენტის პოსტებზე, რომელიც ამ თანამდებობას არ გამოიყენებდა, როგორც ტრამპლინს უფრო მაღალი პოსტისკენ.<sup>159</sup> ეს განცხადება ძალზედ სიმპტომატურია, პოლიტიკური ძალები ბურჯანაძისგან არ ელოდნენ პოლიტიკურად კარიერის შემდგომ განვითარებას, მაგრამ 2003 წელს განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაანახა, რომ ბურჯანაძე სულაც არ იყო შევარდნაძის ან სმკ-ს მარიონეტი, არამედ დამოუკიდებელი პოლიტიკოსი, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში თავისი პრინციპებისა და შეხედულებებისამებრ იმოქმედა.

არასამთავრობო ორგანიზაციის - სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის გამოკვლევის მიხედვით, 1998 წელს ქართულ პოლიტიკურ პარტიებში ქალთა ყველაზე დაბალი

<sup>158</sup> Merlin Rueschemeyer, *Women in the Politics of Postcommunist Eastern Europe*, New York: Armonk, 1994, 294.

<sup>159</sup> ნინო მეტრეველი, „ვინ ყიდულობდა პარლამენტის თავმჯდომარის სკამს: ნინო ბურჯანაძისგან პრეზიდენტობისათვის ბრძოლის საფრთხე არ მოდის“, სარკკ, 46 (2001): 6.

პროცენტი აღმოჩნდა საქართველოს სპორტსმენთა გაერთაინებაში – 0,5 %, ხოლო ყველაზე მაღალი საქართველოს ქრისტიან-კონსერვატორულ პარტიაში – 60%, ილია მართლის საზოგადოებაში – 60%, ქეთევან წამებულის საზოგადოებაში - ასევე 60%.

იგივე არასამთავრობო ორაგნიზაციის მიერ დასმულ შეკითხვაზე; "ითვალოსწინებთ თუ არა ქალთა პრობლემებს პარტიის პროგრამის შემუშავებისას?"

- 21-მა პარტიამ კონკრეტულად დაასახელა ისეთი საკითხები, რომლებიც ჩართულია მათ პოლიტიკურ პროგრამებში როგორიცაა: ქალთა უფლებების დაცვა, ქალთა დასაქმებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება, მარტოხელა და მრავალშვილიან დედათა მხარდაჭერა.
- 11-მა პარტიამ განაცხადა, რომ ისინი არ ახდენენ ქალთა და მამაკაცთა დიფერენცირებას, რადგანაც ყველაზე ერთნაირად მოქმედებს მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები. ეს პარტიები მიიჩნევენ, რომ ამ ეტაპზე ქალთა პრობლემების ცალკე განხილვა აბსურდია, რადგან არსებობს უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც უნდა გადაიჭრას.
- 10-მა პარტიამ განაცხადა, რომ პარტიულ პროგრამებში ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას არ უთმობენ ქალთა პრობლემებს.
- 9 პარტიამ შეკითხვა უპასუხოდ დატოვა.

დღემდე, ძალზედ ძნელია რომელიმე დიდ ქართულ პოლიტიკურ პარტიაში იპოვო ქალთა საკითხების შესახებ მოქმედების განსაზღვრული გეგმა. ასე, რომ პოლიტიკურ პარტიების მდედრობითი სქესის წევრთა მაღალმა პროცენტმა ვერ იმოქმედა ვერც პოლიტიკურ წარმომადგენლობაზე და ვერც პოლიტიკურ პარტიათა დღის წესრიგში წარმოდგენილ საკითხთა სპეცირზე.

საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 4,4 მილიონია, აქედან ქალები ნახევარზე მეტს წარმოადგენენ, მაგრამ გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე მათი რაოდენობა ძალიან მცირეა. საქართველოს შემთხვევაში ქალთა წარმომადგენლობის სიმცირე განპირობებულია ქალთა შორის პოლიტიკური ინფორმირებულობის ნაკლებობით, პოლიტიკისადმი უნდობელი დამოკიდებულებით, რომელიც მემკვიდრეობით იქნა მიღებული კომუნისტური წარსულიდან და იმ საზოგადოებრივი მოსაზრებებიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც პოლიტიკა მამაკაცთა სფერო, მათი ბრძოლის არენაა. ქალები პოლიტიკური ორგანიზაციისა და ფინანსური დახმარების ნაკლებობას განიცდიან. ზოგადი სოციალური და ეკონომიკური სიძნელეების გამო ქალთა საკითხები პრიორიტეტად არ მიიჩნევა, უმეტეს შემთხვევაში ორივე სქესის პოლიტიკოსთა მიერ.

ზემოთ წარმოდგენილი საარჩევნო სისტემის ანალიზი ისევე, როგორც პარტიების ანალიზი განახლებას საჭიროებს ამჟამად მიმდინარე საკონსტიტუციო ცვლილებელისა და საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების ფონზე, შესაბამისად კურსის ავტორი უფლებას იტოვებს გადახედოს და გადაახალისოს წარმოდგენილი ანალიზი მოვლენათა განვითარების შესაბამისად.

## 2. კურსის ძირითადი თემებისა და საკითხების შეჯამება.

**კონსულტაციები საბოლოო ესსეს დასაცერად.**

კურსის ამ მონაკვეთში ჩვენ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ შესწავლილ საკითხებს და გავაანალიზებთ, თუ რა შეგვძინა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის ისტორიულმა მიმოხილვამ. ამ ეტაპზე გაიმართება ასევე კონსულტაციები საბოლოო ესსესთვის თემატიკისა და ლიტერატურის შესარჩევად.

## პიპლობრავია

American Psychl. Ass'n, Violence and the Family: Report of the American Psychological Association Presidential Task Force on Violence and the Family (1996).

*Annual Review of United Nations Affairs 1981.* Edited by William A. Landskron. Oceana Publications Inc. New York 1983.

"Agents of Social Change: Dorothy Kenyon". Last visited on 24 February, 2002.

<<http://www.smith.edu/libraries/libs/ssc/exhibit/kenyon.html>>

Arlacchi, P. «Against all the godfathers: the revolt of the decent people» in *The World Against Crime*, Special Issue of *Giornale di Sicilia*.

ბაქაქური, ნინო, თჯახური ძალადობა და ადამიანების ტრეფიკინგი:

როგორ დავიცვათ ჩვენი უფლებები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,  
თბილისი 2004 წელი.

Bock, Gisela, Women in European History, Blackwell Publishers: Oxford, UK.

Большая Советская Энциклопедия, Москва: Советская Энциклопедия, 1973.

Berman, Harold J. Justice in Russia: an Interpretation of Soviet Law, Cambridge,  
Massachusetts: Harvard University Press, 1950.

Bachman, Ronet, U.S. Department of Justice Bureau of Justice Statistics, "Violence  
Against Women: A National Crime Victimization Survey Report," January 1994.

Bustelo, Mara R. «The Committee on the Elimination of Discrimination Against Women  
at the Crossroads». *The Future of United Nations Human Rights Treaty Monitoring*. Edited by Philip  
Alston and James Crawford. Cambridge University Press. Cambridge. 2000.

Buck, Thomas, Women, War, and Displacement in Georgia, Washington, DC: Research  
and Reference Services Project, USAID, July 6, 1999.

Buck, Thomas, Alice Morton, Susan Allen Nan, Feride Zurikashvili, Aftermath: Effects  
of Conflict on Internally Displaced Women in Georgia, Washington: Center for Development  
Information and Evaluation U.S. Agency for International Development, September 2000, working  
paper no. 310.

Byrne, Bridget, Julie Kock Laier, Sally Baden, Rachel Marcus, National Machineries for  
Women in Development: Experiences, Lessons and Strategies for Institutionalising Gender in  
Development Policy and Planning, Report N 36, Bridge: Development-Gender, Institute of  
Development Studies, Brighton, 1996.

Caul, M. «Women's Representation in Parliament: the Role of Political Parties», *Party  
Politics*, vol. 5. no.1 (1999).

Consideration of Initial Report Submitted by States Parties under Article 18 of the  
Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, 1998.

Compendium of International Conventions Concerning the Status of Women. United  
Nations. New York. 1988.

Convention on the Consent to Marriage, Minimum Age for Marriage and Registration of  
Marriages.

The Convention on the Elimination of All forms of Discrimination Against Women.

The Declaration of Sentiments, Seneca Falls Conference, 1848.

Cook, Rebecca J. «Women's International Human Rights Law: The Way Forward».  
Human Rights of Women: National and International Perspectives. Edited by Rebecca J. Cook.  
University of Pennsylvania Press. Philadelphia. 1994.

Dahl, Birgitta, Speaker of Parliament, Sweden, cited in Women in Parliament: Beyond  
Numbers, International Democracy and Electoral Assistance (IDEA), 1998.

D'Hericourt, Jenny, La Femme affranchie, Moses and Rabine: Brussels, 2 vols, 1860 Declaration on the

Elimination of Discrimination against Women, The UN

«Human Rights: Commission on the Status of Women». *Annual Review of United*

*Nations Affairs 1974*. Compiled and edited by: Joseph T. Vambery. Oceana Publications, inc. New York. 1976.

Dahlerup, Drude, «Using Quotas to Increase Women's Political Representation», in

Women in Parliament: Beyond Numbers, International Democracy and Electoral Assistance (IDEA), 1998.

Domestic Violence for Health Care Providers, 3rd Edition, Colorado Domestic Violence Coalition, 1991.

European Union, Charter of Fundamental Rights of the European Union.

European Union, Treaty of Amsterdam Amending the Treaty of the European Union, the

Treaties Establishing European Communities and Certain Related Acts, entered into force on 1<sup>st</sup> of May 1999.

FWCW Platform for Action, Institutional Mechanisms for the Advancement of Women,

UN 1995, H, 201. Available on-line, last visited on August 15 2004.  
<http://www.un.org/womenwatch/daw/beijing/platform/institu.htm>

Fernandez-Kelly, Maria Patricia The Silence of Free Trade: Mexican Maquiladoras and Globalization. Rutgers University Press, 2001.

Fraser, Arvonne S. «The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women (The Women's Convention)». In Women Politics and the United Nations. Anne Winslow ed. Greenwood Press. Westport, Conn. 1995.

Fried, John H. E. «Social and Humanitarian Matters: the Status of Women». Annual Review of United Nations Affairs 1954. Edited by Clyde Eagleton, Waldo Chamberlin, Richard N. Swift. York University Press. Washington Square. New York. 1955.

Friedman-Kasaba, Kathie, Memories of Migration. Gender, Ethnicity, and Work in the Lives of Jewish and Italian Women in New York, 1870-1924, New York: State University of New York Press, 1996.

Fourth World Conference for Women Platform for Action, D. Violence against Women.

გლობალიზაციის განმარტება, „Definition of Globalisation» იხილეთ

ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: <<http://www.investorwords.com/2182/globalization.html>>

Gradskova, Julia, Women and Political System of the Soviet State, Moscow State University, 2004.

Goldman, Wendy Z. Women, the State and Revolution: Soviet Family Policy and Social Life, 1917-1936 Cambridge: Cambridge University Press, c1993.

Human Rights Sourcebook. Edited by Albert P. Blaustein, Roger S. Clark, Jay A. Sigler. Paragon House Publishers. New York. 1987.

Hughes, Glendora C. «Sexual Harassment: Then and Now», *Maryland Bar Journal* May/June, 2000.

Jefferson, LaShawn R., Urge U.S. Companies to Stop Sex Discrimination in Mexican Maquiladoras, Human Rights Watch Women's Rights Project, 1997.

Jiagge, Annie R. «An Introduction to the Declaration on Elimination of Discrimination Against Women». *Annual Review of United Nations Affairs 1967-1968*. Compiled by: Richard N. Swift. Oceana Publications, Inc. New York. 1969.

Karatnycky, Adrian «Political and Economic Reform in East Central Europe and New Independent States: A Progress Report», Nations in Transit 1997: Civil Society, Democracy and Markets in East Central Europe and the Newly Independent States, Adrian Karatnycky, Alexander Modyl and Boris Shor (edss). New Brunswick and London: Transaction Publishers, 1998.

Kerr, Joanna and Caroline Sweetman, Women Reinventing Globalisation, Oxfam GB

2003.

Kollontai, Alexandra, Archives, იხილეთ ინტერნეტში მისამართზე:

<<http://www.marxists.org/archive/kollonta/into.htm>> ბოლო ვიზიტი მარტი 14, 2003.

Kolontai, Aleksandra, «Communism and the Family», Selected Writings by Alexandra Kolontai, (eds. Alison and Busby) 1920.

Kundera, Milan Jacques and His Master: An Homage to Diderot in Three Acts,

New York: Harper & Row Publishers, 1985.

Leroux, Pierre and J. Reynaud (eds.), Encyclopedie Nouvelle, vol. 5, col.212, Paris, 1848. La Voix des femmes 20, (11 April 1848) reprint Geneva, 1991)

Lijphart, A. Electoral Systems and Party Systems, Oxford: Oxford University Press, 1994.

მადურაშვილი, ხათუნა „ქალთა უფლებები და მათი დაცვა საქართველოს სისხლისა და შრომის სამართლით“, აღმანახი, 1998.

Meier, Joan «Introduction», The Public Nature of Private Violence: the Discovery of Domestic Abuse, Martha Albertson Fineman, Roxanne Mykitiuk (eds.), Routledge: New York, London, 1994.

მეტრეველი, ნინო „ვინ ყიდულობდა პარლამენტის თავმჯდომარის სკამს:

ნინო ბურჯანაძისგან პრეზიდენტობისათვის ბრძოლის საფრთხე არ მოდის“, სარკე, 46 (2001).

OSCE/ODHIR, Georgia Parliamentary Elections: 31 October & 14 November 1999, Final Report, Warsaw, February 2000.

პრეზიდენტ ე. შევარდნაძის 1999 წლის 28 აგვისტოს 511 ბრძანებულება „ქალთა ადამიანის უფლებების დამცავი მექანიზმების გაძლიერების შესახებ“.

პროექტი ჰარმონია, ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის საზოგადოებრივი თანამშრომლობის პროგრამის სასწავლო მასალები.

Pietila, Hilkka, Engendering the Global Agenda: the Story of Women and the United Nations, NGLS, 2002.

Reanda, Laura. «The Commission on the Status of Women». *The United Nations and Human Rights: A Critical Appraisal*. Philip Alston ed. Clarendon Press. Oxford. 1992.

Report of Non-governmental Organizations on the Status of Women in the Republic of Georgia Under CEDAW Articles, 1998.

Sabedashvili, Tamar, Paper for the course: Research Methods in Gender Studies.

Contents Analysis – Method and Practice, Applied to the Abstract from Aleksandra Kollontai's Article Communism and the Family (1920), Central European University, Budapest, 2003.

საქართველოს კონსტიტუცია, 1995,

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, თბილისი: გამოცემულია 2003 წლის ნოემბრის მდგომარეობით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს ორგანული კანონი, ერთიანი საარჩვენო კოდექსი.

Rapaport, Elizabeth, «The Death Penalty and the Domestic Discount», The Public Nature of Private Violence: the Discovery of Domestic Abuse, Martha Albertson Fineman, Roxanne Mykitiuk (eds.), Routledge: New York, London, 1994.

Rueschemeyer, Merlin, Women in the Politics of Postcommunist Eastern Europe, New York: Armonk, 1994.

Sternhell, Zeev, «Fascism: Reflections on the Fate of Ideas in Twentieth Century History», in Michael Freeden (ed.), Reassessing Political Ideologies: the Durability of Dissent, (London, New York: Routledge, 2001).

United Nations: Division for the Advancement of Women. ბოლო ვიზიტი 28

თებერვალი 2002 <<http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/reservations.htm>>

United Nations Department of Public Information. ბოლო ვიზიტი 28

თებერვალი 2002 <<http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/history.htm>>.

United Nations Charter.

Universal Declaration of Human Rights

Vincent, R.J. Human Rights and International Relations, Cambridge:Cambridge

University Press, 1986, 10. Citing Jack Donelly, The Concept of Human Rights. Webster's Unabridged Dictionary: Newer Words Faster (Random House Inc. 1999)

«Women's Rights and Status». *Annual Review of United Nations Affairs* 1976. Compiled

and edited by William A. Landskron. Oceana Publications, inc. New York. 1977

Stanton, Elizabeth Cady speech at the Woman's Convention (25th May, 1851).

Anthony Center for Women's Leadership, იხილეთ ინტერნეტში, მისამართზე:  
<<http://www.rochester.edu/SBA/sbaecs.html>>, ბოლო ვიზიტი 1 ნოემბერი 2004.

Zetkin, Clara, Lenin on the Women's Question: An Interview with Lenin, 4. იხილეთ

ინტერნეტში მისამართზე: <http://www.marxists.org/archive/zetkin/1925/lenin/zetkin2.htm>  
ბოლო ვიზიტი 17 თებერვალი, 2005.

Zurikashvili, Feride, Internally Displaced Women in Georgia, Tbilisi: Women's Studies

Center at Tbilisi State University, 1999.

## Women's Human Rights: Gender Aspects of History of Law

### **Duration and timetable of the course:**

The course duration is 8 weeks that is 32 classroom hours, 17 of which will be lectures and 15 will be seminars. Each week will consist of 4 classroom hours delivered twice a week with 2-hour sessions, first hour devoted to a lecture and the second hour to a seminar. Only the first week is the exception to this rule, as there will be 3 lectures and 1 seminar during this first week.

### **Course description summary:**

